

**ზურაბ პაპასქირი**

**ერტიანი ქართული ფოლკლორი  
სახელმწიფოს წარმოქმნა და  
საქართველოს საბარეო-პოლიტიკური  
მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი**



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
თბილისი – 1990

64.04(2□)  
პ 182

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის მონოგრაფიული შესწავლის ცდას ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნისა და შემდგომი განმტკიცების საწყის ეტაპებზე (X ს. 70-იანი წლებიდან XI ს. 69-იან წლებამდე). მასში ახლებურადაა გაშუქებული საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკვანძო საკითხები, ნაჩვენებია ერთიანი ქართული სახელმწიფოს როლი და ადგილი საერთაშორისო არენაზე.

წიგნი განკუთვნილია ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

**რედაქტორი:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პროფ. **მარიამ ლორთქიფანიძე**

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**ზურაბ რატიანი,**  
ისტორიის მეცნიერებათ კანდიდატი **გიორგი ამიჩბა**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

0503020906

□ \_\_\_\_\_

608(06)-90

ISBN 5-511-00389-13

## შესავალი\*

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის შესწავლა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ცალკეულ ქვეყნებსა და ხალხებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების გამოკვლევას მათი ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერის, საერთაშორისო ავტორიტეტის, ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის დასადგენად.

ქართული ისტორიოგრაფია მუდამ იჩენდა დიდ ინტერესს საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიული შესწავლისადმი. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართველი მედიევისტების ნაყოფიერი საქმიანობა, რომლის შედეგადაც გამოკვლეული და საფუძვლიანად დამუშავებულია შუა საუკუნეების საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების არაერთი საკითხი. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით ყველა პრობლემა გადაიჭრა და შემდგომ კვლევა-ძიებას არ საჭიროებს. გამონაკლისს არ წარმოადგენს თვით XI-XII საუკუნეები –

---

\* ნიგნის ელექტრონული ვერსია იბეჭდება ზუსტად იმ სახით, როგორც ის გამოქვეყნდა 1990 წელს. ერთადერთი, რისი რედაქტირებაც აუცილებლად ჩავთვალეთ არის სამეცნიერო აპარატი. ამასთან, ის არ შევსებულა ახალი, უფრო გვიან გამოცემული სპეციალური ლიტერატურით, უბრალოდ, მოხდა არსებულის მონესრიგება და სქოლიოს დახვეწა. რაც შეეხება ძირითად ტექსტს, მას არავითარი აზრობრივი ცვლილება არ განუცდია, ჩასწორდა მხოლოდ ნიგნის გამოცემისას გაპარული ზოგიერთი კორექტურული ხარვეზი (თუმცა არა ვართ დარწმუნებული, რომ ნაშრომის გადაბეჭდვისას არ გაჩნდა ახალი უზუსტობანი). გარდა ამისა, მოხდა უმნიშვნელო სტილისტური „ჩარევა“ (მაგ. სიტყვა: „ფაქტიური“ შეიცვალა „ფაქტობრივი“-თ და ა.შ.). ელექტრონულ ვერსიაში ფრჩხილებში წითელი ფერით მითითებულია 1990 წლის გამოცემის გვერდები. მაგ. {3} შემდეგ იწყება მომდევნო {4} გვერდი. ასევეა სქოლიოში.

ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ხანა, რომელიც უთუოდ ყველაზე დამუშავებულ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს.

VIII ს. მანძილზე, როგორც ცნობილია, არსებითად შეიცვალა საქართველოს პოლიტიკური რუკა. ეს გამონვეული იყო ძირეული ცვლილებებით ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ორი ქართული სახელმწიფოს – ქართლისა და ეგრისის სამეფოების ადგილზე გაჩნდნენ ახალი ფეოდალური ქვეყნები: კახეთი, ჰერეთი, „ქართველთა“ სამეფო, „აფხაზთა“ სამეფო. ცალკე ჩამოყალიბდა თბილისის საამირო. ახლადწარმოქმნილ სამეფო-სამთავროებს შორის იმთავითვე დაიწყო ბრძოლა პოლიტიკური ჰეგემონობისათვის საქართველოში, რაც ობიექტურად ნიშნავდა ბრძოლას **{3}** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის. XI ს. დამდეგს ძირითადად დასრულდა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის და აღმოცენდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა XII საუკუნეში და იქცა მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ.

ფეოდალური საქართველოს ისტორიის ეს ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის და ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმოცენება-განმტკიცება – მიმდინარეობდა გარკვეულ საგარეო-პოლიტიკურ პირობებში, გარკვეულ საერთაშორისო გარემოში, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე. ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლის პერიოდში ყალბდებოდა საერთო-ქართული ეროვნული ერთობა, რომელიც საფუძვლად ედო ერთიანი ქართული საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას და რომლის საბოლოო მიზანი იყო სახელმწიფო ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე. XII საუკუნეში (დავით აღმაშენებლის ეპოქაში) საქართველოს სახელმწიფომ მიაღწია დასახულ მიზანს

– მოიპოვა ეროვნული სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობებში და იქცა კავკასიისა და წინა აზიის უმთავრეს პოლიტიკურ ძალად, ამასთან, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სამყაროს მესვეურობის პრეტენზიაც კი განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიოგრაფიაში ძირფესვიანად არის შესწავლილი ამა თუ იმ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობები XI-XII საუკუნეებში, მეცნიერებაში ჯერ-ჯერობით არ ყოფილა ცდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ყოველმხრივი, მონოგრაფიული შესწავლისა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება-განმტკიცების პერიოდში, ქვეყნის როლისა და ადგილის დადგენისა საერთაშორისო არენაზე. ამგვარი კვლევის აუცილებლობა კი აშკარაა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება სრულად წარმოვაჩინოთ ფეოდალური საქართველოს საერთაშორისო პოტენციალი.

სწორედ ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი. მასში გაშუქებულია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა X ს. მიწურულსა და XI ს. I ნახევარში – ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ფორმირებისა და შემდგომი განმტკიცების პირველ ეტაპზე. შე{4}ვეცადეთ გვეჩვენებინა ის საგარეო-პოლიტიკური გარემო, რომლის პირობებშიც მიმდინარეობდა ქვეყნის გაერთანების რთული პროცესი, თვალი გაგვედევნებინა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლისათვის ბიზანტიის „მფარველობიდან“ გამოსვლისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად XI ს. I ნახევარში. ამასთან, მონოგრაფიაში პირველად იქნება დასმული და შესაძლებლობისამებრ განმარტებული აღნიშნული ხანის საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საკითხები {5}.

**თავი I. პრტიანი ქართული ფეოდალური  
მონარქიის აღმოსავლენა და მისი  
საგარეო-პოლიტიკური გარემო**

**1. საერთო-პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიასა და  
მახლობელ აღმოსავლეთში X ს. II ნახევარსა  
და XI ს. დასაწყისში**

X ს. 70-იან წლებში, ბაგრატ უფლისწულის ქართლში მმართველად დასმით (975 წელს), ხოლო შემდეგ მისი „აფხაზეთში“ (დასავლეთ საქართველო) გამეფებით (978 წელს) დაიწყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის ახალი, გადამწყვეტი ეტაპი. ეს ორი ღონისძიება სავსებით მართებულად მიჩნეულია პირველ რეალურ ნაბიჯებად, რომელსაც შემდგომ მოჰყვა ძირითადი ქართული მიწების („აფხაზეთი“-დასავლეთ საქართველო, ქართლი, ტაო-კლარჯეთი, კახეთ-ჰერეთი) ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ეს ცვლილება, პირველ რიგში, რასაკვირველია, განპირობებული იყო ბაზისური მოვლენებით, ე.ი. იმ სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრებით, რომლებიც წარმოშვა ქვეყნის ფეოდალურმა განვითარებამ. ამასთან, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს აღმოცენება-ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული იმ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებასთან, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში X ს. II ნახევარსა და XI ს. დასაწყისში. როგორი იყო ეს საერთაშორისო ვითარება და რა გავლენა იქონია მან საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელ მოძრაობაზე?

X ს. 70-იან წლებში, განსაკუთრებით II ნახევრიდან, მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა სიტუაცია, როდესაც ვერც

ბიზანტია და ვერც ხალიფატი ვერ ახერხებდნენ პოლიტიკური ჰეგემონის {6} როლში გამოსვლას ამ რეგიონში. ხანგრძლივმა ურთიერთჭიდილმა, აგრეთვე ორივე ქვეყანაში არსებულმა შინაპოლიტიკურმა გართულებებმა შეარყია მათი საგარეო-პოლიტიკური პოტენციალი. მიუხედავად იმისა, რომ X ს. II ნახევარში ბიზანტიის იმპერია არ ეხსნებოდა თავს დიდმპყრობლურ პოლიტიკას და ცალკეულ შემთხვევებში აღწევდა კიდევ თვალსაჩინო წარმატებებს როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთითაც, არ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ეს პერიოდი იყო საგარეო-პოლიტიკურ არენაზე იმპერიის მხოლოდ ძლიერების ხანა. პირიქით, იოანე ციმისხის გარდაცვალების (976 წ.) შემდეგ (რომელმაც თავის წინამორბედ იმპერატორ ნიკიფორე ფოკასთან ერთად გარკვეულ წარმატებებს მიაღწია როგორც ბალკანეთში, ისე აღმოსავლეთის არაბული სამეიროების წინააღმდეგ ომებში და, ერთგვარად, საფუძველი ჩაუყარა ბასილი II-ის დროინდელ აღმავლობას XI ს. I მეოთხედში<sup>1</sup>) ერთი პერიოდი (დაახლოებით 70-იანი წლების I ნახევარი – 90-იანი წლების დასაწყისი) ბიზანტიის იმპერია იძულებული შეიქნა დროებით თავი შეეკავებინა აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებისგან.

რაც შეეხება არაბულ სამყაროს, X ს. II ნახევრისათვის ის უკვე დიდი ხნის დაქუცმაცებული იყო. როგორც ცნობილია, ერთიანი არაბთა ხალიფატის დაშლა დაიწყო ჯერ კიდევ VIII ს. II ნახევრიდან. იგი გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა მხარეებში ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებით, ხოლო მეორე მხრივ – დაპყრობილ ქვეყნებში გამათავისუფლებელი ბრძოლების აზვირთებით.<sup>2</sup> X ს. II ნახევრისათვის ერთიანი არაბული სახელმწი-

---

<sup>1</sup> Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X – первой четверти XI в. – *История Византии*, в трех томах, т. II. М., 1967, გვ. 216.

<sup>2</sup> *Всемирная история*. т. III. М., 1957, გვ. 119, *ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან*. თბ., 1957, გვ. 107, 113, 115, 118.

ფოს ნაცვლად უკვე არსებობდა ცალკეული პოლიტიკური ერთეულები: ფატიმიდების სახელმწიფო ეგვიპტეში, კორდოვის ხალიფატი პირინეის ნახევარკუნძულზე, საკუთრივ აბასიდების ხალიფატი ბაღდადით ცენტრში.<sup>1</sup> გარდა ამისა, {7} ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში გაჩნდა უამრავი არაბული საემირო, რომლებიც პრაქტიკულად წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს. ამ პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის იყო ჯაფარიდების თბილისის საამიროც, რომლის ტერიტორია დღითიდღე კლებულობდა და X ს. მიწურულისათვის, ფაქტობრივად, მოიცავდა მხოლოდ ქ. თბილისსა და მის შემოგარენს.<sup>2</sup>

X ს. მეორე ნახევრისათვის, როდესაც დაიწყო ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება, არც ერთი არაბულ-მუსლიმური პოლიტიკური წარმონაქმნი არ წარმოადგენდა საქართველოსათვის მეტ-ნაკლებად საშიშ ძალას, ყოველი შემთხვევისათვის, ქართულ სამეფო-სამთავროებს მუსლიმური საემიროების მხრიდან ამ დროს რაიმე სერიოზული საფრთხე არ ემუქრებოდა, თუმცა, დროდადრო მათთან ცალკეულ გართულებებს მაინც ჰქონდა ადგილი.

აღნიშნულ პერიოდში მძიმე ვითარება იყო მეზობელ სომხეთშიც. თუ არაბთა ბატონობის ხანაში სომხეთი რამდენადმე მაინც ინარჩუნებდა ერთიანობას,<sup>3</sup> IX ს. მიწურულიდან

---

<sup>1</sup> **К. Э. Босворг.** Мусульманские династии. *Справочник по хронологии и генеалогии.* Перевод с английского и примечания **Н. А. Грязневича.** М., 1971, გვ. 5; **Е. А. Беляев.** Арабы, ислам и Арабский халифат в раннее средневековье. 2-ое изд. М., 1966, გვ. 219.

<sup>2</sup> თბილისის საამიროს საზღვრების შესახებ იხ.: **დ. მუსხელიშვილი.** კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, III. თბ., 1967, გვ. 72-76; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ., 1980, გვ. 136-139; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 490.

<sup>3</sup> **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა



ყოფილი „არმინიის“ ოლქის ნანგრევებზე, თანდათანობით, რამდენიმე პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა. X-XI საუკუნეებში სომხეთში დაქუცმაცების პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და ანისის სამეფოს გვერდით, რომელიც წარმოქმნის დღიდან გამოდიოდა სომხური მიწების გაერთიანების ჰეგემონის როლში, გაჩნდნენ: ვასპურაკანის, სიუნიქის, ფარისოსის, ვანანდის, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოები და სხვა უფრო წვრილ-წვრილი სამთავროები.<sup>1</sup>

IX-X საუკუნეებში ამ სამეფო-სამთავროებში სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული ვითარება იყო და მათ შორის, ამ მხრივ, ისეთი განსხვავება იყო, რომ შეუძლებელი იყო ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნა.<sup>2</sup> ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს, რომლებსაც ხანგრძლივი ბრძოლების გადატანა მოუხდათ არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ, ამჯერად ბიზანტიის იმპერია ემუქრებოდა. ბიზანტიის აგრესიის გაძლიერება, აგრეთვე წინააღმდეგობების გამწვავება სხვა სომხურ სამეფოებთან, არ აძლევდა საშუალებას ანისის მეფეებს, გამოეჩინათ აქტიურობა და ებრძოლათ ამიერკავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისათვის, რასაც ისინი ასე თავგამოდებით ცდილობდნენ მთელი X ს. დამდეგს და უფრო ადრეც.<sup>3</sup>

პოლიტიკურად უალრესად ჭრელი იყო აღმოსავლეთ

---

ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 173.

<sup>1</sup> **С. Т. Еремян.** Присоединение северо-западных областей Армении к Византии в XI в. – *Вестник общественных наук АН Армянской ССР.* № 3, 1971, გვ. 7; **К. Н. Юзбашян.** Армянские государства эпохи багратидов и Византия IX-XI вв. М., 1988, გვ. 72; **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 205-206.

<sup>2</sup> **К. Н. Юзбашян.** Армянские государства..., გვ. 72.

<sup>3</sup> **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იანი წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 191-192; **М. Д. Лордкипанидзе.** История Грузии XI – начала XIII вв. Тб., 1974, გვ. 77. ამის შესახებ დანვრ. იხ.: **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 169-211.

ამიერკავკასიის რეგიონიც. X საუკუნეში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი არაბული, ირანული და ქურთული წარმოშობის დინასტიების მორჩილებისა და გავლენის ქვეშ იყო მოქცეული,<sup>1</sup> რომელთა შორის უძლიერესად უნდა ჩაითვალოს შარვანის სამეფო და შადადიანთა არანის სახელმწიფო. თუ შარვანშაჰებს საქართველოსთან ტრადიციულად ლოიალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებდათ, მათგან განსხვავებით განძა-არანის მმართველნი, პირიქით, შესაძლებლობისამებრ, ყოველთვის ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ მეზობელი ქართული ქვეყნისათვის – „*ჟამითი ჟამად მეკობრეობით და პარვით*“ დაერბიათ და „*ადგილთ ადგილად*“ {9} ეძარცვათ ქვეყანა.<sup>2</sup> მაგრამ X ს. 70-იან წლებში განძა-არანი ჯერ კიდევ ვერ იჩენდა ამგვარ აქტიურობას.

არც ჩრდილოეთ კავკასია იყო ამ პერიოდისათვის ეთნიკურად და პოლიტიკურად ერთფეროვანი რეგიონი. ამ დროისათვის აქ არსებობდა რამდენიმე სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელთაგან უმთავრესი იყო ოვსეთის სამეფო – „მულქ ალ-ალანი“ (ეკავა დიდი ტერიტორია იმიერკავკასიის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში)<sup>3</sup> და დაღესტნურ ტომთა გაერთიანებები: სერირი, გუმიკი, ტაბარსარანი, დარუბანდი და სხვები.<sup>4</sup> თითოეული ამ სამეფო-სამთავროთაგან განიცდიდა გარკვეულ სიძნელეებს და მათ არ შესწევ-

---

<sup>1</sup> **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., გვ. 169-211. {9}

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 279; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 169-211.

<sup>3</sup> **А. П. Новосельцев.** К истории аланских городов. – *Материалы по археологии и древней истории Северной Осетии*, т. II. Орджоникидзе, 1969, გვ. 132; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 47.

<sup>4</sup> **Р. М. Магомедов.** Дагестан. *Исторические этюды.* Махачкала, 1975, გვ. 45; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских..., გვ. 47, 70-71.

დათ უნარი, რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ ამიერკავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე.

ერთი სიტყვით, X ს. 70-იანი წლებისათვის ამიერკავკასიაში შექმნილი იყო რამდენადმე მშვიდი საერთაშორისო ვითარება.<sup>1</sup> ერთადერთი ძალა, რომელიც ასე თუ ისე აცხადებდა აქ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე კონტროლის განევის პრეტენზიას, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ბიზანტიის იმპერია. ბიზანტიის იმპერატორი X ს. 70-იანი წლებისათვის, ჯერ კიდევ რჩებოდა ამიერკავკასიის მთელი რიგი ქრისტიანიული სამეფო-სამთავროების სიუზერენად; მათ შორის ტაო-კლარჯეთის საკურაპალატოსი ანუ „ქართველთა“ სამეფოსი, რომლის ლიდერი დავით კურაპალატი მოგვევლინა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორად და ორგანიზატორად.

სწორედ მისი აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა გაერთიანებული საქართველოს მომავალი მეფის ბაგრატ III-ის ჯერ (975 წ.) ქართლში მმართველად დასმა, ხოლო შემდეგ (978 წ.) – მისი „აფხაზეთში“ (დასავლეთ საქართველო) გამეფება. სწორედ ამ ორმა ღონისძიებამ დაუდო საფუძველი შემდგომ ძირითადი ქართული

---

<sup>1</sup> ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთი დამაჩქარებელი ფაქტორი იყო საგარეო საშიშროების საფრთხე. პირიქით, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული ისტორიოგრაფიაში, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პროცესი არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა, მაგრამ აქვე მითითებულია, რომ გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა ამ პერიოდში საგრძნობლად იყო გაადვილებული ხელსაყრელი საგარეო ვითარებით, კერძოდ კი, ბიზანტიისა და არაბების შედარებით დასუსტებით (**მ. ლორთქიფანიძე**, ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 507-508). როდესაც ვლასპარაკობთ ერთგვარ პოლიტიკურ სიმშვიდეზე {10} ამიერკავკასიაში X ს. II ნახევარში, პირველ რიგში, სწორედ ეს გარემოებები გვაქვს მხედველობაში. {11}

მინების („აფხაზეთი“, ქართლი, ტაო-კლარჯეთი, კახეთ-ჰერეთი) ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებას. როგორი იყო ბიზანტიის იმპერიის რეაქცია საქართველოში მიმდინარე ამ პოლიტიკურ ცვლილებებზე და იქონია თუ არა მან რაიმე გავლენა ქართული ქვეყნების გამაერთიანებელ მოძრაობაზე მთლიანად? ამ კითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხის გასაცემად საჭიროა რამდენადმე დაწვრილებით მიმოვიხილოთ ბიზანტიის იმპერიასთან საქართველოს, კერძოდ კი ტაო-კლარჯეთისა და მისი ლიდერის – დავით კურაპალატის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი X ს. ბოლო მესამედში.

## **2. დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი X ს. ბოლო მესამედში**

ბიზანტიის იმპერიას თავისი არსებობის ათას წელზე მეტი ხნის ისტორიის განმავლობაში ქართულ სამყაროსთან მუდამ ჰქონდა მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები. მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობანი, ბუნებრივია, არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი. „ზოგჯერ ის თითქოს მეგობრულ ხასიათს ატარებდა, რაც ჩვეულებრივ, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებით იყო განპირობებული; ზოგჯერ კი ეპოქისათვის დამახასიათებელი მტრობა და ბრძოლა იჩენდა ხოლმე თავს“.<sup>1</sup>

X ს. მეორე ნახევრისათვისაც ბიზანტიის ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან სხვადასხვაგვარი იყო. ბიზანტიის იმპერია, „რომელიც ამიერკავკასიაზე ბატონობის ძველ რომაულ ტრადიციას არ ეხსნებოდა“,<sup>2</sup> ყოველმხრივ

---

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 5.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის

ცდილობდა აქ თავისი პოზიციების განმტკიცებას. მაგრამ ამ დროისათვის კონსტანტინოპოლს მნიშვნელოვნად შერყეული ჰქონდა თავისი პრიორიტეტი საქართველოში. თუ ადრე, საუკუნეების მანძილზე, ბიზანტია, (უნდა ითქვას რეალურადაც) თავს დასავლეთ საქართველოს (IV-VIII სს.), დროდადრო კი (განსაკუთრებით VII ს. I ნახ.) მთელი საქართველოს ბატონ-პატრონად თვლიდა, X ს. 70-იანი წლებისათვის მას რამდენადმე ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ ტაო-კლარჯეთზე – „ქართველთა“ სამეფოზე, რომლის ლიდერთაგან ერთ-ერთს ტრადიციულად ანიჭებდა კურაპალატის ტიტულს. ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლებისათვის ბიზანტიის საიმპერატორო კარის საკარისკაცო ტიტულების (კურაპალატის, მაგისტროსის თუ ანტიპატოსის) მინიჭება, პირველ რიგში, მიმართული იყო ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცებისაკენ, ხოლო შემდეგ იმპერიის მხრივ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე ფორმალური სიუზერენობის შენარჩუნების მიზნებს ემსახურებოდა.<sup>1</sup>

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კურაპალატისა თუ სხვა ტიტულების მინიჭება ყოველთვის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მას არასოდეს რეალური შინაარსი არ ჰქონია. უთუოდ გასათვალისწინებელია, ის, რომ, თავის დროზე ტაო-კლარჯეთის ბიზანტიასთან დაკავშირება გამოწვეული იყო არაბობის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებით (აშოტ კურაპალატი) და მანამ, სანამ არაბთა მხრიდან რაიმე საფრთხე არსებობდა, ტაო-**{12}**კლარჯეთის ბაგრატიონები იძულებულნი იყვნენ კეისრის ხელისუფლებისათვის ანგარიში გაეწიათ.<sup>2</sup> დროთა განმავლობაში, როცა ეს საშიშ-

---

გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. II. თბ., 1965, გვ. 24.

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 14. **{12}**

<sup>2</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 21.

როება მოიხსნა, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები თანდათანობით გათავისუფლდნენ ბიზანტიისათვის ანგარიშის განევის გრძნობისაგან და ბიზანტიისადმი ტაო-კლარჯეთის დამოკიდებულება კიდევ უფრო ფორმალური გახდა.<sup>1</sup> მიუხედავად ამისა, საერთაშორისო არენაზე ტაო-კლარჯეთი, ისევე როგორც მეზობელი სომხური სამეფო-სამთავროები, „ბიზანტიის ქვეყნებად“ განიხილებოდა და კონსტანტინოპოლიც, შესაძლებლობისამებრ, აკონტროლებდა საერთო პოლიტიკურ სიტუაციას ამ მხარეში.

ამიტომ ბიზანტიის ხელისუფლება, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა გულგრილი X ს. 70-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების მიმართ. იმპერიის მმართველი წრეებისათვის ალბათ ვერ იქნებოდა სასურველი და მოსაწონი უშუალოდ მათი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრებთან ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მომავალში, შესაძლოა, წინ აღუდგებოდა ბიზანტიის აგრესიულ ზრახვებს აღმოსავლეთში. მაგრამ წყაროებში არავითარი მინიშნება არ გვხვდება კონსტანტინოპოლის რაიმე რეაქციაზე დავით კურაპალატის მიერ ბაგრატის გასამეფებლად გატარებული ღონისძიებების მიმართ.

უდავოა, რომ ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს იმხანად, გართულებული საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, არ შეეძლოთ რაიმე ზეგავლენა მოეხდინათ გაერთიანების გზაზე მდგარ ქართულ პოლიტიკურ

---

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 22. ეხებოდა რა ამ საკითხს, აკად. ს. ჯანაშია წერდა: „...постепенно потомки Ашота (იგულისხმება აშოტ ბაგრატიონი, რომელსაც იმპერატორმა, როგორც ცნობილია, კურაპალატის ტიტული უბოძა – **ზ.პ.**) фактически освобождаются от этой вассальной зависимости и в X веке являются сюзеренными правителями, сохраняя вместе с тем прежние титулы, и прежде всего титул курапалата...“ (იხ. **С. Н. Джанашия**. Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского: *Архитектура древней Армении*. Тб., 1947, გვ. 22).

ერთეულებზე. საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის სწორედ ასეთი შეფასება უდევს საფუძვლად დასკვნას იმის შესახებ, რომ 975, 978 წლების აქტები განხორციელდა ხელსაყრელი საერთაშორისო {13} ვითარების პირობებში. საერთაშორისო სიტუაციის ამგვარი შეფასება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების დასაწყის სტადიაში, მიუხედავად იმისა, რომ მასზე სპეციალურად ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული, საყოველთაოდ არის მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.<sup>1</sup> ამდენად, მასზე საგანგებოდ შეჩერება არც იქნებოდა გამართლებული, რომ არა ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ამ უკანასკნელ ხანს ისტორიოგრაფიაში არის სერიოზული ცდა გადაისინჯოს X ს. 70-იანი წლების საერთაშორისო სიტუაციის ზემოთ მოტანილი შეფასება. კერძოდ, ეჭვს ქვეშაა დაყენებული დავით კურაპალატის – ბიზანტიის იმპერიის ვასალის – ქართული მიწების გაერთიანების ინიციატორისა და ორგანიზატორის როლში გამოსვლის შესაძლებლობა.

ამგვარი ცდა წარმოდგენილია აკად. გ. მელიქიშვილის მიერ ამ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ ნაშრომში, რომელშიც ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ქვეყანაში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები.<sup>2</sup> სპეციალურად ეხება რა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში დავით კურაპალატის როლისა და 975, 978 წლების აქტებისადმი ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულების საკითხებს, ერთ-ერთ მიზეზად, რომლის გამოც დავითს თითქოს არ შეეძლო „გამოსულიყო საქართველო-კავკასიის ფარგლებში დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ინიციატორად და

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური..., გვ. 507-508

<sup>2</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 4-24. {14}

განმახორციელებლად“, აკად. გ. მელიქიშვილი ასახელებს ტაოს მმართველის ვასალურ დამოკიდებულებას ბიზანტიის იმპერიის მიმართ. მეცნიერის აზრით, საქართველოს გამაერთიანებლის როლში გამოსვლა შეეძლო ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა კონსტანტინოპოლისაგან (საქართველოს გაერთიანება უნდა მომხდარიყო ბიზანტიასთან ბრძოლაში), ასეთ ძალად კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დავითი, იმიერ-ტაოს მმართველი, ბიზანტიის საიმპერატორო კარის კურაპალა<sup>{14}</sup> ტი.<sup>1</sup>

ამასთან, გ. მელიქიშვილი, ჩვენი აზრით, რამდენადმე აზვიადებს ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ შესაძლებლობებს X ს. 70-იან წლებში, როცა ცდილობს 975 და 978 წლების აქტებში დავითის ზურგს უკან კონსტანტინოპოლის ხელი დაინახოს. პირველ შემთხვევაში მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტაოს მმართველის პოზიცია 975 წელს (როდესაც ეს უკანასკნელი ცდილობდა ბაგრატის ქართლში გაბატონებით ამ მხარის „აფხაზეთისგან“ ჩამოშორებას და მის ტაოსთან შეერთებას) შეესაბამებოდა ბიზანტიის პოლიტიკურ კურსს და შეიძლება სანქცირებულიც კი ყოფილიყო საიმპერატორო კარის მიერ, რაც შეეხება 978 წელს ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფებას, მეცნიერის აზრით, იმპერიის მმართველ წრეებში სერიოზული შეშფოთება უნდა გამოეწვია და გამორიცხული არ არის, დავით კურაპალატის მიერ „აფხაზეთში“ გამეფების სანაცვლოდ მძევლების აყვანა ბიზანტიელთა მოთხოვნა ყოფილიყო.

საერთოდ, გ. მელიქიშვილის მსჯელობას ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაზე, კერძოდ ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობაზე და იმპერიის დამოკიდებულებაზე X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ დავით კურაპალატი იყო არა თუ საქართველოს გაერ-

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 12-17.



თიანების ერთ-ერთი თაოსანი და განმახორციელებელი, არამედ იმპერიის კონტრაგენტი, რომელიც გამოდიოდა რა იმპერიის ინტერესების დაცვის პოზიციიდან, ყოველმხრივ ხელს უშლიდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ავტორისეული მსჯელობა რატი ბაღვაშის გამო ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტზე; ან კიდევ ბასილი კეისარსა და დავით კურაპალატს შორის 989 წელს დადებული შეთანხმების (რომლის თანახმადაც კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო გადადიოდა არა მისი შვილობილის – „აფხაზთა“ მეფის ბაგრატის ხელში, არამედ იმპერატორის ხელში) ანტიაფხაზურ (ე.ი. გაერთიანებული საქართველოს წინააღმდეგ გამიზნული) მიმართულებაზე ყურადღების გამახვილება.<sup>1</sup> {15}

ჩვენი ნაშრომის ხასიათი, რასაკვირველია, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვრცლად და ყოველმხრივ შევეხოთ დავით კურაპალატის გამაერთიანებელი მოღვაწეობის შეფასების საკითხს. ჩვენი მთავარი ამოცანაა გავარკვიოთ ბიზანტიის პოზიცია 975-978 წლების აქტების მიმართ. მაგრამ საკითხის მნიშვნელობა გვაიძულებს, გაკვირვებით მაინც შევეხოთ აკად. გ. მელიქიშვილის ზოგიერთ სხვა არგუმენტსაც, რომლის გამოც თითქოს დავით კურაპალატს არ შეეძლო გამოსულიყო საქართველოს გაერთიანების ინიციატორად და ორგანიზატორად.

პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს მეცნიერის დასკვნა იმის შესახებ, თითქოს „მატიანე ქართლისაჲში“ (და სხვა წყაროებშიც) ადგილი ჰქონდეს დავით კურაპალატის განდიდებას და საქართველოს გაერთიანების საქმეში მისი როლის უსაფუძვლო გაზვიადებას. მეცნიერის აზრით, ეს აიხსნება ავტორის ქართლელიობით. ამასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი ყურადღებას ამახვილებს თავის დროზე ივ ჯავახი-

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 18-24. {15}

შვილის<sup>1</sup> მიერ წამოყენებულ და დღეს ისტორიოგრაფიაში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებაზე<sup>2</sup> იმის შესახებ, რომ „მატიანე ქართლისაჲში“ ძირითადად გადმოცემულია ქართლის (აღმოსავლეთ საქართველოს – **ზ.პ.**) ისტორია, რომ სხვა მხარეები, კერძოდ, „აფხაზეთი“ (დასავლეთ საქართველო) იმდენად ფიგურირებს ამ მატიანეში, რამდენადაც ის დაკავშირებულია ქართლის ამბებთან.

ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ, რომ „მატიანე ქართლისაჲში“ (ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ქრონიკებში) ყურადღების ცენტრში მოქცეულია საკუთრივ ქართლი, რომლის ირგვლივ იკრიბება მთელი საქართველო, მაგრამ აღნიშნულ წყაროში მეტ-ნაკლებად აისახა სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების, კერძოდ კი „აფხაზეთა“ სამეფოს ისტორიული წარსულიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ VIII-XI საუკუნეების დასავლეთ საქართველოზე ჩვენ საერთოდ არ გავაჩნია „მატიანეზე“ ვრცელი **{16}** და მდიდარი წყარო. შესაძლებელია, მატიანე ყოველთვის ვერ გვანვდის ისეთ სრულ ინფორმაციას „აფხაზეთა“ სამეფოზე (თუმცა გადაჭრით არც ამის თქმა შეიძლება)<sup>3</sup> როგორც სა-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 202.

<sup>2</sup> **В. Н. Габашвили**. Историография Грузии XI-XVII вв. – *Очерки истории исторической науки СССР*, т. I. М., 1955, გვ. 142; **М. Д. Лордкипанидзе**. Введение. – წგნ.: *Матиане Картლისა*. Перевод, введение и комментарии **М. Д. Лордкипанидзе**. Тб., 1976, გვ. 15, 17. **{16}**

<sup>3</sup> უკანასკნელ ხანს მკვლევარმა გ. წულაიამ სამართლიანად მიუთითა, რომ „მატიანის“ ავტორი საკმაოდ ღრმად და საფუძვლიანად იცნობს არა მარტო ქართლს, არამედ სხვა მხარეებსა და ოლქებსაც, და, რომ საკუთრივ ქართლის დანვრილებითი აღწერა აიხსნება არა მხოლოდ ავტორის გათვითცნობიერებით, არამედ ამ მხარის განსაკუთრებული მნიშვნელობითაც IX-X საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, იხ.: **Г. В. Цулая**. Источниковедческие проблемы «Летописи Картли». – წგნ.: *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания **Г. В. Цулая**. Тб., 1982, გვ. 28.

კუთრივ ქართლზე, მაგრამ, ვფიქრობთ, არა გვაქვს არავითარი საფუძველი მხოლოდ ამის გამო „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის მიერ საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ ინიციატორად და მოთავედ დავით კურაპალატის წარმოჩენა მისი ტენდენციურობით ავხსნათ. თვით წყაროში მოიპოვება ისეთი მასალა, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათლად ადასტურებს მემატიანის მიუკერძოებლობას.

პირველი, რაც ამაზე მიგვითითებს, არის ის, რომ „მატიანის“ ავტორი აბსოლუტურად არ ცდილობს იოანე მარუშის ძის დამსახურების მიჩქმალვას. თუ ამას მემატიანის ქართლელობის პოზიციიდან გავიაზრებთ, ეს გაუგებარიც კი იქნება, რადგან, როგორც ცნობილია (და ამას გ. მელიქიშვილიც აღნიშნავს),<sup>1</sup> იონე მარუშის ძე იყო ქართლში „აფხაზთა“ მეფის მიერ დაყენებული მოხელე.<sup>2</sup> არა ქართლელი მოღვაწე, არამედ დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეების ერთ-ერთი მესვეური. თუ „მატიანის“ ავტორს, როგორც აღმოსავლელს, სურს მიჩქმალოს „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურთა როლი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში და მთლიანად დაუკავშიროს ეს პროცესი „ქართველთა“ სამეფოს პოლიტიკურ ძალებს, კერძოდ, დავით კურაპალატს, მაშინ, რატომ არ შეეცადა ისტორიკოსი დაემალა იოანე მარუშის ძის აქტიურობა. აშკარაა, რომ „მატიანის“ მიხედვით, სწორედ ეს უკანასკნელი იყო ბაგრატ III-ის ჯერ ქართლ<sup>{17}</sup>ში გადაყვანისა და შემდეგ „აფხაზეთში“ გამეფების ინიციატორი, დავით კურაპალატი კი ამ აქტების განმახორციელებლად მოჩანს.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი რომ არ აჭარბებს დავით კურაპალატის საქმიანობის შეფასებაში, იქიდანაც ჩანს,

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 9.

<sup>2</sup> **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 163; **ვ. ცისკარიშვილი.** ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 14; **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963, გვ. 253, 257. **{17}**

რომ ის რაიმე განსაკუთრებულს, ისეთს, როგორსაც არ ამბობდეს სხვა (თუნდაც „აფხაზთა“ მეფეებზე) მოღვაწეებზე, ტაოს ლიდერის შესახებ არ წერს. შედარებისთვის ზედმეტი არ იქნება მოვიტანოთ ის ნაწყვეტები „მატიანიდან“, სადაც მოცემულია დასავლეთ საქართველოს იმ მეფეების ქება-დიდება, რომლებმაც ყველაზე დიდ ნარმატებებს მიაღწიეს საქართველოსათვის ბრძოლაში (ეს კი ყოველთვის ნიშნავდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ჰეგემონობის ხელში ჩაგდებას) და ფაქტობრივად მიუერთეს ეს მხარე „აფხაზთა“ სამეფოს. აი რას წერს ისტორიკოსი გიორგი „აფხაზთა“ მეფის შესახებ: „*„იყო იგი სრული ყოველთა სიკეთითა, სიმწიხითა და ახონებითა; ღმრთის მოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა ეკლესიათა მაშენებელი, მონყალე გლახაკთა, უხვ და მდაბალი, და ყოველთა კეთილთა და სათნოებითა სრული სრული. ამან განაგნა და განანყუნა ყოველნი საქმენი მამულსა და სამეფოსა მისსა: აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ; და განაშუენა იგი ნანილთა სიმრავლითა წმინდათა მარტვლთათა“.*<sup>1</sup>

ასე მაღალფარდოვნად ახასიათებს ავტორი მის ძეს ლეონს, რომლის მეფობა ისევე „განადიდა უფალმან ღმერთმან“, როგორც მისი მამისა, რადგან „*იყო იგიცა ღმრთისა მოყუარე და სავსე ყოვლითა კეთილითა. ამან აღაშენა ეკლესია მოქვსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“.*<sup>2</sup> ახლა კი ვნახოთ რას წერს მემატიანე თვით დავითზე: „*ესე დავით კურაპალატი უმეტეს განადიდა ყოველთა მეფეთა ტაოსთა, რამეთუ იყო პირველად ღმრთის-მოყუარე და გლახაკ-მონყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვრ-უჭსენებელი, ეკლესიათა მაშენებელი, ტკბილი, უხვ, კაცთ-მოყუარე, და ფიროსანთამოყუარე, ყოველთათჳს კეთილისმყოფელი და სავსე ყოვლითა კეთილითა, ამან აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმინდა ეკ-*

<sup>1</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 265.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 273-274. {18}

ლესია ხახულისა“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ფეოდალური საქართველოს პო{18}ლიტიკურ მოღვაწეთა აქ მოცემული დახასიათება-შეფასებები თითქმის ერთნაირია, რაიმე განსაკუთრებულს და უფრო მნიშვნელოვანს დავითის მისამართით მემატყიანე არ ამბობს. უფრო მეტიც, წერს რა ბაგრატ III-ის გონივრულ საქმიანობაზე „აფხაზეთში“, „მატიანის“ ავტორი აღნიშნავს, რომ „ინყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად **პაპისა მისისა დიდისა გიორგი მეფისა, გინა უმეტადრე ვთქუა, რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისასა თვისისა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისა, და იხილვებოდა მისთანა ყოველი საქმე კეთილისა**“.<sup>2</sup> ე.ი. ჩვენი ისტორიკოსი ახალგაზრდა მეფეს, პირველ რიგში, უდარებს მის პაპას – დიდ გიორგი „აფხაზთა“ მეფეს და მხოლოდ ამის შემდეგ გამზრდელს – დავით კურაპალატს.

ვფიქრობთ, რომ „ქართველთა“ სამეფოს მესვეურების წარმოჩენით დაინტერესებული და მათი გულშემმატკივარი ავტორი ამდენ ხოტბას არ შეასხამდა იმ „აფხაზ“ მეფეებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ქართლს ართმევდნენ ბაგრატიონებს და ამით ხელში იგდებდნენ პირველობას საქართველოს გაერთიანების საქმეში. თუ მემატყიანე დავით კურაპალატის აპოლოგეტია და მაინცდამაინც სურს დაუმსახურებლად მიანეროს მას საქართველოს გაერთიანების ხელმძღვანელობა, მაშინ ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ის, როგორც აღმოსავლელი (ქართველი) საერთოდ წინააღმდეგია დასავლეთ საქართველოს მეფეების ჰეგემონობით ქვეყნის გაერთიანებისა. გადაჭრით შეიძლება იმის მტკიცება, რომ „მატიანის“ ავტორის ამგვარი „ანტიაფხაზური“ განწყობილების არავითარ კვალს ნაწარმოებში ვერ ვხედავთ. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს, მოვუხსნათ მას საქართველოს გაერთიანების საქმეში „აფხაზეთის“ მესვეურთა როლს უგულებ-

<sup>1</sup> მატყიანე ქართლისა, გვ. 273-274. {18}

<sup>2</sup> მატყიანე ქართლისა, გვ. 275, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

ელყოფისა და მათდამი ტენდენციური მიდგომის ბრალდება. აქედან გამომდინარე, ასევე არ მიგვაჩნია გამართლებულად ლაპარაკი იმაზეც, თითქოს „მატიანე ქართლისაჲს“ მონაცემები დავით კურაპალატის გამაერთიანებელ მოღვაწეობაზე საეჭვო იყოს.<sup>1</sup> **{19}**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე შევეხოთ გ. მელიქიშვილის კიდევ ერთ არგუმენტს, რომელიც თითქოს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ დავით კურაპალატი არ შეიძლება და ყოფილიყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ინიციატორი. აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ დავით კურაპალატს (როგორც ბიზანტიის ვასალს) არათუ არ შეეძლო გამოსულიყო საქართველოს გაერთიანების ინიციატივით, არამედ არც სურდა ბაგრატიისა და „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურობით საქართველოს გაერთიანება.

მეცნიერის ეს დასკვნა აგებულია „მატიანე ქართლისაჲს“ ერთი ცნობის, ჩვენი აზრით, მეტად საეჭვო ინტერპრეტაციაზე. ეს არის ცნობა იმის შესახებ, რომ დავითს გაუჭირდა ბაგრატის „აფხაზეთში“ გაშვება და „დიდით იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი; ვითარცა ვთქუ პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი, და ბაგრატ გაეზარდა შვილად, მპყრობელად ორისავე კერძოს ტაოსა. გარნა რაჟამს უმკვდრო ქმნილ იყო ქვეყანა ქართლისა და აფხაზეთისა, მოსცა მათ სიმტკიცითა და მძევლითა“.<sup>2</sup>

„მატიანე ქართლისაჲს“ ეს ცნობა, აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, უნდა ადასტურებდეს იმას, რომ დავითი არათუ არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფების და შემდგომ მის გარშემო სხვა ქართული მიწების შემოკ-

---

<sup>1</sup> აკად. გ. მელიქიშვილი ასევე თვლის, რომ დავით კურაპალატის პიროვნების ყოველმხრივ განდიდებას ადგილი აქვს სომხურ წყაროებშიც. ამ მოსაზრების უსაფუძვლობა დამაჯერებლად აჩვენა ა. აბდლაძემ. იხ.: **ა. აბდლაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 240-241. **{19}**

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 275.

რების ინიციატორი და მოთავე, არამედ, პირიქით, ის იყო ამგვარი გაერთიანების („აფხაზეთი“+ქართლი +ტაო-კლარჯეთი) პრინციპული მოწინააღმდეგე. თუ დავითი იმთავითვე სახავდა ბაგრატს სამივე ქართული ქვეყნის ხელმწიფედ, – მიუთითებს მეცნიერი, – მაშინ გაუგებარი ხდება მისი ყოყმანი და სიფრთხილე („*დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი*“), ან იგი (დავით კურაპალატი – **ზ.პ.**) თავიდანაც არ იღვწოდა ამისათვის („აფხაზეთში“ ბაგრატის გამეფებისათვის – **ზ.პ.**) და მემატთანე მიაწერს მას ამ ზრახვებს, ანდა მოხდა რაიმე ისეთი, რამაც აიძულა იგი თავის გეგმებზე ხელი აეღო“.<sup>1</sup>

გ. მელიქიშვილი უფრო იქითკენ იხრება, რომ დავითს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინა ის საშიშროება, რომელიც შეექმნებოდა მის ხელისუფლებას ბაგრატის დასავლეთ საქართველოში გაბატონებით. ეს უკანასკნელი თავის მომხრეთა დასის (იოანე მარუშის **{20}** ძის მეთაურობით) აქტიური მხარდაჭერის მეშვეობით განიმტკიცებდა თავის ხელისუფლებას როგორც ქართლში, ისე სხვა ქართულ რეგიონებში, ამით კი საფრთხე შეექმნებოდა დავით კურაპალატის ხელისუფლებას.<sup>2</sup>

ასე რომ, ტაოს მმართველი, აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, – არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფების და მის გარშემო მთელი საქართველოს გაერთიანების მოსურნე. მისი აქტიურობა კი ბაგრატის ქართლის მმართველად დასმის აქტში, რომელსაც „*მატიანე ქართლისაჲ*“ და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მიიჩნევს საქართველოს გაერთიანებისაკენ გამიზნულ ღონისძიებად, აიხსნება იმით, რომ დავითს სურდა მხოლოდ და მხოლოდ

---

<sup>1</sup> **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს..., გვ. 19. **{20}**

<sup>2</sup> ამ ასპექტში განიხილავს გ. მელიქიშვილი ბაგრატის მიერ ქართლის აზნაურთა გამოსვლის ჩახშობას და რატი ბაღვაშის მორჯულებას. იხ.: **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური..., გვ. 10, 19-23.

ქართლის „აფხაზეთისაგან“ საბოლოოდ ჩამოცილება და მისი ტაო-კლარჯეთისათვის შემოერთება. მკვლევრის აზრით, მხოლოდ ამ ქვეყნების (ტაო-კლარჯეთი, ქართლი) მომავალ მმართველად დავით კურაპალატს თავისი გაზრდილი და არა მთელი საქართველოს მეფედ.<sup>1</sup> დავითისათვის ბაგრატი სასურველი იყო, როგორც ქართლის მფლობელი, რადგან ამ გზით ის ქართლს შეიერთებდა მაშინ, როდესაც ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფებით საერთოდ ქრებოდა ამ მხარის დაუფლების იმედი „და ეს უკანასკნელი მტკიცედ გადადიოდა აფხაზეთის ხელში“.

მოვლენათა ამგვარი მსვლელობა კი დავით კურაპალატისათვის არ უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი, რადგან ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფებას მოჰყვებოდა ისეთი სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა „აფხაზეთი“ (დასავლეთ საქართველო), ქართლი და ტაოს გარკვეული ნაწილი მაინც. ასეთ სახელმწიფოში კი წამყვან პოზიციებს, ბუნებრივია, დაიკავებდნენ დასავლეთ საქართველოს მმართველი წრეები. ნათელი იყო, – ასკვნის გ. მელიქიშვილი, – ამით გაკეთდებოდა არა მისი (დავით კურაპალატის – **ზ.პ.**) საქმე, არამედ სხვისი – „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) მმართველი წრეებისა, რომელთაც მიეცემოდათ შესაძლებლობა მშვიდობიანი გზით მიეღოთ ის, რასაც მათ ვერ მიაღწიეს ძალით – მიეერთებინათ „აფხაზეთისათვის“ არა მარტო ქართლი, არამედ ტაოს ის ნაწილიც, რომელიც ბაგრატს მემკვიდრეობით ერგებოდა.<sup>2</sup> როგორც ვხე-

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავს, რომ დავით კურაპალატს, ბაგრატი, მთელი საქართველოს მეფედაც კი ესახებოდა, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ მის იმედებს... განხორციელება არ ეწერა (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) და ამ საქმის (საქართველოს გაერთიანების – **ზ.პ.**) ინიციატივა და განხორციელება ისევ საკუთრივ აფხაზეთის ხელში აღმოჩნდა. **გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., გვ. 24. **{21}**

<sup>2</sup> ასე გამოკვეთილად ეს აზრი გამოხატულია რუსულ რეზიუმეში. იხ.: **გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 195.



დავთ, „მატიანე ქართლისაჲს“ ერთი ცნობის საფუძველზე კეთდება საკმაოდ შორს მიმავალი დასკვნა და დავით კურაპალატი გამოცხადებულია ბაგრატ III-ის ირგვლივ ქართული მინების გაერთიანების არა თუ მოთავედ, არამედ მოწინააღმდეგედ.

აკად. გ. მელიქიშვილის არგუმენტაცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის დამაჯერებელი და მისაღები. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის მიერ შენიშნული დავით კურაპალატის ერთგვარი სიფრთხილე ბაგრატ III-ის „აფხაზეთში“ გამეფების დროს, ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, თითქოს დავით კურაპალატს არ სურდა ბაგრატისა და „აფხაზეთა“ სამეფოს მესვეურობით საქართველოს გაერთიანება. ტაოს მმართველის მიერ „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) დიდებულებისაგან მძევლების აყვანა, ჩვენი აზრით, საერთოდ არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატის გამეფების წინააღმდეგ გამიზნულ ღონისძიებად.

მძევლების აყვანის ფაქტი არც თუ ისე იშვიათია ისტორიაში. როგორც წესი, მას ყოველთვის მიმართავდნენ ამა თუ იმ პოლიტიკური აქტის წარმატებით დაგვირგვინების უზრუნველსაყოფად.<sup>1</sup> ამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ ერთ მაგალითს ქართული ისტორიული სინამდვილიდან. ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთაში“ მოტანილია ცნობა სომეხთა მეფის მიერ ქართლის დიდებულებისაგან მძევლების აყვანის შესახებ. საინტერესოა, რომ თხზულების ავტორი გვიხატავს დაახლოებით ისეთსავე სიტუაციას, როგორც გვხვდება „მატიანე ქართლისაჲში“.

სიზუსტისათვის მოვიტანთ შესაბამის ნაწყვეტს ლეონტი მროველის ნაწარმოებიდან: „შეითქუნეს ერისთავნი ქარ-

---

<sup>1</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის განმარტებით: „ძველ საქართველოში მძევალი იყო პირობის სიმტკიცისათვის (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) ან ერთგულება-მორჩილებისა თუ მშვიდობიანობის საწინდრად გამორთმეული ანდა შეპყრობილი ადამიანი“. იხ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 7. თბ., 1984, გვ. 259. {22}

თლისანი უმრავლესნი და {22} წარავლინეს მოციქული წინა-  
შე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩვენი (ლაპარაკია ქარ-  
თლის მეფე ფარნაჯომზე, რომელიც დაუპირისპირდა თავის  
ქვეშევრდომებს – ზ.პ.) გარდახდა რჯულსა მამათა ჩვენთა-  
სა, აღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა,  
– შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ  
არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩვენდა. გუაშუელდე ძალი შე-  
ნი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა,  
და იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩვენ-  
და ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩვენთა. მაშინ სთნდა სომეხ-  
თა მეფესა განზრახვა ესე გავ ზავნა მოციქული მათი პასუ-  
ხითა კეთილითა და რქუა მათ: „უკეთუ ჭეშმარიტად უბინ-  
ოთა გულითა გნებავსთ მეფედ თქვენდა ძე ჩემი, თქვენ ყო-  
ველთა ერისთავთა მომეცით მე მძევალი და მიგცე ძე ჩემი  
მეფედ თქვენდა, და ყოვლითავე ნიჭითა აღგავსნე“. მაშინ  
ერისთავთა ქართლისათა უმრავლესთა მისცეს მძევლები...“<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, სომეხთა მეფემ მძევლები აიყვანა  
არა იმისათვის, რომ არ სურდა თავისი ვაჟის ქართლში გამე-  
ფება, არამედ, პირიქით, მას ძლიერ ესიამოვნა („სთნდა“) ქარ-  
თველ ერისთავთა წინადადება და მძევლები მხოლოდ  
იმიტომ დასჭირდა, რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო მათი  
განზრახვის „ჭეშმარიტებასა“ და „უბინობაში“ და უზრუნ-  
ველყო წამოწყებული საქმის წარმატებითი დაგვირგვინება.  
ერთი სიტყვით, მოცემულ ცნობაში ჩვენ გვაქვს კლასიკური  
გაგება იმისა, თუ რა შემთხვევაში და რა მიზნით მიმართავ-  
დნენ მძევლის აყვანას.

ასეთივე სიტუაცია შეიქმნა X ს. 70-იან წლებში, როდე-  
საც იოანე მარუშის ძემ აუწყა დავით კურაპალატს ქართლისა  
და „აფხაზეთის“ ერისთავთა განზრახვა ბაგრატ უფლისწუ-

---

<sup>1</sup> ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – ქართლის  
ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ქართული  
ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ.  
29. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. {23}

ლის დასავლეთ საქართველოში გამეფების თაობაზე, დავითმა ეს საკითხი, როგორც ჩანს, ერთბაშად ვერ გადაწყვიტა („დიდითა იძულებითა ძნელად აღასრულა თხოვა მათი“), ეტყობა დინჯად შეაფასა საქმის ვითარება და მხოლოდ მაშინ დათანხმდა იოანე მარუშის {23} ძის წინადადებას, როცა მიიღო „სიმტკიცისა“ და ერთგულების პირობა, აიყვანა მძევალი. დავით კურაპალატის ამგვარი საქციელი, ჩვენი აზრით, ადვილი ასახსნელი იქნება, თუ გავიხსენებთ იმ გართულებებს, რომელიც მოჰყვა თავის დროზე ბაგრატის ქართლში გაბატონებას.

როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ მასალებიდან ირკვევა, ბაგრატის ქართლში დასმას გარკვეული პოლიტიკური დაძაბულობა მოჰყოლია, რაც იმის შედეგი იყო, რომ ქართლში ყველა არ იყო იოანე მარუშის ძის კურსის მომხრე. „ვითარ წარჲდეს ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე, – წერს მემატიაზე, – იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით, ვითარცა არს ჩვეულება ქართლისა აზნაურთა: შეეუბნეს ნაქურდეველთა და საბოტარელთა, და მოიყვანეს ლაშქარნი კახეთით; და გასცეს უფლისციხე, და შეიპყრეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტ, წარიყვანეს კახეთად. რაჟამს ცნა ესე დავით კურაპალატმან დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა“ და გამოიხსნა დატყვევებულნი.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 274-275 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ აკად. გ. მელიქიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ ქართლის ბაგრატის ხელში გადასვლა არ უნდა მივიჩნიოთ „აფხაზთა“ სამეფოს მიერ ამ მხარის დაკარგვად. მაგრამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ძნელი წარმოსადგენია, ბაგრატის დაფუძნება ქართლში ნიშნავდეს ამ რეგიონის დავით კურაპალატის ხელში (იურიდიულად – **ზ.პ.**) გადასვლას და ისიც თავის დროზე ტაოს მმართველის მიერ „აფხაზთა“ მეფის თეოდოსისადმი აღმოჩენილი დახმარების კომპენსაციის სახით, როგორც ამას უშვებს გ. მელიქიშვილი (იხ. **გ. მელიქიშვილი**. *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება...*, გვ. 10-11). რამდენადმე გაუგებარია, თუ ბაგრატი ქართლს იღებდა, როგორც „აფხაზეთის“ სამეფო გვარის

როგორც ვხედავთ, დავითის მიერ ქართლში **{24}** ბაგრატიის დაყენება ამ უკანასკნელისათვის არცთუ ისე უხიფათო გამოდგა. უეჭველია, გაცილებით უფრო საშიში და სარისკო იქნებოდა ახალგაზრდა უფლისწულის „აფხაზეთში“ გამეფება (პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში ბაგრატიის გახელმწიფებას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც მოქმედი მეფის – თეოდოსის გადაყენება). მიუხედავად იმისა, რომ წყარო თითქოს ხაზს უსვამს დასავლეთ საქართველოს (ისევე როგორც ქართლის) დიდებულთა ერთსულოვნებას ბაგრატიის მეფედ მონწევის *საკითხში* („ამანვე ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატი მეფედ აფხაზეთისა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატი მეფედ დავით კურაპალატისაგან“),<sup>1</sup> ამკარაა, რომ „აფხაზეთში“ იმთავითვე არსებობდა ბაგრატიის მიმართ გარკვეული ოპოზიცია.

ამას ადასტურებს „მატიანის“ ავტორიც, რომელიც მოგვითხრობს რა ახალგაზრდა მეფის პირველ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებზე, საგანგებოდ აღნიშნავს მის მიერ ყოფილი მეფის – თეოდოსის – ტაოში – დავით კურაპალატთან გაგზავნას: „რამეთუ ესე საქმე გამონახა უმჯობესად, რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება კეთილისა

---

ნარმომადგენელი – „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ის შვილიშვილი (უთუოდ ეს ასეც იყო) და დასავლეთ საქართველოს სამეფო კარის სანქციით, მაშინ რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო, ჯერ ერთი, ბაგრატიის გამზრდელის (და არა მამის ან თუნდაც პაპის „ქართველთა“ მეფის) ასეთი აქტიური ჩარევა ამ ამბებში; მეორეც, როგორ შეიძლება ქართლი საერთოდ გადასულიყო დავით კურაპალატის ხელში ისე, რომ ის „აფხაზთა“ მეფეს არ დაკარგოდა. ე.ი. გამოდის, რომ „აფხაზთა“ მეფე თავის ნაცვლად ქართლში ნიშნავს თავისსავე დისწულს და ამით ქვეყანას უთმობს მის გამზრდელს, თავის ყოფილ მოკავშირეს დავით კურაპალატს, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს ქართლის „აფხაზეთიდან“ გამოყოფას და დავითის სამფლობელოებთან მის შეერთებას. **{24}**

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 275, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

**ვინა შიში უნესობისათვის მისა მიმართ აქუნდეს**“.<sup>1</sup> როგორც ჩანს, უსინათლო თეოდოსის დატოვება „აფხაზეთში“ საფრთხეს უქმნიდა ბაგრატიის ხელისუფლებას. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ნაწილი რომ არც შემდგომში იყო მაინცდამაინც ლოიალური ახალი მეფისადმი „მატიანე ქართლისაჲს“ მომდევნო ცნობიდანაც ჩანს, რომლის თანახმად ქართლიდან (ქავთარ ტბელის გამოსვლის ჩახშობისა და იქაური საქმეების მოგვარების შემდეგ) მოზრუნებულმა მეფემ „**ვითარცა ჯელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა; რამეთუ მცირედ ამხილის ყოველთა, ვინ უკვე პოვის ურჩი, და მისსა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი თჳსი**“.<sup>2</sup> კიდევ ერთხელ (რატო ბალვაშის მოთოკვის შემდეგ) მოუხდა ბაგრატს დასავლეთ საქართვეც {25}ლოს დამშვიდება: „**კულაად ვითარ წარჴდეს ამის შინა ჟამნი რაოდენნიმე ვითარ ვთქუ პირველივე, მონყუნა და განაგნა ყოველნი საქმენი აფხაზეთისანი: ურჩნი თჳსნი შეცვალნა დიდებისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგულნი და მოსწრაფედ მორჩილნი ბრძანებათა მისთა**“.<sup>3</sup>

როგორც „მატიანე ქართლისაჲსაგან“ აქ მოტანილი მასალიდან ჩანს, „აფხაზეთა“ სამეფო ტახტის დაკავებიდან შედარებით მოკლე დროის განმავლობაში (არაუმეტეს ათი წლისა) ახალგაზრდა მონარქს სამჯერ მაინც მოუხდა „აფხაზეთის“ დანყნარება. ეს კი იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ დასავლეთ საქართველოში მაინცდამაინც ყველა არ ყოფილა თეოდოსის ბაგრატ III-ით შეცვლის მოსურნე, რომ გარკვეული ოპოზიცია აქ თავიდანვე არსებობდა და ალბათ ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ახალგაზრდა ბაგრატიონის ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ვფიქრობთ, რომ დავით კურაპალატს, როგორც წინდახედულ პოლიტიკოსს, არ შეეძლო არ განეჭვრიტა ყოველივე

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 276.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 276. {25}

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 278. (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) {26}

და ერთგვარი სიფრთხილე არ გამოეჩინა ასეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმის წინ. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ დავითს ერთბაშად გაუჭირდა იოანე მარუშის ძის წინადადების მიღება და ეტყობა მხოლოდ მაშინ დათანხმდა თავისი შვილობილის დასავლეთ საქართველოში გამეფებაზე, როცა მიიღო მისი უვნებლობის გარანტია, ე.ი. იმის შემდეგ, რაც მისცეს სიმტკიცის პირობა და მძევლები. ასე რომ, მძევლების აყვანა ბაგრატიის უშიშროების უზრუნველყოფის გარანტია იყო და არა „აფხაზეთში“ მისი გამეფების საწინააღმდეგო აქტი.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო ბიზანტიის საიმპერატორო კარის კურაპალატობას ხელი შეეშალა დავით ბაგრატიონისათვის სათავეში ჩადგომოდა გამაერთიანებელ მოძრაობას საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. მელიქიშვილი რამდენადმე აზვიადებს იმპერიის იმდროინდელ (X ს. 70-იანი წლები) საგარეო-პოლიტიკურ პოტენციალს და შესაძლებლად მიიჩნევს მის აქტიურ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში 975-978 წლებშიც კი. ჩვენი აზრით, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამგვარი მტკიცებისათვის.

თუ ჩაუკვირდებით იმდროინდელი ბიზანტიის საშინაო თუ {26} საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას, არ შეიძლება არ დავრწმუნდეთ იმპერიის სრულ უძლურებაში არათუ ჩაერიოს სხვა ქვეყნების (კერძოდ საქართველოს) შინაურ საქმეებში, არამედ დამოუკიდებლად გადაჭრას ის პოლიტიკური გართულებები, რომლებიც თავს დაატყდა ბასილი II-ის მთავრობას X ს. 70-იან წლებში.

პირველ რიგში, შევეხოთ საშინაო-პოლიტიკურ მდგომარეობას. როგორც ცნობილია, X ს. 70-იანი წლების II ნახევრიდან ბიზანტიის იმპერიის საშინაო საქმეები მეტად აინენა. ეს გამომწვეული იყო იმ ხანგრძლივი შინაომით, რომელმაც მოიცვა ბიზანტია 976-979 წლებში. ისარგებლა რა ბასილი II-სა და კონსტანტინე VIII-ის მცირეწლოვნებით, კონსტანტინე

ნოპოლის ხელისუფლებას აუჯანყდა მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი წარმომადგენელი ბარდა სკლიაროსი; მისმა ჯარებმა 978 წ. პირველ ნახევარში მოიპოვეს მთელი რიგი წარმატებები ბასილი კეისრის მომხრეებზე და უაღრესად სერიოზული საფრთხე შეუქმნეს მაკედონელთა დინასტიის ბატონობას იმპერიაში.<sup>1</sup> თუ რამდენად მძიმე და სერიოზული იყო ვითარება მმართველი დინასტიისათვის, აშკარა ხდება სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონაცის (ასოლიკი) თხზულებიდან: „სკლიაროსმა ორად გაყო ბერძენთა სამეფო და ბითვინიამდე მივიდა. ოთხი წლის განმავლობაში არ შეუწყვეტია ბრძოლა მეფე ბასილთან და სისხლით იყო შეღებილი მთელი მხარე... ომი მოედო მთელს საბერძნეთს, ისე, რომ სოფელი სოფელთან და ქალაქი ქალაქთან ჩაება ომში (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) და ყველგან სისხლი იღვრებოდა. საშინელი შიმშილი დაიწყო მთელ სამეფოში, ყოველდღიურად იზრდებოდა ქალაქებში და მოედნებზე ადამიანთა გვამების რიცხვი“.<sup>2</sup>

ასეთი მძიმე სიტუაციიდან ბასილი {27} კეისრის ხელისუფლება გამოიყვანა ტაოს მმართველმა დავით კურაპალატმა. საისტორიო წყაროებში, როგორც ქართულსა და სომხურში, ისე ბიზანტიურშიც დაფიქსირებულია დავით კურაპალატის მიერ მაკედონელთა დინასტიისათვის განეული შემწეობის ფაქტი, მაგრამ ქართულ-სომხური მასალებისა-

---

<sup>1</sup> Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X – первой четверти XIв. – *История Византии*, т. II, გვ. 218; Н. Ю. Ломоури. К истории восстания Варды Склира, – *ოსუ შრომები*, ტ. 67. თბ., 1957, გვ. 29-31; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 31.

<sup>2</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского* – Асохика по прозванию, писателя XI столетия. Перевод с армянского Н. Эмина. М., 1864, გვ. 134; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 32; ე. ცაგარეიშვილი. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში. – *მრავალთავი*, II. თბ., 1973, გვ. 170-171.

გან განსხვავებით, ბიზანტიური წყაროები (კედრენე) მხოლოდ გაკვრით იხსენიებენ დავითის დახმარებას და ქართული ლაშქრის მონაწილეობას ბარდა ფოკას „ქართველთა კურაპალატთან“ მეგობრობით ხსნიან.<sup>1</sup>

ბიზანტიურ ტრადიციებზე<sup>2</sup> დაყრდნობით ზოგიერთი რუსი და ევროპელი მკვლევარი ცალმხრივად აშუქებდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში ქართველთა მონაწილეობის საკითხს და ფაქტობრივად უგულვებლყოფდა დავით კურაპალატის როლს სკლიაროსის დამარცხების საქმეში.<sup>3</sup> ქართველმა მეცნიერებმა არაერთხელ მიუთითეს ამ თვალსაზრისის მცდარობაზე და სათანადო მასალების მოშველიებით, დამაჯერებლად აჩვენეს, რომ ამბოხებული სკლიაროსის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქრის გამოსვლის წინაპირობა იყო არა ბარდა {28} ფოკასთან დავით კურაპალატის მეგობრობა, არამედ კონკრეტული შეთანხმება იმპერიის მესვეურებთან, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ შინაარსს

---

<sup>1</sup> გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**, ტ. V. თბ., 1963, გვ. 30.

<sup>2</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ.: სომეხი ისტორიკოსის ნ. ადონციის თორნიკე ბერისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი: „Thornik le Moine (Etude Armeno-Bizantiques“. Lisbonne, 1965, გვ. 298-308). ამ შრომის კრიტიკული ანალიზი მოცემულია: **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 25-30.

<sup>3</sup> **Г. Г. Литаврин**. Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 218; **Г.Ф. Герцберг**. История Византии. Перевод, примечания и приложения **П. В. Безобразова**. М., 1896, გვ. 167; **Г. Гельцер**. Очерк политической истории Византии. – *Очерки по истории Византии*. Под редакцией и предисловием **В. К. Бенешевича**. Вып. I, 1912, გვ. 100; **Ш. Диль**. История Византии. М., 1948, გვ. 92; **G. Ostrogorsky**. Geschichte des byzantinischen Staates. München, 1940, გვ. 211-212; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 46-47; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები..., გვ. 16. {28}



მოიცავდა.

ამჯერად, გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხის დეტალურ განხილვას – ეს საკმაოდ საფუძვლიანადაა გაკეთებული ისტორიოგრაფიაში,<sup>1</sup> ხაზი გვინდა გავუსვათ მხოლოდ შემდეგ გარემოებას. მიმართვის ის ფორმა, რომელსაც იყენებს კონსტანტინოპოლის ხელისუფლება დავით კურაპალატთან მოლაპარაკებებისას და რომელიც დავიქსირებულია გიორგი მთანმინდელის თხზულებაში (*„ნიგნები ვედრებისაი დანერეს“*), აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ იმპერიას იმ დროს არ შეეძლო მოქცეოდა დავითს ისე, როგორც ჩვეულებრივ ვასალს და მოეთხოვა მისგან აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსვლა.

რამდენად გადაჭარბებულიც არ უნდა მოგვეჩვენოს გიორგი მთანმინდელის მიერ აღწერილი სურათი,<sup>2</sup> ძნელია დავეჭვდეთ იმაში, რომ დავით კურაპალატი ამ შემთხვევაში მოჩანს, როგორც საკმაოდ დამოუკიდებელი ხელმწიფე, რომელიც იქით უყენებს პირობებს ბიზანტიის მთავრობას (*„ხოლო თორნიკ კურაპალატისა და თჳსისა ნიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნება კურაპალატისა აუნყა და მაშინ მოსცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი“*<sup>3</sup> *საბერძნეთი* {29}სა-

---

<sup>1</sup> **მ. კახაძე**. ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. თბ., 1954, გვ. 38-41; *გეორგიკა*. ტ. V, გვ. 32-45; **Н. Ю. Ломоури**. К истории восстания Варды Склира, გვ. 29-31; **ვ. კობალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 36-39; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 19-45.

<sup>2</sup> ამ ცნობის შესახებ დანვრილებით იხ.: **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან..., გვ. 26-38.

<sup>3</sup> ამ სამფლობელოების ბოძების იურიდიული ბუნების საკითხისათვის დანვრილებით იხ.: **კ. კეკელიძე**. ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. IV. თბ., 1957, გვ. 82; **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე. მწერალი X საუკუნისა. თბ., 1954, გვ. 524-525; **ნ. ბერძენიშვილი**, **ს. ჯანაშია**, **ივ. ჯავახიშვილი**. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. თბ., 1946, გვ. 158; **С. Н. Джанашия**. Об одном примере искажения исторической правды..., გვ. 28-29; **Н. Ю.**

ნი კურაპალატსა, რათა თქსსა სიცოცხლესა ჰქონდინ“).<sup>1</sup>

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დავით კურაპალატმა მთლიანად გაითავისუფლა თავი ბიზანტიის „მფარველობისაგან“ (თუმცა აშკარაა, რომ ქართველი მეფე-მთავრები, შესაძლებლობისამებრ, ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ბიზანტიელთა გავლენისაგან).<sup>2</sup> საერთაშორისო არენაზე „ქართველთა“ სამეფო ჯერ კიდევ განიხილებოდა „ბიზანტიის ქვეყნად“ – საკურაპალატოდ, მაგრამ ეს არ უნდა გვაძლევდეს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ დავითი წარმოადგენდა იმპერიის რიგით ვასალს და „მთელი მისი საქმიანობა (ქართლში ბაგრატიის მმართველად დასმა და „აფხაზი“ დიდებულებისაგან მიძევლების აყვანაც კი – **ზ.პ.**) კონსტანტინოპოლის საიმპერატორო კარის მუდმივი (ე.ი. 975-978 წლებშიც კი – **ზ.პ.**) კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.<sup>3</sup> ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ „კეისრის უფლება საქართველოში არასდროს მაინც უბრალო მფარველობისა და გავლენის ზღვარს არ გადასცილებია, სამეფოს შინაურ საქმეებში გარევის უფლება არა ჰქონია“.<sup>4</sup> ვფიქრობთ, რომ თუ ეს სტა-

---

**Ломоури.** К истории восстания Варды Склира., გვ. 32; **Н. Ш. Асатиани, В. И. Копалиани, Ш. А. Месхия, Э. В. Хоштария.** Некоторые замечания ко второму тому «История Византии». – *Вопросы истории*, № 9, 1969, გვ. 179-180; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა., გვ. 36; **შ. ბადრიძე.** საქართველო და ბიზანტია {29} (პოლიტიკურ ურთიერთობათა უმთავრესი დეტალის დადგენისათვის), – *მნათობი*, 1974, 2, გვ. 166-174; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 57-73.

<sup>1</sup> **გიორგი მთანმინდელი.** ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩვენისა იოვანესი და ეფთვიმესი. – *ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები*, (მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა). თბ., 1978, გვ. 229 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> **Н. Ю. Ломоури.** К истории восстания Варды Склира., გვ. 42.

<sup>3</sup> **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს., გვ. 16.

<sup>4</sup> **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II. – *თხზულებანი*

ტუსი ვინმეზე ვრცელდებოდა, პირველ რიგში ისეთ მოღვაწეზე, როგორც იყო დავით ტაოელი.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ბასილი II-ის მთავრობას, რომელიც, ფაქტობრივად, სულს ღაფავდა და იქით საჭიროებდა ქართველი კურაპალატის მხარდაჭერასა და დახმარებას, შეეზღუდა ამ უკანასკნელის აქტიურობა და არ მიეცა მისთვის საშუალება გამოსულიყო „საქართველო-კავკასიის ფარგლებში დიდი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ინიციატორად და განმახორციელებლად“. ბიზანტიის იმპერია ამ დროს მისთვის ბევრად უფრო {30} მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ აქციებში ვერ იჩენდა საჭირო სიმტკიცეს, მარცხს მარცხზე განიცდიდა და ამით სერიოზულად დაბლა სცემდა თავის ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, X ს. 70-იანი წლების II ნახევრიდან 90-იანი წლების დასაწყისამდე კონსტანტინოპოლს უფრო მეტი მარცხი ჰქონდა საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, ვიდრე წარმატება. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადსაღებია წარუმატებლობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სადაც ბიზანტიამ არათუ ვერ ჩაახშო ბულგარელთა აჯანყება (დაიწყო 976 წელს), არამედ საერთოდ ვერ გაუნია წინააღმდეგობა ბულგარეთის ერთიანი სამეფოს წარმოქმნას, ხოლო 986 წელს ბულგარელებმა ისეთი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ბასილი II-ის ჯარებს, რომლის მსგავსი ბიზანტიას არ ეგემა ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში.<sup>1</sup>

---

*თორმეტ ტომად.* ტ. II. თბ., 1983, გვ. 112, საზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** {30}

<sup>1</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 218. იხ. აგრეთვე: **В. Г. Василевский.** К истории 976-986 гг. – *Журнал Министерства народного просвещения* (შემდგომ: *ЖМНП*), ч. 184, 1876; **А. Л. Липовский.** Из истории греко-болгарской борьбы в X-XI вв. М., 1960, გვ. 261-263; **П. П. Петров.** Восстание Петра и Бояна в 976 г. и борьба комитопулов с Византией. – *Byzantinobulgarica*, т. I. Sofia, 1962, გვ. 121-144.

არც აღმოსავლეთით ჰქონია რაიმე სერიოზული წარმატება ბიზანტიის იმპერიას, სადაც მის მთავარ მოწინააღმდეგედ გამოდიოდნენ ეგვიპტის ფატიმიდი ხალიფები, რომლებიც სულ უფრო მოიწვედნენ სირიისაკენ და ემუქრებოდნენ აქ ბიზანტიის სამფლობელოებს. ბიზანტიის დამოუკიდებლობისაგან თავის დაღწევა სცადა ალექსოს ემირმაც, რომელმაც ისარგებლა რა ბარდა სკლიაროსის აჯანყებით, დაარღვია 969 წ. ხელშეკრულება და უარი თქვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარკის გადახდაზე.<sup>1</sup> X ს. 80-იან წლებში ბიზანტიის ხელისუფლებას არაერთხელ მოუხდა ალექსოს მმართველების დამოშმინება და მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისისათვის მიაღწია ბასილი II-მ სასურველ შედეგს ამ მიმართულებით – განამტკიცა თავისი კავშირი ალექსოს ემირთან. თუმცა ბიზანტიის ხელისუფლებამ მაინც ვერ შეძლო ამ საამიროს შენარჩუნება. **{31}**

90-იან წლებში ფატიმიდებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ბიზანტიელთა ჯარები, ხოლო XI ს. დასაწყისში (1015-1016 წწ.) მათ საერთოდ მოახერხეს ალექსოს დამორჩილება.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიამ ბასილი II-ის ხელმწიფობის წლებში საგარეო პოლიტიკაში მიაღწია დიდ წარმატებებს და საგრძნობლად აიწია თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი,<sup>3</sup> ამ, თავისი დროის უდავოდ თვალსაჩინო, პოლიტიკური მოღვაწის მმართველობის ხანაში იყო პერიოდი, როდესაც იმპერიის საგარეო-პოლიტიკური ძლიერება რამდენადმე შეირყა, და ის შესაფერის კონტროლს ვერ უწევდა მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს. ქრონოლოგიურად ეს პერიოდი სწორედ იმ დროს დაემთხვა, როდესაც გამაერთიანებელმა ძალებმა საქართველოში შეძლეს გადაედგათ პირველი ნაბიჯები ქართული ქვეყნე-

---

<sup>1</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика..., გვ. 224. **{31}**

<sup>2</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 225.

<sup>3</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 225.

ბის ერთი მმართველის ხელისუფლების ქვეშ მოქცევისათვის.

ასეთ ვითარებაში, საეჭვოა, რომ ბიზანტიის იმპერიას შეძლებოდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ხელის შეშლა. თუ ბიზანტიის იმპერიას კვლავინდებურად (974, 978 წლებშიც კი) შეეძლო გაენია კონტროლი კურაპალატის საქმიანობისათვის საქართველოში და დაეშვა აქ მხოლოდ ის პოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც თვით მოსწონდა (მაგალითად, ბაგრატის ქართლში გაბატონებით თავისი ვასალის – დავით კურაპალატის სამფლობელოების გაფართოება), რატომ ვერ შეძლო იმპერიის ხელისუფლებამ (თუნდაც ენერგიული ვასალის – დავით ტაოელის მეშვეობით) უფრო მედგარი წინააღმდეგობის განწევა (ვიდრე მძევლების აყვანა იყო) ბაგრატის „აფხაზეთში“ გამეფებისათვის. ასევე გაუგებარია, რატომ არ უნდა დავინახოთ დავით კურაპალატის 989 წ. გამოსვლაში (როდესაც ის ბასილი კეისრის წინააღმდეგ მებრძოლ ბარდა ფოკას ამოუდგა მხარში) ანტიბიზანტიური აქტი, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ ტაოს მმართველი უფრო მტკიცედ დაუფლებოდა იმ მიწა-წყალს, რომელიც მას 979 წელს იმპერატორმა მხოლოდ სიცოცხლის პერიოდში მფლობელობის პირობით უბოძა.<sup>1</sup> {32}

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი შენიშნავს, რომ დავით კურაპალატი არც ერთ {32} მომენტში არ შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ იმპერიასთან „თავისი სამფლობელოების სრული დამოუკიდებლობისათვის და ბიზანტიისგან სრული ჩამოშორებისათვის“ მებრძოლად. ამასთან, მეცნიერი, ფაქტობრივად, გვერდს უვლის დავითის ზემოაღნიშნულ გამოსვლას ბასილი კეისრის წინააღმდეგ 989 წელს და ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ, ჩვენის აზრით, უდავოდ საფუძვლიან მოსაზრებას (ვ. კოპალიანი, მ. ლორთქიფანიძე, შ. ბადრიძე და სხვები), რომლის მიხედვითაც, დავითის გამოსვლა ბარდა ფოკას მხარეზე ახსნილია კურაპალატისათვის 979 წელს „ზემო ქვეყნების“ პირობითად გადაცემით გამოწვეული უკმაყოფილებით, მხოლოდ ვარაუდად აცხადებს. (იხ.: გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს., გვ. 17). ამასთან დაკავშირებით სწორად შენიშნავს ე. ცაგარეიშვილი, რომ დავით კურაპალატის

ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი დავით კურაპალატის 987-989 წლების ბარდა ფოკას აჯანყებაში მონაწილეობის საკითხი. მკვლევარები ერთხმად მიუთითებენ, რომ ტაოს მმართველის გამოსვლა ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში გამონვეული იყო იმით, რომ ე.წ. „ზემონი ქვეყანანი“, რომლებიც უბოძა დავით კურაპალატს ბასილი II-მ ბარდა სკლიაროსის ამბოხების ჩახშობაში განეული დახმარებისათვის, დავითის ხელში გადავიდა არა მემკვიდრეობით, არამედ მხოლოდ პირობით მმართველობაში („თავისა სიცოცხლესა ჰქონდინ“).<sup>1</sup> ამჯერად, ჩვენ არ ვაპირებთ ამ მოვლენის ყოველმხრივ გაშუქებას, მაგრამ ზოგიერთი ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასაზუსტებლად საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება ბარდა ფოკას აჯანყებისა და მასში დავით კურაპალატის მონაწილეობის ცალკეულ ასპექტებზე. **{33}**

როგორც უკვე აღინიშნა, 986 წ. 17 აგვისტოს ბიზანტიის ჯარები განადგურებულ იქნა ბულგარელების მიერ.<sup>2</sup> ამ

---

პოზიცია ჯერ 976-979-სა და შემდეგ 986-989 წლების ამბებში აშკარად მიუთითებს მის ნომინალურ დამოკიდებულებაზე ბიზანტიის იმპერიისადმი, დავით კურაპალატი „ყოველ თავის მოქმედებაში, – წერს მკვლევარი, – უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობდა საკუთარი ინტერესებით და არა ბიზანტიის იმპერიის საჭიროებებით“ და აქვე დასძენს, რომ იმიერტაოს მმართველი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. **ე. ცაგარეიშვილი.** სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X-XI საუკუნეებში. – „მრავალთავი“. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, II. თბ., 1973, გვ. 161).

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ.: **მ. კახაძე.** ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, გვ. 40-41; **პ. ინგოროყვა.** გიორგი მერჩულე, გვ. 67. **Н. Ю. Ломоурн.** К истории восстания Варды Склира..., გვ. 29-46. **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 50-58; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 479-480; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და..., გვ. 67. **{33}**

<sup>2</sup> ამის შესახებ იხილეთ ზემოთ: გვ. **{31}**.

საგარეო-პოლიტიკურმა მარცხმა ერთბაშად დაძაბა შინა-პოლიტიკური ვითარება და 987 წ. დასაწყისში იფეთქა ახალ-მა აჯანყებამ. მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ ამჯერადაც გამოვიდა ბარდა სკლიაროსი. აჯანყების ჩახშობა ბასილი კეისარმა დაავალა ბარდა ფოკას, მაგრამ ამ უკანასკნელმა თვითონ გამოაცხადა თავი იმპერატორად და დაიძრა კონსტანტინოპოლისაკენ.<sup>1</sup> ბარდა ფოკამ მოტყუების გზით შეძლო ბარდა სკლიაროსის შეპყრობა, ხოლო მისი რაზმები თავის ჯართან გააერთიანა.<sup>2</sup> ფოკა დაუკავშირდა დავით კურაპალატსაც და სთხოვა დახმარება.

ტაოს მმართველმა ბიზანტიელ სარდალს „მიაშველა მონა თვისი ათასი მხედრითა და აგრეთვე ალხალიდიის მფლობელი პატრიკოსები, ბაგრატიის ორი ვაჟი, ათასი ცხენოსნით“.<sup>3</sup> მაგრამ ბასილი კეისარმა მოახერხა ძალების მოკრება<sup>4</sup> და 989 წ. 13 აპრილს აზიდოსთან გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა ამბოხებულებს.<sup>5</sup> ბარდა ფოკას აჯანყების ჩახშობის შემდეგ ბა-

---

<sup>1</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 219.

<sup>2</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 219.

<sup>3</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X ს. ბოლო მეოთხედსა და XI ს. პირველ მეოთხედში. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI. თბ., 1986, გვ. 115.

<sup>4</sup> ბასილი კეისარმა მოიშველა რუსთა 6-ათასიანი რაზმი, რომელიც მას გაუგზავნა კიევის დიდმა მთავარმა ვლადიმერ სვიატოსლავის ძემ. სწორედ ამ მაშველი ჯარის წყალობით ჩაახშო იმპერატორმა ამბოხება, ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **В. Г. Василевский.** Русско-варяжская и варяго-английская дружина в Константинополе. – *Труды В. Г. Василевского*, т. I. СПб, 1908, გვ. 316-325; **Г. Г. Литаврин.** Византия и Русь. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 235-236; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси. М., 1968, გვ. 74.

<sup>5</sup> ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ბარდა ფოკას მოულოდნელმა სიკვდილმა, რომლის შემდეგ აჯანყებულებმა, ფაქტობრივად, შეწყვიტეს წინააღმდეგობა, ხოლო ბარდა სკლიაროსმა, რომელიც გათავისუფლებულ იქნა ფოკას სიკვდილის შემდეგ, იმპერატორთან მორიგება არჩია. **Г. Г. Литаврин. Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии, გვ. 219. {34}

სილი II მოიცალა დავით კურაპალატისათვისაც.

საინტერესო მასალას გვანვდის ამის თაობაზე იაჰია ანტიოქიელი: „განრისხებული {34} იყო ბასილი მეფე ტაოს პატრონ დავით ქართველთა მეფეზე და ბაგრატი<sup>1</sup> ორ ვაჟზე იმის გამო, რომ მათ დახმარება გაუწიეს ფოკას, და გააგზავნა ჯარი მათ წინააღმდეგ პატრიკიოს ჯაქრუსის მეთაურობით. მან ბრძოლა გაუმართა ბაგრატის ვაჟებს და უფროსი მოკლა, ხოლო უმცროსი გადაასახლა. დავით ქართველთა მეფემ **პატიება და შეწყალება ითხოვა, ბასილს მორჩილება განუცხადა** და აღუთქვა, რომ ვინაიდან თვითონ ძლიერი მოხუცი იყო, ხოლო ვაჟი და სხვა მემკვიდრე არ გააჩნდა, გარდაცვალების შემდეგ თავისი სამფლობელო მის სახელმწიფოს შეერთებოდა. იგი მეფეს სთხოვდა, რომ ნება დაერთო, გაეგზავნა დიდებულები სამეფო კარზე, რათა შეძლებოდა მიეღო მათგან ფიცი და პირობა იმისა, რომ თავიანთი პატრონის გარდაცვალებისთანავე მის ქვეყანას ჩააბარებდნენ. ბასილი მეფემ მოიწონა მისი მოქმედება და დანიშნა კურაპალატად,<sup>2</sup> გაუგზავნა მას ძვირფასად მორთული ტანსაცმელი. დავითმა ჩაიცვა იგი და უბრძანა, მის სამეფოში ბასილ მეფეზე ელოცნათ. (შემდეგ კი) ქართველთა კათალიკოსი

---

<sup>1</sup> ბაგრატი იყო 967 წელს ბიზანტიის ხელისუფლების მიერ გაუქმებული ტარონის უკანასკნელი მეფის ამოტის ვაჟი, რომელიც ტარონის ერთ-ერთი თემის ალ-ხალიდიათის მმართველად იყო დანიშნული. დაწვრილებით იხ.: **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 60.

<sup>2</sup> იაჰია ანტიოქიელი აქ შეცდომას უშვებს. დავით ბაგრატიონს კურაპალატის ტიტული უფრო ადრე, ჯერ კიდევ 979 წელს მიენიჭა ბარდა სკლიაროსის პირველი აჯანყების ჩაქრობაში იმპერიის ხელისუფლებისათვის განეული დახმარებისათვის. ამის შესახებ იხ.: **ივ. ჯავახიშვილი**. ქართული პალეოგრაფია. თბ., 1949, გვ. 170; **С. Н. Джанашия**. Об одном примере искажения исторической правды..., გვ. 27; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 476; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და..., გვ. 33, 68.



სახელმწიფოს სხვა მრავალ დიდებულთან ერთად მეფის კარზე გააგზავნა. მეფემ მათ ტიტულები ჩამოურიგა, მონყალება უყო და ისინი დავითთან დაბრუნდნენ<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ბარდა ფოკას აჯანყებაში მონაწილეობა დავით კურაპალატს ძალიან ძვირად დაუჯდა. მან, ფაქტობრივად, დაკარგა კონტროლი თავის სამფლობელოზე. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ის, რომ იაჰია ანტიოქიე {35}ლი ამ აქტს განიხილავს როგორც სასჯელს, რომელიც დაადო იმპერატორმა თავის ურჩ ვასალს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლება არცთუ იშვიათად მიმართავდა ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწისათვის ამგვარი „ანდერძის“ თავის მოხვევის მეთოდს და ამ გზით ახერხებდა მათი სამფლობელოების „მშვიდობიანად“ მიერთებას. ამის მკაფიო მაგალითია ბიზანტიელთა მიერ ვასპურაკანისა და ანისის სომხური სამეფოების გაუქმება და ამ ტერიტორიებზე უშუალოდ ბიზანტიური მფლობელობის დამყარება.<sup>2</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან

---

<sup>1</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების.., გვ. 115. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**) {35}

<sup>2</sup> ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. ყველა მკვლევარი, ვინც იხილავს აღნიშნული სომხური სამეფოების გაუქმებისა და ბიზანტიასთან სომხური ტერიტორიების უშუალოდ შეერთების საკითხს, ერთხმად მიუთითებს, რომ ბიზანტიელთა მიერ სომეხი მეფეებისათვის მათთვის არასასურველი „ანდერძის“ თავს მოხვევა იყო სასჯელი იმ ანტიბიზანტიური საქმიანობისათვის, რომელსაც ეწეოდნენ ეს მეფეები (ვასპურაკანისა – სენექერიმ არწრუნი, ხოლო ანისისა – იოვანე-სუმბატი) საქართველო-ბიზანტიის 1021-1022 წლების კონფლიქტის დროს, როდესაც ისინი გიორგი I-ის მოკავშირეებად გამოდიოდნენ. ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **С. Т. Еремян.** Присоединение Северно-западных областей Армении к Византии в XI в. – *Вестник общественных наук АН Армянской ССР*, 1971, №3, გვ. 4-15; **Р. М. Бартикян.** К вопросу о политической ориентации Григория Магистра. – *Страницы истории и филологии армянского народа*. Ереван, 1971, გვ. 63-72; **К. Н. Юзбашян.** «Повествование» Аристакеса Ластивертци и закат «Эпохи Багратидов». Автореферат докт. дисс. Л., 1975, გვ. 9-12;

გამომდინარე, არ მიგვაჩნია მართებულად აზრი იმის შესახებ, რომ იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება არ იღწვოდა დავით კურაპალატის ძალაუფლების შესაზღუდავად, რომ „ამ მიმართულებით არაფერს არ აკეთებდა (იმპერიის ხელისუფლება – **ზ.პ.**) მაშინაც კი, როდესაც იგი (ე.ი. დავით კურაპალატი – **ზ.პ.**) ერეოდა კეისრის ტახტის გარშემო ატეხილ ბრძოლებში და დამარცხებულის მხარეზე აღმოჩნდებო-**{36}**და“.<sup>1</sup> როგორც უკვე დავინახეთ, 989 წელს ბასილი II-მ არათუ არ შეზღუდა დავითის ხელისუფლება, არამედ საერთოდ ჩამოართვა სუვერენიტეტის ყოველგვარი ატრიბუტი, აიძულა რა ხელი მოეწერა ანდერძზე, რომლის მიხედვითაც კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მისი ქვეყანა მთლიანად გადადიოდა იმპერატორის ხელში.<sup>2</sup>

---

**В. П. Степаненко.** О причинах и датировке передачи Васпуракана Византии, – *Византийский временник*, 38, 1977, გვ. 72-79; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства в 1045 г. – *Византийский временник*. 1979, გვ. 76-95; **В. П. Степаненко.** К идентификации личности «Веста» «Матиане Картлиса». – *Византийский временник*, 41, 1980, გვ. 163-172; **В. А. Арутюнова-Фиданян.** Армянские средневековые историки об экспансии Византийской империи на Восток в X-XI вв. – *Историко-филологический журнал*, №2, 1978, გვ. 15. **С. Toumanoff.** The Background to Manazkert. – *Proceedings of the XIII-th Internatioanl Congress of Byzantine Stu{36}dies*. London, 1968, გვ. 425; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და., გვ. 72.

<sup>1</sup> **გ. მელიქიშვილი.** ფეოდალური საქართველოს., გვ. 17.

<sup>2</sup> ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი სამფლობელოები უანდერძა დავით კურაპალატმა იმპერატორს. თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ დავითმა მთელი თავისი მიწა-წყალი დაუტოვა ბასილი II-ს (**ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II., გვ. 128, 130). აკად ს. ჯანაშიას აზრით კი, ნაანდერძე სამფლობელოებში უნდა იგულისხმებოდეს არა საკუთრივ იმიერტაო, არამედ ის „ზემონი ქვეყანანი“, რომლებიც 979 წელს ბასილი კეისარმა დროებით მფლობელობაში გადასცა დავით კურაპალატს (**С. Н. Джанашия.** Об одном примере искажения., გვ. 29). ეს თვალსაზრისი უკანასკნელ ხანს ახალი არგუმენტებით გაამაგრა შ.

ამრიგად, დასკვნა, თითქოს ბიზანტია ითმენდა (შეიძლება მხარს უჭერდა კიდეც) დავით კურაპალატის აქტიურობას,<sup>1</sup> რადგან {37} ის მაინც რჩებოდა იმპერიის ვასალად, ხოლო სულ სხვანაირად ექცეოდა ბაგრატ III-ს, „აფხაზთა“ სამეფოს, „რომლის სულ მცირე წინსვლაც... ბიზანტიის მხრით მკვეთრ რეაქციას იწვევდა“,<sup>2</sup> მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. ეს აზრი მით უფრო სადავოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არ გაგვაჩნია არც ერთი ფაქტი ბა-

---

ბადრიძემ (**შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და., გვ. 70-71). ამ საკითხზე სპეციალურად შეჩერდა ვ. კოპალიანი, რომელმაც სამართლიანად მიუთითა, რომ ბასილი კეისარი მხოლოდ „ზემო ქვეყანათა“ დაბრუნებას არ დასჯერდებოდა, რადგან ეს ოლქები მას ისედაც ერგებოდა დავითის სიკვდილის შემდეგ და, ამრიგად, დავითი, ფაქტობრივად, დაუთხველი რჩებოდა (**ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური., გვ. 67). მ. ლორთქიფანიძეც ასევე ფიქრობს, რომ დავითი მთელ თავის სამფლობელოს უანდერძებდა ბიზანტიის იმპერატორს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ანდერძში „ზემო ქვეყნებზეც“ იყო ლაპარაკი (**მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა., გვ. 481. იხ. აგრეთვე: **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 157.) უკანასკნელ ხანს ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ბ. სილაგაძემ, რომელმაც შენიშნა, რომ იაჰია ანტიოქიელის ცნობის სათანადო ადგილას წერია: „და ჩაიბარა მეფემ აფხაზის (იგულისხმება დავით კურაპალატი – **ზ.პ.**) მთელი ქვეყანა“ ე.ი. დავით კურაპალატის სამეფო მთლიანად (**ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები., გვ. 119, შენ. 5).

<sup>1</sup> იგულისხმება ის აქტიურობა, რომელიც გამოიჩინა დავით კურაპალატმა ქართლში ბაგრატის დასმის დროს და არა მისი მოღვაწეობა X ს. 90-იან წლებში {37}ში – ძლევამოსილი კამპანია მეზობელი მაჰმადიანი მფლობელების წინააღმდეგ, რომელიც, გ. მელიქიშვილის აზრით (ამავე შეხედულებას იზიარებენ ვ. კოპალიანი და მ. ლორთქიფანიძე), სანქცირებული იყო ბიზანტიის ხელისუფლების მიერ და შეესაბამებოდა კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კურსს. იხ.: **გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს., გვ. 16.

<sup>2</sup> **გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს., გვ. 17. {38}

სილი კეისრის რაიმე განსაკუთრებული „უკიდურესად მკვეთრი რეაქციისა“ ბაგრატის პოლიტიკის მიმართ. როგორც ცნობილია, 978-დან 1014 წლამდე, როდესაც ყველა ძირითადი ქართული რეგიონი („აფხაზეთი“ დასავლეთ საქართველო, ქართლი, კახეთ-ჰერეთი, ტაო-კლარჯეთი – იმიერ-ტაოს გამოკლებით) თანმიმდევრულად გაერთიანდა ერთიან სახელმწიფოში, ბასილი კეისრის მხრიდან ბაგრატ III-ის წინააღმდეგ არც ერთ სერიოზულ აქციას არ ჰქონია ადგილი.

მთელი ამ ხნის მანძილზე ბიზანტიის იმპერატორმა განახორციელა მხოლოდ ერთი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა გაძლიერების გზაზე მდგარი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. ეს იყო 989 წ. „შეთანხმების“ შედეგად მისთვის „ნანადერძევი“ დავით კურაპალატის სამემკვიდროს დაუფლება 1001 წელს, მაგრამ ამ ერთადერთ აქტს ბიზანტიის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეში ჩარევისა ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში, როგორც ვნახეთ, ჰქონდა გარკვეული იურიდიული საფუძველი – 989 წ. „შეთანხმება-ანდერძი“, რომლის ძალითაც ბასილი II, როგორც „კანონიერი“ მემკვიდრე, იკავებდა გარდაცვლილი კურაპალატის სამფლობელოებს. ასე რომ, ბიზანტიის იმპერატორის მიერ დავით კურაპალატის სამემკვიდროს დაკავება „კანონიერი“ აქტი იყო და ის არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ III-ის მიმართ ბიზანტიის მხრიდან რაიმე განსაკუთრებული „უკიდურესად მკვეთრი რეაქციის“ გამოვლინებად.

989 წ. „შეთანხმებისა“ და დავით კურაპალატის ბიზანტიასთან **{38}** ურთიერთობის პრობლემის გაშუქებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხს – ამ შეთანხმების „ანტიაფხაზეთურ“ ხასიათზე მსჯელობას. როგორც უკვე აღინიშნა, გ. მელიქიშვილი ყურადღებას ამახვილებს რა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ ზოგიერთი წყაროს (იაჰია ანტიოქიელი) მიერ დავითის უშვილობის აღნიშვნა უნდა ნიშ-

ნავდეს ტაოს მმართველის მხრიდან ბაგრატ III-ისადმი ადრე მიცემული პირობის დარღვევას (მ. ლორთქიფანიძე),<sup>1</sup> მიიჩნევს ამას აღნიშნული ხელშეკრულების „ანტიაფხაზური“ სულისკვეთების გამოვლინებად.<sup>2</sup>

საკითხის ასე დასმა არ უნდა იყოს გამართლებული. ვფიქრობთ, იაჰია ანტიოქიელის მიერ დავითის უშვილობის საგანგებო აღნიშვნა არაა უტყუარი არგუმენტი იმის ხელაღებით მტკიცებისათვის, თითქოს დავით კურაპალატი ამ დროისათვის უკვე აღარ თვლიდა ბაგრატ III-ს თავის მემკვიდრედ და რომ ამის მიზეზი იყო დავითსა და მის შვილობილს შორის რატი ბაღვაშის სამფლობელოების გარშემო 988 წელს ამტყვდარი კონფლიქტი. როგორც სათანადო წყაროებიდან ირკვევა, 988 წელს დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის მართლაც სერიოზულ შეხლაშემოხლას ჰქონდა ადგილი. მასში მონაწილეობა მიუღია, პრაქტიკულად, ყველა ნამყვან პოლიტიკურ მოღვაწეს და აგრეთვე მეზობელი სომხეთის ლიდერებსაც.

უმთავრესი საისტორიო წყაროს – *„მატიანე ქართლისაჲს“* მიხედვით, ბაგრატ III-მ გაილაშქრა კლდეკარის ერისთავის – რატი ბაღვაშის წინააღმდეგ, რომელიც *„არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“*, მაგრამ *„აუნყეს (ეტყობა ეს რატიმ გააკეთა – ზ.პ.) მსწრაფლ დავით კურაპალატსა და უთხრეს ესრე სახედ: „არა სადა წარვალს სხუაგან, არამედ განმზადებულ არს სიკუდილად შენდა“*.<sup>3</sup> დავით კურაპალატმა დაიჯერა ეს და მანაც *„მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თვსსა და უჭმო ყოველთა მეფეთა სომხითისათა“*.<sup>4</sup> ბაგრატ III-ს მიეცა {39}შველა მამამისი – გურგენი, დავითს კი მხარში ამო-

---

<sup>1</sup> М. Д. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. – *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, II. თბ., 1972, გვ. 36.

<sup>2</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 19.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 276-277.

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 277. {39}

უდგა „ქართულთა მეფე“ ბაგრატ II (რეგუენი), რომელსაც „ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისაგან წაღებისა მეფობისასა“.<sup>1</sup> დავითის ლაშქარმა სწრაფად იმოქმედა, ბაგრატის მოსვლამდე შეებრძოლა გურგენის ჯარს და გააქცია იგი. თრიალეთს მისულმა ბაგრატმა მზვერავი გააგზავნა დავითის ჯარში და „იხილა, რომელ ძალითა არა ეგებოდა წინააღმდეგობა... დაუტევენ სპანი თჳსნი ადგილსა ზედა და თჳთ მარტო მივიდა წინაშე მისსა; ითხოვა შენდობა და აუწყა, ვითარმედ: „სხჳსა არა რომლისათჳს მოვედ, გარნა არა მორჩილებისათჳს რატიის“. დავითმა დაუჯერა თავის შვილობილს და მისცა რატიის დამორჩილების დასტური.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ „მატიანის“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაგრატი მიდიოდა რატი ბაღვაშის შესაპყრობად, მის ნაამბობში არის ერთი ადგილი, რომელიც გვაეჭვებს „აფხაზთა“ მეფის კეთილ ზრახვებში თავისი გამზრდელის მიმართ: „გაგ ზავნა მოციქული, განახნა ლაშქარნი და იხილა, რომელ არა ეგებოდა წინააღმდეგობა დავით კურაპალატისა. მაშინ დაუტევა სპანი თჳსნი ადგილსა ზედა, და თჳთ მარტო მოვიდა წინაშე მისსა, ითხოვა შენდობა და აუწყა: სხჳსა არა რომლისათჳს მოვედ, გარნა არა მორჩილებისათჳს რატიის“.<sup>3</sup> ე.ი. ბაგრატს რომ არ შეშინებოდა დავით კურაპალატის ჯარის სიმრავლისა, ის შეებრძოლებოდა თავის გამზრდელს.

სწორედ „მატიანის“ ეს ცნობა აფიქრებინებთ მეცნიერებს, რომ ბაგრატ III იმთავითვე დავით კურაპალატის წინააღმდეგ მოდიოდა და რომ ეს გამოსვლა სავსებით კანონზომიერი იყო – იგი ბუნებრივად გამომდინარეობდა ბაგრატ III-ის მიერ ჩატარებული საერთო ღონისძიებებიდან, რომელიც მიზნად ისახავდა უკლებლივ ყველა ქართული რეგიონის ერ-

---

<sup>1</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 277.

<sup>2</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 277.

<sup>3</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 277 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

თიან სახელმწიფოში გაერთიანებას.<sup>1</sup> მაგრამ „აფხაზთა“ მეფემ, ეტყობა, სათანადოდ ვერ გაითვალისწინა კონფლიქტის მასშტაბები {40} და დამარცხების შიშით უკან დახევა ამჯობინა.<sup>2</sup> ყურადღება ექცევა, აგრეთვე, სტეფანოს ტარონაცის მონაცემებსაც, რომლებიც მონმობენ, რომ კონფლიქტის მთავარი მიზეზი იყო უთანხმოება ბაგრატ II „ქართველთა“ მეფესა და მის შვილს გურგენს შორის.<sup>3</sup>

ჩვენ არაფერი გვაქვს ამ მოსაზრების სანინააღმდეგო და ვფიქრობთ, რომ ის უდავოდ არ არის საფუძველს მოკლებილი. მაგრამ მაინც უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ეს კონფლიქტი გაუგებრობის ნიადაგზე ყოფილიყო აღმოცენებული. მართლაც, რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ბაგრატ III მოდიოდა კლდეკარის ერისთავის შესაპყრობად, მაგრამ ამ უკანასკნელმა „ნაცად ხერხს“ (ნ. ბერძენიშვილი) მიმართა, „დაასმინა“ ბაგრატ მეფე დავით კურაპალატთან და დაარწმუნა იმაში, რომ „აფხაზთა“ მეფე იმიერ-ტაოს დასაპყრობად მოდიოდა.<sup>4</sup> ამ თვალსაზრისით, ყურადსაღებია ერთი გარემოება, რომელიც, ამგვარ დაშვებას უნდა ამართლებდეს. მხედველობაში გვაქვს „მატიანე ქართლისაჲს“ მინიშნება იმაზე, რომ სანამ ბაგრატ III თრიალეთს მიაღწევდა, დავითის ჯარს უკვე გურგენის ლაშქარი დამარცხებული ჰყავდა. საინტერესოა ისიც, რომ კურაპალატმა პირველმა შეუტია მონინააღმდეგეს. ე.ი. მანამ, სანამ ბაგრატ III მოვიდოდა სამხრეთ საქართველოში, დავით კურაპალატი (ცხადია, ეს რატი ბაღვაშის ავანტიურის შედეგი იყო) უკვე მოქმედებდა მის წინ-

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს., გვ. 156. {40}

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური., გვ. 156.

<sup>3</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 180-181; **М. Д. Лордкипанидзе**. Из истории грузино-византийских..., გვ. 36.

<sup>4</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ბერძენიშვილიც ვარაუდობდა, რომ რატი ბაღვაშმა მიმართა დავით კურაპალატს. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბ., 1974, გვ. 14. {41}

ნაალმდეგ და გურგენი – ბაგრატ III-ის მამა და მთავარი მოკავშირე – დამარცხებულიც კი ჰყავდა. ასეთ სიტუაციაში „აფხაზთა“ მეფე შესაძლებელია განაწყენდა კიდეც თავის გამზრდელზე და დააპირა მასთან შებრძოლება, მაგრამ რახან შეამჩნია, რომ ძალთა თანაფარდობა მის მხარეზე არ იყო, უკანდახევა არჩია.

მოვლენათა ამგვარი მსვლელობა ჩვენ უფრო ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბალვა-**{41}**შების სამფლობელოს გარშემო უწინაც არაერთხელ დაძაბულა ურთიერთობა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეებს შორის, რომლის დროსაც „ქართველეთა“ მეფეები, როგორც წესი, ტრადიციულად იცავდნენ კლდეკარის საერისთავოს „აფხაზთა“ მეფეების ხელყოფისაგან.<sup>1</sup> საფიქრებელია, რომ ბაგრატ III-ს დავითის ეს გამოსვლა რატი ბალვამის დაცვის სურვილით აეხსნა და ეს მიეჩნია იმ პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო აქტად, რომელსაც ასე თანმიმდევრულად ატარებდა ახალგაზრდა „აფხაზთა“ მეფე და რომლის უკან აქამდე იდგა თვით დავით კურაპალატი.

ამ შემთხვევაში ბაგრატ მეფისათვის, რასაკვირველია, გაუგებარი და უაღრესად საწყენი იქნებოდა მოხუცი მამობილის გამოსვლა და, შესაძლებელია, განაწყენებულმა ძალის წინააღმდეგ თვითონაც ძალის გამოყენება გადაწყვიტა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ არ გააკეთა, რომ ის მეტოქის რიცხობრივმა უპირატესობამ შეაშინა. უდავოა, რომ დავით კურაპალატმა დაუჯერა თავის შვილობილს და საქმის გამოძიების შემდეგ ის კმაყოფილი დარჩა, რადგან დართო რატის დამორჩილების ნება. *„მითხრეს რომელ სიკუდილად ჩემდა გამოსულ იყავ, გარნა ან ვსცან დასტური, რომელი უბრალო ხარ. არამედ მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითარცა სახედ ვნადიან“*.<sup>2</sup> ე.ი., როგორც ვხედავთ, კონფ-

<sup>1</sup> დანვრილ. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, გვ. 12-14.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 277.



ლიქტი ამით ამონურულა და ბაგრატ III გამობრუნებულა „სიხარულითა სავსე“. რამდენიმე ხნის შემდეგ კი: „*ვითარ მოიწია ჟამი ზამთრისა,<sup>1</sup> მოვიდა ძალითა თჳსითა ყოვლითა და მოადგა კლდე-კართა. იხილა რა ესე რატი გამოვიდა გარე და გამოიტანა შვილი მისი ლიპარიტ თანა, შევედრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა, და მისცა ციხე თჳსი ბაგრატს, და თჳით დაჟდა მამულსა თჳსსა არგვეთს“.<sup>2</sup>*

ამრიგად, ბაგრატ III-მ მიაღწია დასახულ მიზანს. მან დაიმორჩილა განდგომილი ვასალი. ესე იყო კიდევ ერთი წინ-გადადგმული ნაბიჯი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისა და ცენტრალური ხელი {42} სუფლების შემდგომი განმტკიცების გზაზე. ამ საქმეში, როგორც დავინახეთ, ბაგრატ III-ისათვის დავით კურაპალატს ხელი არ შეუშლია. ეს გვაფიქრებინებს, რომ დავით კურაპალატსა და ბაგრატ III-ს შორის მამაშვილური ურთიერთობა არ დარღვეულა და მსჯელობა იმის თაობაზე, თითქოს დავით კურაპალატი 988 წლის კონფლიქტის შემდეგ არ თვლიდა ბაგრატს თავის მემკვიდრედ, ასე უცილობლად მისაღები არ უნდა იყოს.<sup>3</sup> {43}

---

<sup>1</sup> ეს უნდა იყოს 988-989 წლების ზამთარი. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II., გვ. 177; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო., გვ. 158.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 277-278. {42}

<sup>3</sup> ამ საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ა. აბდლაძის მიერ ამ ბოლო დროს წამოყენებულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის 988 წ. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი იყო ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ლტოლვა გამიჯვნოდა თავის მამობილსა და გამზრდელს და გამოსულიყო მისი უზენაესობიდან, რადგან ამ უკანასკნელს დასჯა ელოდა კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. ალ. აბდლაძის აზრით, დავით კურაპალატისაგან სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი ბაგრატს ადრეც უნდა ჰქონოდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, „აფხაზთა“ მეფის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ უნდა გაედლიერებინა შიშს, რომ ბასილი II პრეტენზიას განაცხადებდა დამარცხებული დავით კურაპალატისადმი დაქვემდებარებული ბაგრატ III-ის სამფლობელოზეც. აქვე მკვლევარი იმასაც დასძენს, რომ ბაგრატ

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია იმის მტკიცება, თითქოს დავით კურაპალატი იმიტომ იყო გამოცხადებული უშვილოდ და უმემკვიდრეოდ იაჰია ანტიოქიელის თხზულებაში, რომ 988 წლის ამბების შემდეგ ტაოს მმართველი არ თვლიდა თავის მემკვიდრედ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს. ასევე არ არის გამართლებული ამის საფუძველზე ბასილი კეისარსა და დავით კურაპალატს შორის 989 წელს დადებულ „შეთანხმებაში“ „ანტიაფხაზური“ მიმართუ-

---

III-ს, შესაძლოა, განეზრახა ბიზანტიისათვის დასწრება და დავით კურაპალატის სამფლობელოს ან, მისი ერთი ნაწილის მაინც, დაკავება (აღ. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 253, 255). აღ. აბდალაძის ეს დასკვნა ძნელი გასაზიარებელია. ჯერ ერთი, არა გვაქვს არავითარი საფუძველი ბაგრატ III-ის „აფხაზთა“ სამეფო (მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე დასმამი იმიერტაოს მმართველმა გადამწყვეტი როლი შეასრულა) მივიჩნიოთ „ქართველთა“ კურაპალატისადმი იურიდიულად დაქვემდებარებულ (საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსით მაინც) პოლიტიკურ ერთეულად. საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში დავით კურაპალატის რეალური ლიდერობა, რასაკვირველია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია არა საქმის ფაქტობრივი, არამედ იურიდიული მხარე. ამ მხრივ კი აშკარაა, რომ დავითის იურიდიული უფლებები არა თუ „აფხაზთა“, არამედ თვით „ქართველთა“ სამეფოზეც კი არ ვრცელდებოდა, სადაც, როგორც ცნობილია, ამ დროს, მეფობდა ბაგრატ II „რეგუენი“. გარდა ამისა, ჩვენ არ გაგვაჩნია არც ერთი ფაქტი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რატი ბაღვაშის სამფლობელოების ირგვლივ ატეხილ დავას, რომელიც როგორც უკვე გავარკვიეთ, სავსებით შესაძლებელია, უბრალო გაუგებრობის შედეგი ყოფილიყო) ბაგრატ-დავითის დაპირისპირებისა. პირიქით, ყველაფერი იმაზე მეტყველებს (და ამაზე ქვემოთაც გვექნება მსჯელობა), რომ დავითი სიცოცხლის ბოლომდე ენერგიულად ზრუნავდა ბაგრატ III-ის პოზიციების განმტკიცებისათვის. ამასთან, საერთოდ ძნელი დასაჯერებელია, რომ ბაგრატ III-სა და მის ახლომდგომთ ჯერ კიდევ 988 წელს შეძლებოდათ წინასწარ განეჭვრეტა, თუ რა {43} სასჯელს დაადებდა ბიზანტიის იმპერატორი 989 წელს დავით ბაგრატიონს და აგრეთვე, თუ რამდენად შეძლებდა ბასილი მეფე, მოხუცი კურაპალატის სიკვდილის შემდეგ, რეალურად დამუქრებოდა მისი გაზრდილის – ბაგრატ III-ის სახელმწიფოს. {44}

ლების ძიება. ე.ი. იმის თქმა, რომ დავით კურაპალატმა იმიტომ გადასცა თავისი მიწა-წყალი ბიზანტიის კეისარს, რომ მას ამ დროისათვის ბაგრატ III-ისადმი, როგორც მემკვიდრისადმი, თავისი დამოკიდებულება გადასინჯული ჰქონდა.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გვექნებოდა იმისი დამამტკიცებელი მასალა, რომ დავით კურაპალატმა ნებით გადასცა იმპერატორს თავისი ქვეყანა, რომ ტაოს მმართველს, როგორც იმპერიის ერთგულ ვასალს, მართლაც, არ აწყობდა დანარჩენ საქართველოსთან იმიერტაოს შერწყმა. იგი „აფხაზთა“ მეფისგან თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, თანახმა იყო სიკვდილის შემდეგ ეს ტერიტორია საქართველოს საერთოდ ჩამოშორებოდა და ბიზანტიას გადასცემოდა. ასეთი მასალა კი, როგორც ვნახეთ, არა გვაქვს.

პირიქით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ დავით კურაპალატმა სწორად ვერ შეაფასა ძალთა თანაფარდობა, ნაჩქარევად დაუჭირა მხარი ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას და დაისაჯა კიდევაც ამის გამო. ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრაც, რომ 989 წ. „შეთანხმება“ ისევე თავსმოხვეული იყო ურჩი ვასალისათვის, როგორც შემოთხსენებული ანალოგიური „შეთანხმება“ ანისის მეფე იოვანე-სუმბატთან, რომლის ძალითაც, როგორც უკვე აღინიშნა, ბიზანტიამ მიიტაცა ეს პოლიტიკური ერთეული. ერთი სიტყვით, დავით კურაპალატმა იმიტომ კი არ უანდერძა ბასილი II-ს თავისი მიწა-წყალი, რომ ის ბაგრატ III-ს არ ჩავარდნოდა, არამედ იმიტომ, რომ მას თავის გადარჩენის სხვა საშუალება არ აღმოაჩნდა და იძულებული შეიქნა ამ მძიმე {44} ხვედრს შერიგებოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ძალზე თვალნათლივ ჩანს იაჰია ანტიოქიელის თხზულების ზემოთ მოტანილი ნაწყვეტიდან – **„განრისხებული იყო ბასილი მეფე ტაოს პატრონ დავით ქართველთა მეფეზე... დავით ქართველთა მეფემ პატიება ითხოვა, ბასილს მორჩილება გა-**

**ნუცხადა და „აღუთქვა... იგი მეფეს სთხოვდა“ და სხვა.<sup>1</sup>**

ამრიგად, თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დავით კურაპალატი თავისი ნება-სურვილით არ დათანხმებულა ბასილი კეისრის პირობებზე. რაც შეეხება იაჰია ანტიოქიელის მიერ დავითის უშვილობის ხსენებას, ეს ადვილი ასახსნელი უნდა იყოს. ბიზანტიის იმპერიაში ალბათ კარგად იცოდნენ, რომ დავით ბაგრატიონი მართლაც უშვილო იყო და პოლიტიკური მარცხით დაუძღურებულ მოხუც კურაპალატს ალბათ გაუჭირდებოდა ძღვევამოსილი იმპერატორისათვის აეხსნა, თუ რატომ იყო „აფხაზთა“ მეფე – ბაგრატი – მისი შვილი.

ბაგრატ III-სა და დავით კურაპალატს შორის 988 წელს მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს წამოიჭრა და უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული პოლიტიკური ერთეულების ბიზანტიასთან ურთიერთობის პრობლემასთან ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პერიოდში. მხედველობაში გვაქვს მ. ლორთქიფანიძის ჰიპოთეზა იმის შესახებ, თითქოს 988 წელს ბაგრატ-დავითის კონფლიქტი ინსპირირებული ყოფილიყოს კონსტანტინოპოლის მიერ.<sup>2</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიის ხელისუფლება არ შეიძლებოდა ყოფილიყო უშუალოდ მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საზღვრებთან გაერთიანებული ძლიერი სახელმწიფოს შექმნის მოსურნე, რომელიც უთუოდ დაუპირისპირდებოდა იმპერიის ინტერესებს აღმოსავლეთში. ამდენად, ბუნებრივია, საიმპერატორო კარი შეეცდებოდა გამოეყენებინა ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევა საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელი პროცესების შესაჩერებლად. მ. ლორთქიფანიძე სავსე {45} ბით სამართლიანად მიუთითებს რა ამ გარემოებაზე, უშვებს, რომ 988 წელს, შესაძლებელია,

---

<sup>1</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის..., გვ. 115. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино..., гв. 36-37. {45}

ბიზანტიამ შესძლო დავით კურაპალატისა და მისი შვილობილის ნაკიდება.<sup>1</sup> მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბარდა ფოკას წინააღმდეგ ბრძოლაში ბასილი კეისარი საკმაოდ მასშტაბურად მოქმედებდა და ახერხებდა არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებული ძალების მობილიზებას, არამედ ამყარებდა, ფართო საერთაშორისო კონტაქტებს და მეზობელი სახელმწიფოების ძალებსაც იშველიებდა (იგულისხმება კავშირი კიევის რუსეთთან – **ზ.პ.**).

ყოველივე ამის გათვალისწინებით მ. ლორთქიფანიძე შესაძლებლად მიიჩნევს ბასილი კეისრის მიერ „აფხაზთა“ მეფის ჩაბმას ბარდა ფოკას მოკავშირე დავით კურაპალატის წინააღმდეგ. მეცნიერის აზრით, ამგვარი დაშვების სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ, როდესაც 1001 წელს დავით ბაგრატიონი გარდაიცვალა, ტაოში მოსულ იმპერატორს გარდაცვლილი კურაპალატის სამემკვიდრეოს მიღების იმედით ეახლნენ ბაგრატი „აფხაზთა“ მეფე და გურგენ „ქართველთა“ მეფე.<sup>2</sup> თუ გავიხსენებთ, რომ ბასილი კეისარი 989 წ. ხელშეკრულებით თვითონ იყო გამოცხადებული ტაოს მმართველის მემკვიდრედ – აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, გაუგებარია, რის საფუძველზე ჰქონდა ბაგრატი III-ს კურაპალატის სამამკვიდრეოს მიღების იმედი. მკვლევრის ვარაუდით, გამორიცხული არაა, რომ ეს დაკავშირებული იყო იმ სამსახურთან, რომელიც მან გაუწია იმპერატორს 988 წელს (ე.ი. როცა „აფხაზთა“ მეფე გამოვიდა დავითის წინააღმდეგ).<sup>3</sup>

ეს მოსაზრება მთლიანად აგებულია იმაზე, რომ 988 წელს ბაგრატი III იმთავითვე დავით კურაპალატის წინააღმდეგ გამოვიდა და რატი ბაღვაშის წინააღმდეგ ლაშქრობის ვერსია მხოლოდ ტაოს მმართველის ყურადღების მოსაღუნებლად გამიზნული მანევრი იყო.<sup>4</sup> ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,

---

<sup>1</sup> **მ. დ. ლორდკიპანიძე.** *Из истории грузино-византийских...*, გვ. 36-37.

<sup>2</sup> **მ. დ. ლორდკიპანიძე.** *Из истории грузино-византийских...*, გვ. 37.

<sup>3</sup> **მ. დ. ლორდკიპანიძე.** *Из истории грузино-византийских...*, გვ. 37.

<sup>4</sup> **მ. დ. ლორდკიპანიძე.** *Из истории грузино...*, გვ. 36. **{46}**

რომ ეს დასკვნა მაინცდამაინც უკრიტიკოდ მისაღები არ უნდა იყოს. ბაგრატიისაგან განდგომა და მისთვის, როგორც ერთადერთ მემკვიდრეზე, უარის თქმა, რაც {46} თითქოს 989 წელს მოხდა, ნიშნავდა გამაერთიანებელლი მოძრაობისაგან დავითის ჩამოშორებას.

ვფიქრობთ, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ განხილული მასალა, აგრეთვე დავით კურაპალატის მთელი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა არ უნდა გვაძლევდეს ასეთი შორს მიმავალი დასკვნის გაკეთების საშუალებას. ჩვენ არა თუ არ გვგონია, რომ დავით კურაპალატმა გადასინჯა თავისი დამოკიდებულება ბაგრატ III-ის მიმართ და უარი თქვა მასზე, როგორც მემკვიდრეზე, არამედ გვიჭირს იმის დაშვებაც კი, რომ მან საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და 989 წლის შემდეგ საერთოდ არ უცდია მდგომარეობის გამოსწორება. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს დავით ტაოელის სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა X ს. 90-იან წლებში.

როგორც ცნობილია, X ს. 90-იან წლებში დავით კურაპალატმა განავითარა მძლავრი შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. მისი ამ შეტევის ობიექტი გახდა ის სომხური მხარეები და ქალაქები, რომლებიც ამ დროისათვის არაბთა მფლობელობაში იყვნენ შესული და რომელთაც დიდი ხანია მაჰმადიანი ამირები განაგებდნენ.<sup>1</sup> ეს საამიროები, არაბთა სახალიფოს ნანგრევებზე აღმოცენებულ სხვა მუსლიმურ-პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად, ბიზანტიის იმპერიას არ ეპუებოდნენ და შესაძლებლობისამებრ ცდილობ-

---

<sup>1</sup> ესენია ქალაქები: ხლათი, არჭეში, მანაზკერტი, ბერქერი და სხვ. დანვრილებით იხ.: **Н. В. Скабаланич**. Византийское государство и церковь. СПб, 1884, გვ. 191; **Я. А. Манандян**. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954, გვ. 215-219; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 68; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 482; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და..., გვ. 51.

დნენ ამიერკავკასიაში თავიანთი გავლენის დამყარებას.<sup>1</sup>

ეს გარემოება აიძულებდა ქართველ და სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს ფხიზლად ყოფილიყვნენ და საჭიროების შემთხვევაში ენერგიულად ებრძოლათ ამ საამიროების წინააღმდეგ. სწორედ ამით იყო განპირობებული დავით კურაპალატის გამოსვლაც 990 წელს, როდესაც მან ისარგებლა ნეპერკერტის (მაიაფარიკინის) ამირა ბადის<sup>2</sup> გარდაცვალებით და ალყა შემოარტყა მნიშვნელოვან **{47}** სტრატეგიულ პუნქტს მანასკერტს, რომელიც ამავე დროს მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრსაც წარმოადგენდა.<sup>3</sup> დავით კურაპალატმა აიღო ეს ქალაქი და იქ ქართველები და სომხები ჩაასახლა.<sup>4</sup>

მანასკერტის დაცემამ აამხედრა მაჰმადიანური სამყარო და მათ უმაღლ მიმართეს საპასუხო ღონისძიებებს. მუსლიმ ხელისუფალთა გაერთიანებულ ლაშქარს აზერბაიჯანის ცნობილი ამირა მამლან ბ. აბუ-ლ-ჰაიჯა ჩაუდგა სათავეში.<sup>5</sup> დავით კურაპალატმა თავის მხრივ, „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II, ანისის მეფე გაგიკ I და ვანანდის მეფე აბასი მოიშველია და ბაგრევანდის მხარეში ქ. ვალაშკერტში დაიბანაკა.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 40.

<sup>2</sup> ბადი იყო მაიაფარიკინის მარვანიანთა ქურთული დინასტიის ფუძე **{47}** მდებელი. **К. Босворт.** Мусульманские династии..., გვ. 87-88; **А. Тер-Геводян.** Арабские эмираты в Армении при Багратидах. – *Краткие сообщения института народов Азии*, 47, 1961, გვ. 74; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 186.

<sup>3</sup> დანვრილ. იხ.: **Я. А. Манандян.** О торговле и городах Армении, გვ. 215-219; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 68.

<sup>4</sup> **Всеобщая история Степаноса Таронского...**, გვ. 191; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 69; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 482.

<sup>5</sup> **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 40, 186. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **М. Х. Шарифли.** Феодальные государства Азербайджана второй половины IX-XI вв. Баку, 1965, გვ. 63-66.

<sup>6</sup> **Всеобщая история Степаноса Таронского...**, გვ. 191-192; **ივ.**

მაგრამ მაჰმადიანებმა თავი მოარიდეს ბრძოლას და უკან გაბრუნდნენ. გზად მათ მოაოხრეს ბაგრევანდის მხარის ბევრი სოფელი.<sup>1</sup>

ასე რომ, დავით კურაპალატმა ამ ეტაპზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და თავის კონტროლს დაუქვემდებარა სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონი. მაგრამ კონფლიქტი მაჰმადიან ამირებთან ამით არ ამოწურულა, მოგვია(48)ნებით – 998 წელს კვლავ გამწვავდა ურთიერთობა მათთან. მამლან ბ. აბუ-ლ-ჰაიჯამ ამჯერად თავრიზში მოუყარა თავი თავის მოკავშირეებს და 100-ათასიანი ლაშქრით ტაოსკენ გამოემუხრა.<sup>2</sup> მაჰმადიანთა ჯარმა განვლო ვასპურაკანის ქვეყანა და აპაჰუნიკის ოლქში დაბანაკდა.<sup>3</sup>

დავით კურაპალატმაც არ დააყოვნა და თავის მხედრონი შეაგება მტერს. აღსანიშნავია, რომ დავითის ლაშქარში სხვებთან (გაგიკ სომეხთა მეფისა და ვანანდის მეფე აბასის რაზმებთან) ერთად იყო „მეფეთ მეფე“ გურგენის მიერ გამოგზავნილი 6000 რჩეული მეომარი.<sup>4</sup> გადამწყვეტი ბრძოლა

---

**ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 483; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 186-187.

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 191-192; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 483; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 187.

<sup>2</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 194; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 483; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 187

<sup>3</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 194; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 187

<sup>4</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 194; **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 483; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 187.



გაიმართა აპაჰუნიკის ოლქში, სოფ. ნემბოსთან, რომელშიც ამირა მამლანის ჯარები სასტიკად დამარცხდნენ.<sup>1</sup> ქართველ-სომეხთა ლაშქარმა გაქცეულ მტერს არჭეშამდე სდია და უკან დიიდ ალაფით დატვირთული მობრუნდა.<sup>2</sup>

ამრიგად, დავით კურაპალატმა თავისი მოღვაწეობის მიწურულს მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებს მიაღწია და თავის ხელისუფლებას საბოლოოდ დაუმორჩილა ზემოხსენებული ტერიტორიები. ისტორიოგრაფიაში, ჩვენი აზრით, არცთუ უსაფუძვლოდაა შენიშნული, რომ ამ მხარეთა დაპყრობა ემსახურებოდა არა მართო სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ,<sup>3</sup> არამედ ქართულ {49} ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ამოცანებსაც.<sup>4</sup>

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის ერთი ცნობა, რომელსაც ყურადღება მიაქცია მ. ლორთქიფანიძემ, და რომელიც მკაფიო დადასტურებაა იმისა, რომ დავით ბაგრატიონი,

---

#### {48}

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 194; **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 187.

<sup>2</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 194-196; **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; **მ. ლორთქიფანიძე**. ფეოდალური სამთავროები..., გვ. 483;

<sup>3</sup> ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ ამ რეგიონის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, ამჯერად დავუმატებთ იმას, რომ აქ გადიოდა იმდროინდელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრალი, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქები: არწი, თეოდოსიოპული (ანუ არზრუმი – ქართული კარნუ-ქალაქი), და რომელიც სახალიფოდან არტანუჯის გავლით დვინზე გადი {49}-ოდა და ტრაპეზუნისკენ მიემართებოდა. ეს სავაჭრო გზა ტაოკლარჯეთის დიდ მატერიალურ შემოსავალს აძლევდა, ამდენად, ბუნებრივია, დავით კურაპალატის სურვილი მტკიცედ დაპატრონებოდა ამ სავაჭრო არტერიას. ამის შესახებ დანვრილებით იხ. **Я. А. Манандян**. О торговле и городах Армении, გვ. 214; **ლ. ქილაშვილი**. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II. თბ., 1970; გვ. 87-96; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური..., გვ. 484.

<sup>4</sup> **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 484.

უპირველეს ყოვლისა, იღწვოდა დაკავებული ტერიტორიების გაქართველებისათვის.<sup>1</sup> მოგვყავს ეს ცნობა რუსული თარგმანის მიხედვით: „Армянскую церковь, бывшую за городской стеною, архиерейский дворец, места, куда в цветущее их время ходили армяне на поклонение, (церковь) во имя святого креста и святого Гамалийла – все это обращено было в конюшни и стоянки для иверийского войска. С городских стен Татчики кричали: «так ли вы, христяне, чувствуете святыню христианскую?» Иверийцы отвечали: «Мы одинаково смотрим на армянскую церковь и на вашу мечеть»“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, სომეხი მემატრიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოლაშქრე იბერიელები სომხურ ეკლესიებსა და მუსლიმურ მეჩეთებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდნენ. რასაკვირველია, ქართველ მეომართა ამგვარი განწყობილება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის ერთგვარი გამოვლინება იყო იმ აშკარად გამოხატული ქართული პოლიტიკისა, რომელსაც დღენიადაგ ატა{50}რებდა დავით კურაპალატი.<sup>3</sup> ჩვენ ამ გარემოებას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ

---

<sup>1</sup> **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских..., გვ. 40.

<sup>2</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 193; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских..., გვ. 40. {50}

<sup>3</sup> **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории грузино-византийских..., გვ. 40. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება დავივიწყოთ ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელსაც წარმართავდა დავით კურაპალატი და რომელიც მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ორგანული ნაწილი იყო. აფასებდა რა დავით ბაგრატიონის როლს ქართული ეროვნული ცხოვრების გამოცოცხლებაში, აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ის იყო „დიდი პოლიტიკოსი, დიდი პროგრესული მოღვაწე, **დიდი პატრიოტი...** ქართული კულტურისათვის ესოდენ დიდ ჭირნახულობა მან იმით დააგვირგვინა, რომ საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი დაუდო. ქალკედონიტი დავით კურაპალატი, – ნერდა ნ. ბერძენიშვილი, – ბიზანტიის კულტურულსა და პოლიტიკურ სამყაროში **ქართული ეროვნული შეგნების მესაჭე და მოღვაწეა**, ქართულ ენას

ძნელად დასაჯერებლად მიგვაჩნია აზრი იმის შესახებ, თითქოს დავით კურაპალატის მთელი ეს კამპანია X ს. 90-იან წლებში, რომელიც ასე წარმატებით დამთავრდა, მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის სანქციით იყო განხორციელებული და მარტო ბიზანტიის იმპერიის სასიცოცხლო ინტერესებს ემსახურებოდა.

სავსებით სამართლიანად მიუთითებს შ. ბადრიძე ამ შეხედულების მცდარობაზე და აღნიშნავს, რომ უცნაური და გაუგებარი იქნებოდა დავითის მხრივ თავისი მოლაშქრეების სისხლის დაღვრა „იმ ტერიტორიების ასაღებად, რომელიც მისი აზრით, ფატალურად იყვნენ განწირულნი ბიზანტიის მფლობელობაში გადასასვლელად... თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, როგორი **{51}** ენერგიით იბრძვის დავითი 90-იან წლებში 979 წელს ნაბოძები მიწების ერთი ნაწილის შემოსამტკიცებლად, – განაგრძობს მკვლევარი, – არ ვიქნებით შემცდარი, თუ ვიფიქრებთ, რომ ბარდა ფოკას დამარცხების შემდეგაც კი დავით დიდი თავის **რეალურ და უახლოეს მემკვიდრეებად, კვლავ ქართველ ბაგრატიონებს თვლიდა** (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**), ბიზანტია კი, მისი აზრით, საკურა-

---

დავითის ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს (ამის მოწმობაა ტაოელი ქართველების ეს განსაკუთრებული ზრუნვა ქართულ ენაზე, ქართულ კულტურაზე. ათონზე ტაოელთა იდეა ბატონობს...), დავითის ფული ქართული ზედწერილით, დავითის მშენებლობა (ქართული წარწერანი), დავითის დროშა-ჯვარი ქართული წარწერით, დავითის ქვეყანაში ქართული სავანეები... დავითის დაუცხრომელი ზრუნვა ქართული ქრისტიანული ლიტერატურის გამდიდრება-გავრცელებისათვის, ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ამ მეფის პოლიტიკაში ქართულ ენას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა აკისრია“. **ნ. ბერძენიშვილი**. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება., გვ. 23-24 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამ საკითხზე იხ. აგრეთვე: **შ. ბადრიძე**. პირველ ათონელთა მოღვაწეობის ისტორიული ფონი. – *ივირონი*. ათონის ქართველთა მონასტერის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1983, გვ. 56-70; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და., გვ. 52. **{51}**

პალტოს ასეთივე მესაკუთრე იყო, როგორც წინა პერიოდში“.<sup>1</sup>

დავით ბაგრატიონს 988 წლის შემდეგ რომ არ გადაუხვევია 975 წელს აღებული კურსიდან და არ დაურღვევია თავისი მამაშვილური დამოკიდებულება ბაგრატ III-ის სამეფო სახლის მიმართ, იქიდანაც ჩანს, რომ 998 წლის კამპანიის დროს მის მოკავშირეთა შორის ვხედავთ გურგენ „მეფეთ მეფეს“ – იმ გურგენს, რომელმაც 988 წლის კონფლიქტის დროს სასტიკი მარცხი იგემა ტაოს ლიდერისაგან და რომელიც, ამის შემდეგ, თავის შვილთან ბაგრატ III-სთან ერთად, ბუნებრივია, მტრად უნდა მოკიდებოდა მოხუც კურაპალატს.

გურგენის მონაწილეობის ახსნა 998 წლის კამპანიაში გაჭირდება იმის დაშვებით, თითქოს 988 წლის კონფლიქტის შემდეგ დამარცხებული გურგენი დავითის ყურმოჭრილ მონად იქცა და ამიტომ ამოუდგა მას მხარში მაჰმადიანი ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ ერთი, ძნელი წარმოსადგენია, რომ ბიზანტიასთან კრახგანცდილ კურაპალატს შეძლებოდა სხვა ქართველი მოღვაწეებისაგან, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, მოეთხოვა ძველებური მორჩილება, და მეორეც, მოვლენათა მსვლელობას თუ იმგვარად გავიაზრებთ, რომ დავითი ხლათ-არქემის დალაშქვრით მხოლოდ ბიზანტიის საქმეს აკეთებდა, მაშინ მით უფრო წარმოუდგენელია მისთვის ამ საქმეში დახმარება გაენია გურგენს, რომელიც, როგორც შემდგომ დავინახეთ, არაერთხელ დაპირისპირებია ბიზანტიის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას აღმოსავლეთში.

ერთი სიტყვით, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ X ს. 90-იანი წლების კამპანია, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავ-

---

<sup>1</sup> შ. ბადრიძე. საქართველო და ბიზანტია., გვ. 55; შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან., გვ. 68-69. მკვლევრის ამ დასკვნას წინ უძღვის ვრცელი და დამაჯერებელი მსჯელობა ბიზანტიის იმპერატორის მიერ 979 წელს „ზემო ქვეყნების“ დავით კურაპალატისათვის „ბოძების“ იურიდიული შინაარსის დადგენისა და საერთოდ ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ხასიათზე. დანვრილ. იხ.: შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და., გვ. 57-67. {52}

და დავითის „საბრძანებლის საზღვრების გაფართოებას“, რომლის თავისი შვილობილისათვის გადაცემის იმედი მას არასდროს არ დაუკარგავს.<sup>1</sup> სწორედ ამით უნდა აიხსნას დავით ბაგრატიონის ასეთი ენერგიული გამოსვლა მაჰმადიანური საემიროების წინააღმდეგ და ის აქტიური მხარდაჭერაც, რომელიც მას აღმოუჩინა „მეფეთ-მეფე“ გურგენმა და, რომელიც ასევე იღწვოდა თავისი სამეფო ერთადერთი მემკვიდრისათვის – ბაგრატ „აფხაზთა“ მეფისათვის დაეტოვებინა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ დავით კურაპალატი ნამდვილად არ აპირებდა იმპერატორისადმი მიცემული პირობის შესრულებას და მისთვის თავისი ქვეყნის დატოვებას. მხედველობაში გვაქვს XI ს. სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის ცნობა დავით კურაპალატის მოწამვლის შესახებ.

მოგვითხრობს რა დავითის გარდაცვალების შემდეგ ბასილი კეისრის მოსვლაზე ტაოში, არისტაკესი წერს: „თვითმპყრობელი მეფე ბასილი, თავისი მეფობის ოცდამეხუთე წელს, დაიძრა მძიმედ შეიარაღებული, გამოემართა და მოაღწია ეკელეაცის გავარს,<sup>2</sup> ისე რომ, ბევრ ადგილას არც კი შეჩერებულა. ტაოელ აზნაურთა ჯარი შეეგება მას. **თითოეული მათგანი ღირსეულად იყო მისგან** (ე.ი. იმპერატორისგან – ზ.პ.) განდიდებული ძღვენით, მიაღწიეს რა ძღვეამო-

---

<sup>1</sup> სავსებით სამართლიანად მიუთითებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომ მიუხედავად იმპერატორთან დადებული ხელშეკრულებისა, დავით კურაპალატი არ კარგავდა თავისი სამფლობელოების ბაგრატ III-ისათვის დატოვების იმედს. იხ.: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნ. II, გვ. 128, 130.

<sup>2</sup> ამ ოლქისა და ჩამოთვლილი სხვა გეოგრაფიული სახელების შესახებ დანვრილებით იხილეთ ელ. ცაგარეიშვილის კომენტარები დართული არისტაკეს ლასტივერტცის თხზულების მის მიერ გამოცემული ქართული თარგმანისადმი (არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა **ე. ცაგარეიშვილმა**. თბ., 1974, გვ. 138-139). {53}

**სილებას, პატივსა და დიდებას, ფრიად განიხარეს.** მაგრამ აღსრულდა მათზე სულიწმინდის შთაგონებით მომღერლის, დავითის წინასწარმეტყველება... მეფე გადავიდა {53} ალორის ქვეყანაში<sup>1</sup> და ჰავაჭიჭის ციხის<sup>2</sup> მახლობლად ღამე გაათია. არ ვიცი რა მიზეზით, დასავლეთის ჯარი, რომელსაც რუზები ერქვა და აზნაურთა გუნდი, ერთმანეთს შეეტაკნენ. იმავე ადგილას აზნაურთაგან ფრიად საპატიო ოცდაათი კაცი დაიღუპა.<sup>3</sup> ეს მათ **ტყუილუბრალოდ არ შემთხვევიათ, რადგანაც მათ დიდ ხუთშაბათს სასიკვდილო წამალი შეურიეს სასმელს, შეასვეს მას** (დავით კურაპალატს – ზ.პ.), **ღამით მოახრჩვეს ნეტარი არსება. მათ მობეზრდათ მისი არსებობა. ყოველივე ეს გააკეთეს იმ დაპირებებისათვის, რომელიც მათ მეფემ** (ე.ი. ბასილი II-მ – ზ.პ.) **აღუთქვა.** ამისათვის ღმერთმა სამართლიანად მიუზღო (აზნაურებს) სამაგიერო მათი საქმეების შესაფერისად. ამ დღეს ტაოელთაგან არც ერთი აზნაური არ გადარჩენილა. მათ ბოლო მოუღო მოულოდნელმა სიკვდილმა და განაშორა სიცოცხლეს“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, ქართული..., გვ. 140.

<sup>2</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, ქართული..., გვ. 140.

<sup>3</sup> ამ კონფლიქტის შესახებ დანვრილებით იხ. **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 27-29.

<sup>4</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია..., გვ. 41 (ხაზგასმა ჩვენია). დავითის მოკვლის ფაქტს უფრო დანვრილებით აღწერს მათეოს ურჰაეციც: „რამდენიმე წლის შემდეგ მათ – (ე.ი. აზნაურებმა – ზ.პ.) ბოროტება განიზრახეს წმინდა და მართალი მთავრის დავითის მიმართ: (გადანყვიტეს) მისი მოკვლა. კაენისა და სხვა მკვლელთა მსგავსი ბოროტი მთავრები ამხედრდნენ და თავიანთი ბოროტი ზრახვებით შეაშინეს ქართველთა ქვეყნის ეპისკოპოსი. ამ ილარიონმა ღმერთი კვლავ ჯვარზე გააკრა, რადგანაც ცხოველმყოფელი სისხლი და ხორცი ქრისტესი სასიკვდილო წამალს შეჰრია და მხსნელი მკვლელი შეიქნა. შემდეგ კი მკვლელმა თავისი ძღვენი პირში ჩაუღო წმინდა მთავარს; ღვთის მოყვარე დავითმა იცოდა (ყოველივე), არაფერი არ თქვა, არამედ აიღო განსაკუთრებული წამალი და მით დაიყუჩა სხეულის სატკივარი, ხოლო ურჯულო ეპისკოპოსი ილარიონი კვლავ აღენთო ბოროტი განზრახვით, (ერთ დღეს), შევიდა მის ოთახში და ვიდრე

ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტე{54}რესო, მაგრამ, ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი რამ – მასში პირდაპირ არის ნათქვამი ის, რომ დავით კურაპალატის სიკვდილი მისი სიბერით არ იყო გამონვეული, რომ ის მონამლეს საკუთარმა დიდებულებმა უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორის დავალებით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არისტაკეს ლასტივერტეცი უაღრესად გათვითცნობიერებული (განსაკუთრებით ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის საკითხებში)<sup>1</sup> ისტორიკოსია და მისი

---

კეთილმსახურ დავითს მშვიდი ძილით ეძინა, აიღო მისი ბალიში, დაადო დავითს პირზე, ზედ დაეცა ძლიერი ძალით და წამებით მოახრჩო ღვთის მოყვარე დავით კურაპალატი. რამდენიმე წლის შემდეგ ბასილი მეფემ შეიპყრო ურჯულო ეპისკოპოსი ილარიონი, დიდი ქვა შეაბა მის კისერზე და ... სხვა... მომხრე აზნაურებთან ერთად ზღვაში ჩააგდო. ასე ამოწყდნენ ისინი წყევლით“ (**მათე ურჰაელი**. ისტორია, ნაწილი პირველი – **ელ. ცაგარეიშვილი**. სომხური წყაროები {54} საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ X-XI საუკუნეებში. – *მრავალთავი*, II. თბ., 1973, გვ. 198-199. იხ. აგრეთვე, **ელ. ცაგარეიშვილი**. არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“.., გვ. 19-20). როგორც ვხედავთ, არისტაკესისგან განსხვავებით, მათეოს ურჰაეცი, რატომღაც, არაფერს ამბობს ბასილი კეისრის მონაწილეობაზე დავითის მკვლელობაში და მთლიანად ამ აქტს „ბოროტ მთავრებს“ მიაწერს. უფრო მეტიც, ბიზანტიის იმპერატორი სომეხ ისტორიკოსს „სამართლიანობის დამცველადაც“ გამოჰყავს, რომელმაც შური იძია დავით კურაპალატის მოკვლისათვის და სასტიკად დასაჯა დავითის მკვლელები. მათეოს ურჰაეცის მონათხრობს იმეორებს ძირითადად სომეხი ისტორიკოსი სუმბატ სპარაპეტიც (იხ. **სუმბატ სპარაპეტი**. მათიანე. – **ელ. ცაგარეიშვილი**. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის..., გვ. 200-201).

<sup>1</sup> აი რას წერს ამასთან დაკავშირებით კ. იუზბაშიანი: „Осведомленность Аристакеся в вопросах, связанных с византийской действительностью, носила не только книжный характер, так как он происходил из той части Армении, которая с конца IX в. была включена в состав империи“. **К. Н. Юзбашян**. Аристакеся Ластивертци и его исторический труд. – *„Повествование“ варданета Аристакеся Ластивертци*. Перевод с древнеармянского, вступительная статья, комментарии и приложения **К. Н. Юзбашяна**.

ცნობების რეალურობაში ძნელია ეჭვის შეტანა. ამდენად, მის მიერ მოტანილი ფაქტები დავით ბაგრატიონის მოწამვლის შესახებ, ძალზე მნიშვნელოვანია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რამ აიძულა ბასილი II მიემართა ასეთი რადიკალური ზომებისათვის? განა მხოლოდ იმან, რომ ის ბოლომდე არ ენდობოდა იმიერტაოს მმართველს და, უბრალოდ, „შესაფერის მომენტს ეძებდა მის მიერ დავით კურაპალატისათვის ბოძებული მიწა-წყლის კვლავ უკან დასაბრუნებლად“, როგორც ამას ფიქრობს ელ. ცაგარეიშვილი?<sup>1</sup> არა გვგონია. ჯერ ერთი, ბასილი {55} კეისარი 989 წლის შემდეგ ითვლებოდა კურაპალატის მემკვიდრედ და ისედაც ერგებოდა დავითის მიწა-წყალი და მეორეც, ტაოს მმართველი X ს. მინურულისათვის უკვე საკმაოდ ასაკოვანი იყო<sup>2</sup> და იმპერატორს დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირდებოდა ნაანდერძევი ქვეყნის ხელში ჩასაგდებად.

მაშ, რაში დასჭირდა ბიზანტიის ხელმწიფეს მოვლენების ფორსირება და მოხუცი კურაპალატის გზიდან ჩამოცილება? ერთადერთი პასუხი ამ კითხვაზე ის შეიძლება იყოს, რომ ამ დროისათვის ცბიერი კეისარი რატომღაც დაეჭვდა თავისი ვასალის ერთგულებაში. ეტყობა, ამ დროისათვის მოხდა ისეთი რამ, რამაც დაარწმუნა იმპერატორი იმაში, რომ კურაპალატი არ აპირებდა თავისი პირობის შესრულებას და ამიტომ მისი მოშორება გადანყვიტა. ნიშანდობლივია ასევე ტაოელ დიდებულთა პოზიციაც. ისინი მხარში ამოუდ-

---

M., 1968, გვ. 24. ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. აგრეთვე ე. ცაგარეიშვილი. არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“. – არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია., გვ. 24.

<sup>1</sup> ელ. ცაგარეიშვილი. სომხური წყაროები., გვ. 164. {55}

<sup>2</sup> ცნობილია, რომ 998 წ. ლაშქრობაში ამირა მამლანის წინააღმდეგ, დავით კურაპალატმა მოხუცებულობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო და ამიტომ სარდლად გაბრიელ ოჩოპინტრეს ძე დანიშნა (იხ.: *Всеобщая история Степаноса Таронского.*, გვ. 194-196; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 129; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების., გვ. 483).



გნენ ბასილი II-ს და საჩქაროდ ჩააბარეს იმიერტაო, რისთვისაც მისგან დიდება და პატივი დაიმსახურეს.

რა იყო ტაოელ დიდაზნაურთა ასეთი აჩქარების მიზეზი? რა ისეთი აუტანელი პირობები შეექმნათ მათ მაინც და მაინც მაშინ, როდესაც დავით კურაპალატი საცაა უნდა მომკვდარიყო? ვფიქრობთ, ამ მოვლენების ერთადერთი ახსნა შეიძლება მხოლოდ იმაში ვეძიოთ, რომ ორივე მხარეს, როგორც ბიზანტიის საიმპერიო ხელისუფლებას, ისე დავითის ხელქვეით მყოფ აზნაურებს, ეშინოდათ დანარჩენ საქართველოსთან იმიერტაოს მიერთების და იქ ბაგრატ III-ის ერთპიროვნული სამეფო ხელისუფლების დამყარებისა. ერთი სიტყვით, სახეზე გვაქვს ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტიპური სიტუაცია, როდესაც აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსწრებული თქმით იშლება „ყოველივე ეროვნული საზღვარი, კლასობრივი ინტერესების დაკმაყოფილების იმპერატივის ქვეშ“.<sup>1</sup> სავსებით დასაშვებია, რომ იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, და {56} ვით კურაპალატმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები კეისართან დადებული „შეთანხმების“ დარღვევისა და, შესაძლებელია, სიცოცხლეშივე, მთელი თავისი მინა-წყალის ბაგრატ III-ისათვის გადასაცემად.

ეს, ალბათ, განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა 990 და 998 წლების სამხედრო კამპანიის დროს, როდესაც დავით კურაპალატმა, როგორც ზემოთ დავინახეთ, განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლის მიზანი იყო დაპყრობილ ტერიტორიებზე არა ბიზანტიური მფლობელობის დამყარება, არამედ იქ ქართული მოსახლეობის ჩასახლება და ამ მხარის მთლიანად გაქართველება. ამას კი, რასაკვირველია, ვერ მოითმენდა ბიზანტიის ხელისუფლება და მანაც საპასუხო ღონისძიებები არ დააყოვნა.<sup>2</sup> ყოველივე ზემოთქმუ-

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება..., გვ. 22 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). {56}

<sup>2</sup> ეხება რა ამ საკითხებს ალ. აბდალაძე ასევე საეჭვოდ არ მიიჩნევს, რომ ბიზანტიის მესვეურებმა მოანყვეს დავით კურაპალატის მკვ-

ლიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი მსჯელობა 989 წელს ბასილი კეისარსა და დავით კურაპალატს შორის დადებული „შეთანხმების“ „ანტიაფხაზურ“ (ე.ი. ბაგრატ III-ის სახელმწიფოს საწინააღმდეგო) მიმართულებაზე საფუძველს მოკლებულია.

ამრიგად, ჩვენი დაკვირვებები დავით კურაპალატის საშინაო {57} თუ საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ იმიერტაოს მმართვე-

---

ლელობა. მკვლევრის აზრით, 989 წლის ანდერძი არ იყო გულწრფელი და ბიზანტიის იმპერიას სულაც არ ჰქონდა გარანტირებული დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელოს ხელში ჩაგდება და ამიტომ კეისარს აფიქრებდა კიდევ დავითის წარმატებები. (ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში., გვ. 247). დავით კურაპალატს ბასილი კეისრის აგენტების მიერ მონამულულად თვლის აგრეთვე ვ. სტეპანენკოც. (იხ. **В. П. Степаненко.** К датировке получения сана курапалата Давидом II, Багратидом Тао. – *თსუ შრომები*, ტ. 227. თბ., 1982, გვ. 76-77). განსხვავებული აზრი ჰქონდა ამ საკითხზე ცნობილ ქართველ ისტორიკოსს ზ. ავალიშვილის, რომელსაც სომხურ წყაროებში ასახული ვერსია დავით კურაპალატის მოკვლის შესახებ ანტიბერძნულ და ანტიქალკედონიტურ წრეში გაჩენილად მიაჩნდა და მას მაინც და მაინც სანდოდ არ თვლიდა. ამასთან, მეცნიერი უშვებდა, რომ დავით კურაპალატი შეიძლებოდა თავისი სიკვდილით არ მომკვდარიყო, მაგრამ, ამ შემთხვევაში მის სიკვდილში ის ბაგრატ III-ის ხელს ხედავდა (**Avalishvili Z.** La succession du curapalate David d' Iberie, dynaste de Tao – Byz., VIII, 1933, გვ. 190-191; **К. Н. Юзбашян.** Армянские государства эпохи Багратидов и Византия., გვ. 141). კ. იუზაშინი არ ეთანხმება ზ. ავალიშვილის დასკვნას და სამართლიანად {57} შენიშნავს, რომ აღნიშნული გარემოება (ე.ი. დავითის მოკვლის შესახებ ვერსიის შექმნა ანტიქალკედონურ და ანტიბერძნულ წრეში – **ზ.პ.**) უფრო მეტყველებს დავითის სიკვდილის მიზეზების არისტაკესისეული ახსნის სისწორეზე. აქვე მკვლევარი სავსებით სწორად დასძენს, რომ „Баграт III становился серьезным соперником и Василий II решил предупредить события“ (**К. Н. Юзбашян.** Армянские государства эпохи., გვ. 141).

ლის ვასალური დამოკიდებულება ბიზანტიის საიმპერატორო კარისადმი (90-იან წლებამდე მაინც) საკმაოდ ფორმალური იყო, ფაქტობრივად გამორიცხავდა იმპერიის აქტიურ ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში და დავითის გამაერთიანებელი საქმიანობისათვის ხელის შეშლას, მით უფრო, რომ ბიზანტიას ამის საბაზი არც ექნებოდა, რადგან არც ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა ბიზანტიის ჰეგემონობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშის ქვეშ ეწარმოებინათ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართული პოლიტიკური ერთეულების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე, სრულებითაც არ იყო აუცილებელი ამ ბრძოლისათვის ანტიბიზანტიური ხასიათის მიცემა. ამდენად, ის აზრი თითქოს ერთიანი ქართული სახელმწიფო მაინც და მაინც ბიზანტიასთან შეურიგებელ ბრძოლაში უნდა აღმოცენებულიყო, ისევე როგორც თავის დროზე ლეონ II-ის „აფხაზთა“ სამეფო,<sup>1</sup> სწორად არ გვეჩვენება. ეს შეხედულება მით უფრო საეჭვოა, რომ ჩვენ, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არ გვაქვს არც ერთი, რამდენადმე ხელმოსაკიდი ფაქტი ბაგრატ III-ის მხრიდან ბიზანტიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა.

ზემოთ შევნიშნეთ, რომ 978-დან 1014 წლამდე, როდესაც ბაგრატ III-მ თანმიმდევრულად შემოიმტკიცა ყველა ძირითადი ქართული რეგიონი და საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, ბიზანტიის იმპერიას პრაქტიკულად არ გადაუდგამს რამდენადმე სერიოზული ნაბიჯი საქართველოს გაერთიანების პროცესის შესაჩერებლად; ერთადერთი ფაქტი, რომელიც გამოიწვევდა (და გამოიწვია კიდევ) ქართული პოლიტიკური წრეების {58} უკმაყოფილებას, 1001 წელს ბასილი კეისრის მიერ დავითის სამფლობელოების დაკავება იყო, მაგრამ ამ აქტს, ვიმეორებთ, იურიდიული სა-

---

<sup>1</sup> გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 13. {58}

ფუძველი ჰქონდა და ამდენად ის, მაინცდამაინც, ვერ ჩაითვლება ბაგრატ III-ისა და საქართველოში მიმდინარე გამაერთიანებელი მოძრაობის წინააღმდეგ გატარებულ „განსაკუთრებულ“ ღონისძიებად, თუმცა სხვა სიტუაციაში, ალბათ, საქართველოს პოლიტიკური ძალები შეეცდებოდნენ (მოგვიანებით შეეცადნენ კიდეც) აღეკვეთათ ბასილი კეისრის მიერ ტაოს მიწების ანექსია.

იმ დროისათვის კი, ეტყობა, არ იყო სამხედრო და პოლიტიკური რესურსები ძლევამოსილი იმპერატორისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მართალია, „მეფეთ-მეფე“ გურგენმა ვერ დამალა უკმაყოფილება და ენერგიულად გაიბრძოლა დავითის სამემკვიდრეოსათვის, მაგრამ მის ამ გამოსვლას, როგორც ეს ნაჩვენებია იქნება ქვემოთ, არა ჰქონია ქართული პოლიტიკური სამყაროს, საერთოდ ბიზანტიასთან დაპირისპირების პრეტენზია. რაც შეეხება „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-ს, მისი მხრიდან რაიმე კონკრეტული ანტიბიზანტიური მოქმედებების ვერავითარ კვალს ვერ ვხედავთ, პირიქით, იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა კეთილმეზობლური ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან, მან ბასილი კეისრის უზენაესობაც კი (უნდა ვივარაუდოთ ფორმალური) ცნო და ამის დასტურად კურაპალატის ტიტულიც მიიღო. ამაზე შორს ბიზანტიის იმპერია „აფხაზთა“ სამეფოსთან, შემდგომ კი – გაერთიანებულ საქართველოსთან, ურთიერთობაში ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში არ წასულა.

ყოველივე ეს, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სრულიადაც არ ნიშნავს, იმას, რომ ბიზანტია მოსურნე იყო საქართველოს გაერთიანება-განმტკიცებისა. პირიქით, იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ყოველმხრივ ზრუნავდა სომხური და ქართული ტერიტორიების ხარჯზე თავისი საზღვრების გაფართოებას აღმოსავლეთში (ამან, როგორც დავინახავთ, განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო XI ს. 20-იანი წლებიდან), ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ არ ჰყოლოდა მოქიშპე ამ რეგიონში. მაგრამ იმ საშინაო და საგა-

რეო-პოლიტიკურმა გართულებებმა, რომელიც თავს დაატყდა ბასილი კეისრის მთავრობას X ს. 70-80-იან წლებში, იმპერიის ხელისუფლებას საშუალება არ მისცა ხელი შეეშალა „აფხაზთა“ **{59}** სამეფოს ირგვლივ დანარჩენი საქართველოს გაერთიანებისათვის. უფრო მეტიც, კონსტანტინინეპოლი, ეტყობა, იძულებული შეიქნა ოფიციალურად ეცნო ბაგრატის სახელმწიფო.

ბასილი კეისრის მიერ ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება, ჩვენი აზრით, არა იმდენად „აფხაზთა“ მეფის მიერ იმპერატორის უზენაესობის აღიარების გამოხატულება იყო, რამდენადაც იმპერიის მიერ „აფხაზთა“ სამეფოს ახალ საზღვრებში ცნობისა და ბაგრატ III-ის ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად აღიარების აქტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბაგრატ III, ფაქტობრივად, ბიზანტიის ისეთივე „ვასალად“ იქცა, როგორც იყო დავით კურაპალატი. მაგრამ ამით მას სრულებით არ შეშლია ხელი წარმატებით დაეგვირგვინებინა 975-978 წლებში წამოწყებული საქართველოს გაერთიანების საქმე.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ბაგრატ III-მ, როგორც ცნობილია, კურაპალატობა მიიღო 1001 წელს დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც იგი ჯერ კიდევ მხოლოდ „აფხაზთა“ მეფედ რჩებოდა. მისი სამფლობელოების ნამდვილი გაფართოება კი სწორედ 1001 წლის შემდეგ დაიწყო. 1008 წელს ის, როგორც ჩანს, ყოველგვარი გართულების გარეშე, დაეუფლა მამის – გურგენის კუთვნილ „ქართველთა“ სამეფოს, ხოლო შემდეგ კახეთ-ჰერეთიც შემოიმტკიცა. ამავე დროს ბაგრატმა მიიერთა კლარჯეთის ბაგრატიონების სამფლობელოები, რომელთა წარმომადგენლები (ბაგრატ სუმბატის ძე და დემეტრე გურგენის ძე) იძულებული შეიქნენ ბიზანტიის ხელისუფლებისათვის ეთხოვათ თავშესაფარი, არც ერთ ამ აქციას ბიზანტიის მხრიდან არათუ „უკიდურესად მკვეთრი“, არამედ საერთოდ არავითარი რეაქცია არ გამოუწვევია. თუ ბასილი კეისარი კახეთ-ჰერეთს ვერ განუდებოდა, „ქართველთა“ სამეფოსათვის მაინც უნდა გამოედო თავი და არ დაენებებინა იგი „აფხაზთა“ მეფისათვის (აკი ბიზანტია ცდილობდა წინააღმდეგობა და „აფხაზეთის“ ჰეგემონობით საქართველოს გაერთიანებას). მაგრამ, ეტყობა, ბიზანტიას იმხანად არ შეეძლო რაიმე სერიო-

ერთი სიტყვით, არც ბაგრატ III მოჩანს საქართველოში ანტიბიზანტიური ძალების მესვეურად და არც მისი სახელმწიფო ბიზანტიასთან შეურიგებელ ბრძოლაში შექმნილ პოლიტიკურ ერთეულად, ლეონ II-ის სახელმწიფოსგან განსხვავებით. ქართული მიწების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის ბრძოლის ამ ეტაპზე (975-1014 წწ.), ეტყობა, სრულებითაც არ ყოფილა აუცილებელი ამ ბრძოლისათვის აშკარად ანტიბიზანტიური ხასიათის {60} მიცემა. ქვეყნის გაერთიანებისათვის ამ დროს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა (ეს, რასაკვირველია, იმპერიის დროებითი დაუძღვრებით აიხსნება) ბიზანტიასთან კეთილმეზობლური, მშვიდობიანი (თუნდაც, კონსტანტინოპოლის აღიარების ხარჯზე) ურთიერთობის შენარჩუნება. ასე რომ, ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების (როგორც დავით კურაპალატის, ისე ბაგრატ III-ის) ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულება X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში ვერ იქცა ხელის შემშლელ გარემოებად საქართველოს გაერთიანების საქმეში. ბიზანტიის იმპერიამ ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობა გაენია გამაერთიანებელი მოძრაობისათვის საქართველოში და იძულებული გახდა ოფიციალურადაც კი ეცნო ბაგრატ III-ის ჰეგემონობით შექმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფო.<sup>1</sup> {61}

---

ზული წინააღმდეგობის განწევა გაძლიერებული ბაგრატიანთა და, როგორც იტყვიან, „ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა“. {60}

<sup>1</sup> ამრიგად, „მატიანე ქართლისაჲს“ და სხვა წყაროების მასალებზე დაყრდნობით, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში მიღებულ შეხედულებას დავით კურაპალატზე, როგორც ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ერთ-ერთ ინიციატორსა და მოთავეზე, სრული საფუძველი გააჩნია. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სრულებითაც არ ნიშნავს გამაერთიანებელ მოძრაობაში „აფხაზთა“ სამეფოს და მისი მესვეურების როლის დაკნინებას. პირიქით, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ იმ აზრს, რომ სწორედ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურმა წრეებმა, იოანე მარუშის ძის მეთაურობით, გამოიჩინა ინიციატივა და გადადგეს პირველი ნაბიჯები ბაგრატ უფლისწულის „აფხაზეთში“ გამეფებისა და მის გარშემო სხვა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საკითხი იმის შესახებ, რომ 975-და 978 წლების აქტების უკან იდგა კონსტანტინოპოლი და რომ დავით ბაგრატიონს ბიზანტიის საიმპერატორო კარის ვასალობა არ მისცემდა საშუალებას სათავეში ჩადგომოდა გამაერთიანებელ მოძრაობას საქართველოში, უნდა მოხსნას.

---

ქართული მიწების შემოკრების საქმეში. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ იოანე მარუშის ძისა და მისი მომხრეების პოლიტიკური გეგმების რეალიზაცია დავით კურაპალატის (და არა სხვა ვინმეს) ძალითა და უშუალო ხელმძღვანელობით მოხდა. ეს კი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ არა მარტო „აფხაზთა“ სამეფოს მესვეურები, არამედ ტაო-კლარჯეთის პოლიტიკური ლიდერებიც და, პირველ რიგში, დავით კურაპალატი აშკარად ამჟღავნებდნენ გამაერთიანებელ მისწრაფებებს. ამ ტენდენციების ნათელი გამოხატულება იყო უშვილო დავითის მიერ თავის მემკვიდრედ ბაგრატ უფლისწულის აყვანა. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ იმიერტაოს მფლობელის მიერ თავის მემკვიდრედ, მაინცდამაინც ბაგრატის (რომელსაც მამის მხრიდან ტაოს დანარჩენი ნაწილი უნდა რგებოდა, ხოლო დედის ხაზით, „აფხაზთა“ მეფის შვილიშვილად მოდიოდა) შერჩევა იმთავითვე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით გაკეთდა. რასაკვირველია, ამ საქმის ინიციატორად დავითი უნდა მივიჩნიოთ. არც ის უნდა ინვევედეს ეჭვს, რომ ამ დროისათვის (X ს. 70-იანი წლების შუა ხანებში) დავით კურაპალატი, ფაქტიობრივად, მთელი ტაო-კლარჯეთის განმგებელი იყო და სხვა ბაგრატიონ ხელისუფლებებზე (ბაგრატ II, გურგენი) აშკარად მალლა იდგა. ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა აგვეხსნა {61} ნა თუნდაც ის აქტიურობა რომელიც ტაოს მმართველმა გამოიჩინა 975 და 978 წლებში. ასევე საინტერესოა, რომ იოანე მარუშის ძემ ბაგრატის ქართლში დასმისა და შემდგომ მისი „აფხაზეთში“ გამეფების ნებართვა სთხოვა არა ნამდვილ მამას – გურგენს ან პაპას „ქართველთა“ მეფე – ბაგრატ II-ს, რომელთა სამფლობელოები გაცილებით უფრო ახლოს იყო ქართლთან, ვიდრე იმიერტაო, არამედ გამზრდელს – დავით კურაპალატს. ეს ფაქტი აშკარად მონიშნავს, რომ X ს. ბოლო მესამედში „ქართველთა“ საქმეფოში სწორედ მას შეეძლო გაძლოლოდა გამაერთიანებელ მოძრაობას და განეხორციელებინა ის აქტები, რომლებმაც შემდგომში შესაძლებელი გახადა ქართული მიწების გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა. {62}

### 3. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება XI ს. დასაწყისში და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში

ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რთული იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა X ს. 70-იანი წლებიდან, როდესაც ფეოდალური საქართველოს მონინავე პოლიტიკურმა წრეებმა, დავით კურაპალატის ხელმძღვანელობით, განახორციელეს ორი უალრესად მნიშვნელოვანი აქტი: ჯერ (975 წელს) ქართლში მმართველად დასვეს, ხოლო შემდეგ (978 წელს) „აფხაზეთში“ გაამეფეს ახალგაზრდა ბაგრატ უფლისწული რომლის გარშემო თანმიმდევრულად გაერთიანდა ძირითადი ქართული რეგიონები: „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოები, კახეთ-ჰერეთი და XI ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა ერთიანი ცენტრალიზებული მონარქია.

ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნით სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში. ამიერიდან საერთაშორისო არენაზე ოთხი სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის ნაცვლად, გამოსვლას იწყებს ერთიანი ძლიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც, საერთოდ, მთელი ქართული სამყაროს პოლიტიკური ინტერესების დამცველი უნდა ყოფილიყო და ამდენად სრულიად განსხვავებული სტატუსი ექნებოდა საერთაშორისო ურთიერთობებში. ადრე, როგორც ცნობილია, **{62}** თითოეულ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას თავისი მეტ-ნაკლებად სუვერენული სტატუსი გააჩნდა და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ასეთ ვითარებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც ქართლისა და ეგრისის სამეფოების ნანგრევებზე აღმოცენებული სამეფო-სამთავროების (კახეთი, ჰერეთი, „აფხაზთა“ სამეფო), ტაო-კლარჯეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ერთეულებად ფორმირების ერთ-ერთ



უმთავრეს კრიტერიუმად იქცა მათ მიერ დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური სტატუსის მოპოვება.

თითოეული ამ სამეფო-სამთავროთაგანის ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, უშუალოდ იყო დაკავშირებული მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ გართულებებთან. კახეთის სამთავრო არაბებთან ბრძოლაში აღმოცენდა,<sup>1</sup> შერეთის სამთავრო კი, პირიქით, კახეთის სამთავროს საპირისპირო კურსს ატარებდა.<sup>2</sup> ასევე არაბ ამირასთან წინააღმდეგობების გამწვავებამ აიძულა ქართლის ერისმთავარი – აშოტ ბაგრატიონი – გაქცეოდა არაბებს და საფუძველი ჩაეყარა ახალი ქართული სახელმწიფოსათვის ტაო-კლარჯეთში, რომელმაც შემდგომ „ქართველთა“ სამეფოს სახელწოდება მიიღო. ეს პოლიტიკური აქტი ბიზანტიის იმპერიის მფარველობით და მხარდაჭერით განხორციელდა.<sup>3</sup>

ძლიერი „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნას დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიზანტია-ხაზარეთის დაპირისპირებამ, რომლითაც ისარგებლა „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) მთავარმა ლეონ II-მ და ხაზართა ხაკანის დახმარებით უარყო ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა და თავი დამოუკიდებელ ხელმწიფედ გამოაცხადა.<sup>4</sup> თანდათანობით ცალკე {63} ჩამოყალიბდა თბილისის სა-

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური..., გვ. 78; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 380-381, 382, 595; თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982, გვ. 158.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს..., გვ. 176; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური..., გვ. 405, 409; თ. პაპუაშვილი. შერეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1970, გვ. 173-190.

<sup>3</sup> С. Н. Джанашия. Об одном примере искажения исторической правды..., гв. 20; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 173; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 449, 462-463.

<sup>4</sup> С. Н. Джанашия. О времени и условиях возникновения Абхазского царства. – *შრომები*, ტ. II. Тბ., 1952, გვ. 339. З. В. Анчабадзе. Из истории {63} средневековой Абхазии, Сухуми, 1959, гв. 96; მ.

ამიროც, რომელმაც დროთა განმავლობაში ისარგებლა რა ხალიფატის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით, ასევე მოიპოვა დამოუკიდებელი პოლიტიკური სტატუსი.<sup>1</sup>

ამ დროიდან (VIII-IX სს. მიჯნა) დაწყებული, დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში, ეს სამეფო-სამთავროები დამოუკიდებლად მოქმედებდნენ საერთაშორისო არენაზე და ცდილობდნენ ისეთი საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარებას, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ცალკე არსებობას და ხელს შეუწყობდა წარმატებით ბრძოლას პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის საქართველოში. ამიტომ, ძალიან ხშირად, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური ინტერესები სრულიად საპირისპირო იყო და ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ერთეულის საგარეო-პოლიტიკურ კურსს ქვეყნის შიგნით მიმდინარე ფეოდალური შინაომები განსაზღვრავდა.

თავის მხრივ, უცხო ძალები მთელი ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ ჩარეულან საქართველოს საშინაო საქმეებში. ყველა ისინი, არაბები იყვნენ თუ ბიზანტიელები, ან მეზობელი სომხეთის პოლიტიკური მოღვაწენი, ცდილობდნენ, საბოლოო ანგარიშში არ დაეშვათ რომელიმე ქართული პოლიტიკური ერთეულის ისე გაძლიერება, რომ მას მოეხერხებინა დანარჩენი ქართული ქვეყნების „ჩაყლაპვა“ და ძლიერი ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც მტკიცედ დაიკავებდა თავის ადგილს საერთაშორისო არენაზე და თვით განაცხადებდა ლიდერობის პრეტენზიას კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. ყოველივე ეს უთუოდ ართულებდა შინა-პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში, მნიშვნელოვნად აფერხებდა ერთიანი საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას და შეუძლებელს ხდიდა საერთაშორის-

---

**ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., გვ. 185; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური..., გვ. 418.

<sup>1</sup> **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს..., გვ. 494. {64}

სო არენაზე საერთო პოლიტიკური კურსით გამოსვლას.

მაგრამ X ს. 70-იან წლებში, როდესაც დაიწყო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დასკვნითი ეტაპი, კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში, როგორც უკვე აღინიშნა, არ იყო ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა საქართველოს საშინაო {64} საქმეებში ჩარევას და ქვეყნის გაერთიანების პროცესის შეჩერებას. მიუხედავად ამისა, ბაგრატ III თავის გამაერთიანებელ საქმიანობაში მაინც წააწყდა გარკვეულ წინააღმდეგობებს. მართალია, ჩვენი ნაშრომის მიზანს არ შეადგენს უშუალოდ ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის აღნიშნული ეტაპის გაშუქება, მაგრამ იმისათვის, რომ სრულყოფილად წარმოვაჩინოთ იმ სახელმწიფოებრივი ერთეულის როლი და ადგილი XI ს. დასაწყისის საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც შექმნა ბაგრატ III-მ, საჭიროდ მიგვაჩნია, ყურადღების გამახვილება ზოგიერთ ისეთ საკითხზეც, რომელიც უშუალოდ ეხება ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირების შინა-პოლიტიკურ ასპექტებს და, ერთი შეხედვით, არავითარი კავშირი არა აქვს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობასთან. კერძოდ, შევჩერდებით ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულებისა თუ ფეოდალური წრეების ბაგრატ III-ის ცენტრალისტური მისწრაფებებისადმი დამოკიდებულების ზოგიერთ მომენტზე.

როგორც უკვე ნაჩვენები იყო წინა თავში, X ს. 70-იანი წლებისათვის, როდესაც გადაიდგა გადამწყვეტი ნაბიჯები ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ქვეყანაში (განსაკუთრებით კი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოებში) აშკარად ჭრბობდნენ გაერთიანების მომხრე ძალები. მიუხედავად ამისა, ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი სრულებითაც არ ყოფილა მშვიდობიანი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ცალკეული რეგიონები, კერძოდ კი კახეთი და ჰერეთი აშკარად ამულავნებდნენ საწინააღმდეგო ტენდენციებს და ყოველმხრივ

ცდილობდნენ თავიანთი დამოუკიდებელი სტატუსის შენარჩუნებას საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ მხრივ განსაკუთრებით კახეთის საქორეპისკოპოსოს მმართველი წრეები აქტიურობდნენ.

როგორც ცნობილია, კახეთის სამთავროს წარმოქმნის დღიდან აქტიურად ჩაება საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის ბრძოლაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ქორეპისკოპოსმა გრიგოლმა (VIII ს. დასასრული), ისარგებლა რა ქართლის ერისმთავრის აშოტ ბაგრატიონის ტაო-კლარჯეთში გადასვლით, უმაღლესი დისკუსიონი შეიქმნა ქართლი.<sup>1</sup> ამ დროიდან, მთელი ორი {65} საუკუნის განმავლობაში, კახელები არ ეხსნებოდნენ ამ ოლქს<sup>2</sup> და დროდადრო ახერხებდნენ კიდევ მის ხელში ჩაგდებას. მას მერე, რაც „აფხაზთა“ მეფეები გაძლიერდნენ (დაახლოებით IX ს. II ნახევრიდან), ისტორიული ქართლის ეს ნაწილი ძირითადად მათ კონტროლის ქვეშ მოექცა; თუმცა საკმარისი იყო „აფხაზთა“ სამეფოს რაიმე სიძნელეები შექმნოდა, რომ კახეთი ეგრევე გადადიოდა შეტევაზე და ცდილობდა შიდა ქართლის „სამეფოსაგან“ ჩამოცილებას.

ასე მოხდა 70-იან წლებშიც, როდესაც კახეთის ხელისუფლება შეეცადა გამოეყენებინა „აფხაზთა“ სამეფოს დასუსტება (რაც გამოწვეული იყო დასავლეთ საქართველოში ამტყდარი შინა-ფეოდალური ომით) და მოინდომა შიდა ქართლის მიტაცება. კახელთა ამ ზრახვებს წინ აღუდგა ქართლის

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 252-253. {65}

<sup>2</sup> საისტორიო მეცნიერებაში საგანგებოდ არის აღნიშნული შიდა ქართლის მნიშვნელობა. მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ობიექტი სწორედ ეს რეგიონი იყო. ის წარმოადგენდა „ქვეყნის შუაგულს“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 101. **მ. ლორთქიფანიძე**. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა..., გვ. 513-516. **Г. В. Цулая**. Источниковедческие проблемы «Летописи Картли». – *Летопись Картли*. Перевод... **Г. В. Цулая**, გვ. 28.)

ერისთავი იოანე მარუშის ძე, რომელმაც „წარავლინა მოციქული“ დავით კურაპალატთან და შესთავაზა მას ან თვითონ დაეკავებინა ქართლი, ან ებოძებინა ის ბაგრატიანთაგან, „რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“.<sup>1</sup> როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობიდან ჩანს, ქართული ქვეყნების ბაგრატი უფლისწულის ირგვლივ შემოკრების იდეა შემუშავდა კახთა მოძალების საპირისპიროდ. ეს იმას ნიშნავს, რომ „აფხაზეთისა“ (დასავლეთ საქართველო) და „ქართველთა“ სამეფოს მესვეურები, კახეთის ხელისუფალთაგან განსხვავებით გამაერთიანებელი ტენდენციების მატარებლები იყვნენ.<sup>2</sup>

**{66}**

კახეთის სამთავროს მესვეურებს კარგად ჰქონდათ

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 272.

<sup>2</sup> ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში არცთუ მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა დინასტიურმა მომენტებმა: ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მემატიანე ხაზგასმით მიუთითებს „აფხაზეთის“ პრიორიტეტზე ბაგრატიან დინასტიური მდგომარეობის გაშიფვრისას: „*ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი*“, ე.ი. წინა პლანზეა წამოწეული ბაგრატიანთა, როგორც „აფხაზეთა“ მეფეთა მემკვიდრის, მდგომარეობა, მაშინ, როცა ხსენება არ არის **{66}** „ქართველთა“ სამეფო სახლის მემკვიდრეობაზე. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ბაგრატიან ქართლში დასმა არ იყო „ანტიაფხაზეთური“ აქტი, რაც თითქოსდა იმაში გამოიხატა, რომ შიდა ქართლი უფლისციხითურთ გადავიდა დავით კურაპალატის მფლობელობაში, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი მკვლევარი (იხ.: **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II. თბ., 1980, გვ. 225). პირიქით, ქართლის ბაგრატიან ხელში გადასვლა მიზნად ისახავდა „აფხაზეთის“ ხელისუფლების განმტკიცებას აღმოსავლეთ საქართველოში, რადგან ის (ე.ი. ბაგრატი) ქართლში ჯდებოდა როგორც დასავლეთ საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენელი. ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში ჰეგემონურ როლს ისევ და ისევ „აფხაზეთა“ სამეფო ინარჩუნებდა. (**გ. მელიქიშვილი**. ფეოდალური საქართველოს.., გვ. 18-24). სხვა საკითხია, რომ ყოველივე ამის უკან იდგა დავით კურაპალატი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა თავისი შვილობილის – „აფხაზეთა“ მეფის ბაგრატი III-ის ირგვლივ ქართული მიწების თავმოყრას.

შეგნებული, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლდა ბაგრატიის ქართლში გაბატონებას და ამიტომ მათ ენერგიულად გაილაშქრეს შიდა ქართლში ახალი ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ. კახეთის ხელისუფალთა ეს გამოსვლა, ისევე როგორც ადრე, ამჯერადაც უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართლის ფეოდალური წრეების სეპარატისტულ მოძრაობასთან. შიდა ქართლის დიდაზნაურებმა სხვაზე უნინ იგრძნეს ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების დამყარების საშიშროება და უმაღვე შეეცადნენ ბაგრატიის თავიდან მოცილებას. კახელებმა და ქართლის აზნაურობამ დალაშქრეს უფლისციხე და შეიპყრეს „*გურგენ და ძე მისი ბაგრატი და დედოფალი გურანდუხტი*“.<sup>1</sup>

დავით კურაპალატის ენერგიული ჩარევის შედეგად გაათავისუფლეს დატყვევებულნი, თუმცა, როგორც ჩანს ტაოს მმართველმა სრულ წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. ამ დროს ვერ მოხერხდა ბაგრატიის ხელისუფლების აღდგენა ქართლში. დავით კურაპალატს, შესაძლებელია, ერთგვარ დათმობაზე წასვლა მოუხდა ქართლის აზნაურებისა და მათი კახელი მფარველების მიმართ და იძულებული გახდა ქართლის მმართველად დაეტოვებინა არა უფლისწული ბაგრატი, არამედ მისი დედა გურანდუხტი, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას „*მატიანე ქართლისაჲს*“ ერთი შეხედვით უცნაური ცნობა იმის შესახებ, რომ „*მას ჟამსა* (ე.ი. იმ დროს, როდესაც კახელებმა დავით კუ**{67}**რაპალატის მოთხოვნით გაათავისუფლეს დატყვევებული ბაგრატი და მისი დედ-მამა – **ზ.პ.**) *ეპყრა უფლისციხე და ქართლი გურანდუხტი დედოფალსა*“.<sup>2</sup>

დავით კურაპალატმა, რომ მართლაც ვერ მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას კახელებზე, იქიდანაც ირკვევა, რომ მათ ქართლისა და უფლისციხის დათმობის სანაცვლოდ „*წირქუალის ციხე და გრუი... დაიჭირეს*“.<sup>3</sup> საინტერესოა აგ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 274. **{67}**

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 275.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 275.

რეთვე „მატიანე ქართლისაჲს“ ზოგიერთი სხვა მასალაც, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ გურანდუხტ, ერთი პერიოდი, ნამდვილად იყო ქართლის განმგებელი. მხედველობაში გვაქვს „მატიანის“ ცნობები უკვე „აფხაზეთში“ გამეფებული ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ქართლის აზნაურთა გამოსვლის შესახებ. „შემდგომად ამისა გარდამოვიდა (ბაგრატ – **ზ.პ.**) ქართლს, რათა განაგნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. მოვიდა და დადგა თილუას. ხოლო მას ჟამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არ ენება გარდამოსვლა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, დაღაცათუ იყვნეს მორჩილებასა შინა გურანდუხტისა. იწინამძღურეს ქავთარ ტბელი,<sup>1</sup> მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა. იხილა რა ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზახნა სპათა თვსთა, მივიდეს და შეეებნეს. იოტნეს ქართველნი: რომელნიმე დაჯოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი კუალად მეოტნი გარდაიხუენნეს და დაიფანჩნეს. მოვიდა (ე.ი. ბაგრატი – **ზ.პ.**) უფლისციხეს ალილო ციხე დედისაგან თვსისა, დაყვნა დღენი და განაგნა მცირედ საქმენი ქართლისანი; წარიყვანა დედა თვსი და წარვიდა ქუეყნად აფხაზეთისა“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ქართ{68}ლის აზნაურობა წინააღმდეგია ქართლში უშუალოდ ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ხელისუფლების დამყარებისა და ამიტომ ყველანაირად ებლაუჭება აქ გურანდუხტის გამგებლობის შენარჩუნებას. მართა-

---

<sup>1</sup> ტბელთა საგვარეულოსა და მათი როლის შესახებ ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაწვრილებით იხ.: **მ. ლორთქიფანიძე**. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა..., გვ. 524-528; **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 216-217; **ნ. შოშიაშვილი**. V-X სს. ქართული ლაპიდარული წარწერების ისტორიულ-პალეოგრაფიული მიმოხილვა. – *ქართული წარწერების კორპუსი*. ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **ნ. შოშიაშვილმა**. თბ., 1980, გვ. 59-60.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 276 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). {68}

ლია, მოტანილ ნაწყვეტში პირდაპირ არაა ნათქვამი, რომ გურანდუხტი ამბოხებულთა კრეატურას წარმოადგენს და ამდენად უპირისპირდება თავის ვაჟს, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს გაჩნდა დამატებითი მასალა, რომელიც აშკარად მეტყველებს გურანდუხტის კავშირზე ფეოდალურ ოპოზიციასთან.

მხედველობაში გვაქვს ატენის სიონის ერთ-ერთი სომხური წარწერა, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს მე გერგიუმ ერჰასანის ძე, ვინც ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი (მოიხსენიეთ). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა **დედოფალს ქართველთა შეედავა და (სატახტო) უფლისციხე დაიკავა**“.<sup>1</sup> ამ ცნობაზე დაყრდნობით ზ. ალექსიძემ სავსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორი მაინც და მაინც არ უნდა იყოს პირუთვნელი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლაზე საუბრისას, რომ ის რატომღაც ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს გურანდუხტის ნების გარეშე მოხდა ეს კონფლიქტი.<sup>2</sup>

სინამდვილეში კი ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში არიან. ზ. ალექსიძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ წარწერაში გურანდუხტი მოხსენიებულია არა როგორც „დედოფალი“ ზოგადად, არამედ როგორც „**ქართველთა დედოფალი**“.<sup>3</sup> სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ქართლის აზნაურთა პოლიტიკური იდეალი – ჰყოლოდათ თავიანთი, ადგილობრივი ხელისუფალი. ერთი სიტყვით, ქართლში შექმნილია განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ისეთი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრაციას, ძლიერი ცენტრალიზირებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად,

---

<sup>1</sup> ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52, (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>2</sup> ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 56.

<sup>3</sup> ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები, გვ. 57. {69}



სურს ჰყავდეს ადგილობრივი მარიონეტული მთავრობა, რათა „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“.

ქართლის აზნაურთა ამგვარი ლტოლვა „აფხაზთა“ მეფის {69} ცენტრალიზებული ხელისუფლებისაგან თავის დასაღწევად ახალი არ იყო. თავის დროზე ასევე აუშხედრდნენ ისინი გიორგი „აფხაზთა“ მეფეს (922-957 წწ.) და გადაიბირეს რა ქართლის მმართველად დანიშნული კონსტანტინე, შეეცადნენ ამ უკანასკნელის გამეფებას ქართლში: „და ვითარ დაყო სამი ნელინადი (ე.ი. კონსტანტინემ ქართლში მმართველად – ზ.პ.) ინყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხვანი მრავალნი აზნაურნი“.<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ამ გამოსვლასაც იგივე ტბელები მეთაურობდნენ. სწორედ ამ დროიდან უნდა გამხდარიყო ეს საგვარეულო ქართლში „აფხაზთა“ მეფის ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე.<sup>2</sup> ამ ბრძოლის მიზანი კი უნდა ყოფილიყო „აფხაზეთისაგან“ შიდა ქართლის ჩამოცილება და აქ თავიანთი მარიონეტული სამეფო ხელისუფლების შექმნა, ე.ი. ისეთივე სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება, როგორც იყო სხვა ქართული სამეფო-სამთავროები („აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოები, კახეთი, ჰერეთი), საკუთარი სამეფო დინასტიითა და სუვერენული საგარეო-პოლიტიკური უფლებებით.<sup>3</sup> მაგრამ ქართ-

<sup>1</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 267-268.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის.., გვ. 525.

<sup>3</sup> ფეოდალურ საქართველოში მიმდინარე ამ მოვლენების საოცრად მსგავს სურათს ვხედავთ მოგვიანებით (XII საუკუნეში) კიევის რუსეთში, როდესაც საბოლოოდ გაფორმდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა, როგორც პოლიტიკური სისტემა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მომენტი ძველი რუსული (კიევის) სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან. მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის „გაქცევა“ კიევიდან, მამამისის, კიევის დიდი მთავრის, იური დოლგორუკის დაუკითხავად და მისი ვლადიმირში დამკვიდრება. ისტორიოგრაფიაში მიღებულია აზრი, რომ ანდრია ბოგოლუბსკის

ლის აზნაურთა ამ მისწრაფე {70} ბებს განხორციელება არ ენერათ. გიორგი „აფხაზთა“ მეფემ შეძლო განხეთქილების შეტანა ამბოხებულთა რიგებში და მკაცრად ჩაახშო ეს გამოსვლა.<sup>1</sup> ქვეყნის გაერთიანებისა და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მომხრეთა გამარჯვებით დამთავრდა აგრეთვე ქართლის აზნაურთა ზემოხსენებული გამოსვლაც ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის წინააღმდეგ და ამიერიდან<sup>2</sup> შიდა ქართლში ეტყობა საბოლოოდ ამოიკვეთა სეპარატისტული განწყობილებები.

ბაგრატ III-ის ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების

---

ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ რუსეთში დაფუძნება მოხდა ადგილობრივ ბოიართა ინიციატივითა ინიციატივითა და სურვილით და რომ ამით იქაური ფეოდალური წრეები: „желали наравне с другими землями обзавестись своим князем, своей династической ветвью чтобы прекратить перемещения князей, не связанных с интересами данной земли“ (Б.А. Рыбаков. Русь в эпоху «Слова о полку Игореве». Обособление самостоятельных русских княжеств в XII начале XIII в. – *История СССР. С древнейших времен до наших дней*. В двух сериях, {70} в двенадцати томах, т. I. М., 1966, გვ. 617, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ. იბ. აგრეთვე: Б. Д. Греков. Киевская Русь. – *Избранные труды*, т. II. М., 1950, გვ. 419). აშკარაა, რომ ანდრიას „გაქცევა“ და ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულის ჩამოყალიბება ძლიერ ჩამოჰგავს „აფხაზთა“ მეფის ძის – კონსტანტინეს სურვილს „მეფობის ძიებისა“ ქართლში, და რომ ამ საქმის ინიციატორი ქართლის აზნაურობისა და ვლადიმირ-სუზდალის ქვეყნის ბოიართა მისწრაფებები დაახლოებით ერთნაირია.

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 267-268.

<sup>2</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი ქართლის აზნაურთა ამ გამოსვლას 980 წლის ახლო ხანებით ათარიღებდა (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 126). იგივე თარიღი მოჰყავს მ. ლორთქიფანიძეს (იხ.: მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან... გვ. 155). ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი ამ მოვლენას 982-986 წლებში ათავსებენ (ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი. სოფელ დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერა – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XIX-XXს. 1957, გვ. 94, შენ. 2.), ზ. ალექსიძე კი მას 982 წლით ათარიღებს (ზ. ალექსიძე. ატენის სიონის..., გვ. 56).

მნიშვნელოვანი ეტაპი იყო რატი ბაღვაშის სამფლობელოების შემომტკიცება 989 წელს. თრიალეთს, ისევე როგორც ჯავახეთს, უალრესად დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში.<sup>1</sup> ამდენად, ამ რეგიონში გაბატონება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის საქმეში. მაგრამ არც ეს აქტი მომხდარა ერთბაშად და გართულებების გარეშე, მას, როგორც დავინახეთ, კინალამ საერთო ქართული მასშტაბის კონფლიქტი მოჰყვა, რომელშიც მონაწილეობა მეზობელი სომხეთის პოლიტიკურმა ლიდერებმაც კი მიიღეს. {71}

994 წელს გარდაიცვალა „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II „რეგუენად“ წოდებული და განთავისუფლებული სამეფო ტახტი დაიკავა მისმა ძემ გურგენმა, რომელიც იწოდა „მეფეთ-მეფედ“. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე ამას შემდეგნაირად ხსნის: „...გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. „ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთვის გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა“.<sup>2</sup> მაგრამ სუმბატის ეს მინიშნება არ უნდა გავიაზროთ ისე, თითქოს ქართულ პოლიტიკურ სამყაროში ამიერიდან დანინაურდა გურგენი და ბაგრატი მისდამი რამდენადმე დაქვემდებარებულ ხელმწიფედ გადაიქცა. „ქართველთა“ მეფის სტატუსი, ჩვენი აზრით, მართალია, ფორმალურად მაინც გამოხატავდა მისი მფლობელის უზენაესობას სხვა მთავრებზე, მაგრამ არა მთლიანად საქართველოს მასშტაბით, არამედ მხოლოდ ტაო-კლარჯე-

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I. თბ., 1964, გვ. 52-53; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული.., II, გვ. 224. {71}

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 382.

თის („ქართველთა“ სამეფოს) ფარგლებში<sup>1</sup> და ამდენად მის უზენაესობა ვერ გავრცელდებოდა „აფხაზთა“ მეფეზე. ამ დროს, ჯერ კიდევ, ორივე სამეფო ცალ-ცალკე არსებობდა და ოფიციალურად თავ-თავიანთი სუვერენიტეტი ჰქონდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. სხვა საკითხია, რომ მამა-შვილი ყოველთვის შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისას უწინდებურად ერთმანეთის მხარდამხარ გამოდიოდნენ. {72}

ის, რომ გურგენ „მეფეთ-მეფე“ არ გამოდიოდა ლიდერის როლში და არ განასახიერებდა უზენაეს ხელისუფლებას საქართველოში, ნათლად გამომჟღავნდა 1001 წელს, როდესაც ტაოში მოსულმა ბასილი II-მ, არა მას, არამედ მის ძეს – ბაგრატ „აფხაზთა“ მეფეს მინიჭა კურაპალატის ტიტული. ამით, ჩვენი აზრით, ბიზანტიის იმპერატორმა ოფიციალურად აღიარა ბაგრატ III-ის პრიორიტეტი ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. ამ ფაქტს სრულიად სხვაგვარად ხსნის სუმბატ დავითის ძე: „*მივიდეს მის (ბასილი II-ის – ზ.პ.) წინაშე, – წერს ბაგრატიონთა „ისტორიის“ ავტორი, – ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ. და მოსცა მათ ბასილი მეფემან პა-*

---

<sup>1</sup> ამ მხრივ უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს ყალა-ბოინის ციხის ეკლესიის 993 წლის წარწერა, რომელშიც თავდაპირველად დასახელებულია „ქართველთა“ მეფე (იგულისხმება ბაგრატ II), და მხოლოდ შემდეგ დავით კურაპალატი: „*სახელითა ღმრთისათა... აღვაშენე წმინდაჲ ესე ეკლესიაჲ, იოვანე სახლისა ჩემისა სადიდებლად და სალოცავად ძმისაჲ და შვილთა ჩუენთა... ბაგრატ ქართველთა მეფობასა დავითის კურაპალატობასა – ერთობით აღიდგენ ღმერთმან“ (ქართული წარწერების კოორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 269. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). ამ წარწერაში „ქართველთა“ მეფის კურაპალატზე წინ დასახელება აშკარად უნდა მოწმობდეს იმას, რომ „ქართველთა“ მეფე ფორმალურად მაინც კურაპალატზე მაღლა იდგა (დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 225, შენ. 76), თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯეთის (შეიძლება ითქვას, მთელი საქართველოს) ნამდვილი პოლიტიკური ლიდერი დავით კურაპალატი იყო. {72}*

*ტივი – გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანეთის მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა“<sup>1</sup>*

ე.ი. სუმბატ დავითის ძეს მიაჩნია, რომ ტიტულების ამგვარი განაწილება არ იყო სამართლიანი (კურაპალატობა გვარში უფროსს უნდა კუთვნებოდა), ეს ბასილი კეისარმა მხოლოდ მამა-შვილის ერთმანეთისათვის წაკიდების მიზნით გააკეთა. XI ს. ისტორიკოსის ეს შეხედულება თითქმის უკრიტიკოდ არის გაზიარებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.<sup>2</sup> მართლაც, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სუმბატ დავითის ძემ, როგორც თავისი ეპოქის წარმომადგენელმა, ამგვარი ახსნა მისცა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ბიზანტიური ტიტულების ბოძების ზემოაღნიშნულ ფაქტს.

როგორც სავსებით სწორად მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე, აღნიშნული ფაქტის სუმბატისეული გაგება უდავოდ ნიშანდობლივია, საერთოდ, „იმდროინდელი საზოგადოების ამ პატივისაღმძი (ე.ი. კურაპალატის ტიტულის ბოძებისაღმძი – **ზ.პ.**) დამოკიდებულების თვალსაზრისით“.<sup>3</sup> მაგრამ, ამასთან, ჩვენ გვიჭირს ბასილი კეისრის მიერ „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-ისათვის უფრო მაღალი საკარისკაცო ტიტულის – კუ**{73}**რაპალატის – მინიჭება მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის ვერაგული ზრახვებით აეხსნათ. ჩვენი აზრით, ბასილი II ქართველი მეფეებისათვის ბიზანტიური ტიტულების ბოძებისას, პირველ რიგში, ითვალისწინებდა საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ კონიუნქტურას.

ბიზანტიის ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ ამ

<sup>1</sup> *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 382 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 131; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 75; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი..., გვ. 172.

<sup>3</sup> **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა-..., გვ. 172. **{73}**

დროისათვის სწორედ ბაგრატ III, როგორც ყველაზე ვრცელი და ძლიერი სახელმწიფოს – „აფხაზთა“ სამეფოს – მეთაური და ამასთან, „ქართველთა“ სამეფო სახლის ერთადერთი მემკვიდრე, წარმოადგენდა მთავარ ფიგურას ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის; მაშინ, როდესაც გურგენ „მეფეთ-მეფე“, რეალურად მხოლოდ ერთი პატარა მხარის ამიერ-ტაოს მფლობელი იყო.<sup>1</sup> ერთი სიტყვით, კონსტანტინოპოლის მმართველი წრეების თვალში ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე უფრო ანგარიშგასაწევი ძალა იყო, ვიდრე მისი მამა „მეფეთ-მეფე“ გურგენ. მეორე მხრივ, არც ისაა გამორიცხული, რომ ბაგრატ III-ს კურაპალატის ტიტული ერგო როგორც დავით კურაპალატის შვილობილსა და მემკვიდრეს. ბიზანტიის მთავრობა ამ აქტს განიხილავდა როგორც ერთგვარ პოლიტიკურ კომპენსაციას იმ დანაკარგისათვის, რომელიც განიცადა გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ თავისი მამობილის სამფლობელოს – იმიერტაოს – დაკარგვით.<sup>2</sup>

ამით კონსტანტინოპოლი, რასაკვირველია, არაფერს კარგავდა. პირიქით, „აფხაზთა“ მეფის ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭებით, ბიზანტიის იმპერატორი უფრო იფართოებდა თავის გავლენის სფეროებს და იძენდა (ფორმალურად მაინც) ძლიერ ვასალს. ცხადია, ბიზანტიის კეისარს მხოლოდ მამა-შვილის ურთიერთნაკიდების მიზნით არ უბოძებია ბაგრატ „აფხაზთა“ მეფისათვის კურაპალატის ტიტული. ეს აქტი გაცილებით უფრო სერიოზული პოლიტიკური მომენტებით იყო განპირობებული და სუმბატ დავითის ძის მიერ მოყვანილ მოტივს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა.

შესაძლებელია, ბაგრატისათვის უფრო დიდი ტიტულის მინიჭება სულაც გურგენტან შეთანხმებით მომხდარიყო. როგორც ვიცით, გურგენი {74} მუდამ მხარში ედგა თავის ვაჟს და ძალ-ღონეს არ იშურებდა მისი ავტორიტეტის ამაღლები-

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 79.

<sup>2</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 79. {74}

სათვის. ასეთ ვითარებაში, მოსალოდნელია, რომ გურგენი თვით ყოფილიყო დაინტერესებული ბაგრატის გაკურაპალატებით, რადგან ამ დროს კურაპალატობა ჯერ კიდევ ითვლებოდა დიდ პატივად და ეტყობა, მართლაც, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა მის მფლობელს საერთაშორისო არენაზე.<sup>1</sup> გარდა ამისა, კურაპალატობის მინიჭებით ბიზანტიის იმპერია ამტკიცებდა ამ ტიტულის მფლობელის მემკვიდრეობით უფლებებს ტაო-კლარჯეთში.<sup>2</sup> ე.ი. კურაპალატის ტიტული ერთგვარი „იარლიყი“ იყო „ქართველთა“ სამეფოში პოლიტიკური პირველობის მოპოვებისათვის. აქედან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია, გურგენი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა თავისი ერთადერთი მემკვიდრის გამაერთიანებელი ღონისძიებების წარმატებით დასაგვირგვინებლად, ამ გზით იმთავითვე უმაგრებდა ბაგრატს პოზიციებს ტაო-კლარჯეთში.

ჩვენს ამ დასკვნას მხარს უნდა უჭერდეს ერთი ფრიად საინტერესო, მაგრამ ამასთან რამდენადმე გაუგებარი ფაქტი ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფედ მოხსენიებისა ჯერ კიდევ მამის – გურგენის სიცოცხლეში. როგორც ცნობილია, ისტორიოგრაფიაში ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა მიუთითა, რომ ბაგრატ III-მ „ქართველთა“ მეფის ტიტული მიიღო 1008

---

<sup>1</sup> **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იანი წლებამდე., გვ. 172. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ კურაპალატის ტიტულის მოპოვებისათვის ლტოლვა სრულებითაც არ იყო დამახასიათებელი გაერთიანებული საქართველოს უკლებლივ ყველა მეფისათვის XI ს. დავით აღმაშენებლამდე. ვფიქრობთ რომ ფეოდალური საქართველოს გაერთიანების შემდეგ ქართველი მეფეები (გიორგი I, ბაგრატ IV) ბიზანტიის კეისრისადმი დამოკიდებულების დამადასტურებელი ნიშნების მოშორებაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მათ მიღებაზე.

<sup>2</sup> **Н. А. Бердзенишвили, В. Д. Дондуа.** Феодальные княжества в Грузинских землях в VII-IX вв. – *Очерки истории СССР. III-IX вв.* Ответственный редактор: академик **Б. А. Рыбаков.** М., 1958, гв. 512-513; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 173.

ნელს – მამის გარდაცვალების შემდეგ.<sup>1</sup> იგივე აზრია გატარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომშიც<sup>2</sup> და სხვა ზოგადი ხასიათის შრომებში.<sup>3</sup> ეს აზრი აგე(75)ბულია ქართველ მემატრიანეთა მონაცემებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, ძირითადად სწორად ასახავენ იმდროინდელ ვითარებას.

ასე მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲში“ ბაგრატის „ქართველთა“ მეფედ პირველად იხსენიება მხოლოდ მამამისის გარდაცვალების შემდეგ: „განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი. (იგი) იყო მას ჟამსა დღივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა ტაო მიცვალებასა ზედა მამისა მათისა გურგენ მეფეთ-მეფისა“.<sup>4</sup> სუმბატის ქრონიკაში კი

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 130-131.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა-პოლიტიკური..., გვ. 159.

<sup>3</sup> ვ. გუჩუა. ბაგრატ III. – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, {75} ტ. II. თბ., 1977, გვ. 128; საქართველოს ისტორია, შემდგენელი რ. მეტრეველი. თბ., 1979, გვ. 106.

<sup>4</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 278 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ეს მონაკვეთი ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში, ჩვენი აზრით, არაზუსტად არის მოყვანილი – მასში არ არის სწორად დასმული სასვენი ნიშანი – ნერტილი, რაც რამდენადმე გაუგებარს ხდის ნაწყვეტის შინაარსს: „განუწყრა ბაგრატ, აფხაზთა და ქართველთა მეფე. და კურაპალატი იყო მას ჟამსა დღივს, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა, რომელ მაშინ თჳთვე ეპყრა ტაო მიცვალებასა ზედა მამისა მათისა გურგენ მეფეთ-მეფისა“. (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 278). ამ ნაწყვეტის მიხედვით მკითხველი (ყოველ შემთხვევაში, გაუთვითცნობიერებელი მაინც) ერთბაშად ვერ მიხვდება, რომ ბაგრატ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფე, რომელიც განყრა და კურაპალატი, რომელიც იმყოფებოდა დღივს, ერთდროულად პიროვნებაა. ეს გაუგებრობა უფრო თვალსაჩინოა „მატიანე ქართლისაჲს“ რუსულ თარგმანებში. ასე მაგალითად, გ. ამიჩბას თარგმანში ვკითხულობთ „Прогневался Баграт, царь абхазов и картлийцев. И Курапалат в то время находился в Дливи, ибо занимался делами Тао и Картли...“ (Сообщения средневековых грузинских письменных источников об Абхазии. Тексты собрал, перевел на русский язык, предисловием и комментариями снабдил Г.А. Амичба. Тб., 1986, გვ. 42. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).



კვითხულობთ: „გარ<sup>{76}</sup>დაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა და დაუტევა ძე ესე თჳსი ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი“...<sup>1</sup> მართალია, ამ ნაწყვეტში გურგენი არ არის მოხსენიებული უშუალოდ „ქართველთა“ მეფედ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სწორედ ის არის ბაგრატ II „ქართველთა“ მეფის წილხვდომილი ქვეყნის განმკარგულელებელი, ხოლო ბაგრატის ტიტულატურაში კი ზუსტად და გამოკვეთილად არის ნაჩვენები: „აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი“.

მაგრამ ქართველ მემკვიდრეთა მონაცემებს რამდენადმე ეწინააღმდეგება ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ერთ-ერთი

---

დაახლოებით ასევეა თარგმნილი ეს ნაწყვეტი მ. ლორთქიფანიძის (*Матиане Картлиса...*, გვ. 41) და გ. წულაიას მიერ (*Летопиис Картли...*, გვ. 60). ვფიქრობთ, რომ ტექსტი უფრო გამართული და გასაგები იქნებოდა, თუ წერტილს დავსვამდით არა „ქართველთა მეფის“, არამედ მომდევნო სიტყვის – „და კურაპალატის“ შემდეგ. ამით მთლიანს ვავხდით ბაგრატ III-ის ტიტულატურას: „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“, რომელიც იმყოფებოდა ამ დროს დღევს და აგვარებდა თავის სამემკვიდრეო საქმეებს. საინტერესოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი (მართალია, ყოველგვარი განმარტების გარეშე) არ სვამს წერტილს „ქართველთა მეფის“ შემდეგ და სწორი ფორმით გადმოსცემს აღნიშნულ ცნობას: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი იყო მას ჟამსა დღევს...“ (იხ. დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეორგაფიის საკითხები, II, გვ. {76} 229), თუმცა ამ შემთხვევაშიც, თუ ნაწყვეტს მთლიანად მოვიტანთ, არ იქნება ტექსტი საბოლოოდ გამართული, რადგან მასში ზედმეტი ხდება სიტყვა „განუწყრა“, რომლითაც იწყება ეს წინადადება („განუწყრა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი იყო მას ჟამსა დღევს“). ამიტომაც არის ალბათ, რომ დ. მუსხელიშვილს ციტატა მოჰყავს დასაწყისის („განუწყრა“) გარეშე. ერთი სიტყვით, აუცილებელი და გამართლებულია ტექსტში კონიექტურული ჩარევა, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მოცემული ნაწყვეტის დასაწყის ნაწილში გადაადგილდეს წერტილი (ან შეიცვალოს მძიმით) და ჩაემატოს დამაკავშირებელი სიტყვა „იგი“, ან „რომელიც“.

<sup>1</sup> მატთანე ქართლისა, გვ. 282.

ნარწერა, რომელშიც ბაგრატ III „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ ნახსენებია გურგენის სიცოცხლეშივე: „*მეუფეო, მფლობელო ყოველთა სუფევითაო, უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატი კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა: მამით, დედით, დედოფლით და ძით მათით ამენ*“.<sup>1</sup>

ასეთივე ტიტულითაა მოხსენიებული ბაგრატ III აგრეთვე ხცისის ტაძრის 1002 წლით დათარიღებულ<sup>2</sup> ნარწერაში: „...*აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა... გურანდუხტ დედოფლისა*“.<sup>3</sup> რომ არაფერი ვთქვათ ხცისის ტაძრის ნარწერის მონაცემებზე, ბაგრატის ტაძრის ზემოთ მოტანილი ნარწერა რომ გურგენის სიცოცხლეშივე იყო გაკეთებული, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.<sup>4</sup> მიაქცია რა ყურადღება ამ ფაქტს, ნარწერის გამომცემელმა ვ. სილოგავამ, სავსებით ლოგიკურად წამოაყენა მოსაზრება ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფედ ყოფნის შესახებ 1008 წლამდეც, ამასთან, მკვლევარმა ბაგრატ III-ის მიერ ამ

---

<sup>1</sup> ქართული ლაპიდარული ნარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს ნარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მომზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980, გვ. 54.

<sup>2</sup> P. O. Шмерлинг. К датировке Убисского храма. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVI, 2, 1955, გვ. 154. P. O. Шмерлинг. Древний Цвимоетский храм близ с. Хциси. – Ars Georgica, IV, თბ., 1955, გვ. 154.

<sup>3</sup> ქართული ლაპიდარული ნარწერების კორპუსი, II., გვ. 53.

<sup>4</sup> ამას ვერ ვიტყვით ბაგრატის ტაძრის მეორე ნარწერაზე, რომელშიც {77} ბაგრატ III ასევე მოხსენიებულია „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ („*შენევნითა ღმრთისაათა, ბაგარატისაგან – ნებითა ღმრთისაათა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა – გურანდუხტ დედოფლისა, აღეშენა წმინდაჲ ესე საყდარი ხელითა...*“). ქართული ლაპიდარული ნარწერების კორპუსი, II., გვ. 53). მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნარწერის მონაცემები არ იძლევა საბაზს 1001-1008 წლებით დათარიღებისათვის. ამ შემთხვევაში უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ ნარწერაში არ ჩანს გურგენი, რაც, თავის მხრივ, იმას უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ის ნარწერის ამოჭრის მომენტში ცოცხალი აღარ უნდა ყოფილიყო.

ტიტულის მოპოვება დავით კურაპალატის სიკვდილს დაუკავშირა და დაასკვნა, რომ „აფხაზთა“ მეფეს „ქართველთა“ მეფის ტიტული 1001 წლის შემდეგ უნდა მიეღო.<sup>1</sup> ბაგრატ III-ის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მოპოვების დაკავშირებას დავით კურაპალატის გარდაცვალებასთან, რასაკვირველია, აქვს გარკვეული საფუძველი.

მართალია, წყაროებში დავით ბაგრატიონი ძირითადად უბრალოდ მეფედ ან კურაპალატად იხსენიება,<sup>2</sup> მაგრამ არსე-

---

<sup>1</sup> ქართული წარწერების კორპუსი, II., გვ. 52-53. ანალოგიური აზრი გამოთქვა უფრო ადრე (1977 წ.) ნ. შოშიაშვილმა, რომელმაც ასევე დაასკვნა, რომ ბაგრატ II-ის შემდეგ „ქართველთა“ მეფის ტიტული დავით კურაპალატს ეტარებინა (ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, I., გვ. 56; **ც. ქურციკიძე**. ათონზე გადანერილი ერთი ხელნაწერის შესახებ. – *მნიგნობარი*. თბ., 1980, გვ. 120).

<sup>2</sup> „მატიანე ქართლისაჲში“ დავითი სულ ორჯერ მოიხსენიება მეფედ: პირველ შემთხვევაში „ტაოს მეფედ“ („ესე დავით კურაპალატი უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა“ – *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 273). და მეორეჯერ, უბრალოდ „დიდ მეფედ“ („რამეთუ ყოვლითურთ მიემსგავსებოდა (ბაგრატ III – **ზ.პ.**) ქვევასა გამზრდელისასა თვისსა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისასა“ – *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 275). სუმბატის ქრონიკაში იმიერტაოს მმართველი საერთოდ არ არის მეფედ მოხსენიებული, თუმცა ხაზგასმულია მისი დიდი ავტორიტეტი („გარდაიცვალა დავით კურაპალატი...“ – *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 382). ქართულ ლაპიდარულ წარწერებში დავითი უმთავრესად კურაპალატად არის მოხსენიებული (*ქართული წარწერების კორპუსი*, ლაპიდარული წარწერები, I., გვ. 260, 281, 288, 199), და მხოლოდ ერთგან – ოპიზის ეკლესიის წარწერაში ვხვდებით აღნიშვნას: „ქ(რისტ)ე ა(დიდე) დ(ავით) მ(ეფე) კ(ურაპალატი)“ (*ქართული წარწერების კორპუსი*, ლაპიდარული წარწერები, I., გვ. 288); სომხურ წყაროებშიც ხაზგასმულია დავითის კურაპალატობა. სომეხი ავტორები მას ძირითადად „ტაოს კურაპალატს“ ან „დავით კურაპალატს“ უწოდებენ (იხ.: ე. ცაგარეიშვილის კომენტარები ნიგნში: **არისტაკეს ლასტივერტეცი**. ისტორია., გვ. 137). ასევე კურაპალატად არის მხოლოდ მოხსენიებული დავით ტაოელი გიორგი მთაწმინდელის თხოულებამაც (**გიორგი მთაწმინდელი**. *იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება*. – *ქართული პროზა*, ტ. I. თბ., 1982, გვ. 373-374, 376, 378-379, 386, 390 და სხვ.).

ბოზს ერთი დოკუმენტი, რომელშიც მისი „ქართველთა“ მეფობაც არის დაფიქსირებული. ეს არის ათონის ლავრაში გადაწერილი ერთი {78} ხელნაწერი, რომელიც ექვთიმე ათონელის თხზულებებს შეიცავს.<sup>1</sup> აღნიშნულ ხელნაწერს დართული აქვს გადამწერის – ვინმე იორდანე მაირინისელის ანდერძ-მინაწერები, რომლებშიც ექვსი შემთხვევიდან ოთხში დავითი მოხსენიებულია „ქართველთა მეფედ“.<sup>2</sup>

მაგრამ აღნიშნულ დოკუმენტში გაკვირვებას იწვევს გადამწერის მიერ დავით ბაგრატიონის ყველაზე პოპულარული ტიტულის – კურაპალატის (თანაც ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ მონასტერში) სრული უგულებელყოფა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ანდერძ-მინაწერთა ავტორი, ამ შემთხვევაში, „ქართველთა“ მეფეს ხმარობს უბრალოდ **ქართველების** (ან შეიძლება საერთოდ **საქართველოს**, რადგან ის მას ქართული სამყაროს მესვეურად მიაჩნია) მეფეს გაგებით და მასში არ აქვს ჩადებული ის პოლიტიკური შინაარსი, რომელიც გააჩნდა „ქართველთა“ მეფის ტიტულს X ს. II ნახევარში.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ წყაროში დავით ბაგრატიონი „მეფეთ-მეფეთაც“ კი იხსენიება.<sup>3</sup> მაგრამ, აქედან გა-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **ც. ქურციკიძე**. ათონზე გადამწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ. 112-120.

<sup>2</sup> **ც. ქურციკიძე**. ათონზე გადამწერილი ერთი ხელნაწერის..., გვ. 119. ამ ანდერძ-მინაწერებში მოხსენიებული „დავით ქართველთა მეფე“, პირველად კ. კეკელიძემ გააიგივა დავით კურაპალატთან (**კ. კეკელიძე**. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 164). **ც. ქურციკიძე**, რომელმაც ამ ბოლო დროს სპეციალურად შეისწავლა აღნიშნული ანდერძ-მინაწერთა ტექსტები, ასევე დაასკვნა, რომ მათში მოხსენიებული „დავით ქართველთა მეფე“ დავით კურაპალატი უნდა იყოს (**ც. ქურციკიძე**. ათონზე გადამწერილი ერთი ხელნაწერის შესახებ, გვ.119-120). იმავე მასალაზე დაყრდნობით, დავითის „ქართველთა მეფობას 994-1001 წლებში აღიარებს მ. ლორთქიფანიძეც. (იხ.: **მ. დ. ლორთქიფანიძე**. Возникновение новых феодальных государств. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 338-339).

<sup>3</sup> **თ. ჟორდანიას**. ქრონიკები, II. ტფ., 1895, გვ. {79}

მომდინარე, ძნელია ის მივიჩნიოთ ამ {79} ტიტულის ოფიციალურ მატარებლად.<sup>1</sup> უფრო მეტიც, იაჰია ანტიოქიელის თხზულების ერთ ადგილას დავით კურაპალატი სულაც „აფხაზთა“ ხელისუფლად არის გამოცხადებული: – „და ჩაიბარა მეფემ აფხაზის (დავით კურაპალატის – **ზ.პ.**) მთელი ქვეყანა“.<sup>2</sup> გარდა ამისა (და ეს, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია), ხელნაწერში არ არის არავითარი მინიშნება, რომ ის მაინცდამაინც 994 წლის შემდეგ (როდესაც გარდაიცვალა

---

<sup>1</sup> ზემოთ აღვნიშნეთ, რომ დავით კურაპალატის ლიდერობა საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ იქვე დავძინეთ, რომ იურიდიულად დავით ბაგრატიონის ძალაუფლება მხოლოდ იმიერტაოზე თუ ვრცელდებოდა, რადგან ჩრდილოეთ ტაოს ამ დროს განაგებდნენ „ქართველთა“ მეფე ბაგრატ II „რეგენი“ და მისი ვაჟი გურგენი. ის კი არადა, როგორც ვნახეთ, წყაროებში მისი მეფედ მოხსენიების მხოლოდ რამდენიმე ფაქტილა გვაქვს. ყოველივე ამის შემდეგ გვიჭირს დავეთანხმოთ ს. ჯანაშიას რედაქციით გამოსულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში გატარებულ აზრს იმის შესახებ, რომ დავით კურაპალატმა, თითქოს, „პირველმა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთაგან მიიღო „მეფეთა მეფის წოდებულობა“. (**ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია.** საქართველოს ისტორია. თბ., 1948, გვ. 158). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სუმბატ დავითის ძის ცნობას „მეფეთ-მეფის“ ტიტულის, პირველად სწორედ გურგენის მიერ მიღების შესახებ. ამასთან, განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ სუმბატ დავითის ძე სპეციალურად განმარტავს, თუ რატომ ეწოდა გურგენს „მეფეთ-მეფე“: „ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დისწული დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთის, და ამისთვის გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 382 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება დავით კურაპალატის სიცოცხლეში და რომ ის (ე.ი. დავითი) ყოფილიყო პირველი „მეფედ მეფე“, ძნელი დასაჯერებელია, რომ გურგენს გაებედა ამ ტიტულის მიღება, რადგან, როგორც უკვე გავარკვიეთ, დავით კურაპალატს, მიუხედავად 989 წელს განცდილი მარცხისა, მაინც, სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს კონტროლი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და ის კვლავ რჩებოდა ყველაზე ავტორიტეტულ მოღვაწედ საქართველოში.

<sup>2</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 119. {80}

„ქართველთა“ მეფე ბაგრატ II „რეგუენი“) გადაინერა. არის თუ არა აბსოლუტურად გამოსარიცხი, რომ გადამწერს 994 წლამდე არ შეეძლო დავითის „ქართველთა (ქართველებია) მეფედ“ მოხსენიება? საინტერესოა, რომ არაბი ავტორი იაჰია ანტიოქიელი დავით კურაპალატს – „ქართველთა მეფედ“ იხსენიებს 988-990 წლების ამბებთან {80} დაკავშირებითაც,<sup>1</sup> ე.ი. მაშინ, როდესაც ამ ტიტულის მატარებელი ბაგრატ II ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დავით კურაპალატის ტიტულატურის გარკვევის საკითხი საკმაოდ რთულია და მის მიერ 994 წელს „ქართველთ“ მეფის ტიტულის მოპოვება, ასე ერთბაშად, ძნელი გასაზიარებელია.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ისმის კითხვა, მაშ როდის უნდა მიეღო ბაგრატ III-ს „ქართველთა“ მეფის ტიტული? როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, 994 წლამდე „ქართველთა“ მეფე იყო ბაგრატ II „რეგუენი“ – სუმბატ კურაპალატის ძე, რომლის გარდაცვალების (994 წ.) შემდეგ „ქართველთა“ მეფის გათავისუფლებული ტახტი წესით მის ვაჟს გურგენს უნდა დაეკეცებინა. სუმბატ დავითის ძეც, როგორც უკვე ნაჩვენები იყო ზემოთ, თითქოს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაგრატ II-მ თავის მემკვიდრედ დატოვა გურგენი („დაუტყვევა ძე თჳსი უზუცესი გურგენ“), მაგრამ ბაგრატიონთა მემკვიდრის ცნობით, გურგენი იწოდა არა „ქართველთა“ მეფედ, არამედ „მეფედ-მეფედ“, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ „გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხა ზეთს, და ამისთვის გურგენს მეფედ-მეფობა ეწოდა“.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ რატომღაც არც სხვა რომელიმე წყაროშია მოხსენიებული გურგენი „ქართველთა“ მეფის ტიტულით.

რასაკვირველია, გურგენის „მეფეთ-მეფობა“ თავისთავად უნდა გულისხმობდეს, პირველ რიგში, მის „ქართველთა მეფობას“ და ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ ჩრდილოეთ ტაოს ერთადერთ რეალურ

<sup>1</sup> ბ. სილაგაძე. იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 119.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 382.

განმგებლად, მაგრამ წყაროების მიერ გურგენის მაინცდამაინც მხოლოდ „მეფედ-მეფედ“ (და არა „ქართველთა“ მეფე-დაც) მოხსენიება არ უნდა იყოს შემთხვევითი. მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ცალკეულ შემთხვევებში „ქართველთა“ მეფის ტიტულით მამის სიცოცხლეშივე იხსენიება ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე.<sup>1</sup>

ყოველივე ეს ადვილი ასახსნელი იქნება, თუ დავუშვებთ, რომ ბაგრატ „რეგუენის“ გარდაცვალების {81} შემდეგ „ქართველთა“ მეფედ იწოდდა არა მისი ძე გურგენი, არამედ ამ უკანასკნელის ვაჟი ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე და ეს გაკეთდა ბაგრატ III-ის ლეგიტიმური უფლებების განსამტკიცებლად ტაო-კლარჯეთში. ამ ღინისძიებების ინიციატორად უნდა მივიჩნიოთ თვით გურგენი (შეიძლება დავით კურაპალატიც), რომელიც, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული ზემოთ, ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი ვაჟის პოლიტიკური აქციების ასანეევად საქართველოში. თავის მხრივ, ეს კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის გზაზე.

ამდენად, ჩვენ მიერ ზემოთმოტანილ წარწერაში ბაგრატ III-ის „ქართველთა“ მეფის ტიტულით მოხსენიება მამის – გურგენის სიცოცხლეში შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულმა პოლიტიკურმა წრეებმა ბაგრატ „აფხაზთა“ მეფე, როგორც ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე, პაპამისის – ბაგრატ II „რეგუენის“ გარდაცვალების შემდეგ, იმთავითვე აღიარა „ქართველთა“ მეფედ, ხოლო მამამისის „მეფეთ-მეფის“ საპატიო ტიტული მიანიჭა. მაგრამ ყოველივე ეს, სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბაგრატ III რეალ-

---

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ვახუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს ბაგრატ III-ს {81} „აფხაზთა და ქართველთა მეფედ“ გურგენის სიცოცხლეში (**ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 138). {82}

ურად იყო „ქართველთა“ მეფე მამამისის სიცოცხლეშივე და არც იმას, რომ გურგენ ბაგრატიონი „მეფეთ-მეფედ“ გახდომის შემდეგ გახდა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ სამეფოების უზენაესი ხელისუფალი; ტიტულების ამგვარი განაწილება ალბათ უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ის უფრო ბაგრატი-გურგენის ურთიერთთანამშრომლობის და ერთმანეთისადმი მხარში ამოდგომის აქტი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბასილი კეისრის მიერ ბაგრატი III-ისათვის უფრო მაღალი ტიტულის მინიჭება იმთავითვე იყო შეთანხმებული გურგენთან და ის მთლიანად შეესაბამებოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი წრეების პოლიტიკურ კურსს. რაც შეეხება **{82}** გურგენის აქტიურ გამოსვლას ბასილი კეისრის წინააღმდეგ ოლთისის ციხის დასაკავებლად, რომელსაც იმავე 1001 წელს ჰქონია ადგილი,<sup>1</sup> ეს არ უნდა ყოფილიყო მაგისტროსის ტიტულის მინიჭებით განაწყენებული გურგენის შურისძიება, როგორც ვარაუდობდა ივ. ჯავახიშვილი.<sup>2</sup> ეს აქტი მიმართული უნდა ყოფილიყო საერთოდ ბიზანტიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ და წარმოადგენდა პირველ აშკარა პროტესტს ბიზანტიის იმპერატორის მიერ იმიერტაოს ქართული მიწების დაკავების გამო.<sup>3</sup> ეხება **{83}** რა ასოლიკის ზემოთმოტანილ ცნო-

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 202; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნ. II, გვ. 130-131.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნ. II, გვ. 130. ივ. ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში ეყრდნობოდა სტეფანოს ტარონაცის მინიშნებას იმის შესახებ, რომ გურგენი განაწყენებული იყო მისთვის მხოლოდ მაგისტროსის ნოდების მინიჭებით და ამიტომ გამოვიდა მის წინააღმდეგ („Царь Иверийский Гурген, считал для себя унижением достоинство магистра, – пожалованное ему царем Василием... отложился от него и со всем своим войском напав на Таийскую страну завладел ею“. იხ.: *Всеобщая история..*, გვ. 201-202).

<sup>3</sup> ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად წარმატებული იყო გურგენის ეს გამოსვლა. სტეფანოს ტარონაცის მოწვევებით ივერიელთა მეფეს ვერც ოლთისი აუღია და ვერც სხვა რომელიმე ციხე, მაგ-



რამ ამასთან ბასილი კეისრის წარმომადგენელს – კანიკლ მაგისტროსს გურგენისათვის იმპერატორის სახელით მისი სურვილების აღსრულება აღუთქვამს, რის შემდეგ გურგენსა და ბიზანტიელებს შორის ზავი დადებულა (*Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 201-202; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ნ. II, გვ. 130-131; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 81). არც ასოლიკი და არც სხვა წყაროები, სამწუხაროდ, არაფერს გვამცნობენ იმის შესახებ, თუ რა სურვილები აუსრულა იმპერატორმა გურგენ „მეფეთ-მეფეს“. ამასთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს მკვლევართა ყურადღება მიიპყრო მეორე სომეხი ისტორიკოსის – არისტაკეს ლასტივერტცის ერთმა ცნობამ, რომელშიც გაკვრით არის მინიშნებული, რომ ბაგრატ III-ს რგებია რალაც მამულები დავით კურაპალატის მემკვიდრეობიდან, მაგრამ არ ჩანს როდის და რა ვითარებაში. არც სხვა წყაროებში ვხვდებით რაიმე ინფორმაციას ბასილი კეისრის მიერ უშუალოდ ბაგრატისათვის რაიმე ტერიტორიების ბოძების შესახებ, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის (მაგ. კ. იუზბაშიანის) აზრით ამგვარ ბოძებას ჰქონდა ადგილი (**К. Н. Юзбашян. Аристакес Ластивертци и его исторический труд...**, გვ. 22). მ. ლორთქიფანიძე უშვებს რომ შესაძლებელია არისტაკესის ცნობაში ნაგულისხმევი იყოს ის ტერიტორია (იმიერტაოს ნაწილი ანდა მთლიანად იმიერტაოც {83} კი), რომელიც ერგო გურგენს კანიკლ მაგისტროსთან მოლაპარაკების შედეგად და მისი გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით შეეძლო მიეღო მის ძეს – ბაგრატ III-ს (**М. Д. Лордкипанидзе. Из истории грузино-византийских взаимоотношений...**, გვ. 39-40). აქვე მეცნიერი მიუთითებს, რომ ეს მიწები ეტყობა (ჯერ გურგენმა, ხოლო შემდეგ), ბაგრატმა მიიღო მხოლოდ დროებით (სიცოცხლეში), რადგან 1014 წელს, როდესაც იგი გარდაიცვალა, ბასილი კეისარმა გიორგი I-ისაგან მათი უკან დაბრუნება მოითხოვა: „რაც კი (დავით) კურაპალატის წილიდან მამაშენს ძღვნად მივეცი, თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული განაგეო“ (**არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია**, გვ. 42). ისტორიოგრაფიაში სხვაგვარადაცაა გააზრებული არისტაკეს ლასტივერტცის ეს ცნობა. დ. მუსხელიშვილის აზრით, ბაგრატისათვის ბასილი კეისრის მიერ გადაცემული ტერიტორიები უნდა იყოს არა ბასიანტაოს მხარეში, არამედ მამულები „*კოლა-არტანთ ჯავახეთს*“, რომელთაც „*მატიანე ქართლისაჲს*“ ცნობის თანახმად (*ქართლის ცხოვრება*, ტ. I, გვ. 288), ასევე ფლობდა დავით კურაპალატი. ამ დასკვნის საბუთად მეცნიერს მოჰყავს „*მატიანე ქართლისაჲს*“ ცნობა იმის შესახებ, რომ მოგვიანებით (1008 წელს) ამ მხარეში,

ბას გურგენის განაწყენების შესახებ და აგრეთვე შესაბამის მასალებს სუმბატის თხზულებიდან, მ. ლორთქიფანიძე სავსებით სწორად მიუთითებს, რომ გურგენი იყურებოდა უფრო შორს და ის ასოლიკზე უკეთესად ჭვრეტდა მოსალოდნელ მიძიმე შედეგებს, რომლებიც მოჰყვებოდა ბიზანტიელთა მიერ იმიერტაოს დაკავებას. ამიერიდან იმპერიის ექსპანსიის შემდეგი ობიექტი, პირველ რიგში, მისი სამფლობელო – ამიერტაო შეიქმნებოდა.<sup>1</sup> სწორედ ამაში უნდ ვეძიოთ გურგენის აქტიური გამოსვლის უმთავრესი მიზეზი ბიზანტიის კეისრის ნი<sup>{84}</sup>ნალმდეგ და არა მის განაწყენებაში, იმის გამო, რომ მაგისტროსის ტიტულის მიღებით თავი შეურაცხყოფილად იგრძნო.

ამრიგად, 1001 წელი ერთგვარი ტეხილია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დროს გადაიდგა კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბაგრატ III-ის პოზიციების განსამტკიცებლად. ბიზანტიის იმპერიამ ცნო საქართველოში მიმდინარე ცვლილებები და აღიარა ბაგრატ III-ის ჰეგემონობა საქართველოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასილი II-ის

---

კერძოდ ჯავახეთში (დღევს), საკმაოდ თავისუფლად მოქმედებდა და აგვარებდა თავის სამემკვიდრეო საქმეებს (მამის გარდაცვალების შემდეგ) ბაგრატ III (დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, გვ. 229-230). დ. მუსხელიშვილის შეხედულება ამ საკითხზე უფრო სწორი უნდა იყოს. ჯერ ერთი, რომ ბაგრატის ჯავახეთში (დღევს) ყოფნა მართლაც სამემკვიდრეო ტერიტორიების დაუფლებასთან არის დაკავშირებული და მეორეც, კოლა, ჯავახეთი და არტაანი ჩანს საცილობელ ტერიტორიად მოგვიანებით გიორგი I-ის ხანაში, როდესაც საქართველო-ბიზანტიის ომის დროს ეს მხარე იქცა ბასილი კეისრის შემოსევის მთავარ ობიექტად. სწორედ ეს მხარე („ქუყყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსთა ბასიანს, კოლა-არტაანთა და ჯავახეთს“ – მათიანე ქართლისა, გვ. 288 – ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.) მიითვისა ბიზანტიის იმპერატორმა გიორგი I-თან დადებული ზავის შედეგად, გარდა ცალკეული ადგილებისა და სოფლებისა, რომლებიც „დაულოცნა გიორგი მეფესა“ (მატიანე ქართლისა, გვ. 288).

<sup>1</sup> М. Д. Лордкипанидзе. Из истории..., გვ. 38. {84}

მიერ ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის ბოძება ნიშნავდა იმპერიის მიერ „აფხაზთა“ სამეფოს ახალ საზღვრებში ცნობას და ბაგრატ III-ის ქართული პოლიტიკური სამყაროს ლიდერად აღიარებას. ეს, ამ ეტაპზე, გამაერთიანებელი ძალების მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. ბიზანტიის ხელისუფლება დაკმაყოფილდა იმიერტაოს მიტაცებით (რომლის ბაზაზე შეიქმნა შეიქმნა ახალი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული, ე.წ. იბერიის საკატეპანო)<sup>1</sup> და ამის შემდეგ იმპერია პრაქტიკულად არ ჩარეულა საქართველოს საშინაო საქმეებში. ამით შეიქმნა ხალსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება ბაგრატ III-ის გამაერთიანებელი ღონისძიებების წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

1008 წელს, გურგენ „მეფეთ-მეფის“ გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III რეალურად დაეუფლა მამისეულ „ქართველთა“ სამეფოს და კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სახელმწიფოს საზღვრები. ამავე ხანებში „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფემ კახეთ-ჰერეთს შეუტია, მაგრამ კონფლიქტი კახეთ-ჰერეთთან გაჭინაურდა. ბაგრატ III-ის ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ დაიარაზმა კახეთ-ჰერეთის სეპარატისტული ძალები. 1008 წელს, მას მერე, რაც კახეთის ქორეპისკოპოსმა უარყო ბაგრატის ულტიმატუმი ქართლის იმ ციხეების დაბრუნების შესახებ, რომლებიც კახელებს ეკავათ, „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფე დაიძრა *„ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჰიდი მცხეთისა. და მიერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თიანეთს, და იწყო შემუსვრად {85} კახეთისა. და ვერ წინაღუდგა დავით, რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხვ; იწყო ბრძოლად ციხითა და მას ჟამსა აღიღო ქუეყანა ჰერეთის, და განაჩინა მთავრად*

---

<sup>1</sup> ეს ფაქტი თავის *„ქრონოლოგიურ ჩანაწერებში“* აღნიშნა კ. მარქსმა: „Василий II обеспечивает северную границу Малой Азии присоединением Кавказской горной страны Иберии“. – *Архив Маркса и Энгельса*, т. V, 1948, გვ. 43. {85}

აბულალ და წარმოვიდა შინა“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ბაგრატ III-ის ეს გამოსვლა ჰერეთის შემოერთებით დამთავრდა. ამით „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფემ ფეხი მოიკიდა ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში და შექმნა ერთგვარი პლაცდარმი კახეთზე თავდასასხმელად. კახეთის მმართველი წრეები რა თქმა უნდა, ასე ერთბაშად ვერ შეურიგდებოდნენ ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთის დაკავებას. დავით ქორეპისკოპოსმა გამოიყენა ჰერეთის ფეოდალთა უკმაყოფილება და მათი დახმარებით შეძლო მისი დაკავება: „რაჟამს წარმოვიდა ბაგრატ აფხაზთა მეფე – წერს მემატინე, – კუალად მიიქცნეს კაცნი ჰერეთისანი და მიერთნეს დავითს; აღილო დავით ჰერეთი“.<sup>2</sup> მაგრამ არც ბაგრატ III-მ დაიხია უკან და 1010 წელს ხელახლად ილაშქრა ჰერეთს: „აღილო მეორედ ჰერეთი. დაიჭირა დინარ დედოფალი თვსად, იწყო ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი, შეაწყუდია კვრიკე ბოჭორმას, და დაუყენა ციხესა გარშემო მცველნი წელინადმდი, წარილო ბოჭორმაცა და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წარმოიყვანა კვრიკე და დაიჭირა თვსსა კარსა ზედა“.<sup>3</sup>

ამრიგად, 1010-1011 წლებში ბაგრატ III-მ თავის სახელმწიფოს კახეთ-ჰერეთის ტერიტორიაც შემოუერთა და ამით, თუ არ ჩავთვლით თბილისის საამიროს, დაასრულა ისტორიული ქართლის მიწა-წყლის თავისი ხელისუფლების ქვეშ მოქცევა. ჯერ ჰერეთისა და შემდეგ კი კახეთის შემომტკიცებამ შესაბამისად ასახვა ჰპოვა ბაგრატ III-ის ტიტულატურაში. თუ ნიკონწმინდის წარწერაში ბაგრატი მოხსენიებულია მხოლოდ „აფხაზთა და რანთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად“<sup>4</sup>, კაცხის წარწერაში გაერთიანებული საქართვე-

<sup>1</sup> მატინე ქართლისა, გვ. 278-279; თ. პაპუაშვილი. რანთა..., გვ. 204.

<sup>2</sup> მატინე ქართლისა, გვ. 279; თ. პაპუაშვილი. რანთა..., გვ. 204-205.

<sup>3</sup> თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 206.

<sup>4</sup> ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, გვ. 55; თ. პაპუ-

ლოს პირველი მეფის ტიტულატურა უკვე {86} ასე გამოიყურება: „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოისა, და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დიდი კურაპალატი“.<sup>1</sup> ამით ძირითადად დასრულდა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესი და შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია.

ერთიანი ქართული სამეფოს წარმოქმნამ გარკვეულწილად შეცვალა ძალთა თანაფარდობა ამიერკავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში. გაერთიანებული საქართველოს სახით საერთაშორისო არენაზე გაჩნდა საკმაოდ დიდი პოტენციის მქონე სახელმწიფო, რომელიც იმთავითვე იქცა აქტიურ პოლიტიკურ ძალად კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა გარკვეული რეაქცია არ გამოენვია მეზობელი სახელმწიფოების მხრიდან, მაგრამ ამ დროს, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში არ არსებობდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც შეეძლო რამდენადმე შეეზღუდა საქართველოს მეფის აქტიურობა. მიუხედავად ამისა, XI ს. დასაწყისში მაინც გაჩნდნენ გარეშე ძალები, რომელთაც შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ბაგრატ III-ის გავლენის სფეროების გაფართოებას. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს განძის შადადიანი ამირა ფადლონი, რომელთანაც მოუხდა შეზღუდვა გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს.

განძის საამიროს ეკავა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მტკვარ-არაქსის აუზში, რაც შადადიან ამირებს აძლევდა საშუალებას თავიანთი კონტროლი დაემყარებინათ ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ და სამხედრო სტრატეგიულ რაიონებზე.<sup>2</sup> X ს. 60-70-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი შადადიანთა სახელმწიფოს დაწინა-

---

**აშვილი.** რანთა და კახთა სამეფო, გვ. 206. {86}

<sup>1</sup> ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, გვ. 56; თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 206.

<sup>2</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 53, 233.

ურება იმავე საუკუნის მინურულიდან იწყება, როდესაც სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა ამირა ფადლ ბ. მუჰამედი (985-1031 წწ.), რომელსაც ისტორიკოსები განძის სახელმწიფოს მეორე ფუძემდებლად თვლიან.<sup>1</sup> სწორედ ამ პერიოდში (XI ს. I მეოთხედი) მიაღწია ამ სახელმწიფომ ძლიერების ზენიტს, გადაიქცა რა ამიერკავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ.<sup>2</sup>

საქართველოსა და გაძლიერებული განძის საამიროს ინტერესები ერთმანეთს შეეჯახნენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. როგორც უკვე აღინიშნა, ბაგრატ III-მ, მას მერე, რაც განიმტკიცა თავისი ხელისუფლება აფხაზეთსა, ქართლში და ტაო-კლარჯეთში, კურსი აიღო კახეთ-ჰერეთის შემოტევილებისაკენ და როგორც ვნახეთ, წარმატებით განახორციელა ეს აქტი. ყოველივე ამან გააღიზიანა განძის ამირა ფადლონი, რომელიც ეტყობა თვით აცხადებდა პრეტენზიას აღმოსავლურ-ქართული გაერთიანებების დაუფლებაზე. ქართველი მემკვიდრის ცნობით, მან „*ინყო კირთებად ერისთავთა ჰერეთისა და კახეთისათა, ჟამითი-ჟამად მეკობრობით და პარვით რბევად და ტყუენვად ადგილითი-ადგილად*“.<sup>3</sup> ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფადლონის ეს რბევა-ლაშქრობები სხვა არაფერი იყო, თუ არა „ერთდროული ალაფისა და ნადავლისათვის გათვალისწინებული სამხედრო თარეში, რომელიც ასე ჩვეულებრივი იყო ფეოდალურ ერთეულებს შორის ურთიერთობაში“.<sup>4</sup>

ერთი შეხედვით, შეიძლება, მართლაც ასე ყოფილიყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი განძის მმართველთა ამბიციებს<sup>5</sup> და იმასაც, რომ ფადლონი გან<sup>{88}</sup>სა-

<sup>1</sup> **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 65. **{87}**

<sup>2</sup> **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 234.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 279.

<sup>4</sup> **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 189.

<sup>5</sup> განძის ამირა ფადლონი, როგორც ცნობილია, ფართო დაპყრობითი პოლიტიკას ატარებდა; მან განავრცო თავისი სახელმწიფოს საზღვრები (994 წელს დაიპყრო ბაილაყანი და ბარდავი). ვარდანის

კუთრებით მას მერე გააქტიურდა, რაც ბაგრატიმა კახეთ-ჰერეთი დაიმორჩილა, შეიძლება იმის დაშვებაც, რომ განძის ამირას გამოსვლები, საერთოდ მიზნად ისახავდა კახეთ-ჰერეთში „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ხელისუფლების აღკვეთას და ამ რეგიონში საკუთარი ხელისუფლების დამყარებას. შესაძლებელია, ამიტომაც მიიტანა გულთან ასე ახლოს ფადლონის „კადნიერება“ ბაგრატი III-მ და მოაწყო კოალიციური ლაშქრობა მის წინააღმდეგ: „...იხილა რა დიდმან მეფემან ბაგრატი კადნიერება მისი (ფადლონისი – **ზ.პ.**), დიდად შეძრწუნდა და აღივსო შურითა. განემზადა ყოვლითა სპითა მისითა, წარგზავნა მოციქული წინაშე გაგიკ შაჰანშა სომეხთა მეფისა; აწკა, რათა იძიოს შური ფადლონისაგან. ხოლო მან განიხარა სიხარულითა, მოსწრაფედ მოუწოდა ყოველთა სპათა თვსთა, წარმოემართა და მოვიდა წინაშე ბაგრატი აფხაზთა მეფისა“.<sup>1</sup>

ის, რომ ბაგრატი ფადლონის წინაშე დასჭირდა ანისის მეფის მოშველიება, თავისთავად, მიუთითებს განძის ამირას სიძლიერეზე და მის შორს მიმავალ მიზნებზე.<sup>2</sup> ძორაკეთს შეკრებილმა ქართველ-სომეხთა გაერთიანებულმა ლაშქარმა მიმართა „ფადლონს, დიდად განლაღებულსა, მოძულესა

---

თქმით, ამირა ფადლონი „დაეუფლა ხაჩენს, გოროზს, სევ-ორდიქს და დაუნყო ბრძოლა გაგიკს, ძოროგოთის მეფეს, კვირიკეს აღვანის მეფეს და ბაგრატს, ივერთა მეფეს და არ აძლევდა მათ მოსვენებას“. (*Всеобщая история Вардана Великого*, გვ. 145; **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 66). ამავე ავტორის ცნობით, ფადლონს დაუპყრია დვინი და დაუკისრებია სომხეთისათვის ხარკისამი ათასი დინარის ოდენობით. (*Всеобщая история Вардана Великого*, გვ. 145). არაბი ისტორიკოსი იბნ ალ-ასირის მონაცემებით კი ფადლონის ხელში მოქცეულა აზერბაიჯანის ნაწილი (**П. Жузе**. Материялы по истории Азербайджана из «Тарах ал-Камил Ибн ал-Асира». Баку, 1940, გვ. 115. დანვრილ. იხ.: **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 66-77. **{88}**)

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 279-280.

<sup>2</sup> **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 189.

ქრისტიანეთასა, რომელი-იგი ყოვლითურთ ეძიებდა წარწყმედასა ყოველთა ჯუარისა მსახურთასა. და ვითარ იხილა ძალი მათი უძლეველი, შეუშინდა და წარვიდა და მიმართა სიმაგრეთა შესვლად<sup>1</sup>. ქართველთა და სომეხთა ჯარი გამოედევნა ფადლონს და „ამან დიდმან და ყოვლითურთ ძლევას შემოსილმან მეფემან ბაგრატ წარმოტყუენა ქვეყანა რანისა, მოადგა ქალაქსა შანქორსა, დაუდგნა ფილაკავანნი, და მცირედითა დღეთა დალენწეს ზღუდენი შანქორისანი“<sup>2</sup>.

შევიწროებულმა ფადლონმა უმაღლესი ითხოვა ზავი: „ითხოვა შენდობა; აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლისა მისა მსახურება, გაუკუეთა ხარაჯა და დაუნერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“<sup>3</sup>. ბაგრატ III-ს, ეტყობა, ჯერ კიდევ ჰქონდა ქალაქის იერიშით ალების იმედი და დიდებულებთან ბჭობა გამართა, **{89}** მაგრამ ამ უკანასკნელთ დაარწმუნეს მეფე, რომ ქალაქის ძალით დაკავება გაჭირდებოდა „უფროს ამისთვის, რომელ სხუათა ყოველთა სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდეს“<sup>4</sup>. ამის შემდეგ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფე დათანხმდა ზავზე: „მაშინ ფადლონ განიხარა სიხარულითა დიდითა, აღასრულა ყოველი იგი, სიტყვით აღთქმული, საქმით: უძღუნა ძღუენი დიდი და მიუნდომელი, აღავსნა ყოველნი დიდებულნი ნიჭითა მიუნდომელითა, და წარმოვიდა შინა გამარჯვებული“<sup>5</sup>.

ამრიგად, განძის ამირას დამარცხებით,<sup>6</sup> ბაგრატ III-მ

---

<sup>1</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 280.

<sup>2</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 280.

<sup>3</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 280. **{89}**

<sup>4</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 280.

<sup>5</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 280.

<sup>6</sup> ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი ფადლონის წინააღმდეგ ლაშქრობის თარიღის ირგვლივ. ივ. ჯავახიშვილი, გამოდიოდა რა „მატიაზე ქართლისაჲს“ მონათხრობიდან, ასკვნინდა, რომ ლაშქრობას ადგილი უნდა ჰქონოდა 1010-1014 წლებს შორის (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 132). XI ს. 10-იანი წლებით ათარიღებს ბაგრატის განძაში ლაშქრობას მ. ლორთქიფანიძეც (მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს ში-



მნიშვნელოვნად განიმტკიცა თავისი პოზიციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ამ ძლევამოსილი კამპანიის მთავარი შედეგი იყო განძის ამირა ფადლონის გაერთიანებული საქართველოს მეფის ყმადნაფიცად გადაქცევა, რომელიც იურიდიულად იქნა დაფიქსირებული საზავო ხელშეკრულებაში. როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთმოტანილი მასალებიდან ირკვევა, ფადლონი აღიარებდა ბაგრატ III-ის უზენაესობას და კისრულობდა მის მხარეზე სამხედრო ძალით გამოსვლას საქიროების შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ყოველივე ეს ფადლონმა „დაუნერა“ ბაგრატ III-ს, ე.ი. დიპლომატიურად წერილობით გააფორმა.<sup>1</sup> ამ შემთხვევაში, ტერმინი „დანერილი“, რომელიც ზოგადად ქართულ დიპლომატიკაში „იურიდიული შინაარსის წერილობით დოკუმენტს აღნიშნავს“,<sup>2</sup> წარმოგვიდგება კონკრეტულად საზავო ხელშეკრულების აღმნიშვნელ ტერმინად.

ფადლონზე გამარჯვებამ თვალსაჩინოდ აამაღლა საქართველოსა და მისი მეფის ავტორიტეტი ამიერკავკასიაში. ამის ერთგვარ გამოძახილად მკვლევრებს (პ. თოფურია, დ. მუსხელიშვილი)<sup>3</sup> მიაჩნიათ ბაგრატ III-ის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება, რომელსაც ვხვდებით სუმბატ დავითის ძის თხზულებაში: „დაიპყრა ყოველი კავკასია

---

ნაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე.., გვ. 195). საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში კი ნაჩვენებია 1011-1012 წწ. (იხ. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, და სხვ., საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო. ტ. I. თბ., 1958, გვ. 141).

<sup>1</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის.., გვ. 190.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. მინათმფლობელობის ფორმირებისთვის საქართველოში. ტერმინი „დანერილისათვის“. – საქართველოს ისტორიის საკითხე(90)ბი, ტ. III. თბ., 1966; პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები.., გვ. 190.

<sup>3</sup> პ. თოფურია. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები.., გვ. 190; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 242.

თვთმპყრობელობითა ჯიქეთიდგან ვიდრე გურგენადმდე. ხოლო **ადარბადაგანი** და **შარვანი მოხარკე ყო**.<sup>1</sup> თუ განძა-ადარბადაგანის მიმართ, ბაგრატის ზემოთ ხსენებული ლაშქრობის შემდეგ, ქართველ ისტორიკოსს უთუოდ გააჩნდა ამგვარი განცხადების გაკეთების ერთგვარი საფუძველი, ამას ვერ ვიტყვით შარვანზე. ამ პერიოდისათვის ჩვენ არ გავგაჩინია რაიმე ხელმოსაკიდი მასალა, რომელიც ადასტურებდეს ბაგრატ III-ის აქტიურობას შარვანის მიმართულებით,<sup>2</sup> თუმცა ზოგიერთი ისტორიკოსი (დ. მუსხელიშვილი) მაინც დასამუშავებლად თვლის, რომ ბაგრატს მეფობის ბოლო წლებში შეიძლება შარვანიც მოხარკედ ექცია.<sup>3</sup> ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით ბაგრატიონთა მემკვიდრის ამ შეფასებას, ახლა კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ საქართველო-სომხეთის ურთიერთთანამშრომლობის ფაქტზე ფადლონის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენებისა და განმტკიცების დასაწყის სტადიაზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სომხურ პოლიტიკურ სამყაროსთან ურთიერთობას.<sup>4</sup> როგორც ცნობილია, IX-X საუკუნეების მთელ მანძილზე მიმდინარეობდა პერმანენტული ბრძოლები საქართველოსა და ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობის მოპოვებისათვის. ამ **{91}** ბრძოლაში არაერთხელ დაპირისპირებია ერთმანეთს სომხური და ქართული პოლიტიკური ერთეულები.<sup>5</sup> სომხურ სამეფო-სამთავროებიდან საქართველოსთან განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანისის (შირაქის) ბაგრატიონთა სამეფოს, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, აცხადებდა პრეტენზიას ამიერკავკასიის მასშტაბით ერთიანი ქრისტიანული სახელ-

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 282. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**)

<sup>2</sup> **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 191.

<sup>3</sup> **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 243.

<sup>4</sup> **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა..., გვ. 191. **{91}**

<sup>5</sup> **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა-პოლიტიკური..., გვ. 191.

მნიფოს შექმნაზე.<sup>1</sup>

X ს. II ნახევრიდან საქართველოს დაუმეზობლდა ტაშირ-ძორაგეტის სომხური სამეფო, რომელიც წარმოიქმნა ქვემო ქართლის („სომხითი“-„გუგარქი“) ისტორიულად ქართულ მიწა-წყალზე.<sup>2</sup> მანამდე ეს მხარე ანისის მეფეებს ეკავათ, მაგრამ აშოტ III „მწყალობლის“ უმცროსმა შვილმა – გურგენ ბაგრატიუნმა, რომელიც მამის მიერ გუგარქის მმართველად იყო დანიშნული, უარი თქვა მეფისნაცვლობაზე და საფუძველი ჩაუყარა საკუთარ სამეფოს.<sup>3</sup> X ს. მიწურულს ტაშირ-ძორაგეტის მეორე მეფემ – დავით „ანჰოლინიმ“ („უმინანყლო“) მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები. ამ დროს ტაშირ-ძორაგეტის შემადგენლობაშია ე.წ. „ქართველთა ველი“. დავით „უმინანყლო“ დაეუფლა აგრეთვე დმანისს.<sup>4</sup> მანვე შემოიმტკიცა მარზპან დემეტრეს სამფლობელოები, რომელიც ქართული ორიენტაციის მოღვაწე ყოფილა და ქართველთა კი მონათლულა.<sup>5</sup> დავითი წარმატებით ებრეებრძოდა თბილისის {92} ამირასა და განძის ამირა ფადლონ-

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა-პოლიტიკური..., გვ. 191.

<sup>2</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ.: ლ. ჯანაშია. ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1962, გვ. 176-177; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, გვ. 152; დ. ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. თბ., 1979, გვ. 21; თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 227-229.

<sup>3</sup> თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო, გვ. 234.

<sup>4</sup> ალ. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 108-109. იხ. აგრეთვე: ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნ. II, გვ. 131; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 192; თ. პაპუაშვილი. რანთა და ..., გვ. 237-238.

<sup>5</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 181-182; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ნ. II, გვ. 131; დ. ბერძენიშვილი. ქვემო ქართლის გეოგრაფიიდან. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, 6, 1969, გვ. 102-104; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 193; ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა, გვ. 108-109. {92}

საც.<sup>1</sup> მან ანისის მეფისაგან თავის დაღწევაც კი მოინდომა, მაგრამ ამაოდ. 1001 წელს გაგიკ სომეხთა მეფემ გაილაშქრა ტაშირს, სამშვილდეს და „ქართველთა ველს“ და კვლავ თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ტაშირ-ძორაგეტის სამეფო.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, გაერთიანებული საქართველოს მეფეს ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი სომხურ პოლიტიკურ სამყაროსთან. უმთავრესად, რასაკვირველია, ქვემო ქართლის ტერიტორიების საკითხი, მაგრამ ბაგრატ III-ის წინაშე, როგორც მართებულად მიუთითებს მ. ლორთქიფანიძე, ამ დროს სხვა უფრო გადაუდებელი ამოცანები იდგა და ამიტომ ის გაგიკ სომეხთა მეფესთან მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა.<sup>3</sup> {93}

---

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 181-182; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური.., გვ. 193; **თ. პაპუაშვილი**. რანთა და კახთა სამეფო.., გვ. 238.

<sup>2</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 203; **ივ. ჯვავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 131; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური.., გვ. 193.

<sup>3</sup> **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან.., გვ. 193. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვიზიარებთ ა. აბდალაძის მიერ ამ ბოლო დროს გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ბაგრატ III გაცილებით ნაკლებად აქტიურობდა სომხური სამეფო-სამთავროების დაქვემდებარებისათვის, ვიდრე დავით კურაპალატი, გიორგი I და ბაგრატ IV (**ა. აბდალაძე**. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა.., გვ. 211-212; **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა.., გვ. 257), მაგრამ, ამასთან, რამდენადმე სადავოდ მიგვაჩნია ამ მოვლენის ა. აბდალაძისეული ახსნა. ჩვენი აზრით, საეჭვოა, რომ ბაგრატ III-ს მხოლოდ იმიტომ შეეკავებინა თავი აქტიური პოლიტიკის გატარებისაგან სომეხი მეფე-მთავრების მიმართ, რადგან ეს უკანასკნელნი მისი გამზრდელის ვასალები იყვნენ. საკითხის ასე დასმა, ვფიქრობთ, გაუმართლებელია – იგი ნიშნავს დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის პოლიტიკური ინტერესების ერთიანობის ერთგვარ უარყოფას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, პრაქტიკულად, არც ერთ სიტუაციაში (თვით რატი ბაღვაშის ირგვლივ 988 წელს ატეხილ კონფლიქტშიც კი) არ გამომჟღავნებულა. დავითის სიცოცხლეში შესაძლებელი რომ ყოფილიყო საქართველოს გავლე-

სომხურ პოლიტიკურ ერთეულებთან და კერძოდ ანისის სამეფოსთან ამგვარ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ X ს. 70-იან წლებში, როდესაც ანისის მეფე სუმბატი მხარში ამოუდგა დავით კურაპალატს ბაგრატი უფლისწულის „აფხაზეთში“ გამეფების საქმეში.<sup>1</sup> საერთოდ უნდა ითქვას, რომ დავით კურაპალატს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ანისის მეფეებთან. როგორც ვიცით, ანისის მეფე სუმბატი თავისი ძმით გაგიკითურთ და აგრეთვე კარის მეფე აბასთან ერთად დაეხმარნენ მას 988 წელს, როდესაც რატი ბაღვაშის მიერ პროვოცირებულ იქნა კონფლიქტი ბაგრატი III-სა და დავით კურაპალატს შორის.<sup>2</sup> სომეხთა მეფე გაგიკი აქტიურად უჭერდა მხარს დავით კურაპალატს მაჰმადიანი ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში X ს. 90-იან წლებში.<sup>3</sup>

---

ნის დამყარება მეზობელ სომხურ ერთეულებზე, იმიერტაოს მმართველისადმი სომეხი მეფე-მთავრების ვასალური დამოკიდებულება არა თუ ხელს შეუშლიდა, არამედ პირიქით, უფრო გაუადვილებდა კიდევ „აფხაზ{93}თა“ მეფეს მათ დამორჩილებას. რაც შეეხება კურაპალატის გარდაცვალების შემდგომ პერიოდს, აქ მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ ბაგრატი III-ს რომც სდომოდა სომხური სამეფო-სამთავროებზე თავისი დიქტატის დამყარება, ამას მოერიდებოდა ბასილი კეისრის შიშით, რომელიც სხვა „არგუმენტებთან“ ერთად, სომხური პოლიტიკური ერთეულების დამორჩილების საქმეში მართლაც, უდავოდ გამოიყენებდა გარდაცვლილი დავით კურაპალატის მემკვიდრის როლში ყოფნას. **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა., გვ. 258-259.

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского.*, გვ. 180. **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური., გვ. 192.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. {39-42}.

<sup>3</sup> დანვრილ. იხ.: **ვ. კოპალიანი.** ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან. თბ., 1962, გვ. 140-142. ამ და სხვა ანალოგიურ ფაქტებზე დაყრდნობით, ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი, ლეო, რ. გრუხე და სხვ.) ეჭვგარეშედ მიიჩნევდნენ დავით კურაპალატის უზენაესობას სომეხ მეფე-მთავრებზე (სათანადო ლიტ. იხ.: **ა. აბდალაძე.** ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა., გვ. 231), მაგრამ ბოლო დროს აქა-იქ ვხვდებით ამ სწორი შეხედულების უსაფუძვლოდ გადასინჯვის ცდებს (იხ. **В. А. Арутюнова-Фиданян.** Из истории северо-Восточных

ბაგრატ III-მ, როგორც {94} ჩანს, გააგრძელა თავისი მამობილის პოლიტიკა სომხური ერთეულების მიმართ. ყოველი შემთხვევისათვის, განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ ბაგრატ III-ისა და გაგიკის ერთობლივი გამოსვლა საქართველო-სომხეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულების და თანამშრომლობის აქტად უნდა მივიჩნიოთ.<sup>1</sup> ქართულ-სომხური თანამშრომლობა საერთაშორისო არენაზე, როგორც ნაჩვენებია იქნება ქვემოთ, კიდევ უფრო მრავალმხრივი და მასშტაბური გახდა გიორგი I-ის ხანაში, როდესაც ისინი ერთობლივად გამოვიდნენ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ.

ახლა მივუბრუნდეთ ბაგრატ III-ის მოღვაწეობის სუმბატ დავითის ძისეულ შეფასებას და მის შუქზე მოკლედ შევხვით საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობას ჩრდილოეთის მეზობლებთან. როგორც უკვე აღინიშნა, იმ დროს, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას, ჩრდილოეთ კავკასია წარმოადგენდა ეთნიკურად მეტად ჭრელ რეგიონს. ქართულ პოლიტიკურ სამყაროს მუდამ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და ტომებთან. ნყაროებში ვხვდებით არა-

---

областей Византийской империи в XI в. – *Историко-филологический журнал*, №1, 1972, გვ. 92; **Р. А. Хонелия**. Некоторые вопросы истории Абхазии и абхазов по армянским источникам. – *Историко-филологический журнал*, №4, 1965, გვ. 102). ვითვალისწინებთ იმას, რომ ა. აბდალაძემ გულდასმით გაანალიზა სათანადო ქართულ-სომხური მასალები და დამაჯერებლად აჩვენა დავით კურაპალატის სიუზერენიტეტი იმდროინდელ სომეხ მმართველებზე (**ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა..., გვ. {94} 231-241), ჩვენ ზემეტყად მიგვაჩნია ამ პრობლემაზე სპეციალურად შეჩერება და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით ვკმაყოფილდებით.

<sup>1</sup> მკვლევარი ალ. აბდალაძე, აკვირდება რა „მატიანე ქართლისაჲს“ მონაცემებს ფადლონის წინააღმდეგ ქართველთა ერთობლივი გამოსვლის შესახებ, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათში იგრძნობა გაგიკ სომეხთა მეფეზე ბაგრატ III-ის უზენაესობა. იხ.: **ა. აბდალაძე**. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა..., გვ. 212.

ერთ საინტერესო მასალას ქართველი და ცალკეული ჩრდილოეთ-კავკასიური ტომის კეთილმეზობლური, მშვიდობიანი ურთიერთობის შესახებ, თუმცა დროდადრო მათ შორის კონფლიქტებსაც ჰქონდა ადგილი.<sup>1</sup>

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგავაჩნია რაიმე კონკრეტული მასალა გაერთიანებული საქართველოს კონტაქტები {95} სა ჩრდილოეთის მეზობლებთან ბაგრატ III-ის ხანაში, ამდენად, სუმბატ დავითის ძის განცხადება: „**დაიპყრა** (ბაგრატ III-მ – **ზ.პ.**) **ყოველი კავკასია თვთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე**“,<sup>2</sup> ერთი შეხედვით თითქოს გაზვიადებულიც კი ჩანს, თუმცა, როგორც სამართლიანად მიუთითებენ მკვლევრები (დ. მუსხელიშვილი), გარკვეული საფუძველი ამგვარი განცხადებისათვის სუმბატ დავითის ძეს, შეიძლება, ჰქონდა კიდეც.

პირველ რიგში, ყურადღება ექცევა X ს. I ნახევრის ზოგიერთ მასალას, რომელიც ნათლად მეტყველებს საქართველოს (კერძოდ, „აფხაზთა“ სამეფოს) გაზრდილ ავტორიტეტზე ჩრდილოეთ კავკასიაში. მხედველობაში გვაქვს ცნობები „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ის (922-957 წწ.) მიერ ალანია-ოგსეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ, რომელსაც გვანდის კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი.<sup>3</sup> მიჩნეულია, რომ ეს მონაცემები რეალურად ასახავენ

---

<sup>1</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **გ. თოგოშვილი**. საქართველოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV ს-მდე). სტალინირი, 1958; **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე**. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I. თბ., 1969; **А. И. Шавхелишвили**. Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами. Грозный, 1963; **М. Р. Гасанов**. Из истории дагестано-грузинских взаимоотношений (С древнейших времен до конца XIV в.). Автореферат кард. дисс. Махачкала, 1968 და სხვ. {95}

<sup>2</sup> *ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 382 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>3</sup> *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული

იმდროინდელ ვითარებას და დასაშვებს ხდინან „აფხაზ“ მეფეთა პოლიტიკური სუვერენიტეტის არსებობას ალანებზე.<sup>1</sup>

გარდა ამისა, წყაროები (*„მატიანე ქართლისაჲ“*) მანამდეც უსვამენ ხაზს ოვს მეფე-მთავართა მონაწილეობას „აფხაზთა“ მეფის სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. ასე მაგალითად, IX ს. მიწურულს „აფხაზთა“ მეფე ბაგრატმა, რომელიც თავის ცოლისძმასთან ერთად იბრძოდა „შიდა ქართლისათვის“, მოიშველია ოვსთა ლაშქარი მათი მთავრის ბაყათარის მეთაურობით.<sup>2</sup> X-XI სს. მიჯნაზე ალანეთის მისადგომებისათვის იბრძოდა „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III (889-922 წწ.), რის შესახებაც ცნობას გვანვდის სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტცი: „ეგრისის მეფე კონსტანტინემ... შეკრება ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხარით კავკასიის მთის ხევებით, რათა გუგართა ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები **{96}** მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა“.<sup>3</sup> ამ შემთხვევაში, მართალია, დასავლეთ საქართველოს მეფემ ვერ შეძლო თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა – მას წინ აღუდგა სომეხთა მეფე სუმბატ ბაგრატიანი.<sup>4</sup> მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მოგვიანებით, გიორგი II მეტად თავისუფლად მოქმედებს ალან-ოვსეთში, რაც აშკარად უნდა მიგვანიშნებდეს იმას, რომ ალან-ოვსები ამ პე-

---

თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1952, გვ. 214.

<sup>1</sup> **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 235.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 261; **დ. მუსხელიშვილი**. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი, ტ. II, გვ. 236.

<sup>3</sup> **იოანე დრასხანაკერტელი**. სომხეთის ისტორია..., გვ. 109; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 443. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **Иованнес Драсханакерци**. История Армении. Перевод с древнеармянского, вступительная статья и комментарий **М. О. Дарбинян-Меликян**. Ереван, 1986, გვ. 152.

<sup>4</sup> **იოანე დრასხანაკერტელი**. სომხეთის ისტორია..., გვ. 109; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 443.



რიოდში „აფხაზთა“ მეფის ქვეშევრდომები იყვნენ.<sup>1</sup>

ქართველ ისტორიკოსთა ამ დასკვნას ხელს არ უნდა უშლიდეს X ს. არაბი ავტორის მასუდის ცნობა, რომლის მიხედვითაც X ს. შუა ხანებში ალანთა მეფე თითქოს მთავრობდა „აფხაზებზე“.<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, როდესაც მიუთითებს, რომ ასეთი რამ წარმოუდგენელია „ან მასუდი გაცილებით ძველ ამბავს აღნიშნავს, – წერს მეცნიერი, – ანდა ტექსტი აქ შერყვნილია და დედანში სწორედ „აფხაზთა“ ალანებზე მთავრობის შესახებ იყო საუბარი და არა – პირუკუ“.<sup>3</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია საქართველო-ოსეთის რაიმე კონტაქტებზე ბაგრატის ხანაში. მაგრამ ეს გარემოება ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ბაგრატ III-მ ვერ განაგრძო თავის წინამორბედ „აფხაზ“ მეფეთა მიერ აღებული კურსი ოსეთის შემომტკიცებისა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბაგრატ III-ის ხანაში „აფხაზთა“ სამეფოს სიძლიერე განუხრელად იზრდებოდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს გარკვეული გავლენა არ ჰქონოდა თავის ოვს მოკავშირეებზე.<sup>4</sup> ამის საბუთად შეიძლება გამოვიყენოთ XI ს. სომეხი ავტორის სტეფანოს ტარონაცის ერთი ირიბი ცნობა, რომელმაც ამ ბოლო დროს მიიქცია ისტორიკოსთა ყურადღება. მოგვითხრობს რა, ჩვენ მიერ ზემოთ არა ერთხელ ნახსენებ ბაგრატ III-ისა და დავით კურაპალატს შორის 988 წლის კონფლიქტზე, ასოლიკი შენიშ-

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, გვ. 197-198; მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა..., გვ. 442-443; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., II, გვ. 236. {96}

<sup>2</sup> В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда, М., 1963, гв. 209; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 236.

<sup>3</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული..., II, გვ. 236. {97}

<sup>4</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული..., II, გვ. 236.

ნავს, რომ „აფხაზთა“ მეფეს მოჰყავდა „დიდძალი ლაშქარი სარმატთა ქვეყნიდან“.<sup>1</sup> დ. მუსხელიშვილი სავსებით სამართლიანად სვამს საკითხს ბაგრატ III-ის მიერ ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა (შეიძლება ალან-ოსთა, ან საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა) გამოყენების შესაძლებლობის შესახებ და მიიჩნევს, რომ ბაგრატს ხელი მიუწვდებოდა იმიერკავკასიაზე.<sup>2</sup>

საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის თვალსაზრისით XI ს. დასაწყისში ამ უკანასკნელ ხანს სპეციალისტების ინტერესი გამოიწვია ასომთავრულმა წარწერამ, რომელიც გაკეთებულია ერთ-ერთ მოოქროვილ ვერცხლის ფირფიტაზე.<sup>3</sup> „ქრისტე, ადიდე ბახტიშორ ხუასრო მეფე“. ამ წარწერას აქვს მინანური „ქრისტე შეინყალე სახლისაჲ მეჭურჭლე“. მეორე ფირფიტაზე კი იმავე ასოებით წერია „ქრონიკონი იყო სკ“ ე.ი., 1008 წ.<sup>4</sup> წარწერაში ნახსენები ბახტიშორ ხუასრო მეფე, დ. მუსხელიშვილის აზრით, უნდა იყოს სარირის ცნობილი მმართველი ბუხტი იშო, რომელიც მოხსენიებულია 1025 წლის ახლო ხანებში.<sup>5</sup>

სერირი („სარირი“) ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი

---

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 181; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., II, გვ. 236.

<sup>2</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 236-237.

<sup>3</sup> ეს ფირფიტები XX ს. 20-იან წლებამდე ინახებოდა შემოქმედის (გურია) მონასტერში, სადაც ის გადმოუტანიათ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ზარზმიდან (სამცხე) ქართული ოქრომჭედლის სხვა ნიმუშებთან ერთად. ამის შესახებ დანვრ. იხ.: **Г. Н. Чубинашвили**. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, გვ. 105-106; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 238.

<sup>4</sup> **Г. Н. Чубинашвили**. Грузинское чеканное искусство, გვ. 105-106; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 238. {98}

<sup>5</sup> დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 38.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება იყო. მას ეკავა თანამედროვე დაღესტნის ასსრ-ს დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი, ძირითადად თანამედროვე ავარიის მიწა-წყალი მიმდებარე რაიონებით.<sup>1</sup> სარირის საზღვრები ჩრდილოეთით ხაზართა ქვეყანამდე აღწევდა. აღმოსავლეთით და სამხრეთით კი მისი მეზობლები იყვნენ სხვა დაღესტნური გაერთიანებები: კაიტაკი, შანდანი, ზირიხ-გერანი, გუმიკი, ფილანი.<sup>2</sup> XI საუკუნეში სარირი გამოდიოდა როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება.

მოგვიანებით (XII ს. ბოლო – XIII ს. დამდეგი) ფიქრობენ, რომ სარირი დაქუცმაცდა წვრილ ფეოდალურ სამფლობელოებად და მის ნანგრევებზე შეიქმნა რამდენიმე სასოფლო თემთა კავშირი, აგრეთვე ძლიერი ხუნძახის სანუცალო.<sup>3</sup> დადგენილია, რომ სარირის ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლად არის შემორჩენილი ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები,<sup>4</sup> რაც აქ ქართული ქრისტიანობის გავრცელებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. X ს. არაბი ავტორის მასუდის ცნობით კი სარირის მეფე (943 წ.) ქრისტიანია.<sup>5</sup> უფრო ადრე (900 წ.) მეორე {99} არაბი ავტორის იბნ რუსტეს მონაცემებით არა მარტო მეფე, არამედ ღუნძთა ზედაფენაც მთლიანად გაქრისტიანებული ყოფილა.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 133; **Д. М. Атиев.** Нагорный Дагестан в раннем средневековье. Махачкала, 1963, გვ. 3; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских..., გვ. 70.

<sup>2</sup> **В. М. Беилис.** Из истории Дагестана VI-XI вв. (Серия). – *Исторические записки*, т. 73, 1963, გვ. 249; *История Дагестана*, т. I. М., 1967, გვ. 123; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских..., გვ. 70.

<sup>3</sup> **В. М. Беилис.** Из истории Дагестана VI-XI вв., გვ. 265; **А. Р. Шихсаидов.** Дагестан в X-XIV вв. Махачкала, 1975, გვ. 11; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 70.

<sup>4</sup> **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს..., II, გვ. 239.

<sup>5</sup> **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 203; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული..., II, გვ. 239. {99}

<sup>6</sup> **В. Ф. Минорский.** История Ширвана..., გვ. 134; **დ. მუსხელიშვილი.**

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, აზრი იმის შესახებ, რომ, XI ს. დასაწყისისათვის, შეიძლება, ბაგრატ III-ს მართლაც დაემყარებინა თავისი კონტროლი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კავკასიაზეც („გურგენადმდე“), საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ასე რომ, სუმბატ დავითის ძის გამონათქვამი: **„დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე“** რეალურ შინაარსს იძენს.

ვიდრე შევაჯამებდეთ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას XI ს. დასაწყისში, შევეხოთ კიდევ ერთ ფრაგმენტს ბაგრატ III-ის მოღვაწეობის სუმბატისეული შეფასებიდან: **„დაიპყრა ყოველი კავკასია... და ბერძენთ მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“**.<sup>1</sup> აღნიშნული ფრაგმენტიც, ისევე როგორც მთელი ციტატა, ერთი შეხედვით გაზვიადებულია. ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით მიმოვიხილეთ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ცალკეული საკითხები X ს. დამდეგს და დავრწმუნდით, რომ ამ პერიოდში საქართველო ჯერ კიდევ რჩებოდა „ბიზანტიის ქვეყნად“ და რომ 1001 წელს ბასილი II-ის მიერ ბაგრატ III-ისათვის კურაპალატის ტიტულის მინიჭება, ფორმალურად მაინც ნიშნავდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ვასალურ დამოკიდებულებას კონსტანტინოპოლის ხელისუფლებისადმი. მაგრამ, ამასთან, ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ ბაგრატ III-ს გაკურაპალატება ნიშნავდა ბიზანტიის მმართველი წრეების მიერ „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის სიძლიერის ცნობას და მისთვის ანგარიშის განწევას.

ჩვენ ვიციით, რომ ბიზანტიის იმპერატორი არ შეიძლება ბოდა ერთიანი, ძლიერი საქართველოს შექმნის მოსურნე ყოფილიყო, მაგრამ იმ ეტაპზე, აწინილი საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო, არ შეეძლო ჩარეულიყო

---

**მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის., II, გვ. 239.

<sup>1</sup> *ქართლის ცხოვრება*. ტ. I, გვ. 382 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). {100}

საქართველოს გაერთიანება-განმტკიცების პროცესში. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ ბასილი კეისარმა ვერ მოახერხა დაეცვა ბაგრატის ხელყოფისაგან კლარჯეთის ბაგრატიონები, რომლებმაც, **{100}** უეჭველია, სთხოვეს კონსტანტინოპოლის დახმარება. ყოველივე ეს ამკარად მიუთითებს, რომ ბიზანტიას ძალა არ შესწევდა რაიმე ელონა საქართველოს შემდგომი გაძლიერების შესაჩერებლად და ყოველმხრივ ცდილობდა საშიში „ვასალისათვის“ არაფერი დაეშავებინა. სწორედ ამ ასპექტში უნდა გავიგოთ ჩვენ სუმბატის გამონათქვამი: „ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა“ – ბაგრატ III-ისა.<sup>1</sup>

ამრიგად, XI ს. დასაწყისში ძირითადად დასრულდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ხანგრძლივი პროცესი და შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია, რომელიც იმთავითვე გადაიქცა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად საერთაშორისო არენაზე. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული საქართველოს მეფეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული სრული დამოუკიდებლობა ბიზანტიის იმპერიისაგან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის მოქმედებდა სავსებით თავისუფლად და ფაქტობრივად ამყარებდა თავის (და არა ბიზანტიის) სუვერენიტეტს კავკასიაში. საქართველოს სამეფო გადაიქცა კავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ.<sup>2</sup> ბიზანტიის ხელისუფლება, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა საქართველოს სახელმწიფოს ამგვარ და-

---

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი მუთითებდა, რომ ბიზანტიის ხელისუფლებას ეშინოდა საქართველოს სახელმწიფოს არ დაებრუნებინა იმიერტაოს მიწები და ამიტომ „აქუნდა შიში“. იხ.: ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 88.

<sup>2</sup> ცნობილი მეცნიერის – კ. თუმანოვის შენიშვნით, ბაგრატ III თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში „იყო ყველაზე უფრო ძლიერი ხელისუფალი, ხოლო მისი სამეფო ყველაზე უფრო ძლიერამოსილი სახელმწიფო კავკასიაში“. იხ.: C. Toumanoff. *The Background of Manzikert. – Proceedings of the XIII Congress of Byzantine Studies.* Oxford, 1967, გვ. 425; ა. აბდალაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა..., გვ. 75. **{101}**

ნინაურებას და შეეცდებოდა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა ურჩი მეზობლისა და „ვასალის“ დასასუსტებლად. მნიფდებოდა დიდი კონფლიქტი იმპერიასთან, რომლის შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემდგომი ბედ-იღბალი. ამ კონფლიქტმა დიდხანს არ დააყოვნა და მთელი ძალით იფეთქა XI ს. 10-იანი წლების მინურულს გიორგი I-ის ხანაში. {101}

**II ტაში. მართიანი ქართული სახელმწიფოს  
ბრძოლა მროვნული სუვერენიტეტის  
მოპოვებისათვის  
სამართაშორისო ურთიერთობებში  
XI ს. 20-50-იან წლებში**

**1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ბიზანტიის  
იმპერიის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და  
საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული  
სუვერენიტეტის მოპოვებისათვის  
გიორგი I-ის ხანაში**

XI ს. 10-იანი წლებისათვის, როგორც ნაჩვენებია იყო წინა თავეში, გაერთიანებული ქართული სახელმწიფო გადაიქცა უძლიერეს პოლიტიკურ ერთეულად, რომელსაც უნარი შესწევდა პრეტენზია განეცხადებინა ჰეგემონობაზე მთელი კავკასიის მასშტაბით. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ჯერ კიდევ IX საუკუნიდან მაინც, მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა ქართულ და სომხურ სამეფო-სამთავროებს შორის ლიდერობისათვის და ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნისათვის კავკასიაში. XI ს. დამდეგიდან კი, ამ ბრძოლაში ინიციატივა მთლიანად ხელთ იგდეს გაერთიანებული საქართველოს მეფეებმა.<sup>1</sup> ბაგრატ III-მ, არამარტო შეძლო ქართული მიწების ერთ სახელმწიფოში შემოკრიბა და ერთიანი ქართული სამეფოს შექმნა, არამედ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა საერთო-კავკასიურ ასპარეზზე, რის დადასტურებას წარმოადგენს ჩვენ მიერ ზემოთ გაშიფრული სუმბატ დავითის ძის შეფასება „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მოღვაწეობისა.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ (1014 წ.) საქართველოს სამეფო კარის უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური

---

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს შინა..., გვ. 192. {102}

ამოცანა {102} იყო პოზიციების შემდგომი განმტკიცება კავკასიაში და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე. ყოველივე ეს მთლიანად დამოკიდებული იყო ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობის მოწესრიგებაზე. როგორც უკვე ითქვა, საქართველო ჯერ კიდევ რჩებოდა (ფორმალურად) „ბიზანტიის ქვეყნად“, ქართველი მეფე ატარებდა კურაპალატის ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს. მართალია, ეს საკარისკაცო ტიტული დიდად არ ავალდებულებდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, პირიქით, შესაძლებელია, უფრო ავტორიტეტულსაც კი ხდიდა მათ საერთაშორისო არენაზე, მაგრამ ქვეყნისათვის, რომელიც მტკიცედ დაადგა პოლიტიკური აღმავლობის გზას და თვითონ აპირებდა საკუთარი დიქტატის დამყარებას რეგიონში, მუღებელი იყო სხვა სახელმწიფოს „ვასალის“ (თუნდაც ფორმალური) როლში დარჩენა. მას მერე, რაც წარმატებით განხორციელდა საქართველოს გაერთიანების საქმე და მოპოვებულ იქნა პირველი წარმატებები საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე, საჭირო იყო ბიზანტიასთან ურთიერთობის გადასინჯვა. აუცილებელი იყო ბიზანტიას „ეგრძნო საქართველოს სიძლიერე, ერთხელ და სამუდამოდ ელიარებინა მისი სუვერენობა და თანასწორობა“.<sup>1</sup> ამისათვის კი, პირველ რიგში, აუცილებელი იყო 1001 წელს ბიზანტიის იმპერიის მიერ მიტაცებული ტაოს მიწების დაბრუნება, კონსტანტინოპოლის პროტექტორატიდან ქვეყნის გამოყვანა და ამით ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ დიდი მიზნის განხორციელებას შეაღია თავისი ხანმოკლე მეფობა ბაგრატ III-ის მემკვიდრემ – გიორგი I-მა (1014-1027წწ).

გიორგი I-ის მეფობის დასაწყისი შინა-პოლიტიკური გართულებებით დაიწყო. მას განუდგა *„ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი,*

---

<sup>1</sup> **შ. მესხია.** ძლევაი საკვირველი. – წგნ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 22.



რომელთა პირველ აქუნდა იგი“.<sup>1</sup> ეტყობა, კახეთ-ჰერეთის ყოფილმა მფლობელებმა ისარგებლეს გაერთიანებული საქართველოს მეფის მცირეწლოვნებით (აგრეთვე იმითაც, რომ საქართველოს სამეფო კარის ყურად{103}ღება ამ დროს „მთლიანად ტაოსკენ იყო მიპყრობილი“)<sup>2</sup> და მოახერხეს თავიანთი დაკარგული უფლებების აღდგენა.

ამასთან დაკავშირებით ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამან კვირიკე დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფეთ კახთა“.<sup>3</sup> ეს კვირიკე (1010-1037 წწ.) მიჩნეულია „რანთა და კახთა მეფედ“.<sup>4</sup> ძნელია იმის თქმა თუ რა უფრო მნიშვნე-

---

<sup>1</sup> **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. – ქართლის ცხოვრება“..., I, გვ. 383. {103}

<sup>2</sup> **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 176.

<sup>3</sup> **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა..., გვ. 561.

<sup>4</sup> **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან..., გვ. 160. **თ. პაპუაშვილი.** რანთა და კახთა სამეფო..., გვ. 218. ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სამეფოდან ჩამოშორებისა და „რანთა და კახთა სამეფოს“ შექმნის თარიღის ირგვლივ. თ. პაპუაშვილი, ეყრდნობა რა სუმბატის მონაცემებს (რომელთა მიხედვითაც კახეთ-ჰერეთის საქართველოსაგან გამოყოფა მოხდა გიორგი I-ის გამეფებასა – 1014 წ. და საქართველო-ბიზანტიის ომის დაწყებას – 1021 წ. შორის), ასკვნის, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო 1020 წელს (**თ. პაპუაშვილი.** რანთა და კახთა სამეფო..., გვ. 217-218). აკად. ნ. ბერძენიშვილი კი კახეთ-ჰერეთის ერთ სახელმწიფოდ შერწყმას სულაც XII ს. 20-იან წლებში ვარაუდობდა (**ნ. ბერძენიშვილი.** აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III. თბ., 1966, გვ. 254). ჩვენ არ შეგვიძლია დაბეჯითებით იმის თქმა, იყო თუ არა ერთდროული აქტი კახეთ-ჰერეთის ჩამოშორება საქართველოსაგან და ერთიანი „რანთა და კახთა“ სახელმწიფოს შექმნა (თუმცა ეს, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო), მაგრამ ამ აქტის (კახეთ-ჰერეთის საქართველოსაგან გამოყოფის) 1020 წლამდე, მით უფრო 20-იან წლებში გადატანა მართებულად არ გვეჩვენება. ვფიქრობთ, რომ სუმბატ დავითის ძის თხზულებაში გიორგი I-ის მეფობაზე თხორობის დაწყება კახეთ-ჰერეთის განდგომით უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს აქტი გიორგი I-ის გამეფებისთანავე მოხდა, ე.ი., ვიდრე მცირეწლოვანი მეფე მომაგრდებოდა სამეფო ტახტზე.

ლოვანი იყო საქართველოს მმართველი წრეებისათვის: კახეთ-ჰერეთის კვლავ შემომტკიცება თუ ბიზანტიის მიერ წართმეული მიწების უკან დაბრუნება. შესაძლებელია, სამეფო კარზე არ იყო ერთი აზრი ამის თაობაზე. ბაგრატ III, როგორც ვნახეთ, არ ართულებდა ურთიერთობას კონსტანტინოპოლთან, მთელ ძალებს სხვა ქართული მიწების (ამ შემთხვევაში **{104}** კახეთ-ჰერეთისა) შემოკრებას ახმარდა და, ეტყობა, მხოლოდ ამის შემდეგ აპირებდა ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარებას. მას მერე, რაც გიორგი I-მა დაკარგა კახეთ-ჰერეთი, საქართველოს სამეფო კარის წინაშე შეიძლება კვლავ დასმულიყო ალტერნატივა, პირველ რიგში, რომელი – იმიერტაოს თუ კახეთ-ჰერეთის – მიმართულებით მიემართა იარაღი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეს. არაა გამორიცხული, რომ, ამ შემთხვევაშიც, ჯერ კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებაზე ეფიქრათ, მაგრამ, ამ დროს მოხდა ისეთი რამ, რომელმაც საქართველოს მმართველი წრეები აიძულა დროებით გადაედო კახეთ-ჰერეთის შემოერთება და სასწრაფოდ ეზრუნა იმიერტაოს მიწების დაბრუნებისათვის.

მხედველობაში გვაქვს მოვლენები, რომლებიც განვითარდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (ბასილი კეისრის ომი ბულგარეთში) და, რომლებმაც კარგა ხნით მიიპყრო ბიზანტიის იმპერიის ყურადღება.<sup>1</sup> საქართველოს ხელისუფლება, ბუნებრივია, შეეცდებოდა, ხელიდან არ გაეშვა ეს მომენტი და დაუყონებლივ გადაეჭრა იმიერტაოს პრობლემა. საფიქ-

---

შესაძლებელია, მოგვიანებით, როცა ახალგაზრდა მეფემ რამდენადმე განიმტკიცა თავისი ხელისუფლება, გარკვეულწილად შეძლო თავისი პრიორიტეტის აღდგენა კახეთ-ჰერეთში. თუმცა ხელი ვერ შეუშალა „რანთა და კახთა სამეფოს“ ცალკე სახელმწიფოდ ფორმირებას. ყოველი შემთხვევისათვის, საქართველო-ბიზანტიის ომის დაწყებისათვის „რანთა და კახთა“ ქვეყანა გიორგი I-ის გავლენის ქვეშ უნდა იყოს, რაზედაც მეტყველებს ამ ქვეყნის ლაშქარის მონაწილეობა საქართველოს მეფის მხარეზე ბიზანტიასთან ომში. **{104}**

<sup>1</sup> Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии..., გვ. 223.

რებელია, რომ ასეთ ვითარებაში გიორგი I-მა დროებით გადადო კახეთ-ჰერეთის საკითხი. შესაძლებელია, საქართველოს მეფემ ოფიციალურადაც კი ცნო „რანთა და კახთა“ სამეფოს შექმნა და შეკრა მასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.<sup>1</sup> ამის მაჩვენებელი უნდა იყოს კახთა და ჰერეთა ლაშქრის მონაწილეობა გიორგი I-ის მხარეზე საქართველობიზანტიის ომში, რაზედაც ინფორმაციას გვანვდიან „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი („მოიყვანა ძალი კახეთისა და ჰერეთისა“)<sup>2</sup> და სუმბატ დავითის ძე („მოიყვანა ნანარნი და შაქნი“).<sup>3</sup> გიორგი I-ს დაუძრავს თავისი ჯარები და შეჭრილა იმიერტაოში.<sup>4</sup>

აი, რას წერს ამის შესახებ იაჰია ანტიოქიელი: **{105}**

---

<sup>1</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 97.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 285.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 383.

<sup>4</sup> ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა გიორგი I-ის იმიერტაოში შეჭრის თარიღის ირგვლივ. ივ. ჯავახიშვილი, ეყრდნობოდა რა იაჰია ანტიოქიელის მონაცემებს, ასკვნიდა, რომ ეს მოხდა 1014-1016 წლებში, მაშინ, როდესაც ბასილი II ბალკანეთის ამბებით იყო დაკავებული (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 134). ო. ცქიტიშვილმა ეჭვის ქვეშ დააყენა **{105}** ეს თარიღი და შენიშნა, რომ გიორგი მეფეს, პირველ რიგში, კახეთ-ჰერეთის შემოერთებაზე უნდა ეზრუნა და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეჭრილიყო იმიერტაოში. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ამ მოვლენას 1014-1018 წლებით ათარიღებს. (ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის..., გვ. 118-119). ჩვენ ვერ დავეთანხმებით ო. ცქიტიშვილის ამ შენიშვნას. ვფიქრობთ, სრულებითაც არ იყო აუცილებელი, გიორგი I დალოდებოდა კახეთ-ჰერეთის შემოერთებას და მხოლოდ შემდეგ დაეწყო ომი იმპერიასთან. სავსებით შესაძლებელია, რომ გიორგი მეფე კახეთ-ჰერეთის საკითხებში ზოგ დათმობაზეც კი წავიდა (მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალბათ ცნო კიდევ „რანთა და კახთა“ სამეფოს დამოუკიდებლობა), ოღონდ ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი მომენტი დასხმოდა თავს იმპერიას მაშინ, როდესაც ბასილი II-ს ჯერ კიდევ უჭირდა (1014-1016 წწ.) და არა მაშინ, როცა მან გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია ბულგარეთის კამპანიაში (1016-1018 წწ.). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 176, შენ. 2.

„რაც შეეხება იმას თუ რა შეემთხვა ბასილ მეფეს ბულგარეთის აღების შემდეგ, საქმე შემდეგშია: როდესაც ის (ბასილი II – **ზ.პ.**) იქ მათთან (ბულგარელებთან – **ზ.პ.**) მრავალრიცხოვანი ბრძოლებით იყო დაკავებული, აფხაზთა მეფე, გიორგიმ<sup>1</sup> განიზრახა ზიანი მიეყენებინა მისი სამფლობელოს განაპირა ოლქებისათვის და დაუფლებოდა იმ სიმაგრეებსა და ოლქებს, რომლებიც ბიძამისმა დავით კურაპალატმა<sup>2</sup> ბასილი მეფეს დაუთმო.<sup>3</sup> ქართული წყაროები რატომღაც არ აფიქსირებენ გიორგი I-ის ამ აქციას და თხრობას საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტზე ბასილი II-ის გამოსვლით იწყებენ.

სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის<sup>{106}</sup> მონაცემებიც მეტყველებს იმაზე, რომ გიორგი I-ს, გამეფებისას, სამემკვიდრეო დავა ჰქონია ბიზანტიის იმპერატორთან, თუმცა მის ცნობაში, იაჰია ანტიოქიელისაგან განსხვავებით, ლაპარაკია რაღაც სამფლობელოებზე, რომელიც ბასილი კეისარს „ძღვნად მიუცია“ ბაგრატ III-ისათვის და, რომლის დაუფლება მოუხდომებია გიორგი I-ს“.<sup>4</sup> ე.ი. ორივე ავტორთან ლაპარაკია დავით კურაპალატის სამემკვიდრეო

---

<sup>1</sup> ბ. სილაგაძის კომენტარებში, რომელიც დართული აქვს იაჰია ანტიოქიელის ქართულ თარგმანს, გიორგი I, რატომღაც, გაერთიანებული საქართველოს **პირველ** მეფედაა გამოცხადებული (**ბ. სილაგაძე**, იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 119). სინამდვილეში კი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე იყო არა გიორგი I, არამედ მამამისი, საქართველოს გამაერთიანებელი – ბაგრატ III.

<sup>2</sup> იაჰია ანტიოქიელი აქ უშვებს შეცდომას: დავით კურაპალატი გიორგი I-ს პაპად უფრო ერგებოდა, ვიდრე ბიძად, რადგან, როგორც ვიცით, გიორგი I-ის მამა – ბაგრატ III დავით კურაპალატის შვილობილი იყო.

<sup>3</sup> **ბ. სილაგაძე**, იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების შესახებ..., გვ. 116, იხ. აგრეთვე: **В. Розен**. Император Василий Болгаробойца. Извлечения из летописи Яхьи Антохийского. Издал, перевел и объяснил барон **В. Розен**. СПб, 1883, გვ. 63; **ო. ცქიტიშვილი**, მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 127. **{106}**

<sup>4</sup> **არისტაკეს ლასტივერტცი**, ისტორია, გვ. 42. ამის შესახებ დანვრილებით იხ. ზემოთ, გვ. **{83-84}**. შენ. 185.

ტერიტორიებზე, ოღონდ არისტაკეს ლასტივერტცი ამ ტერიტორიების მხოლოდ ნაწილზე (ბაგრატ III-ის „ძღვენზე“) უთითებს, ხოლო იაჰია ანტიოქიელი მთლიანად იმ „სიმაგრეებზე და ოლქებზე“, რომლებიც დავით კურაპალატს ბასილი კეისრისთვის დაუთმია. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იაჰია ანტიოქიელის ცნობა უფრო სრულად და ზუსტად ასახავს საქმის ვითარებას. ამაზე მეტყველებს თუნდაც იმ კონფლიქტის მასშტაბები, რომელიც გიორგი I-ის გამოსვლას მოჰყვა.

ბასილი კეისარი, გიორგი I-ის ურჩობას რომ უყურადღებოდ არ დატოვებდა, კარგად ესმოდათ საქართველოს სამეფო კარზე. გიორგი I-იც იმთავითვე შესდგომია ფართო მასშტაბის ანტიბიზანტიური კოალიციის შექმნას. ამ მიზნით საქართველოს მეფე, პირველ რიგში, დაკავშირებია მეზობელ სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს. ამის შესახებ ცნობა შემონახული აქვს ბიზანტიელ ავტორ გიორგი კედრენეს: „როდესაც აფხაზთა მთავარმა გიორგიმ იარაღი ააჟღარუნა რომაელების წინააღმდეგ, – წერს იგი, – მისი მოკავშირე იყო იოვანესიკეც, რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას“,<sup>1</sup> საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ამ დროისათვის გიორგი I-ს, ეტყობა, გარკვეული გავლენა ჰქონდა ანისის სამეფოზე.

ამაზე მეტყველებს თუნდაც არისტაკეს ლასტივერტცის მიერ მოტანილი ფაქტი საქართველოს მეფის აქტიური ჩარევისა ანისის სამეფოს საშინაო საქმეებში. სომეხი ისტორიკოსის გადმოცემით, მეფე გაგიკის გარდაცვალების (1017 წ.)<sup>2</sup> შემდეგ ანისის სამეფოში ფეო{107}დალური შინაომი ატეხილა. ერთმანეთს დაპირისპირებიან მეფე გაგიკის შვილები: „სუმბატი, რომელიც იოანედ იწოდებოდა და აშოტი (სუმბატის) მკვიდრი ძმა... ისინი ერთმანეთს შეეტაკნენ ქვეყნის და-

---

<sup>1</sup> გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. – *გეორგიაკა.*, V, გვ. 59.

<sup>2</sup> К. Н. Юзбашян. К хронологии правления Гагика I Багратуни. – *Античная древность и средние века*, 10, 1973, гв. 195-197; К. Н. Юзбашян. Скилица о захвате Анийского царства в 1045 г. – *Византийский восточник*, 40. М., 1979, гв. 78. {107}

ნანილებისათვის საჭირო შეიქნა სასამართლო, **მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი.** ორი სახელის მქონე სუმბატს (ასაკით) უფროსობის გამო (**გიორგიმ**) **მისცა წილი:** ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს – ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“.<sup>1</sup>

კიდევ უფრო მრავლისმთქმელია მომდევნო ფრაგმენტი არისტაკეს ლასტივერტციის თხზულებიდან: „აშოტის მხრიდან ერთი მთავარი საჩივრით მოვიდა გიორგისთან და უთხრა, რომ შატიკი<sup>2</sup> ჩემი სამკვიდრო ადგილია, რომელიც ჩემგან უსამართლოდ წაიღო სუმბატმაო. ეს რომ გიორგიმ მოისმინა, **დიდი რისხვითა და სიბრაზით აღენტო და ჯარი დაადევნა** (სუმბატს) კვალდაკვალ. ისინი (გიორგის ჯარი – **ზ.პ.**) მივიდნენ და მოულოდნელად დააცხრნენ მას... მასთან (სუმბატთან – **ზ.პ.**) მყოფი მთავრები სწრაფად გაიქცნენ. უკან დადევნებულმა (გიორგის ჯარებმა) გზაზე (ქალაქ) ანისის კარამდე გვამების გროვა დააყენეს, ხოლო იქიდან დაბრუნებისას გაძარცვეს საკათედრო ტაძარის მოკაზმულობა... შეპყრობილი სუმბატი მათ გიორგისთან მიიყვანეს, რომელმაც ბრძანა მისი ჩამწყვედვა. შემდეგ წაართვა სამი ციხე-სიმაგრე და გაათავისუფლა (სუმბატი)“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ გიორგი I გამოდის არბიტრის როლში სომხეთის საშინაო კონფლიქტში. უფრო მეტიც, მას უნარი შესწევს ისეთი წესრიგი დაამყაროს ანისის სამეფოში, როგორც სურს; უკმაყოფილონი დასაჯოს, მეფე შეიპყროს და ჩაამწყვდიოს და ა.შ. ყოველივე ეს უსათუოდ მეტყველებს

---

<sup>1</sup> **არისტაკეს ლასტივერტცი.** ისტორია. ქართული თარგმანი..., გვ. 44 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> შატიკის ციხე მდებარეობდა დიდ სომხეთში. იხ.: ე. ცაგარეიშვილი კომენტარები წიგნში: **არისტაკეს ლასტივერტცი.** ისტორია. ქართული თარგმანი..., გვ. 150.

<sup>3</sup> **არისტაკეს ლასტივერტცი.** ისტორია. ქართული თარგმანი..., გვ. 44; იხ. აგრეთვე: „*Повествование*“ *варданета Аристакеса Ластивертци.* Перевод с древнеармянского..., გვ. 59-60. **{108}**

იმაზე, რომ საქართველოს მეფე მთლიანად **{108}** აკონტროლებს პოლიტიკურ სიტუაციას მეზობელ სომხეთში, და რომ ანისის მეფე სუმბატი, ფაქტობრივად, მის ვასალს წარმოადგენს, ე.ი., სუმბატ ანისის მეფის მონაწილეობა ბიზანტიასთან ომში გიორგი I-ის მხარეზე საქართველო-ანისის ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობით იყო განპირობებული.

გარდა ამისა, იყო ერთი გარემოებაც, რომელიც უბიძგებდა იოვანე-სუმბატს საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტში თავისი ჩრდილო მეზობლის მხარე დაეჭირა. მისი ძმა და მოქიშპე აშოტი, რომელმაც სამეფო ტახტისთვის ბრძოლაში მარცხი განიცადა, იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა თავისი ქვეყანა და წასულიყო „ჭორომთა მეფის კარს“, სადაც ის მეფემ კარგად მიიღო. (აშოტმა), – წერს არისტაკესი, – ჯარი სთხოვა მას დასახმარებლად და მიიღო რა, წამოვიდა თავის ქვეყანაში. ღმერთმა გამარჯვება მიანიჭა აშოტს, რომელმაც მრავალი გავარი და ციხე-სიმაგრე დაიპყრო. იგი ყველა იმათზე ძლიერი შეიქნა, რომლებიც მასზე ადრე იყვნენ. ბევრმა დიდებულთაგან თავისი მშობლიური ადგილ-სამყოფელი (აშოტს) დაუთმო და საკუთარი ნებით დაემორჩილა მას“.<sup>1</sup>

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ აშოტის ასეთი გაძლიერება, რომლის ზურგს უკან იდგა ბიზანტია, საფრთხეს უქმნიდა იოვანე-სუმბატს და აიძულებდა მას კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა თავის სიუზერენსა და მფარველს გიორგი I-ს. ეხება რა ამ საკითხს კ. იუზბაშიანი წერს: „Об отношениях между Йовханнэсом-Смбатом и империей источники ничего не сообщают, но последующие события заставляют думать, что эти отношения не были дружественными. Василий покровительствовал Ашоту, стремясь, очевидно, ограничить власть и влияние анийского царя“.<sup>2</sup> ვფიქრობთ, რომ ბიზანტიის ხელისუფალთა მიერ აშოტის გაძლიერება მიზნად ისახავდა სომ-

<sup>1</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული., გვ. 44-45.

<sup>2</sup> К. Н. Юзбашян. Скилица о захвате Анийского., გვ. 78. **{109}**

ხეთში პროქართული ძალების დასუსტებასაც.

ბიზანტია, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა საქართველოს პოზიციების განმტკიცებას სომხეთში და ყველაფერს იღონებდა გიორგი I-ის მოკავშირე იოვანე-სუმბატის გადაყენებისათვის. ჩვენი აზრით, ეს იყო პირველი {109} გამოვლინება ქართულ-ბიზანტიური ინტერესების დაპირისპირებისა სომხეთში, რომელმაც კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო მოგვიანებით – XI ს. 40-იანი წლების შუა ხანებში. ერთი სიტყვით სომხეთში საქართველოს გავლენის გაძლიერებით შემოფოთებულმა ბიზანტიის იმპერატორმა მხარი დაუჭირა საქართველოს მეფის კაცის იოვანე-სუმბატის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. თავის მხრივ, აღნიშნულმა გარემოებამ, ეტყობა, აიძულა ანისის მეფე კიდევ უფრო განემტკიცებინა კავშირი გიორგი I-თან<sup>1</sup> და მონაწილეობა მიიღო საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტში „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მხარეზე.

საქართველოს მეფის მიერ შექმნილ ანტიბიზანტიურ კოალიციას შეუერთდა აგრეთვე ვანანდის სამეფოც, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იყო ანისის სამეფოსთან.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში არ არის პირდაპირი მინიშნება საქართველოს მეფის მხარეზე კიდევ ერთი სომხური სამეფოს – ვასპურკანის გამოსვლის თაობაზე, ფიქრობენ, რომ არაა გამორიცხული ამ ქვეყნის მესვეურთა მო-

---

<sup>1</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста «Матиане Картлиса». – *Византийский временник*, т. 41. М., 1980, გვ. 164.

<sup>2</sup> *История армянского народа*, ч. I. Под ред. **Б. Н. Аракеляна** и **А. Р. Ионисяна**, Ереван, 1951, გვ. 151; **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. Глава XXIV. *Походы на Сирию и Армению Западные границы империи. Последние представители династии.* დაბეჭდილია ო. ცქიტიშვილის მიერ – *მაცნე*, 4, 1968, გვ. 130-132, ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 121-122; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 104.



ნანილეობა ანტიბიზანტიურ კოალიციაში.<sup>1</sup> როგორც ცნობილია, ვასპურაკანის მეფე სენექერიმ არწრუნი გიორგი მეფის სიმამრი იყო: „*სენექერიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიაბ დედოფალი, ბაგრატის (ბაგრატ IV-ის – ზ.პ.) დედა*“ – წერს „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორი.<sup>2</sup>

მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს აგ{110}რეთვე იმასაც, რომ გიორგი I-ის დამარცხებას ბიზანტიასთან 1021-1022 წლების ომში მოჰყვა ვასპურაკანის სამეფოს გაუქმება.<sup>3</sup> აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვასპურაკანის შემოერთების გზაზე ბიზანტიის ხელისუფლებამ პირველი კონკრეტული ნაბიჯები უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1015-1016 წლებში გადადგა, როდესაც ვასპურაკანის მეფეს „პირობა“ ჩამოართვა მისი გარდაცვალების შემდეგ იმპერატორისათვის დაეთმო თავისი სამეფო.<sup>4</sup> ეს „პირობა-შეთანხმება“, რასაკვირველია, ისეთივე თავსმობვეული აქტი იყო სენექერიმ არწრუნისათვის, როგორც დავით კურაპალატის 989 წლის „ანდერძი“, რომლის ძალითაც 1001 წელს ბიზანტიამ იმიერტაო მიიტაცა, ალბათ ამიტომ იყო, რომ, მოგვიანებით, ვასპურაკანის მეფემ მონანილეობა მიიღო 1022 წელს ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რომელსაც მეთაურობდნენ ნიკიფორე ფოკა და ნიკიფორე ქსიფე.<sup>5</sup> ცნობილია, რომ ამ აჯანყე-

---

<sup>1</sup> **В. Розен.** Император Василий Болгаробойца., გვ. 379, შენ. 376; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის., გვ. 122; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა., გვ. 104-106; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო., გვ. 177.

<sup>2</sup> *ქართლის ცხოვრება*, ტ. I. გვ. 299. {110}

<sup>3</sup> **В. Розен.** Император Василий Болгаробойца., გვ. 379, შენ. 376; **К.Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства в 1045 г., გვ. 79; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის., გვ. 122, 124; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 104-106.

<sup>4</sup> **В. П. Степаненко.** О причинах и датировке передачи Васпуракана, გვ. 73-79; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского., გვ. 79.

<sup>5</sup> ამის შესახებ ცნობა შემოგვინახა არისტაკეს ლასტივერტციმ. ის

ბასთან კავშირი ჰქონდა გიორგი I-საც (მათეოს ურჰაეცის ცნობით, შეთქმულები საშველად მოუხმობდნენ გიორგი მეფეს და გაგიკის შვილებს იოვანე-სუმბატს და აშოტს).<sup>1</sup>

ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ სავსებით რეალურად გვეჩვენება ვასპურაკანის მეფის მონაწილეობა თავისი სიძის – გიორგი I-ის მიერ შექმნილ ანტიბიზანტიურ კოალიციაში, თუმცა საფიქრებელია, რომ ის „დროზე მოსულიყო გონს“, დაენახა „თავისი უხამსი საქმეები“, როგორც ამას აღნიშნავს არისტაკეს ლასტივერტცი და ჩამოშორებოდა ბასილი კეისრის მონინალმდეგეთა ბანაკს. ე.ი. ყველა პირობა არსებობს, ვივარაუდოთ ჩამოთვლილი სომხური პოლიტიკური ერთეულების გამოსვლა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მხარეზე ბიზანტიასთან ომის დასაწყის სტადიაში მაინც.

გარდა ახლო მეზობლებისა, გიორგი I-ს უფრო შორეული ქვეყნების ჩართვაც განუზრახავს ბიზანტიის წინააღმ-

---

წერს: „(სენექერიმ) იმ დროს აჯანყებულთა ერთგული თანამზრახველი იყო. მან ახლად ახლადგალვიძებულსავით ან ძლიერი ადამიანის მსგავსად, რომელიც გამოფხიზლდა სიმთვრალისაგან, დაინახა უხამსი საქმეები. არა იყო სხვა რაიმე საშუალება ბოროტი შეთქმულების ჩასაქრობად, (ამიტომ სენექერიმმა) ერთ დღეს ის, ვინც მეფედ იწოდებოდა, მოულოდნელად ბანაკიდან გარეთ გამოიყვანა, თითქოს საიდუმლო საქმეების გამო, უეცრად (სენექერიმმა) მახვილი დასცა მას და მოკლა, თავი მოჰკვეთა და მისცა თავის მსახურებს, რომ სასწრაფოდ მიეტანათ მეფისათვის“ (**არისტაკეს ლასტივერტცი**. ისტორია. ქართული თარგმანი., გვ. 49).

<sup>1</sup> **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства., გვ. 79. გაკვირვებას იწვევს ამ შემთხვევაში აშოტის მოხსენიება. როგორც აღინიშნა, აშოტი სარგებლობდა ბასილი კეისრის მხარდაჭერით და, ბუნებრივია, იმპერატორის მონინალმდეგეთა რიგებში არ უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული, რომ აშოტი არ იყო კმაყოფილი ბასილი კეისრის მიერ განეული დახმარებით და ახალი იმპერატორისაგან უფრო მეტს მოელოდა, თუმცა უფრო სავარაუდოა აშოტის ეს საქციელი გიორგი I-ის გავლენით ყოფილიყო გამონვეული.

დეგ ომში. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს იაჰია ანტიოქიელის ცნობა საქართველოს მეფის ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფა ალ-ჰაქიმთან მიმონერის შესახებ. ეგვიპტის ფატიმიდი ხალიფები, როგორც უკვე აღინიშნა სათანადო ადგილას,<sup>1</sup> კრიჭაში ედგნენ ბიზანტიის იმპერიას და მნიშვნელოვნად ასუსტებდნენ კონსტანტინოპოლის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. გიორგი I-ის მთავრობამ, რომელიც, ეტყობა, კარგად იყო ინფორმირებული წინა აზიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სწორად განსაზღვრა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიპტესთან კავშირის სარგებლიანობა და დაამყარა დიპლომატიური კონტაქტები კაიროსთან იმისათვის, რომ „გაერთიანებულიყვნენ ბასილის წინააღმდეგ საომრად და თითოეულ მათგანს (გიორგი I-სა და ალ-ჰაქიმს – **ზ.პ.**) განეხორციელებინა დარტყმა საკუთარი ქვეყნიდან.

ამ ამბავმა – წერს იაჰია ანტიოქიელი, – ბასილი მეფემდე მიაღწია. იგი რისხვით აღივსო გიორგის მიმართ, მაგრამ გულში ნადები არავისთვის გაუმხელია. მან სირიაში სალაშქროდ მომზადება ბრძანა და კონსტანტინოპოლიდან ფილიმილს გაემგზავრა. სურსათი, ფურაჟი და იარაღიც ანტიოქიაში გაგზავნა ამ ლაშქრობის მზადების ნიშნად. უკვე ეჭვი აღარავის **{112}** ეპარებოდა, რომ იგი ნამდვილად სირიას დაესხმოდა თავს. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა მეფე ფილიმილს იმყოფებოდა, მოხდა ალ-ჰაქიმის გაუჩინარება<sup>2</sup> და იგი მაშინვე აფხაზებთან საომრად დაიძრა“.<sup>3</sup> იაჰია ანტიოქიელის ეს ცნობა დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. თითქმის ყველა მეცნიერი, ვინც კი შეეხო ამ საკითხებს, სავსებით დასაშვებად მიიჩნევს კონტაქტების არსებობას სა-

<sup>1</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, გვ. **{31-32}**. **{112}**

<sup>2</sup> მკვლევრებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ალ-ჰაქიმის გაუჩინარება მის ანტიბიზანტიურ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 121; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 177.

<sup>3</sup> **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 116.

ქართველოსა და ეგვიპტეს შორის.<sup>1</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, 1021 წლისათვის ფართო ანტიბიზანტიური კოალიცია შექმნილა, რომელშიც საქართველოს გარდა შედიოდნენ: ეგვიპტის ფატიმადი ხალიფა აბუ ალი ალ-მანსურ იბნ ალ-აზიზი; ანისის მეფე იოვანე-სუმბატი, მისი ძმა აშოტი; ვასპურაკანის მეფე სენექერიმი და სხვ.<sup>2</sup> ანტიბიზანტიური კოალიციის მონაწილეები და, პირველ რიგში, გიორგი I, როგორც უკვე აღინიშნა, დაკავშირებული იყვნენ აგრეთვე ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან, რომელსაც მეთაურობდნენ ნიკიფორე ფოკა და ქსიფე.<sup>3</sup> შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო, რომ ბასილი II-მ მის წინააღმდეგ აჯანყებული ფოკას მოკვეთილი თავი სწორედ საქარ**{113}**თველოს მეფეს გამოუგზავნა.<sup>4</sup> უდავოა, რომ ამ ანტიბიზანტიური ფრონტის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო გიორგი I. სავსებით სამართლიანად

---

<sup>1</sup> **ვ. გაბაშვილი.** საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების ისტორიიდან (XI-XIII სს.). – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.* თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 58-69; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 115-117; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 92-93; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 177 და სხვ.

<sup>2</sup> **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო..., გვ. 123-124; **ელ. ცაგარეიშვილი.** არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“. – **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია..., გვ. 27.

<sup>3</sup> **ვ. გაბაშვილი.** საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობების ისტორიიდან..., გვ. 68; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 122-123; **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 109-119, 125-128; **ელ. ცაგარეიშვილი.** არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“, გვ. 27. **{113}**

<sup>4</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ..., გვ. 117; იხ. აგრეთვე: **В. Розен.** Император Василий Болгаробойца..., გვ. 65; **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 119.

მიუთითებს ო. ცქიტიშვილი, რომ გიორგი მეფე იყო პირველი ქართველ მოღვაწეთა შორის, ვინც შეეცადა საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანას.<sup>1</sup>

მიუხედავად ამგვარი რუდუნებისა, გიორგი I-მა მაინც ვერ შესძლო წარმატების მოპოვება. ამის მიზეზი იყო, ალბათ, ის, რომ ეგვიპტესთან კონტაქტებს სასურველი შედეგი არ მოჰყვა;<sup>2</sup> მალე, ეტყობა, ანისის სამეფოც ჩამოშორდა ქართველთა მეფეს.<sup>3</sup> ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფეს მარტოდმარტო მოუხდა შებრძოლება ძლიერ მტერთან. წყაროები, როგორც ქართული, ისე უცხოური, საკმაოდ დანვრილებით გადმოგვცემენ საქართველო-ბიზანტიის ომის პერიპეტიებს: „...*მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა* (გიორგი I-ის – **ზ.პ.**), – წერს „*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორი, – *გამოვიდა ბასილი მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისა და უცხო თესლითა ურიცხვითა*“.<sup>4</sup>

გიორგი I-მა სწრაფად შეაგროვა ლაშქარი და ბასიანს გაეგება მტერს, მაგრამ შებრძოლება ვერ გაბედა და უკან დაიხია. ბერძენთა ჯარი დაედევნა ქართველებს. პირველი დიდი ბრძოლა ქართველების არიერგარდსა და ბიზანტიელთა ავანგარდს შორის მომხდარა „*სოფელსა, რომელსაც რქვან შირიმნი*“<sup>5</sup> და მოისრნეს ორკერძოვე მრავლად, მოკლნეს ერისთავნი და დიდებულნი: რატი, ძე ლიპარიტისი, და ხურსი. და გჳანად ენია ჳმა მეფესა, ვითარმედ ომი არს **{114}** უკა-

<sup>1</sup> ო. ცქიტიშვილი. მასალები საქართველოს საგარეო..., გვ. 125.

<sup>2</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 93.

<sup>3</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 106-107.

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 284.

<sup>5</sup> შირიმნის ბრძოლის ადგილმდებარეობისა და დროის შესახებ დანვრილებით იხ.: ვ. კოპალიანი. „შირიმნის“-„შირიმთას“ ბრძოლისა და ადგილმდებარეობის შესახებ. – *მნათობი*, 7, 1972, გვ. 176-182; შ. ბადრიძე. შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ. – *მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 3, 1979, **{114}** გვ. 67-82; შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და..., გვ. 74-92.

ნა-მავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვსთა და აღჭურ-  
ნეს მსწრაფლ. განვიდა თვთ გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან  
იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უჭოროცო, და მის თანა  
სიმრავლე სპისა მისისა“.<sup>1</sup> გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა,  
რომელშიც, თავდაპირველად, გამარჯვება ქართველებს  
ხვდა: „მოისრნეს ბერძენნი ფრიად... ეზომ გაგრძელდა მათ  
შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა ბასილი მე-  
ფე“.<sup>2</sup> მაგრამ გიორგის ჯარმა ნაადრევად ჩათვალა საქმე  
მომთავრებულად და გამობრუნდა უკან. ბერძენთა ჯარი  
გონს მოეგო, დაედევნა ქართველთა ლაშქარს და დაამარცხა  
ის. ბერძენებმა ორჯერ „მოაოჭრეს არტანი... ქვეყანა ჯავახე-  
თისა“ და თრიალეთი.<sup>3</sup> ამის შემდეგ იმპერატორი „წარვიდა  
და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდიისასა, მახლობლად ქალაქსა  
ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა  
და სიყვარულისათჳს“.<sup>4</sup>

საქართველოს მმართველ წრეებში ეტყობა, არ იყო ერ-  
თი აზრი, დაზავებოდნენ თუ არა ბიზანტიის იმპერატორს.  
თვით გიორგი I-იც ამჟღავნებდა ერთგვარ ორჭოფობას,  
თუმცა, საფიქრებელია, რომ ის მაინც იმათ მხარეზე იყო,  
ვინც ომის გაგრძელების მომხრე იყო. ამაზე მიგვანიშნებს  
მაგალითად „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი: „განძლიერდა  
გიორგი მეფე, – წერს მემატიანე, – და მოირთო ძალი კახე-  
თისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ“.<sup>5</sup> სხვა  
ადგილას იგივე ავტორი წერს: „გიორგი მეფემან წარავლინა  
ზვიადი ერისთავი სპითა მისითრა და უბრძანა, რათამცა ზა-  
ვის მიპყრობითა მცირედხან დაიმჭირვა ადგილსა, და თვთ  
წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა“.<sup>6</sup> მართალია, „მატიანის“

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 284-285.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 285.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 285; იხ. აგრეთვე: **სუმბატ დავითის ძე**.  
ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა..., გვ. 383.

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 285.

<sup>5</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 285, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>6</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 285.

ის“ ავტორი აქვე ამბობს, რომ „განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი განვემზადნეთ მისთვისცა“;<sup>1</sup> მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც ვფიქრობთ, რომ გიორგი მეფე თანაუგრძნობდა იმათ, „რომელთა არა უნდა ყოფად მშკდობისა“ და „ინყეს განმზადებად ბრძოლად“.<sup>2</sup>

საქართველო-ბიზანტიის ომის ამ ეტაპის შესახებ საინტერესო ცნობები აქვს სომეხ ისტორიკოსს არისტაკეს ლასტივერტცის. მისი გადმოცემით: ბასილი კეისარს საქართველოს მეფისათვის ელჩად გამოუგზავნია ეპისკოპოსი ზაქარია,<sup>3</sup> რომელმაც „მლიქვნელური სიტყვებით შეაცდინა გიორგი“ და დაითანხმა ის ბასილი კეისრის საზავო პირობებზე, მაგრამ გიორგი I მალე მიხვდა თავის შეცდომას, „ინანა უგუნური (საქციელი)“. დაადევნა მდევრები, რომლებიც დაენივნენ გზაში ზაქარია ეპისკოპოსს და წაართვეს მას გიორგის ნერილი.<sup>4</sup>

სხვაგვარად აშუქებს გიორგი I-ის პოზიციას იაჰია ანტიოქიელი. მისი თქმით: „ტრაპიზონს მოსვლისთანავე, ის იყო მეფე შეუდგა მზადებას ფლოტის გასაგზავნად, ზღვით, ამ აფხაზის ქვეყანაში, რომ მასთან გამოცხადდა გიორგის ელჩი. მისი მეშვეობით გიორგი ითხოვდა შეწყალებას, ბოდიშს უხდიდა მეფეს იმაზე, რაც მან მოიმოქმედა მის მიმართ და აღუთქვა, რომ დაუთმობდა ყველა ციხე-სიმაგრესა და ადგილს, რომლებიც ეკუთვნოდა ბიძამისს – დავით კურაპალატს, მძევლად გაუგზავნიდა ვაჟს ბაგრატს და სანამ იცოცხლებდა იქნებოდა მისი მორჩილი და მოკავში-

---

<sup>1</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 285. {115}

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 285.

<sup>3</sup> მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ზაქარია ეპისკოპოსი ბიზანტიის მიერ მიტაცებული რომელიღაც ქართული ოლქის (ვალაშკერტის) მღვდელმთავარი იყო. ამის შესახებ დანვრლებით იხ.: ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 114-116.

<sup>4</sup> არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია..., გვ. 51.

რე“.<sup>1</sup> ბასილი კეისარს საპასუხო ელჩობა გამოუგზავნია – „თავისი წარჩინებულებისა და იურისტების ჯგუფი“, რომელთაც „მტკიცე ფიცი დაადებინეს გიორგი აფხაზს მისი ქვეყნის სასულიერო მეთაურს – კათალიკოსს, ყველა ეპისკოპოსს, სხვა წარჩინებული და მაღალი თანამდებობის ქვეშევრდომთ“.<sup>2</sup> ის, რომ გიორგი {116} გი მეფესა და ბასილი კეისარს შორის პრაქტიკულად მოხდა შეთანხმება, დასტურდება სუმბატ დავითის ძის მონაცემებიდანაც, რომელშიც პირდაპირაა ნახსენები „*დაწერილი.., რომელნი მისად დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩვენსა სიმტკიცისა და ზავისანი*“.<sup>3</sup>

ჩვენ კიდევ მოვუბრუნდებით სუმბატ დავითის ძის ამ მასალებს, ახლა კი შევნიშნავთ, რომ თუ არა ბასილი კეისრის შინაპოლიტიკური გართულებები, რომლებიც გამონვეული იყო ნიკიფორე ქსიფესა და ნიკიფორე ფოკას აჯანყებით,<sup>4</sup> ეტყობა, გიორგი I მართლაც მოანერდა (რასაკვირველია, ეს იძულებითი იყო) ზავს ხელს. მართალია, ქართული წყაროები არაფერს ამბობენ ამ აჯანყებასთან გიორგი I-ის უშუალო კავშირის შესახებ და ისინი მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდებიან, მათ მასალებში მაინც არის ზოგიერთი მინიშნება იმის თაობაზე, რომ ქართველები განზე არ იდგნენ ამ მოვლენებიდან. ბასილი კეისრის მიერ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ორივე წყარო („*მატიანე ქართლისაჲს*“ ავტორიცა და სუმბატ დავითის ძეც) სიკვდილით დასჯილთა შორის იხსენიებს ბიზანტიაში მოღვაწე ზოგიერთ ქართველ დიდე-

---

<sup>1</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ, გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>2</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები.., გვ. 117. {116}

<sup>3</sup> **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.., გვ. 384, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>4</sup> ამ აჯანყების შესახებ დანვრილებით იხ.: **В. Розен.** Император Василий Болгаробойца.., გვ. 63-66; **Ф. И. Успенский.** История Византийской империи. Глава XXIV.., გვ. 133; **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии.., გვ. 221; **ვ. კოპალიანი.** საქართველო-სა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 117-119.



ბულს (მაგ. ფერის ჯოჯიკის ძეს),<sup>1</sup> რაც თავისთავად შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ქართული წყაროების მონაცემებს ავსებს არისტაკეს ლასტივერტცი, რომელიც ხაზგასმით მიუთითებს გიორგი I-ის კავშირზე აჯანყებულებთან (ეტყობა ქართველი დიდებულის ფერის ჯოჯიკის ძის მეშვეობით). ის წერს: „ფერისი და მისი სიძე ანდრონიკე... თავიანთი აჯანყების დროს აფხაზის მოკავშირენი იყვნენ და აღუთქვეს მას ამ ადგილამდე (მთელი ტერიტორიის) მიცემა, ვინაიდან ჯერ კიდევ წინათ ეს (ადგილები) დავით კურაპალატს ეპყრა, მაგრამ არა როგორც თავისი მშობლიური მემკვიდრეობა, არამედ მას იგი ძღვნად ჰქონდა მიღებული ერთგული მორჩილებისათვის. (დავითმა) აღუთქმა დადო, რომ თავისი სიკვდილის შემდეგ ეს გავა{117}რი გადაეცემოდა მეფეს. მათ კი ეს ველარ მოისაზრეს, არამედ გულუხვნი იყვნენ იმ ძღვენით, რომელიც არ იყო მათი. ამიტომ მეფემ (ბასილი II-მ – **ზ.პ.**) თავები მოჰკვეთა მათ სწორედ იქ“.<sup>2</sup>

იაჰია ანტიოქიელის მასალებიდანაც აშკარად ჩანს, რომ სამშვიდობოდ გამზადებული გიორგი მეფე შეაგულიანა ბიზანტიაში აჯანყების დაწყებამ, მან „თავი ღონივრად იგრძნო და ბასილისათვის მიცემული პირობის შესრულებაზე უარი განაცხადა“.<sup>3</sup> გიორგი კედრენე კი უფრო გარკვევით მიუთითებს გიორგისა და აჯანყებულთა კავშირზე. ის აღნიშნავს, რომ, როცა იმპერატორს აჯანყების ამბავი „აუწყეს, მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: ეშინოდათ ვაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგის მთავართანო)“.<sup>4</sup>

ერთი სიტყვით, მოტანილი მასალები თვალნათლივ

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 287; იხ. აგრეთვე: **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა..., გვ. 384. {117}

<sup>2</sup> **არისტაკეს ლასტივერტცი**. ისტორია..., გვ. 50.

<sup>3</sup> **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 117.

<sup>4</sup> **გიორგი კედრენე**. ქრონოგრაფია. – *გეორგიკა*. ტ. V, გვ. 46-47.

მეტყველებენ იმაზე, რომ ბასილი კეისრის წინააღმდეგ მონ-  
ყობილმა აჯანყებამ ძირფესვიანად შეცვალა საქმის ვითარე-  
ბა. თუ საქართველოს მეფე მანამ ორჭოფობდა და თანახმა  
(რასაკვირველია, იძულებით) იყო ზავზე, ბიზანტიაში დაწყე-  
ბულმა აჯანყებამ მას ხელ-ფეხი გაუხსნა და საშუალება მის-  
ცა ბრძოლის გაგრძელებაზე ეფიქრა. გიორგი I რომ იძულე-  
ბით აწერდა ხელს ზავს და რომ, ის, პრინციპში, ომის საბო-  
ლოო გამარჯვებამდე გაგრძელების მომხრე იყო, „*მატიანე  
ქართლისაჲს*“ ზემოთ მოტანილი ნაწყვეტების გარდა, ჩანს  
იაჰია ანტიოქიელის თხზულებიდანაც. არაბი ავტორი პირ-  
დაპირ წერს, რომ **ყველაფერი, რასაც აფხაზი აკეთებდა და  
მასთან მოლაპარაკებამ, რომელსაც იგი აწარმოებდა  
მოტყუება იყო.** რომ ყოველივე ამაში გიორგის ვაზირის<sup>1</sup> ხე-  
ლი ერია. სწორედ იგი ურჩევდა გიორგის, რომ მეფისათვის  
მიცემული ღვთაებრივი **{118}** ფიცი და ნაკისრი ვალდებულე-  
ბანი **გამოეყენებინა ხაფანგად, რომელშიც მას გამოამ-  
წყდევდა.**<sup>2</sup>

ამრიგად, გიორგი I-მა მოინდომა ესარგებლა ბიზანტი-  
აში ამტყდარი არეულობით და შეუტია ბასილი II-ის ჯარს.  
გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ბასიანს. წყაროების მონა-  
ცემებით გიორგის ლაშქარი მოულოდნელად დასხმია თავს  
ბერძენთა ჯარს „*და აოტეს ზოგი ლაშქრისა მისისა*“. მაგრამ  
ბერძენები დროზე მოეგნენ გონს და უკუაქციეს „*სპანი ქარ-  
თველთანი*“. „*და წარმოუდგა უკანა ბასილი მეფე. ხოლო კუ-  
ალადაც იწყეს ზავად, ვითარცა პირველ; რამეთუ შიში დიდი  
აქუნდა საბერძენითი განდგომისა. დაყვეს მშკდობა და და-  
იზავნეს*“.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> მკვლევართა აზრით ეს ვაზირი უნდა ყოფილიყო „*მატიანე ქართ-  
ლისაჲს*“ ზვიად ერისთავი. ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **ივ. ჯა-  
ვახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 135; **ვ. კოპა-  
ლიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 117; შენ.  
312; **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები.., გვ. 120. **{118}**

<sup>2</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები.., გვ. 117.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 288.

როგორც ვხედავთ საქართველო-ბიზანტიის ეს ომი გიორგი I-ის მარცხით დამთავრდა.<sup>1</sup> ის იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო იმ პირობებზე, რომლებსაც ითხოვდა ბასილი II – იმიერტაოს მინები დაეთმო და ყოფილიყო იმპერატორის ვასალი და მოკავშირე. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიის იმპერატორი თავის მოთხოვნებში იმაზე შორს არ წასულა, რაც მას მანამდე უნდოდა. არისტაკეს ლასტივერტცის თქმით, „როცა გიორგიმ ყოველგვარი იმედი გადაიწყვიტა, სთხოვა მეფეს შერიგება. (მეფემ) შეისმინა რა ეს, შეინყალა იგი და ასეთი წერილი გაუგზავნა: **„ნუ ფიქრობ, რომ (რადგან) გძლიერა შენ, უფრო მეტს ვითხოვ შენსგან, ვიდრე ადრე, მომეცი ჩემი სამამულო მიწა, რომელიც კურაპალატ {119} მა მიბოძა და შენი ვაჟი მძევლად. მაშინ ჩემსა და შენს შორის მშვიდობა დამყარდება“.**<sup>2</sup> ბასილის „ლმობიერება“, რასაკვირველია, მისი დიდსულოვნებით არ იყო გამოწვეული. მას, ეტყობა, მართლაც, *„შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით განდგომისა“* და ამიტომ შეკრა სასწრაფოდ ზავი საქართველოს მეფესთან.

ამრიგად, ბიზანტიასთან ომმა საქართველოს სახელმწიფოს არ მოუტანა სასურველი შედეგი. გიორგი I-მა ვერ შეძლო

---

<sup>1</sup> ისტორიოგრაფიაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება საქართველო-ბიზანტიის ომის დამთავრების თარიღზე. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოსა და ბიზანტიას შორის ზავი დადებულია 1023 წელს (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 136). იგივე თარიღი მოჰყავს მ. ლორთქიფანიძეს (იხ.: მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და., გვ. 178). სპეციალურად შეხო ამ საკითხს ვ. კოპალიანი, რომელმაც დაასკვნა, რომ საქართველოსა და ბიზანტიას შორის ზავი დადებულ იქნა 1022 წ. დამლევს (ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის.., გვ. 120-130). ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ ნაშრომებშიც საქართველო-ბიზანტიის ომის წლებად დასახელებულია 1021-1022 წლები (იხ. ე. ცაგარეიშვილი. არისტაკეს ლასტივერტეცი და მისი „ისტორია“, გვ. 28-30; შ. ბადრიძე. შირიმნის ბრძოლის.., გვ. 67; შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობები.., გვ. 78, 81 და ა.შ.). {119}

<sup>2</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. ქართული თარგმანი.., გვ. 52 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

დასახული ამოცანების შესრულება, ვერც იმიერტაოს მიწები დაიბრუნა<sup>1</sup> და ვერც თავი გაითავისუფლა იმპერატორის „მფარველობისაგან“. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბიზანტიამ მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას საქართველოსთან ომში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზანტიის მხარეს იმის მეტი არ მიუღია (და არც მოუთხოვია), რაც მას „კანონიერად“ ეკუთვნოდა მანამდე, გიორგი I-ის გამეფებამდე.

მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, 1022 წლის ზავი გაძლიერების გზაზე მდგარი ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის, უთუოდ, დიდი საგარეო-პოლიტიკური მარცხი იყო. კიდევ ერთხელ (1001 წლის შემდეგ) იურიდიულად დაფიქსირდა საქართველოს მეფის ვასალური დამოკიდებულება კონსტანტინოპოლისადმი. ამ მარცხს, ალბათ, ვერ შეეგუებოდა გიორგი I. საფიქრებელია, რომ ის ყველანაირად შეეცდებოდა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა 1022 წლის ზავის პირობების გადასასინჯად. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, გადაადგა თუ არა კონკრეტული ნაბიჯები საქართველოს მეფემ ამ მიმართულებით. წყაროები, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერს ხელმოსაკიდს არ იძლევიან ამ თვალსაზრისით. მაგრამ ვფიქრობთ, რომ მაინც არსებობს ზოგიერთი მასალა, რომელიც გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ გიორგი I-ს 1022 წლის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ. ამ მხრივ, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს მონაცემები საქართველოს მეფის კავშირის შესახებ 1025 წელს ბიზანტიაში ბასილი კეისრის წინააღმდეგ მონყობილ აჯანყებასთან.

---

<sup>1</sup> სწორედ ამ დროს დასრულდა დავით კურაპალატისეული ტერიტორიების ბაზაზე ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის „იბერიის“ თემის ფორმირება. ამის შესახებ დანვრ. იხ.: **В. А. Арутюнова-Фиданиян.** Из истории северо-Восточных областей Византийской империи в XI в., გვ. 95; **Р. М. Бартикян.** О феме «Иверия». – *Вестник общественных наук АН Армянской ССР*, №12, 1974, გვ. 69; **К. Н. Юзбашян.** Армянские государства эпохи Багратидов и., გვ. 149. {120}

როგორც ცნობილია, 1025 წელს ბიზანტიაში კიდევ ერთმა აჯანყებამ იფეთქა მაკედონელთა დინასტიის წინააღმდეგ. ამ აჯანყების ხელმძღვანელი იყო ნიკიფორე კომნენოსი, რომელიც ბასილი II-ს ვასპურაკანის მმართველად ჰყავდა დანიშნული.<sup>1</sup> ახლად გამეფებულმა კონსტანტინე VIII-მ შეძლო აჯანყების ჩახშობა.<sup>2</sup> აი, რას წერს ამის შესახებ არისტაკეს ლასტივერტცი: „ვინმე კომნინოსმა, კაცმა მხნემ და მებრძოლმა, რომელიც მისმა (კონსტანტინე VIII-ის – **ზ.პ.**) ძმამ (ე.ი. ბასილი II-მ – **ზ.პ.**) ვასპურაკანის გვარის გამგებლად დანიშნა, დიდი საგმირო საქმენი მოიმოქმედა სპარსელთა კარზე და სახელი გაითქვა მთელ აღმოსავლეთში. მან მეფის სიკვდილის ჟამს ბოროტება განიზრახა, **გიორგის დაუკავშირდა აღმოსავლეთში გამეფებისათვის.** ეს რომ კაპადოკიელთა ჯარმა შეიტყო, შეერთდნენ და მყისვე თავს დაესხნენ, დაწყვიტეს კარვის თოკები და ძირს დასცეს. შეიპყრეს იგი და მისი თანამზრახველნი დაატყვევეს ციხე-საპყრობილეში და (ამის შესახებ) აცნობეს მეფეს“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, კომნენოსის მთავარ მოკავშირედ არისტაკესს გამოჰყავს გიორგი I. მიუხედავად იმისა, რომ სხვა წყაროები (გიორგი კედრენე, იაჰია ანტიოქიელი) არაფერს გვეუბნება აჯანყებულებთან გიორგი მეფის კავშირის შესახებ, ამგვარი კავშირის არსებობა სავსებით დასაშვებია. ამ მხრივ ისტორიკოსების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ბიზანტიის ხელისუფლებამ უკანასკნელ მომენტში გადაიფიქრა ბაგრატ უფლისწულის სამშობლოში დაბრუნება და სასწრაფოდ მდევარი დაადევნა მას. როგორც ცნობილია, ქართველი უფლისწული 1022 წლის ზავის შემდეგ იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში. 1025 წელს მას მძევლობის ვადა გაუთავდა „და წელსა **{121}** მესამესა გა-

---

<sup>1</sup> В. Розен. Император Василий Болгаробойца..., გვ. 1-5; Н. Скабаланович. Византийское государство и церковь..., გვ. 6-7.

<sup>2</sup> Н. Скабаланович. Византийское государство и церковь..., გვ. 6-7.

<sup>3</sup> არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია..., გვ. 54. **{121}**

მოგ ზაენა (ბასილი II-მ – ზ.პ.) ვითარცა აღუთქუა“.<sup>1</sup> როგორც „მატიანე ქართლისაჲს“, ისე სუმბატ დავითის ძის ქრონიკიდანაც ჩანს, რომ ბაგრატ უფლისწულის კონსტანტინოპოლიდან გამომგზავრება ჯერ კიდევ ბასილი კეისრის სიცოცხლეში მომხდარა – „გარდაჯდეს რა სამნი ნელნი, მაშინ წარმოგზავნა **ბასილი მეფემან ქალაქით კონსტანტინეპოლით ბაგრატ ძე გიორგისი**“.<sup>2</sup>

ასევეა ეს არისტაკეს ლასტივერტეცის თხზულებაშიც: „სამი წლის (შემდეგ) მან (ბასილი II-მ – **ზ.პ.**) დიდი ძღვენით გაგზავნა აფხაზის შვილი, **თვითონ კი იგი** სასიკვდილო სენმა შეიპყრო“.<sup>3</sup> ე.ი. ბასილი კეისარს უშუალოდ სიკვდილის წინ გამოუგზავნია სამშობლოში საქართველოს მეფის ძე. ამავე ხანებში იფეთქა შეთქმულებამ მაკედონელთა წინააღმდეგ. ეტყობა აჯანყებულები მიისწრაფოდნენ სასიკვდილოდ განწირული ბასილი II-ის შემდეგ არ დაეშვათ მისი ძმის – კონსტანტინეს გამეფება, მაგრამ ისინი გაუბედავად მოქმედებდნენ და დამარცხდნენ.<sup>4</sup> ახლად გამეფებულმა კონსტანტინემ ბაგრატ უფლისწულს მდევარი დაადევნა „რაჟამს მოინია მამულსა და სამეფოსა თვსსა, – წერს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, – მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა მისისა. და ვითარ შეიქცა გარე, მოენია სწრაფით მანდატური და მოართუა კატაბანსა წიგნი კონსტანტინე მეფისა, რომელსა წერილ იყო ესრე სახედ, ვითარმედ: „განგებითა ღმრთისათა მიიცვალა სანატრელი ძმა ჩემი, ბასილი მეფე და ნაცვლად მისსა ვიქმენ მე მეფედ ყოველსა საბერძნეთსა. ან უკუე, სადაცა მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩემსა ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა ჯელმნიფისა, შეაქციეთ სწრაფითა დიდითა, რომელ მოინიოს წინაშე

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 289.

<sup>2</sup> *სუმბატ დავითის ძე*. ცხოვრება და უწყება..., გვ. 385.

<sup>3</sup> *არისტაკეს ლასტივერტეცი*. ისტორია. ქართული თარგმანი..., გვ. 53 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>4</sup> **Н. Скабаланович**. Византийское государство и церковь..., გვ. 6-7.

ჩუენსა “<sup>1</sup> მკვლევრები სავსებით სამართლიანად ხსნიან ბიზანტიის იმპერატორის ამ ნაბიჯს იმით, რომ, ამ დროისათვის, მისთვის ცნობილი გახდა გიორგი I-ის მონაწილეობა **{122}** აჯანყებაში.<sup>2</sup> ბიზანტიელმა მოხელემ ვერ შეძლო თავისი იმპერატორის დავალების შესრულება, რადგან „ვერ ენია მას, რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებული ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა მას, არამედ გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა“.<sup>3</sup>

ამრიგად, ეჭვს არ უნდა ინვევდეს აზრი იმის შესახებ, რომ 1025 წელს გიორგი მეფემ კიდევ ერთხელ მოინდომა კონსტანტინოპოლის „მფარველობიდან“ გამოსვლა. საქართველოს მეფის ეს ცდაც, როგორც ვნახეთ, უშედეგოდ დამთავრდა. მაგრამ გიორგი I-ს, როგორც ჩანს, არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა თავისი მიზნის მისაღწევად. ვფიქრობთ, სიცოცხლის ბოლო წლებში მან განახორციელა კიდევ ერთი ენერგიული ცდა ანტიბიზანტიური ფრონტის შესაქმნელად და ამ მიზნით დაიწყო მოკავშირეების ძებნა. ამჯერად, შესაძლებელია, გიორგი I-მა ყურადღება შეაჩერა ძლიერ ჩრდილოელ მეზობელზე – ოგსებზე, რომლებთანაც საქართველოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი ხნის ახლო კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა. ჩვენი ეს მოსაზრება მთლიანად აგებულია „მატიანე ქართლისაჲს“ ერთი ცნობის ინტერპრეტაციაზე, რომელსაც, ერთი შეხედვით, არაფერი აქვს საერთო გიორგი I-ის ბიზანტიურ პოლიტიკასთან.

აღნიშნული ქრონიკის იმ ნაწილში, სადაც მემატთანე იწყებს თხრობას ბაგრატ IV-ის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებაზე, მოტანილია მეტად უცნაური შინაარ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 289; იხ. აგრეთვე: **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა..., გვ. 385. **{122}**

<sup>2</sup> **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 125; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 179.

<sup>3</sup> **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება..., გვ. 385. **{123}**

სის ცნობა: „და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა (გიორგი მეფესა) ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცალა გამოიდგეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცალა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერლარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა **{123}** თანა ანაკოფია. და მიერთგან წარუჭდა აფხაზთა მეფესა მოაქაჟამამდე“.<sup>1</sup>

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ბაგრატ IV-ის მამას – გიორგი I-ს დედოფალ მარიამის გვერდით ჰყოლია მეორე ცოლი, ოვსთა მეფის ასული. ეს ფაქტი ცნობილია ბიზანტიელი ავტორებისათვისაც, რომლებმაც შემოგვინახეს ოვსთა მეფის ასულის სახელი – ალდა (გიორგი კედრენე),<sup>2</sup> ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით არავის უცდია ამ მეტად უცნაური ცნობის ახსნა. უკანასკნელ ხანებამდე არ იყო ეს ფაქტი გაშუქებული საქართველო-ოვსეთის ურთიერთობების ასპექტშიც.<sup>3</sup>

რასაკვირველია, ძნელია გადაჭრით რაიმეს მტკიცება, მაგრამ შესაბამის მასალებზე დაკვირვება იძლევა გარკვეული მოსაზრების წამოყენების საშუალებას ამ საკითხთან დაკავშირებით. პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ დემეტრე უფლისწულის დედა იყო საქართველოს მეფის უკანონო ცოლი. ალდას, როგორც ოვსთა მეფის ასულს, ყველა პირობა გააჩნდა გამხდარიყო არა მარტო გიორგი I-ის თანამეცხედრე, არამედ საქართველოს დედოფალიც. თუ გავითვალისწინ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 295.

<sup>2</sup> **გიორგი კედრენე**. ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.*, V., გვ. 5.

<sup>3</sup> ამ კუთხით წყაროს ცნობა განხილულია ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში. იხ.: **З. В. Папаскири**. Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. Автореферат дисс. на соиск. уч. степ. канд. ист. наук. М., 1978, გვ. 12; იხ. აგრეთვე: **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических..., გვ. 49-51.



ნებთ იმას, რომ XI ს. პირველ ნახევარში ოვსეთის სამეფო ჯერ კიდევ რჩებოდა ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად და მისი მეფენი სარგებლობდნენ მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტით,<sup>1</sup> ამგვარი ვერსია საერთოდ წარმოუდგენელი ჩანს.

ცნობილია აგრეთვე, რომ XI-XII საუკუნეებში ოვსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელი (ბორენა, ბურდუხან) არაერთხელ გამხდა {124} რან საქართველოს დედოფლები. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ წყარო უფლისწულ დემეტრეს დედას იხსენიებს სწორედ გიორგი მეფის ცოლად. ეს მაშინ, როდესაც მემატიანე, როგორც სამეფო კარის ოფიციალური ისტორიოგრაფი ალბათ ხელიდან არ გაუშვებდა ამისთანა მომენტს ბაგრატ IV-ის ნახევარძმის – დემეტრეს პრეტენზიების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ „მატიანის“ ავტორი სხვა ადგილას გიორგი I-ის სხვა შვილებს შორის იხსენიებს დემეტრესაც: „ესხნეს შვილნი ოთხნი: ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტ და კატა; მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებულ იყო“.<sup>2</sup>

მაინც როგორ შეიძლება აიხსნას ეს მეტად საინტერესო ცნობა. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ანალოგიასთან დაახლოებით იმასთან, რაც თავის დროზე განახორციელა დავით აღმაშენებელმა. როგორც ცნობილია, ისტორიოგრაფიაში არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება (ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, შ. ბადრიძე)<sup>3</sup> იმის შესა-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ.: **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIII вв. Орджоникидзе, 1971. *История Северо-Осетинской АССР.* М. 1959, **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთკავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I. თბ., 1969. {124}

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 291, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორი, წ. II, გვ. 219-220. **ზ. ავალიშვილი.** ჯვაროსანთა დროიდან, (4 ისტორიული ნარკვევი). პარიზი, 1929, გვ. 25-29; **შ. ბადრიძე.** საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 15-18; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები

ხებ, რომ „ყივჩაღთა უმთავრესის“ ასული, ქართული მატია-ნის გურანდუხტი, არ უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის ერთადერთი მეუღლე, რომ საქართველოს მეფეს ყივჩაყ ასულზე დაქორწინებამდე ჰყოლია სხვა ცოლი, რომელიც მათოს ურჰაეცის ცნობით „სომხის ქალი“ ყოფილა.<sup>1</sup>

მკვლევრები (ივ. ჯავახიშვილი), მათე ურჰაელის ზემოთ მოტანილი ცნობის გარდა, იშველიებენ ქართული წყაროების („გალობანი სინანულისანი“, „ცხოვრება მეფეთა-მეფე დავითისა“),<sup>2</sup> აგრეთვე **(125)**ერთი ევროპული ცნობის (ზ. ავალიშვილი, შ. მესხია, შ. ბადრიძე)<sup>3</sup> ზოგიერთ მონაცემებს და

---

ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან... გვ. 124-125.

<sup>1</sup> **ლ. დავლიანიძე.** მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში*. თბ., 1966, გვ. 249; **P. M. Бартиян.** Хронография Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *ბიზანტიანოლოგიური ეტიუდები*. თბ., 1978, გვ. 145.

<sup>2</sup> დავით აღმაშენებელი თავის ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწარმოებში „გალობანი სინანულისანი“ აღნიშნავს: „მებრძოლ ვექემნ წესთა სული**(125)**სა შენისათა და ქორწილთა-მიერ ხენემთა ვჰმძღავრე საწოლსა და სახეთა მათ მარტოთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელი“ (*ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები*. თბ., 1978, გვ. 530). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში კი ლაპარაკია რაღაც ცოდვაზე, რომელიც ჩაუდენია მეფეს ახალგაზრდობაში (**დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 352) და აგრეთვე ხაზგასმითაა აღნიშნული რომ გურანდუხტი იყო საქართველოს მეფის „სჯულიერი მეუღლე“ (**დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი..., გვ. 336).

<sup>3</sup> მხედველობაში გვაქვს ფრანგი მღვდლის ანსელუსის ცნობა იერუსალიმში (1008-1009 წწ.) „საქართველოს მეფის დავითის ქვრივის“ ყოფნის შესახებ. დანვრილ. იხ.: **ზ. ავალიშვილი**. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 26-29; **შ. მესხია**. ძღვევაი საკვირველი..., გვ. 66-67; **შ. ბადრიძე**. საქართველო და ჯვაროსნები, გვ. 15-18; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 124-125; **З. В. Папаскири**. К вопросу о международной роли Грузии в XI – первой половине XII в. – *Проблемы истории СССР*, вып. V. М., 1976, გვ. 27.

ასკვნიან, რომ დავით აღმაშენებლის ოჯახურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონოდა კონფლიქტს. ფიქრობენ, რომ დავითი გაეყარა პირველ ცოლს (დემეტრე უფლისწულის დედას) და მხოლოდ ამის შემდეგ დაქორწინდა ათრაქა შარალანისძის ასულზე.<sup>1</sup> ეს ქორწინება მიჩნეულია ყივჩაღთა მმართველ წრეებთან პოლიტიკური კავშირის დამყარების საშუალებად.<sup>2</sup> ამ პოლიტიკური აქტის მსხვერპლი კი შეიქნა დავით მეფის პირველი ცოლი, „რომელმაც მოლოზნობა მიიღო“.<sup>3</sup>

დაახლოებით ამგვარ ფაქტს უნდა ჰქონოდა ადგილი გიორგი I-ის ხანაშიც. საქართველოს მეფეს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ წარმატებით ომის საწარმოებლად შეეძლო ეძებნა გზები ოვსთა ძლიერი მეფის გადმოსაბირებლად. ამ მიზნით კი შესაძლებელია მან (ისევე როგორც დავით აღმაშენებელმა თავის დროზე ყივჩაღებთან) დააპირა დინასტიური ქორწინების მეშვეობით ახლო ურთიერთობა დაემყარებინა ოვსთა სამეფო სახლთან. მაგრამ თავისი უძლეველი შვილთაშვილისაგან განსხვავებით, ეტყობა, გიორგი I-მა ვერ შეძლო განქორწინება დედოფალ მარიამთან, რომელსაც გარკვეული ავტორიტეტი ჰქონდა მმართველ წრეებში. გიორგი I-მა, ალბათ, ვერ მიაღწია იმას, რომ ოვსთა მეფის ასული ოფიციალურად ეცნოთ მის მეუღლედ. ფაქტია, რომ მეფემ ვერ შეძლო აღდას გადედოფლება. ძნელი სათქმელია ისიც, მოასწრო თუ არა გიორგი I-მა ოვსეთითგან რაიმე დახმარების მიღება. წყაროები ამის შესახებ სდუმან. საფიქრებელია, რომ გიორგი მეფეს არ დასცალდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა – ექცია ოვსთა მეფე თავის მოკავშირედ. შესაძლებელია, ახალგაზრდა მეფის უმიზეზო სიკვდილის რამდენადმე კავშირი ჰქონდეს მისი ამ პოლიტიკის განხორციელებასთან. ჩვენს ამ მოსაზრებას შეიძლება ახსნა მოვუძებ-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორი, ტ. II, გვ. 219-220. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 26.

<sup>2</sup> ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 26.

<sup>3</sup> ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 26. {126}

ნოთ იმ მოვლენებში, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში გიორგი I-ის სიცოცხლის ბოლო წლებში და განსაკუთრებით მისი სიკვდილის შემდეგ.

როგორც უკვე დავინახეთ, გიორგი I-ის ცდები, თავი დაეღწია კონსტანტინოპოლის „მფარველობისაგან“ და დაებრუნებინა იმიერტაოს ქართული მიწები, უშედეგოდ დამთავრდა. ამ საგარეო-პოლიტიკურ მარცხს არ შეიძლება არ გამოეწვია პოლიტიკური კრიზისი ქვეყანის შიგნით. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ საქართველოს მმართველ წრეებში მაინც და მაინც არც მანამდე უნდა ჰქონოდა ადგილი ერთსულოვნებას ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარების გზების საკითხზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ 1021-1022 წლების ომში დამარცხების შემდეგ გიორგი I-ის აქტიურ ანტიბიზანტიურ კურსს ბევრი მონინააღმდეგე გამოუჩნდებოდა და იმათი აქციები „*რომელთა არა უნდა ყოფად მშკდობისა*“ რამდენადმე დაეცემოდა. ქვეყანაში რომ ნამდვილად არსებობდა ორი დაჯგუფება და რომ მათ შორის მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა, ნათლად გამომჟღავნდა გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ფაქტობრივად ატყდა ნამდვილი შინაომი, რომელშიც ჩაერთო ბიზანტია.

*„მასვე ჟამსა. – წერს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, – წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“.*<sup>1</sup> ამ დიდებულთა ვიზიტს კი მოჰყვა კონსტანტინე კეისრის მიერ პარკიმანოზის გამოგზავნა საქართველოში **{127}** „*ლაშქრითა ურიცხვითა*“ და იმ მხარეების აოხრება, რომლებიც თავის დროზე „*ბასილი მეფესა მოეოჯრნეს*“.<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძეც აღნიშნავს, რომ „*უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა... განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კონსტანტინეს, ძმასა ბასილი ბერძენთა მეფისასა, რომელი შე-*

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 291. **{127}**

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 291-292.

მოდგომად მისსა მეფე იყო“.<sup>1</sup> მალე მათ მიზაძეს სხვა აზნაურებსაც, რომელთა შორის იყვნენ: ჩანჩახი ფალელი და არჯევან ჰოლოლას ძე.<sup>2</sup>

აშკარაა, რომ აქ დასახელებული აზნაურები გაურბიან საქართველოს მეფის ხელისუფლებას და შველას ბიზანტიის იმპერიაში ეძებენ. მაგრამ ქვეყანაში არის მეორე ბანაკიც, რომელიც აქტიურად იბრძვის ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ესენი არიან ლიპერიტ ლიპარიტის ძე – კლდეკარის ერისთავი, რომელმაც „შემოკრიბნა სხუანიცა აზნაურნი“ და უკუაქცია პარკიმანოზი; საბა მტბევალი ეპისკოპოსი, ეზრა ანჩელი და სხვები, რომლებმაც ასევე მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს შემოსულ მტერს.<sup>3</sup> მოგვითხრობს რა ამ ამბების შესახებ, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მათ უამთა ქუეყანათა ამათ შინა იქმნნეს ბრძოლანი და შულლნი და მიდა-მონი მრავალნი“.<sup>4</sup>

ქვეყნის შიგნით მიმდინარე ამ მოვლენებს, კერძოდ კი საქართველოს სამეფო კარის პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგე აზნაურთა საბერძნეთში წასვლას და მათ **{128}**

---

<sup>1</sup> **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა., გვ. 385, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>2</sup> **მატიანე ქართლისა,** გვ. 292. ქართული წყაროების ამ მონაცემებს ამ ცნობას რამდენადმე ავსებს არისტაკეს ლასტივერტცი, რომელიც აღნიშნავს, რომ ტაოელ აზნაურთა ბიზანტიაში წასვლა საჭურის ნიკიტას ქადაგების შედეგი იყო: „მეორე წლის დამდეგს (1027 წ. – **ზ.პ.**) მეფემ (კონსტანტინე VIII-მ – **ზ.პ.**) აღმოსავლეთ მხარეში გაგზავნა ზედამხედველად ერთი საჭურისი ნიკიტი, რომელიც მოვიდა ქართველთა გავარში და მაცდური სიტყვებით ქვეყნის ბევრი აზნაური გამოიყვანა სამშობლოდან და მეფის კარზე (ე.ი. კონსტანტინოპოლში – **ზ.პ.**) გაგზავნა. ეს რომ მეფემ იხილა, განიხარა, პატივი სცა მათ დიდი ძღვენითა და ხელისუფლების ჩინით. უბოძა მათ ღირსებისამებრ სოფლები და დაბები ხელწერილითა და ბეჭდით სამარადისო სამემკვიდროდ“. იხ.: არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი., გვ. 54-55, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> **მატიანე ქართლისა,** გვ. 292.

<sup>4</sup> **მატიანე ქართლისა,** გვ. 293. **{128}**

ბრძოლას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, თავისი სოციალურ-კლასობრივი მიზეზები ჰქონდა. ეს მიზეზები გამორკვეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>1</sup> და, ამდენად, ამაზე აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მხარეთა დაპირისპირების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო უშუალოდ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც. მეზობლი მხარეები შეიძლება პირობითად დავყოთ ანტიბიზანტიურ (ე.ი. გიორგი I-ის პოლიტიკური კურსის ერთგულთა) და პრობიზანტიურ (გიორგი I-ის მოწინააღმდეგეთა) ბანაკებად.<sup>2</sup>

დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, თუ რა პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ პრობიზანტიური ორიენტაციის მიმდევრებს. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი (ისინი მაინც, რომლებმაც თავიანთი ციხეები ნებაყოფლობით გადასცეს ბიზანტიის ხელისუფლებას), საერთოდ, ქვეყნის ბიზანტიის იმპერიასთან შეერთებისათვის იბრძოდა,<sup>3</sup> მაგრამ უფრო მო-

---

<sup>1</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ვ. კობალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 137-148.

<sup>2</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილი, თავის დროზე, საქართველო-ბიზანტიის 1021-1022 წლების ომის შესახებ „*მატიანე ქართლისაჲს*“ მასალებზე მსჯელობისას ასევე მისულა დასკვნამდე, რომ საქართველოში იმ დროს აშკარად არსებულა ძლიერი დასი, რომელსაც ბასილისთან გიორგის ბრძოლა არ მოსწონდა, ბასილის მოთხოვნილებანი სამართლიანად მიაჩნდა. მეცნიერის აზრით, „ესენი შეიძლება სწორედ ის დიდგვაროვნები იყვნენ, რომელთაც გიორგის შვილი ბაგრატ IV დატოვეს და მთელი ქვეყნები ბასილის და შემდეგ მის ძმას კონსტანტინეს წარუღეს“. ამასთან, ნ. ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ მათ გვერდით ომის მომხრენიც ყოფილან (იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IX. თბ., 1979, გვ. 75.

<sup>3</sup> ამასთან დაკავშირებით, სავსებით სწორად შენიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ ამ დროს ეროვნული მთლიანობის იდეა ფეოდალური წრეებისათვის ჯერ კიდევ არ იყო დომინანტი, რომ მათთვის „აფხაზთა“ მეფე იმავე ფასისა იყო, როგორისაც ბერძენთა მეფე და ამა თუ იმ მხარის არჩევა, ხშირ შემთხვევაში განისაზღვრებოდა არა „ეროვნული“ მოსაზრებით, არამედ

სალოდნელია, ოპოზიციას საქართველო „დანყნარებულ“, თუმცა ბიზანტიის „ერთგულ“ და „მორჩილ“ სახელმწიფოდ ესახებოდა. ჩვენი აზრით, არც ბიზანტიის მხარე აყენებდა დღის წესრიგში საქართველოს ოკუპაციას და იმპერიასთან მის შეერთებას, როგორც ეს გააკეთა კონსტანტინოპოლმა 1001 წელს დავით კურაპალატის სამფლობელოების {129} მიმართ, მოგვიანებით კი (1022 და 1045 წლებში) ვასპურაკანისა და ანისის სომხური სამეფოების მიმართაც.

ბიზანტიის მმართველი წრეები, ამ შემთხვევაში, უფრო ცდილობდნენ მათთვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის დამყარებას საქართველოში. ეტყობა ამ მიზნით გამოგზავნეს მათ ჯარით დემეტრე კლარჯი – სუმბატ ბაგრატიონის ძე, რომელიც თავის დროზე გაექცა ბაგრატ III-ის რეპრესიებს ტაო-კლარჯეთში XI ს. 10-იანი წლების დამდეგს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ძირითადად ტაოელი აზნაურები გამოდიან. სწორედ აქა აქვს ღრმად გამჯდარი ფესვები პრობიზანტიურ ორიენტაციას. მიუხედავად ამისა, ძნელი სათქმელია, იყვნენ თუ არა ტაოელი აზნაურები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გამწვავების ინიციატორები ბაგრატ IV მეფობის პირველ წლებში.

თუ ქართულ წყაროებსა და არისტაკეს ლასტივერტცის ზემოთ მოტანილ მასალებს დავეყრდნობით, მაშინ საქართველო-ბიზანტიის ახალი კონფლიქტის დაწყება ამ აზნაურთა ბიზანტიაში წასვლას უნდა დავუკავშიროთ. მაგრამ არის იაჰია ანტიოქიელის ცნობა, რომლის მიხედვითაც თავდაპირველად საქართველოს სამეფო კარს მიუჩნევია, „რომ უკვე დადგა ხელსაყრელი დრო იმ ციხე-სიმაგრების დასაბრუნებლად, რომლებიც მამამისმა (ე.ი. გიორგი I-მა – **ზ.პ.**) ბასილი მეფეს დაუთმო“ და ურჩევია ახლადგამეფებული ბაგრატისათვის შესაბამისი ნაბიჯები გადაედგა ამ მი-

---

კონკრეტული სარგებლიანობით (იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, გვ. 78). {129}

მართულებით.<sup>1</sup> ვფიქრობთ, რომ იაჰია ანტიოქიელი უფრო ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან. ასე იყო თუ ისე, საქართველოში მდგომარეობა ძლიერ გამწვავებულა: „*ღელვად ატეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი*“ – წერს სუმბატ დავითის ძე.<sup>2</sup> მაგრამ ბერძნებმა ვერ შესძლეს „საქმის სისრულეში მოყვანა“.<sup>3</sup> გარდაიცვალა კონსტანტინე {130} კეისარი და ახლადგამეფებულმა რომანოზ არგვიროსმა როგორც ჩანს, არ განაახლა საომარი ოპერაციები საქართველოში.

რა როლს ასრულებდა ამ ამბებში საქართველოს დედოფალი მარიამი? სამწუხაროდ, წყაროები, პრაქტიკულად, არ გვაძლევენ არავითარ ინფორმაციას მისი მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდში. ერთადერთი ცნობა, რომელშიც მასზეა ლაპარაკი, მოჰყავს იაჰია ანტიოქიელს: „კონსტანტინეს მეფობაში, – წერს ის, – გარდაიცვალა მამამისი (ბაგრატ IV-ის – **ზ.პ.**) გიორგი და ტახტზე დაჯდა ვაჟი მისი ბაგრატი. ის მაშინ სრულიად ახალგაზრდა, არასრულწლოვანი იყო და **მის საქმეებს განაგებდა დედამისი, ასული სინაჰარიბისა** (სენექერიმისი – **ზ.პ.**) დაუთმო. თავისი მეფობის მესამე წელს მეფე კონსტანტინემ „აფხაზეთში“ გაგზავნა თავისი მსახური ნიკოლა ბარაქიმაძისი ჯარით. მან გაანადგურა და გადაწვა იგი. განყვიტა და დაატყვევა მრავალი, სხვებმა თავი შეაფარეს მიუვალ მთებსა და გამაგრებულ ადგილებს, სადაც ჯარმა ვერ შეაღწია. **მას ეახლა მათი ბევრი ბელადი. სინაჰარიბის ქალიშვილი და მისი ვაჟი ბაგრატი იმის პატივსაცემად**

---

<sup>1</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები..., გვ. 118. იაჰია ანტიოქიელის ცნობიდან არ ჩანს, თუ რატომ მიიჩნის საქართველოს სამეფო კარზე 1027-1028 წლები „ხელსაყრელ დროდ“. ვ. კოპალიანი ვარაუდობს, რომ ეს ალბათ, ბასილი II-ის გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინოპოლში შექმნილი არეულობითა და ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით იყო გამოწვეული. იხ.: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 133.

<sup>2</sup> **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება..., გვ. 386.

<sup>3</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია. ქართული..., გვ. 55. {130}



**ითხოვდნენ, რაც მოხდა და აღუთქვამდნენ**, რომ იქნებოდნენ მეფე კონსტანტინეს სრული მორჩილნი, გულწრფელნი, ერთგულნი და მისი ნების შემსრულებელნი, რომ ამიერიდან არავინ მათგანი არ იმოქმედებდა მის წინააღმდეგ და გათავადა მათ შორის საქმე ურთიერთ სიამოვნებით და ნიკოლა ბარაქიმაძის უკან გაბრუნდა“.<sup>1</sup>

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ბაგრატის მცირეწლოვნების ჟამს ქვეყნის საქმეებს განაგებდა მარიამ დედოფალი. ის უდავოდ ასრულებს რეგენტის ფუნქციებს. იაჰია ამ ცნობას ესადაგება ქართველ მემკვიდრეთა მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც მარიამ დედოფალი არეგულირებს ურთიერთობას ბიზანტიასთან, თუმცა ეს ხდება არა კონსტანტინეს დროს, არამედ რომანოზ არგვიროსის იმპერატორობის მესამე წელს, ე.ი. დაახლოებით 1030-1031 წწ.<sup>2</sup> „*შემდგომად ამისა წელსა მესამესა, – {131} წერს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, – წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვიდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად პატივისა კურაპალატობისა ძისათჳს თჳსისა... და მოყვანებისათჳს ძის ცოლისა. და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მისცნა ფიცი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყვარულისათჳს, დაუნერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი“.<sup>3</sup> დაახლოებით ასევე აღგვიწერს ამ ფაქტს სუმბატ დავითის ძეც.<sup>4</sup>*

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ქართული წყაროების ამ მასალებს, არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს ის გა-

<sup>1</sup> **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის.., გვ. 118, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>2</sup> **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 139; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა.., {131} გვ. 177; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო.., გვ. 181.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 294.

<sup>4</sup> **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება.., გვ. 386.

რემოება, რომ მარიამ დედოფალმა ბიზანტიასთან დაამყარა ისეთი ურთიერთობა, რომლის წინააღმდეგ მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი მეუღლე გიორგი I. რასაკვირველია, შესაძლებელია, საქართველოს დედოფლის ეს ნაბიჯი იძულებითი ყოფილიყო, მაგრამ არაა გამორიცხული მარიამის ვიზიტი კონსტანტინოპოლში გარკვეული პრობიზანტიური წრეების პოლიტიკური კურსის რეალიზაცია იყო. იქნებ მარიამ დედოფალი, თავისი პოლიტიკური მრწამსით ახლოს იყო სწორედ იმ პრობიზანტიურ წრეებთან, რომლებიც იმპერიასთან „ერთობის“ მოსურნენი იყვნენ.

მარიამ დედოფლის ბიზანტოფილობას უნდა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ, მოგვიანებით, 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში (XI ს. 30-იანი წლების დამდეგიდან, ვიდრე XI ს. 50-იანი წლების შუა ხანებამდე) წყაროები არც კი ახსენებენ მარიამ დედოფალს.<sup>1</sup> ეს ის პერიოდია, როდესაც ბაგრატ IV გამუდმებით იბრძოდა ბიზანტიის „მფარველობიდან“ გამოსვლისათვის. მისი სახელი მხოლოდ მაშინ ამოტივტივდა, როდესაც მისი ვაჟი იძულებული შეიქნა მორჩილებით გამოცხადებულიყო ბიზანტიის იმპერატორის წინაშე.

მარიამის ბიზანტოფილობაზე უნდა მიუთითებდეს შემდეგი გარემოებაც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1022 წელს ბასილი კეისარმა გააუქმა ვასპურაკანის სომხური სამეფო და მისი მეფე სენექერიმ არწრუნი – მარიამის მამა, ჩვეულებრივ ბიზანტიელ ფეოდალად აქცია. ცნობილია ისიც, რომ სენექერიმმა გარკვეული სამსახური გაუწია ბასილი კეისარს 1022 წელს, როცა დაეხმარა მას ნიკიფორე ფოკასა და ქსიფეს აჯანყების ჩახშობაში. მართალია, წყაროები არაფერს გვე-

---

<sup>1</sup> ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა მარიამ დედოფლისათვის ანისის გადაცემის შესახებ (*მატიანე ქართლისა*, გვ. 299-300), მაგრამ აღნიშნული მასალა, ჩვენი აზრით (და ეს ნაჩვენები იქნება ქვემოთ), არა იმდენად თვით მარიამის პოლიტიკურ აქტიურობაზე მეტყველებს, რამდენადაც ბაგრატ IV-ის მიერ მისი დედის სომხური წარმოშობის გამოყენებაზე ანისის საქართველოსათვის შემოერთების საქმეში. {132}

უბნებიან ამის შესახებ, მაგრამ არაა გამორიცხული, კონსტანტინოპოლს ესარგებლა სენექერიმის ავტორიტეტით და მისი მეშვეობით გადმოებირებინა მისი ასული.

ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სავსებით დასაშვებია მარიამ დედოფალი არ ყოფილიყო თავისი თანამეცხედრის პოლიტიკური კურსის მომხრე. გიორგი მეფე, როგორც დავინახეთ, ატარებდა აშკარად გამოხატულ ანტი-ბიზანტიურ კურსს, მაშინ, როდესაც, მარიამ დედოფალი, მოექცა რა ხელისუფლების სათავეში, ძირფესვიანად ცვლის გიორგი I-ის პოლიტიკას და ყველაფერს აკეთებს კონსტანტინოპოლთან დაახლოებისათვის. ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოს მეფესა და მის მეუღლეს შორის არსებული ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა გამხდარიყო მათი ოჯახური კონფლიქტის მიზეზი. ე.ი., ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ გიორგი I-ს არ აწყობდა პრობიზანტიურად განწყობილი დედოფლის ყოფნა ტახტზე და ამიტომ შესაძლებელია, გადანწყობა მისი გზიდან ჩამოცილება და ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინება.

ამ ქორწინებით საქართველოს მეფე იძენდა ძლიერ მოკავშირეს, რომლის გამოყენება შეიძლებოდა როგორც ქვეყნის შიგნით არსებული ოპოზიციის (რომელსაც, იქნებ, მარიამ დედოფალიც კი მეთაურობდა) დასათრგუნავად, ისე ბიზანტიასთან ანგარიშის გასასწორებლად. მაგრამ გიორგი მეფის ეს წამოწყება, ეტყობა, უშედეგოდ დასრულდა. დავით აღმაშენებლისაგან განსხვავებით, გიორგი I-ს არ გააჩნდა იმდენი ძალა, რომ მიეღწია ოვსთა მეფის ასულთან თავისი ქორწინების იურიდიულად გაფორმებისათვის. საფიქრებელია, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოსი და მისი წრე წინ **{133}** აღუდგებოდნენ მეფის ამგვარ განზრახვას, რადგან ისინი, როგორც მიგვაჩნია, საერთოდ ადგნენ პრობიზანტიურ ორიენტაციას.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ეს აზრი გამოთქმული იყო ჯერ კიდევ აკად. ნ. ბერძენიშვილის

ჩვენს ამგვარ დასკვნას არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საეკლესიო ფეოდალი (საბა მტბევარი, ეზრა ანჩელი და სხვ.) აშკარად გამოდიოდა გიორგი I-ის პოლიტიკის მომხრედ და იბრძოდა ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ვთვლით, რომ ეკლესიის მსახურთა უმეტესი ნაწილი, კათალიკოსის მეთაურობით, გამოდიოდა სამეფო კარის ცენტრალისტური ტენდენციების წინააღმდეგ და თავის ბრძოლაში ეყრდნობოდა იმპერიის ძალებს. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ერთი დოკუმენტი, რომლის ზოგიერთი ცნობა პირდაპირ უნდა მიგვითითებდეს კათალიკოსის პრობიზანტიურ ორიენტაციაზე. მხედველობაში გვაქვს კათალიკოს მელქისედეკის „*დანერლი*“.<sup>1</sup>

ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია ძვირფასი ნივთები, ბიზანტიის იმპერატორების (ბასილი II-ის, კონსტანტინეს და რომანოზ არგვიროსის) მიერ კათალიკოს მელქისედეკისათვის ნაბოძები: „*და დაუსუნენ ხატი ოქროსა, რომელი მიბოძა კონსტანტი ბერძენთა მეფემან, და სამარტვილოსავე შივან დაუსვენენ ხატი ესე წმინდისა ღმრთის მშობლისა შემკობილი ოქროთა, თუალითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ბასილი ბერძენთა მეფემან*“.<sup>2</sup> აგრეთვე „...*ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოილი... და მაზარა ოქროქსოილი*“... და სხვა ნივთები, რომლებიც „*ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძა*“<sup>3</sup> ... და *მონასტერნი და სოფელნი, რო-*

---

მიერ **(ნ. ბერძენიშვილი**. ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანება. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 22). მაგრამ ვ. კოპალიანმა საეჭვოდ მიიჩნია ნ. ბერძენიშვილის ეს მოსაზრება და მიუთითა, რომ ქართული ეკლესიის მესვეურებისათვის არ უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის უზუნაესობა სასურველი. იხ.: **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 148-158.

<sup>1</sup> ამ დოკუმენტის შესახებ დანვრ. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. – *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 217-279. დოკუმენტის ტექსტი: გვ. 280-286.

<sup>2</sup> **ნ. ბერძენიშვილი**. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა..., გვ. 281.

<sup>3</sup> **ნ. ბერძენიშვილი**. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა..., გვ. 282. {134}

მელ მე მომიგიან ამის წმინდისა დედაქალაქისათ {134}ვის; ბერძენთა მეფემან ბასილი მიზოძა მონასტერი დიდი, რომლისა სახელი არს კესტორი, რომელსა სოფელი აქუს“<sup>1</sup>

მელქისედეკის „დანერილის“ ეს მასალები უფრო სრულად და დაზუსტებულად არის გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ (თეიმურაზისეულ) ნუსხაში არსებულ ჩანართებში, რომლებშიც დაფიქსირებულია მელქისედეკის არაერთგზისი ვიზიტი ბიზანტიაში. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხის რედაქტორს ეტყობა ხელთ ჰქონია იმის დამადასტურებელი მასალა, რომ მელქისედეკი წყალობის მისაღებად არაერთხელ სწვევია კონსტანტინოპოლს. „ხოლო ესე წმიდაჲ მეფე **ნარვიდა** ბერძენთა მეფესა ბასილისა წინაშე კონსტანტინეპოლედ, **რათა შეენიოს**. რამეთუ იყო დიდი ესე კათოლიკე სამოციქულო ეკლესია სვეტიცხოველი რომელი ვახტანგ გორგასალს აღეშენა, დაძველებულ იყო და ჟამთა შლილობით გარემემო სტოანი და ბჭენი დაქცეულ იყო, და აღარავინ იყო მწე აღშენებად და არცარა-ვის ძალეღვა აღშენება მისი. და მივიდა და მიუთხრა ყოველი შეუძლებლობა ქართველთა და სათხოველი თჳსი. **მაშინ მეფემან ბასილი მოსცა მონასტერი კესტორია...**“ და ა.შ.<sup>2</sup> მოგვიანებით (დაახლ. 1025 წ.), ისევ წასულა „პატრიარქი მელქისედეკ კონსტანტინე მეფესა წინაშე კონსტანტინეპოლედ. **შეინყნარა მეფემან ბერძენთამან კონსტანტინე(მ) და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი...** და ა.შ.<sup>3</sup> კონსტანტინე კეისრის გარდაცვალების შემდეგ კვლავ „**ნარვიდა კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კონსტანტინეპოლედ. შეინყნარა და მოსცა შესამკობელნი...**“<sup>4</sup>

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა..., გვ. 282-283.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება., ტ. I., გვ. 282, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება., ტ. I., გვ. 290, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება., ტ. I., გვ. 294 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). აღსა-ნიშნავია, რომ საქართველოს კათალიკოსი ფიგურირებს ბიზანტი-

მელქისედეკის „*დანერილიდან*“ და „*ქართლის ცხოვრებადან*“ **{135}** აქ მოტანილი მასალები აშკარად მიგვანიშნებენ, რომ საქართველოს კათალიკოსს არცთუ ისე ცუდი ურთიერთობა ჰქონია კონსტანტინოპოლთან. ეს მაშინ, როცა გიორგი I-ის მთავრობა ბიზანტიის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის კურსს ადგა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ კათალიკოსის ანდერძში საერთოდ არ არის ნახსენები გიორგი I, ბაგრატ III-ს კი კათალიკოსი დიდის პატივისცემით იხსენებს და მას თავის გამზრდელს უწოდებს.<sup>1</sup> ანდერძიდან ჩანს, რომ ბაგრატ მეფეს რამდენიმეჯერ დაუსაჩუქრებია კათალიკოსი.<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ბაგრატ III (რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, თავს იკავებდა ანტიბიზანტიური პოლიტიკისაგან) და ბიზანტიის იმპერატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ ესამოვნებინათ კათალიკოსისათვის და ეს დაფასებულაცაა მელქისედეკის მიერ; ხოლო გიორგი I მთლიანად იგნორირებულია ანდერძში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კათალიკოსად მელქისედეკის ყოფნის (1010-1035 წწ.)<sup>3</sup> დროის უმეტესი მონაკვეთი გიორგი I-ის მეფობის ხანას ემთხვევა (1014-1027 წწ.), მაშინ ამ მეფის მოუხსენებლობა კათალიკოსის მიერ მით უფრო უცნაური ჩანს. თუ გიორგი I-მა რაიმე წყალობა გაიღო კათალიკოსის მისამართით, ამ უკანასკნელს ეს აუცილებლად უნდა აღენიშნა. ე.ი. გამოდის, რომ ბაგრატ III კურაპალატი, რო-

---

ასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებისას იაჰია ანტიოქიელის ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ ცნობაშიც: „მათ (ბასილი კეისრის წარმომადგენლებმა – **ზ.პ.**) მტკიცე ფიცი დაადებინეს გიორგი აფხაზს, მისი ქვეყნის სასულიერო მეთაურს – კათალიკოსს...“ (**ბ. სილაგაძე**, იაჰია ანტიოქიელის..., გვ. 117, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). **{135}**

<sup>1</sup> **ნ. ბერძენიშვილი**, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა..., გვ. 283.

<sup>2</sup> **ნ. ბერძენიშვილი**, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა..., გვ. 282-283.

<sup>3</sup> **ს. კაკაბაძე**, კიდევ სვეტიცხოვლის აშენების დათარიღების შესახებ. – *საისტორიო კრებული*, IV, 1929, შენიშვნა 114. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, 1033 წ. მელქისედეკი უკვე არ იყო კათალიკოსი (იხ.: **ნ. ბერძენიშვილი**, მცხეთის საბუთი..., გვ. 244). **{136}**

მელიც შეიძლება ჩაითვალოს, კარგ დამოკიდებულებაში იყო ბიზანტიასთან, იმპერატორები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფოს დამორჩილებას, ასაჩუქრებდნენ მელქისედეკს, ხოლო გიორგი I, ბიზანტიის იმპერიის დაუძინებელი მტერი, არ აკეთებს ამას.

ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, მეტყველებს იმაზე, რომ მეფეს და კათალიკოსს არ ჰქონდათ ერთი აზრი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსზე. მელქისედეკი პრობიზანტიური ორიენტაციის მომხრე და ამასთან ერთად დედოფალ მარიამის მოკავშირე უნდა იყოს. შესაძლებელია, რომ სწორედ კათალიკოსი და დედოფალი მეთაურობდნენ იმ დაჯგუფებას, რომელიც გამოდის გიორგი მეფის ანტიბიზანტიური კურსის წინა{136}აღმდეგ. ასეთ სიტუაციაში გიორგი I, ალბათ, ვერ შეძლებდა თავისი გეგმის – მარიამის ჩამოშორების და აღდას გადედოფლების – სისრულეში მოყვანას. ე.ი. ვერ შეძლებდა ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი კოალიციის შექმნას და მასში ოვსთა მეფის შეყვანას. სრულიად აშკარაა, რომ ოფიციალური ეკლესიის პოზიცია ამ საკითხის გადაჭრისას გადამწყვეტ როლს შეასრულებდა.

ამრიგად, მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენ მიერ ჩატარებული დაკვირვებები, შეიძლება ითქვას შემდეგ: „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაში გიორგი I-ის მეორე ცოლის – ოვსთა მეფის ასულ აღდას შესახებ ასახულია რეალური ფაქტი, რომელიც უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა. აღნიშნულ ცნობაში უნდა დავინახოთ საქართველოს მეფის ცდა დინასტიური ქორწინების საშუალებით დაახლოვებოდა ოვსთა სამეფო სახლს და გამოეყენებინა ოვსთა სამხედრო ძალა ბიზანტიელთა წინააღმდეგ. ამ მიზნით გიორგი I შეეცადა განეხორციელებინა დაახლოებით ის, რაც მოგვიანებით (XII ს. დამდეგს) გააკეთა დავით აღმაშენებელმა – კერძოდ, ჩამოეცილებინა მარიამ დედოფალი და ჯვარი დაენერა ოვსთა მეფის ასულზე. გიორგი მეფის ეს ჩანაფიქრი მიმართული იყო როგორც ძლიერი ანტიბიზანტი-

ური კოალიციის შექმნისაკენ, ისე იმ ძალების დათრგუნვისაკენ, რომლებიც გამოდიოდნენ იმპერიის მიმართ აქტიური პოლიტიკის გატარების წინააღმდეგ. უდროო სიკვდილმა არ მისცა საშუალება გიორგი I-ს ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე – ექცია ოვსთა მეფე თავის მოკავშირედ. ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა როგორც დედოფლის მხრიდან, ისე ოფიციალური ეკლესიის მხრიდანაც.

მარიამ დედოფალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურაა. ის არის გიორგი მეფის პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეთა ლიდერი; საფიქრებელია, რომ ის ქმრის სიცოცხლეშიაც გამოდიოდა მისი ანტიბიზანტიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს შეიძლება ყოფილიყო მეფესა და დედოფალს შორის ოჯახური კონფლიქტის სავარაუდო მიზეზი. ოფიციალური ეკლესია და მისი მეთაური კათალიკოსი მელქისედეკი მარიამის მოკავშირეა. კათალიკოსი, ისევე როგორც დედოფალი მარიამი, პრობიზანტიური ორიენტაციის მოღვაწეა. დედოფალ მარიამის ვიზიტი კონსტანტინოპოლში და მის მიერ ბიზანტიასთან **{137} ერთობის** აღიარება გიორგი I-ის პოლიტიკური კრედოს მარცხია.<sup>1</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ სულ სხვა-ნაირად უნდა შევხედოთ 1030-1031 წლების ზავს ბიზანტიასთან. კონსტანტინოპოლის შეთანხმება არ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს დიპლომატიის გარკვეულ წარმატებად, როგორც ამას ფიქრობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვ.

---

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ზ. ჰაპასქირი**. „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტო შორისო სამეცნიერო სესია*. მასალები. თბ., 1979, გვ. 24-25; **ზ. ჰაპასქირი**. „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, I. თბ., 1983, გვ. 136-144; **З. В. Папаскири**. О некоторых вопросах Грузинского царства в I трети XI века. – *Сборник работ молодых ученых и специалистов Абхазии*. Сухуми, 1980, гв. 64-74.



გაბაშვილი.<sup>1</sup> საქართველო-ბიზანტიის 1030-1031 წლების ზავის დადება უფრო პრობიზანტიური ძალების გამარჯვებას მოასწავებდა, ვიდრე საქართველოს სამეფო კარის დიპლომატიურ წარმატებას საერთოდ.

რასაკვირველია, ძნელი სათქმელია, რამდენად იყო შესაძლებელი და მიზანშეწონილი ამ ეტაპზე გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის გაგრძელება,<sup>2</sup> მაგრამ, ერთი რამ ცხადაა, სამეფო კარზე უდავოდ ყველა არ იყო მომხრე ბიზანტიასთან მორიგებისა. ამიტომ იყო, რომ ეს ზავიც უძლეური გამოდგა. სულ მალე გარდაიცვალა დედოფალი ელენე, რის შემდეგ კარდინალურად შეიცვალა ურთიერთობა ბიზანტიასთან. ბაგრატ IV-მ, როგორც ჩანს, ოვსთა მეფის ასულ ბორენაზე დაქორწინებით („*შეერთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთა მეფისა ასული და დორლოელისი*“)<sup>3</sup> შეკრა სამხედრო პოლიტიკური კავშირი ოვსეთს სამეფოსთან და კვლავ **{138}** განაახლა ბიზანტიის სანინააღმდეგო მოქმედებები.

მართალია, ქართული წყაროები არაფერს გვამცნობენ ბაგრატ IV-ის ანტიბიზანტიური აქციების შესახებ ამ დროს, მაგრამ ამის თაობაზე ინფორმაციას გვანვდის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა, რომელიც წერს: „**ხოლო აბაზგიის მთავარმა ბაგრატმა, რომელიც მეფე რომანოზის მოკეთე და ნათესავი იყო, რომაელებთან დადებული ზავი დაარღვია, რომაელებმა ციხეები და ქალაქები კვლავ სწრა-**

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის..., გვ. 69.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძის აზრით, ამ ეტაპზე ბიზანტიასთან ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან სამხრეთ ტაოზე საბოლოოდ უარის თქმას, „მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ ჩანდა. საჭირო იყო პოზიციების გამაგრება სულ სხვა მხრივ, ქვეყნის საერთო მდგომარეობის განმტკიცება და სამხრეთ ტაოს საკითხი ალბათ მხოლოდ ამის შემდეგ დადგებოდა“ (იხ.: მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო..., გვ. 181-182).

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 295. **{138}**

**ფად დაიბრუნეს უკან**<sup>1</sup>. ნიშანდობლივია შემდეგი გარემოება, ბაგრატ IV-ის ანტიბიზანტიური საქმიანობის დაწყებას წინ უძღვის ოვსთა სამეფო კართან დაახლოება. ეს კიდეც უფრო სარწმუნოს და დასაჯერებელს ხდის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გიორგი I-საც, თავის დროზე, სწორედ ბიზანტიასთან ბრძოლის გაგრძელების საჭიროებამ გადადგმევინა ნაბიჯი ოვსთა მეფესთან დანათესავებისაკენ.

ამ საკითხზე მსჯელობისას, საერთოდ, უთუოდ დამაფიქრებელია, რომ 1027 წელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი I-ის გარდაცვალებას, მართალია არა ერთბაშად, მაგრამ მაინც მოჰყვა საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა. ხელისუფლების სათავეში მოსულმა (პრობიზანტიურმა) დაჯგუფებამ, მარიამ დედოფლის მეთაურობით, ხელი აიღო ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, აღიარა კეისრის უზენაესობა და დაუზავდა იმპერიას. 1032-1033 წლებში, როგორც უკვე აღინიშნა, გარდაიცვალა ასევე სრულიად ახალგაზრდა დედოფალი ელენე – კონსტანტინოპოლთან დამაკავშირებელი მთავარი რგოლი, ისევე შეიცვალა საგარეო-პოლიტიკური კურსი. ამჯერად, ეტყობა, სრულწლოვანებაში შესული ბაგრატ IV თვით შეუდგა სახელმწიფო მოღვაწეობას და განაახლა მამისეული ანტიბიზანტიური პოლიტიკა. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ არც გიორგი I-ის და არც ახალგაზრდა დედოფალ ელენეს სიკვდილი შემთხვევითი არ იყო. ორივე ისინი, ჩვენი აზრით, იმ შეურიგებელი ბრძოლის მსხვერპლნი შეიქმნენ, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სამეფო კარზე პრობიზანტიურსა და ანტიბიზანტიურ დაჯგუფებებს შორის. **{139}**

ქვეყანაში არსებულ ორ – ანტიბიზანტიურსა და პრობიზანტიურ – ბანაკს შორის მიმდინარე ბრძოლამ ერთგვარი ასახვა ჰპოვა XI ს. ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის

---

<sup>1</sup> **იოანე ზონარა**. ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად დაამზადა და გამოკვლევა დაურთო **მ. კახიძემ**. – *გეორგიკა*., ტ. VI. თბ., 1966, გვ. 235, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ. {139}**

ძის თხზულებაში. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხით შეიძლება შუქი მოეფინოს თვით სუმბატ დავითის ძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ მხარეს, საჭიროდ მივიჩნევთ მასზე უფრო საფუძველიანად შეჩერებას.

XI ს. ავტორის სუმბატ დავითის ძის თხზულებას – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიონთა“, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო ადგილი უკავია „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებს შორის. ის სამართლიანად ითვლება ფეოდალური ხანის (კერძოდ VI-XI სს.) საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სანდო წყაროდ. მასში ვხვდებით არაერთ საინტერესო ცნობას, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამა თუ ის საკითხის დადგენისათვის.

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, როგორც ცნობილია, პირველად აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. მარიამისეულ ნუსხაში, რომელსაც XIX ს. მიწურულს დ. ბაქრაძემ მიაკვლია. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე. სუმბატის თხზულებას, როგორც საისტორიო წყაროს, არაერთი მკვლევარი შეხებია. მეცნიერთა ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის შედეგად დაისვა და გამორკვეულ იქნა ნაწარმოებთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი; კერძოდ, ავტორის ვინაობა-სადაურობის,<sup>1</sup> დანერის დროის,<sup>2</sup> წყაროების<sup>3</sup> და

---

<sup>1</sup> **ე. თაყაიშვილი.** სამი ისტორიული ხრონიკა. ტფ., 1890, გვ. IX; **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 27. თბ., 1949, გვ. 11-12; **დ. კარიჭაშვილი.** ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი. – *ძველი საქართველო*, I, ტფ., 1909, გვ. 36-42; **ი. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.). – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 195.

<sup>2</sup> **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა., გვ. 11; **პ. ინგოროყვა.** ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. – *თხზულებათა კრებული*, ტ. IV. თბ., 1978, გვ. 430.

<sup>3</sup> **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა., გვ. 13-16; **ი. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 196; **პ.**

სხვა საკითხები.

განსაკუთრებული ინ{140}ტერესი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია სუმბატის თხზულება XI ს. მეორე უმნიშვნელოვანეს საისტორიო ძეგლთან, რომელიც „მატიანე ქართლისაჲს“ სახელით არის ცნობილი.<sup>1</sup> ისტორიოგრაფიაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი აგრეთვე სუმბატ დავითის ძის პოლიტიკური განწყობილებების შესახებ, კერძოდ, ყველა მკვლევარი, ვინც კი შეხებია ამ საკითხს, ერთხმად შენიშნავს, რომ სუმბატ დავითის ძე, როგორც სამეფო დინასტიის ისტორიის მემატიანე, ბუნებრივია, გვევლინება მეფის ხელისუფლების შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების მომხრედ და ამდენად გამოდის იმ ქართველ აზნაურთა „მოძულედ“ და „მონინაალმდეგედ“ (ივ. ჯავახიშ-

---

**ინ{140}გოროყვა.** ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, გვ. 430-431; **Сумбат Давидисдзе.** История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания **М. Д. Лордкипанидзе.** Тб., 1979, გვ. 18-20.

<sup>1</sup> **Е. С. Такашвили.** Источники грузинских летописей. *Три хроники. – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. XXVIII. Тифлис, 1900, გვ. 42, 118, 174-175. **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო..., გვ. 206; **კ. გრიგოლია.** ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. *ახალი ქართლის ცხოვრება.* თბ., 1954, გვ. 234-235; **ს. ყაუხჩიშვილი.** „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის. – *ქართლის ცხოვრება...*, ტ. I., გვ. 034-036; **გ. გელაშვილი.** სუმბატ დავითის ძე და „მატიანე ქართლისა“. – *ოსუ შრომები*, ტ. 87. თბ., 1960, გვ. 239-256; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение. – *Матиане Картлиса.* Перевод, введение и примечания **М. Д. Лордкипанидзе.** Тб., 1976, გვ. 21; **Сумбат Давидисдзе.** История и повествование о Багратионах..., გვ. 19; **Ш. А. Бадридзе.** «Картлис цховреба» о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XI в. – *Источниковедческие разыскания* (1979), Тб., 1984, გვ. 47-54; **ზ. პაპასქირი.** ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე და XI ს. პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – *საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები.* თბ., 1981, გვ. 97-101.

ვილი), რომლებიც თავიანთი „ბოროტი საქმეებით“ ასუსტებდნენ მეფის ხელისუფლებას.<sup>1</sup>

ამის **{141}** დამადასტურებელ ფაქტად ძირითადად მოჰყავთ ორი ცნობა წყაროდან, პირველი: „*ვინაითგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით უამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე* (ბაგრატიონთა აღზევებამდე – **ზ.პ.**), *არამედ დაესრულა უფლება ქართლის აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან*“.<sup>2</sup> და მეორე ცნობა, რომელიც ეხება 1021-1022 წლების ამბებს: „*ხოლო თვით გიორგი მეფე უკანა ისრე განვიდა წადიერი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამე თუ არა უნდოდა მშჯდობა*“.<sup>3</sup>

ჩვენ არაფერი გვაქვს სანინაალმდეგო ამ პრინციპულად სწორი დებულებისა და ასევე ვთვლით, რომ „*ბაგრატიონთა ცხოვრების*“ ავტორი თავის ნაწარმოებში უდავოდ ავითარებს „*ლეგიტიმისტურ თვალსაზრისს*“ (პ. ინგოროყვა) მეფე-მთავართა და აზნაურთა შუღლის ამსახველი მასალების გაშუქების დროს. მაგრამ დამაჯერებლად და მეცნიერულად გამართლებულად არ მიგვაჩნია ამ დებულების დამამტკიცებელ საბუთად ზემოთ მოტანილი ორი ცნობიდან მეორე ცნობის გამოყენება. ამასთან, ვფიქრობთ, რომ სუმბატის ქრონიკის ეს ცნობა და აგრეთვე ზოგიერთი სხვა მასალა საშუალებას იძლევა დაისვას საკითხი საერთოდ სუმბატ დავითის ძის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის, კერძოდ, მისი ბი-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო., გვ. 195; კ. კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II. თბ., 1981, გვ. 251; პ. ინგოროყვა. ძველი ქართული ლიტერატურის., გვ. 431; თ. პაპუაშვილი. ისტორიოგრაფია. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*. ტ. III. თბ., 1979, გვ. 420 და სხვ. **{141}**

<sup>2</sup> **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა., გვ. 373, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> **სუმბატ დავითის ძე**. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა., გვ. 384, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.** **{142}**

ზანტოფილობის შესახებ.

ჩვენ საკმაოდ დანვრილებით განვიხილეთ 1021-1022 წლებში საქართველო-ბიზანტიის ომი და აღვნიშნეთ, რომ ამ ომის პერიპეტეები აღწერილი აქვთ როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორებს. ისიც ვიცით, რომ ქართულ წყაროებში ამ კონფლიქტის შესახებ თანმიმდევრული თხრობა მოცემულია ანონიმი ავტორის „მატიანე ქართლისაჲდ“ წოდებულ ნაწარმოებში და სუმბატ დავითის ძის თხზულებაში. ამ ორ წყაროში, ფაქტობრივად, გადმოცემულია ერთი და იგივე მასალა. სწორედ ამ ნაწილების შედარებამ მკვლევრებს იმთავითვე ალუძრა ამ მსგავსების მიზეზის გამორკვევის სურვილი.

პირველი მეცნიერი, ვინც შეეხო ამ საკითხს, იყო {142} ე. თაყაიშვილი, მან ამ მსგავსების მიზეზად „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის მიერ სუმბატ დავითის ძის თხზულების წყაროდ გამოყენება მიიჩნია.<sup>1</sup> ამავე თვალსაზრისზე იდგა პ. ინგოროყვა.<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილმა გამორიცხა „მატიანის“ ავტორის მიერ სუმბატის ქრონიკით სარგებლობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სუმბატ დავითის ძეს და „მატიანის“ ავტორს ამ ომების აღწერისას უსარგებლიათ რომელიღაც საერთო წყაროთი.<sup>3</sup> კ. გრიგოლიამ და ს. ყაუხჩიშვილმა გამოთქვეს ე. თაყაიშვილის საწინააღმდეგო მოსაზრება და დაასკვნეს, რომ არა სუმბატ დავითის ძის თხზულება წარმოადგენდა „მატიანის“ წყაროს, არამედ პირიქით, თვით სუმბატი სარგებლობდა „მატიანე ქართლისაჲს“ მასალით.<sup>4</sup> სუმბატ დავითის ძის თხზულებისა და „მატიანე ქართლისაჲს“ ურთიერთმიმართების საკითხს სპეციალური წერილი მიუძღვნა გ. გელაშვილმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ბავრათიონთა ცხოვრება“, როგორც უფრო ადრე შექმნილი ნაწარ-

<sup>1</sup> **Е. С. Такашвили.** Источники грузинских..., გვ. 42, 118, 174-175.

<sup>2</sup> **პ. ინგოროყვა.** ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე..., გვ. 427.

<sup>3</sup> **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო..., გვ. 206.

<sup>4</sup> **კ. გრიგოლია.** ნარკვევები..., გვ. 234-235; **ს. ყაუხჩიშვილი.** „ქართლის ცხოვრების“ ძველთა წყაროებისათვის..., გვ. 034-036.

მოები, უნდა ყოფილიყო „მატიანე ქართლისაჲს“ წყარო.<sup>1</sup> ამავე აზრისკენ იხრება მ. ლორთქიფანიძეც.<sup>2</sup>

ამჯერად არ ვაპირებთ ამ, თავისთავად მეტად საინტერესო, საკითხის საბოლოო გარკვევას, ვიტყვით მხოლოდ, რომ აღნიშნული ქართული წყაროების შინაარსობრივი მსგავსება ჩვენთვის საინტერესო ადგილებში, ალბათ, უნდა მიმდინარეობდეს რომელიღაც ჩვენამდე მიუღწეველი საერთო წყაროდან, როგორც ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი და დღეს ასაბუთებს შ. ბადრიძე.<sup>3</sup> ჩვენს ყურადღებას უფრო იპყრობს ის რედაქციული ხასიათის განსხვავებები, რომლებიც აშკარად შეინიშნება „მატიანისა“ და სუმბატის ნაწარმოების შუა {143} საბამისი ნაწილების შედარებისას. სწორედ ეს განსხვავებები გვაძლევენ საშუალებას ვილაპარაკოთ სუმბატ დავითის ძის, როგორც XI ს. I მესამედის საქართველოს მმართველ წრეებთან დაკავშირებული მოღვაწის,<sup>4</sup> პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ, კერძოდ, ავტორის დამოკიდებულებაზე იმ პოლიტიკურ სიტუაციასთან, რომელიც შეიქმნა XI ს. 20-იან წლებში საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გამწვანა-

---

<sup>1</sup> გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის ძე და „.., გვ. 235-256.

<sup>2</sup> *Матиане Картлиса*, გვ. 21; **Сумбат Давидисдзе**. История и повествование.., გვ. 19.

<sup>3</sup> **შ. ბადრიძე**. შირიმნის ბრძოლის ლოკალიზებისა და თარიღის შესახებ, გვ. 68; **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან, გვ. 75; **Ш. А. Бадридзе**. «Картлис цховреба» о грузино-византийских.., გვ. 48-52. {143}

<sup>4</sup> სუმბატის ვინაობის დადგენასთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთი რამ აშკარაა – სამეფო დინასტიის ისტორიის აღმწერი მწერალი, თანაც სამეფო გვარის წარმომადგენელი, უთუოდ იქნებოდა სახელმწიფოს მმართველ წრეებთან დაკავშირებული. „ბავრათიონთა ცხოვრების“ ავტორის ვინაობის შესახებ დანვრილებით იხ.: **დ. ბაქრაძე**. ისტორია საქართველოსი (უძველესი დროიდან X ს. დასასრულამდე). ტფ., 1889, გვ. 55; **დ. კარიჭაშვილი**. ვინ უნდა იყოს სუმბატის ქრონიკის ავტორი?.., გვ. 41-48; **ე. თაყაიშვილი**. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა.., 11-12; **Сумбат Давидисдзе**. История и повествование.., გვ. 5.

ვების შედეგად. ამ პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება კი, ვფიქრობთ, გამორიცხავს სუმბატის მიერ „ორკერძოვე მზაკუარ აზნაურებად“ მიჩნეულ დიდებულთა მეფის ხელისუფლების განმტკიცების მოწინააღმდეგე დაჯგუფებად გამოცხადებას. შევეხოთ ამ საკითხს უფრო დანერვილებით.

„მატიანე ქართლისაჲში“, სადაც მოთხრობილია ბასიანის ბრძოლისათვის მზადებაზე, ავტორი, როგორც უკვე ვნახეთ, აღნიშნავს: „და განიზრახავდა (გიორგი I – **ზ.პ.**) ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვისცა“. ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშკდობისა, ინყეს განმზადებად ბრძოლად. და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდებდნენ სკნდაქსად. ინყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ლაშქრისა მისისა, განუწყრა ბასილი მეფე, უბრძანა მოყვანებად ძელისა ცხოვრებისა, და მანდილი წმინდა დადვა ქუეყანასა ზედა, და თქუა – უკეთუ მომცე ხელითა მტრისათა, არღარა ვიყო თაყუანისმცემელ თქუენდამი უკუნისამდე“. და ვითარ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, კუალადცა მეოტ იქმნენ სპანი ქართველთანი“.<sup>1</sup>

იგივე ფაქტი სუმბატის თხზულებაში აღწერილია შემდეგნაირად: „...გიორგი მეფე უკანა (ზვიადის ლაშქრის – **ზ.პ.**) ისრე განვიდა ზვიად წადიერი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერძოვე მზაკუარნი **{144}** იგი აზნაურნი არა მიეშუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდა მშკდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად. ანჯეს იგი ბასილის ზედა, რომელი იგი ზავად და მშკდობად ჰგონებდა და მოელოდა. ხოლო გიორგისთა ინყეს ბრძოლად და აოტეს ბასილი ლაშქრისა. მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა დანერილი მათი, რომელინი მისად დაწერნეს გიორგი მეფესა ჩვენსა სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფემან ჰოროლისა წუერითა ამასთანა

---

<sup>1</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 287-288. **{144}**



იგინი, მიუპყრა ღმერთსა და ჰრქუა: „იხილე, უფალო **წერილია ესე მათი და საქმე, რომელსა ან იქმან**“. შემდეგ სუმბატს ასევე მოჰყავს ბასილის მიმართვა უფლისადმი: „უკეთუ მიმცე...“ და განაგრძობს: „**და ვითარ ესე იყო და თქუა, მყის მასვე ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისნი, რომელნი იგი პირველ მივიდეს**“.<sup>1</sup>

როგორც მოტანილი ნაწყვეტებიდან ჩანს, სუმბატ დავითის ძე უფრო დანვრილებით აღწერს ბასიანის ომს, ვიდრე მისი უმცროსი კოლეგა და რაც მთავარია, „მატიანის“ ავტორისაგან განსხვავებით, ამჟღავნებს თავის დამოკიდებულებას მომხდარი ფაქტისადმი. თუ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი მხოლოდ აღწუხსხავს მომხდარ ფაქტს და თავს იკავებს გიორგის ლაშქრის მოქმედების შეფასებისაგან, სუმბატ დავითის ძე ვერ რჩება გულგრილი მის მიერ აღწერილი მოვლენების მიმართ. ის აკრიტიკებს იმპერიის წინააღმდეგ ქართველთა აქტიურ გამოსვლას. ის ადანაშაულებს კიდეც „მზაკუარ აზნაურთ“, რომლებმაც თავს მოახვიეს სამშვიდობოდ განწყობილ გიორგი მეფეს ომი ბასილისთან, რომელიც ასევე „ზავად და მშედობად ჰგონებდა მოსვლას“. უფრო მეტიც, სუმბატის მონათხრობში აშკარად იგრძნობა ტენდენცია, რომ ბასილის გამარჯვება „ფიცისა და ზავის გამტეხ“ ქართველებზე თვით უფლის მიერაა გამართლებული.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით მაინც დამაინც არ არის გამოკვეთილი გიორგი I-ის პოზიცია. მემატაიანე, სუმბატის მსგავსად, არ ამბობს, რომ გიორგი მეფე იყო „ნადიერი ზავისა“. პირიქით, გიორგი I-მა წარავლინა რა „ზვიად ერისთავი {145} სპითა მისითა“, უბრძანა თავის სპასალარს „რათა(მცა) ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭივრა ადგილსა...“ საქართველოს მეფე ფიქრობდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვისცა“. ხოლო რომელთა არა

---

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა., გვ. 384, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ. {145}**

უნდა ყოფად მშკდობისა, ინყეს განმზადებად ბრძოლად...“<sup>1</sup>

როგორც აქ მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს, გიორგი I ნინალმდეგი არ იყო შებრძოლებისა, თუმცა ის ერთგვარ სიფრთხილეს მაინც იჩენდა და საბოლოო გადანწყვეტილებისაგან თავს იკავებდა. „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი შორსაა იმ აზრისაგან, რომ რამეში დაადანაშაულოს ისინი, „რომელთა არა უნდა ყოფად მშკდობისა“. ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკაში არაფერია ნათქვამი გიორგი მეფის მიერ დაწერილ „ზავისა და სიმტკიცის“ პირობებზე, რომელიც თითქოს გამოატანინა ბასილი კეისარმა და აამართვინა „ჰოროლისა ნუერი-თა“. მემატინე მხოლოდ აღნიშნავს „ძელი ცხოვრებისას“ გამოტანას და მისადმი მიმართვას: „უკეთუ მიმცე...“.

თუ სუმბატი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ცდილობს „მზაკუარნი ...აზნაურნი“ წარმოგვიდგინოს მოღალატეებად და სწორ გზაზე მდგარი (ე.ი. ზავის მოსურნე) გიორგი მეფის შემცდენლებად, „მატიანის“ მონაცემებიდან არ ჩანს არავითარი კვალი რაიმე დაპირისპირებისა გიორგი I-სა და ომის მოსურნე აზნაურთა შორის. შეიძლება ითქვას, პირიქით, მეფე რამდენადმე მომხრეცაა შებრძოლებისა. და ზავზე მხოლოდ დროის მოგების თვალსაზრისით თანხმდება – „უბრძანა ზავის მოპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილთა“. ე.ი. რა გამოდის? ისინი – „ორკერძოვე მზაკუარნი აზნაურნი“, – ვინც აქტიური ბრძოლის მომხრეა, სუმბატის მიხედვით ღალატს ჩადიან და სწორ პოლიტიკაზე მდგარ (ე.ი. ზავისათვის გამზადებულ) საქართველოს მეფეს საზიანო საქმისაკენ უბიძგებენ. ეს მაშინ, როდესაც „მატიანის“ მიხედვით, ომის მოსურნეთა და გიორგი I-ს შორის საკმაოდ შეთანხმებული მოქმედება მოჩანს. ვფიქრობთ, „მატიანე ქართლისაჲს“ ამგვარი დამოკიდებულება და, საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო-პოლიტიკური ვითარების გათ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 287, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ. {146}**

ვალისწინება XI ს. 20-იან წლებში, არ {146} გვაძლევს საფუძველს, რომ ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის მომხრე აზნაურთა დაჯგუფება მივიჩნიოთ გიორგი I-ის ცენტრალისტური ტენდენციების მოწინააღმდეგეთა ბანაკად.

ამასთან, ამკარაა, რომ სუმბატისეული შეფასება „ორკერძოვე მზაკუარ აზნაურთა“ საქმიანობისა არის შეფასება კაცისა, რომელიც პრინციპული მოწინააღმდეგეა ბიზანტიასთან საქართველოს ომისა და ესწრაფვის იმპერიასთან ზავს და მშვიდობას. ეს კი უთუოდ მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში მართლაც არსებობდა ორი აზრი ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარების საკითხზე და, რომ ამ საკითხის ირგვლივ მხარეთა შორის მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა. სუმბატ დავითის ძე კი ამ ბრძოლაში იმათ მხარეზეა, ვინც ბიზანტიასთან მშვიდობიანი „კეთილმეზობლური“ ურთიერთობის მომხრე იყო და გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის წინააღმდეგ გამოდოდა.

საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მომხრედ გვევლინება სუმბატ დავითის ძე თავისი თხზულების დასკვნით ნაწილშიც, როდესაც აღფრთოვანებით მოგვითხრობს მარიამ დედოფლის ვიზიტზე კონსტანტინოპოლში, „ამისსა შემდგომად წელსა მესამესა **სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბავრატ მეფესამან, შეიმოსა სიმჯნე და ახოვანება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კონსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვდობა ყოს აღმოსავლეთისათვის და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თვსსა ბავრატს მეფესა წესისაებრ სახელისა“.<sup>1</sup>**

„მატიანე ქართლისაჲს“ ანალოგიურ ცნობაში კი ნათქვამია: „შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფა-

---

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბავრატონიანთა., გვ. 386, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ

ლი მარიამ, დედა ბაგრატიისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად ძიებად მშვდობისა და ერთობისა, და კუალად ძიებად კურაპალატობისა ძისათვის თვისისა...“<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც, **{147}** თუ „მატიანის“ ავტორი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციით კმაყოფილდება, სუმბატ დავითის ძე ამკარად ვერ იკავებს თავს და ყოველნაირად ცდილობს შეაქოს მარიამ დედოფალი მისი ამ პოლიტიკური ნაბიჯისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ სუმბატის თხზულება მოულოდნელად წყდება ამ ეპიზოდზე.<sup>2</sup> იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ავტორს რალაცამ შეუშალა ხელი დაესრულებინა თავისი ნაწარმოები. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელ პოლიტიკურ სიტუაციას – ახალგაზრდა ელენე დედოფლის „უმიზეზო“ სიკვდილის შემდეგ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ხელახალ გაუარესებას, რაც ქვეყანაში ანტიბიზანტიურ ძალებს შორის ბრძოლის ახალი გამწვავების და, ამჯერად, ანტიბიზანტიური ძალების გამარჯვების მომასწავებელი უნდა იყოს, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრობიზანტიური ძალების მარცხს მოჰყვა ზოგიერთი მათი ყველაზე აქტიური მომხრის პოლიტიკური არენიდან გაქრობა? ხომ არ არის დასაშვები, რომ რეპრესირებულთა შორის სუმბატ დავითის ძეც ყოფილიყო?

ერთი სიტყვით, „მატიანე ქართლისაჲს“ და სუმბატ დავითის ძის თხზულების შესაბამის მასალებზე დაკვირვება იმის მტკიცების საშუალებას იძლევა, რომ XI ს. 20-იან წლებში (შეიძლება არა მარტო ამ დროს) საქართველოს სამეფო კარზე ნამდვილად იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დაჯგუფება ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით. ამ ორ დაჯგუფებას შორის მიმდინარეობდა შეურიგებელი ბრძოლა, რომელიც ხან ერთი მხარის, ხან კი მეორის გამარჯვებით მთავრდებოდა. ისტორიკოსი სუმბატ დავითის

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 294. **{147}**

<sup>2</sup> **ივ. ჯავახიშვილი**. ძველი ქართული საისტორიო..., გვ. 195. **{148}**

ძე, როგორც ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი და, ეტყობა, სამეფო კართან დაახლოებული პირი, ამ ბრძოლაში იცავდა პრობიზანტიური ძალების ინტერესებს.

ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს „ბაგრატიონთა ცხოვრების“ ავტორი ამართლებდეს ბიზანტიის იმპერატორების დაპყრობით პოლიტიკას საქართველოს მიმართ. პირიქით, თავის ნაწარმოებში სუმბატი აშკარად ამხელს ბასილი კეისრის „საქმიანობას“ **{148}** სამხრეთ საქართველოში ლაშქრობის დროს; არც თუ ისე შესაშური ეპითეტებით ამკობს აგრეთვე „*უმსჯავროსა მას მეფესა კონსტანტინეს*“, რომელსაც „*ენია რისხვა მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა*“.<sup>1</sup> უფრო მეტიც, ის აღფრთოვანებით წერს იმ გმირულ წინააღმდეგობაზე, რომელსაც უწევდნენ შემოსულ მტერს საბა მტბევარ ეპისკოპოსი და მისი ერთგულნი და სხვ.<sup>2</sup> სუმბატის (და არა მარტო მისი, არამედ, საერთოდ, პრობიზანტიური ორიენტაციის მომხრეთა) „ბიზანტოფილობა“ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში – XI ს. 20-იანი წლების საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის ვითარებაში – ის მხარს უჭერს ბიზანტიის კეისართან გარკვეული დათმობების (ტაოს მიწებზე უარის თქმის, კონსტანტინოპოლის უზენაესობის აღიარების) გზით მორიგებას და გამოდის იმპერიის წინააღმდეგ გიორგი I-სეული აქტიური პოლიტიკის გატარების კრიტიკით.

ამ მხრივ ქართველი მემატიანე ერთგვარად თავის სომეხ კოლეგას – არისტაკეს ლასტივერტცის ჰგავს, რომელიც ასევე არა იმდენად ბიზანტიელი იმპერატორების დამპყრობლური პოლიტიკის მხილებით გამოდიოდა, რამდენადაც საერთოდ „სომხეთის უბედურებაზე ჩივილით“. აი, რას წერს ამის თაობაზე კ. იუზუპიანი: „Историк (ანუ არისტაკეს ლასტივერტცი – **ზ.პ.**) не порицает Василия II, бесстрашно

---

<sup>1</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება..., გვ. 386.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება..., გვ. 386.

повествует об административных мерах, проведенных в отошедших к Византии провинциях... Аристакэс Ластивертци не столько осуждает империю и ее захватническую политику, сколько оплакивает бедственный «конец страны нашей Армянской»... византийское владычество как таковое представляется ему столь же естественной формой правления, что и царская власть в Армении“.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება კ. იუზბაშიანის ამ შენიშვნას,<sup>2</sup> ვფიქრობთ, რომ ის უდავოდ სწორია, თუმცა არისტაკეს ლასტივერტცის ზოგიერთი მონაცემების {149} მიხედვით, მართლაც, ერთობ ჭირს მისი პოზიციის დადგენა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმდროინდელ სომხეთში, ისევე როგორც საქართველოში, აშკარად გამოკვეთილად არსებობდა პრობიზანტიური დაჯგუფება, და რომ „византийская дипломатия предпринимала настойчивые и **небезуспешные попытки** уверить армянскую знать в дружественных намерениях империи“.<sup>3</sup>

ამრიგად, როგორც ჩვენ მიერ განხილული მასალებიდან ჩანს, XI ს. 20-იან წლებში გაერთიანებულმა ქართულმა სახელმწიფომ გადადგა ენერგიული ნაბიჯები ბიზანტიის პროტექტორატიდან გამოსვლისა და საერთაშორისო არენაზე ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოს სამეფო კარმა ამ მიმართულებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. საქართველოს მეფე სათავეში ჩაუდგა ანტიბიზანტიურ ძალებს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ აღმოსავლეთში და სერიოზული საფრთხე შეუქმნა ბიზანტიის ავტორიტეტს რეგიონში. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს ბრძოლა კონსტანტინოპოლისაგან განდგომისა და თავისი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის,

---

<sup>1</sup> К. Н. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его ..., გვ. 26-29.

<sup>2</sup> ელ. ცაგარეიშვილი. არისტაკეს ლასტივერტცი და..., გვ. 24. {149}

<sup>3</sup> К. Н. Юзбашян. Аристакэс Ластивертци и его..., გვ. 26-29. {150}

ამ ეტაპზე საბოლოოდ მარცხით დამთავრდა. საქართველო ვერ გამოვიდა იმპერიის „მფარველობიდან“ და საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ (ფორმალურად) დარჩა ბიზანტიის „ქვეყნად“. ეს კი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა აღზევება-გაძლიერების გზაზე მდგარი ერთიანი ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ XI ს. 30-იან წლებში კიდევ უფრო დაიძაბა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა, რომელმაც ქვეყანა ხანგრძლივ ფეოდალურ შინაომებამდე მიიყვანა.

## **2. საშინაო-პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში XI ს. 30-50-იან წლებში და მისი გამოვლინება საგარეო ურთიერთობებში**

XI ს. 30-50-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოს წინაშე იგივე საგარეო-პოლიტიკური ამოცანები იდგა, რაც წინა ათწლეულში – ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევა და ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება საერთაშორისო არენაზე. {150} ეს იყო საქართველოს სამეფო კარის საგარეო პოლიტიკის მთავარი, მაგისტრალური ხაზი 30-იანი წლების დასაწყისიდან.

როგორც უკვე აღინიშნა, 1030-1031 წლებში მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლში ვიზიტის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ ცნო ბიზანტიის იმპერიის უზენაესობა და დინასტიური ქორწინებით განამტკიცა „მშვიდობა და ერთობა“ იმპერიასთან. ეს შეთანხმება არც ერთი მხარისათვის არ უნდა ყოფილიყო მისაღები. ბიზანტიის იმპერია, რომლებიც ამკარად ექსპანსიონისტურ კურსს ადგა აღმოსავლეთის მიმართ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ამას მეზობელ სომხეთში, იძულებული გახდა (ეს უკვე მესამედ 1001 და 1022 წლების შემდეგ) იურიდიულად ეცნო ბაგრატიონთა მესვეურობით შექმნილი გაერთიანებული ქართული სახელ-

მნიფოს არსებობა და მასზე მხოლოდ თავისი პროტექტორატის დამყარებით დაკმაყოფილებულიყო. რაც შეეხება საქართველოს სამეფოს, იმპერიასთან ზავი მისთვის, ერთი შეხედვით, შეიძლება იმ პერიოდში შექმნილი მძიმე შინა-პოლიტიკური ვითარებიდან გამოსვლის კარგი საშუალება იყო, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ წინგადადგმულ ნაბიჯად საგარეო-პოლიტიკური ავტორიტეტის შემდგომი ზრდისა და განმტკიცების გზაზე.

აღნიშნულმა შეთანხმებამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა ის ურთიერთობა საქართველო-ბიზანტიას შორის, რომლის წინააღმდეგ ასე ენერგიულად გამოდიოდა გიორგი I. ე.ი. „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა კვლავ ექცეოდა იმპერიის გარკვეული კონტროლის ქვეშ და შესაბამისად საქართველო საერთაშორისო არენაზე კვლავ რჩებოდა ბიზანტიის „ქვეყნად“. ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად რეალური იქნებოდა ბიზანტიელთა ძალაუფლება საქართველოს მეფეზე. შესაძლებელია ბიზანტიის ხელისუფლება დასჯერებოდა საქართველოს მეფის მიერ იმპერატორის უზენაესობის უბრალო აღიარებას და ტაოს მიწების საბოლოო დაპატრონებას, მაგრამ ისიც არ არის გამოსარიცხი, რომ კონსტანტინოპოლის მმართველი წრეები ვარაუდობდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში უფრო აქტიურად ჩარევას და მომავალში მასაც იგივე ბედს უმზადებდნენ, რაც ეწიათ ანისის სამეფოსა და სხვა სომხურ პოლიტიკურ ერთეულებს.<sup>1</sup> ყოველ შემთხვევაში, საფიქრებე-

---

<sup>1</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ „კეისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რაც სომხეთის სამეფოს შეამთხვია“ (**ნ. ბერძენიშვილი**. ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანება. – საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 26-27; საქართველოს ისტორია. დამხმარე სახელმძღვანელო., ტ. I, გვ. 146-147). მ. ლორთქიფანიძის აზრითაც, ბიზანტიის ხელისუფლება ერთნაირ პოლიტიკას ადგა „სომხურ-ქართული ქვეყნების მიმართ და მათ იმპერიასთან შეერთებას ცდილობდა“ (**მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება., გვ. 191).



ლია, რომ საქართველოში გარკვეულ პოლიტიკურ ნრეებში ნათლად ჰქონდათ შეგნებული ამგვარი საშიშროების რეალურობა. სწორედ ეს (ყოველგვარი უცხო გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ საერთო სწრაფვასთან ერთად) უნდა ყოფილიყო მთავარი შთამაგონებელი წყარო იმ ფართო მასშტაბის ანტიბიზანტიური მოძრაობისა, რომელიც დაიწყო გიორგი I-ის ხანაში, და შემდგომი განვითარება ჰპოვა ბაგრატ IV-ის მეფობის (XI ს. 50-იანი წლების II ნახევრამდე) პერიოდში.

ახალგაზრდა ელენე დედოფლის უდროო სიკვდილით, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, განყდა ის ძაფი, რომელიც აკავშირებდა ბაგრატ IV-ის ხელისუფლებას ბიზანტიის იმპერიასთან. ამის შემდეგ, როგორც ვიცით, ახალგაზრდა მონარქმა შეირთო ოვსთა მეფე ურდურეს ასული ბორენა – „დაი დორლოლელისი“:<sup>1</sup> ბაგრატ IV-ის ეს ნაბიჯი შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ოვსთა მეფის სახით ის იძენდა ძლიერ მოკავშირეს, რომელიც გამოადგებოდა ბიზანტიის იმპერიასთან მომავალი შეჯახების შემთხვევაში. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან კონსტანტინოპოლის, როგორც ცნობილია, არცთუ იშვიათად წარმატებით იწყებდა ოვს-ალანთა სამხედრო ძალას თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის.<sup>2</sup> ამასთან, უთუოდ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, **{152}** რომ ოვსები ბაგრატ IV-ისათვის გარკვეულ საშიშროებას წარმოადგენდნენ, როგორც მისი ნახევარძმის დემეტრეს თანამოდმენი რომლის მხარეზეც შეეძლოთ გამოსვლა მათ

---

აღ. აბდლაძეს გამართლებულად არ მიაჩნია „X-XI სს-ში საქართველოსა და სომხეთისადმი ბიზანტიის იმპერიის დამოკიდებულებათა ერთ სიბრტყეზე დაყენება“, მკვლევარი ფიქრობს, რომ ბიზანტიას საქართველოს დაპყრობა პრაქტიკულად არ შეეძლო და ის მხოლოდ ტაო-კლარჯეთის ხელში ჩაგდებას ლამობდა (აღ. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ..., გვ. 265).

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა..*, გვ. 295.

<sup>2</sup> Ю. А. Кулаковский. Аланы по сведениям классических и **{152}** византийских писателей. – *Чтение исторического общества Нестора-летописца*. Отгиск из XII кн. Киев, 1899, гв. 53.

გვირგვინოსან ძმასთან კონფლიქტის დროს.<sup>1</sup>

საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ბაგრატ IV ოსების გამოყენებას სხვა პოლიტიკურ აქციებშიც აპირებდა. კერძოდ, თითქმის უეჭველადაა მიჩნეული ის, რომ ოვსეთ-კახეთის კონფლიქტი, რომლის დროსაც „მოკლული იყო დიდი კახთა მეფე კვრიკე ოვსისა ვისიმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კვრიკე მეფესა“<sup>2</sup> ინსპირირებული იყო ბაგრატ მეფის მიერ და მიზნად ისახავდა „რანთა“ და „კახთა“ სამეფოს დასუსტებას. ამით „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფე ნიადაგს ამზადებდა დანარჩენ საქართველოსთან კახეთის შეერთებისათვის.<sup>3</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სრული საფუძველი გვაქვს ბაგრატ IV-ის ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინება საქართველოს სამეფო კარის მნიშვნელოვან დიპლომატიურ წარმატებად მივიჩნიოთ. ოვსეთის სამეფოსთან დაკავშირებამ საქართველოს მეფეს, როგორც ჩანს, ხელ-ფეხი გაუხსნა და საშუალება მისცა უფრო აქტიურად გამოსულიყო საერთაშორისო არენაზე, კერძოდ, გადაედგა გარკვეული ნაბიჯები ბიზანტიის იმპერიის მიერ წართმეული დავით კურაპალატისეული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ჩვენ უკვე აღვნიშნავდით, რომ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ბაგრატ IV-ს რაიმე ანტიბიზანტიური აქციების შესახებ XI ს. 30-იან წლებში.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც გაბატონებულია აზრი, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის იმპერიის მხრიდან ბაგრატის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებები XI ს. 40-50-იან წლებში ახსნილია, ერთი იმით, რომ ბიზანტიის მხარეს თითქოს არ აკმაყოფილებდა 1030-1031 წწ. შეთანხმების პირობები<sup>4</sup> და, მეორეც, მას

<sup>1</sup> გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის..., გვ. 132, 134-135.

<sup>2</sup> მატეიანე ქართლისა, გვ. 297.

<sup>3</sup> გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის..., გვ. 132-133.

<sup>4</sup> ვ. გაბაშვილი. საქართველო-ეგვიპტის..., გვ. 69. {153}

ამინებდა ბაგ(153)რატ IV-ის ხელისუფლების გაძლიერება.<sup>1</sup> მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ქართული მატრიანების ამ ხარვეზს ავსებს ბიზანტიელი ავტორი იოანე ზონარა, რომელიც აფიქსირებს „აბაზგიის მთავარ“ ბაგრატის მიერ რომაელებთან დადებული ზავის დარღვევას და ზოგიერთი ციხისა და ქალაქის მიტაცებას, რომლების ბიზანტიელებმა სწრაფად უკან დაიბრუნეს.<sup>2</sup>

იოანე ზონარას ამ ცნობას რატომღაც არ ექცევა სათანადო ყურადღება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიელთა გააქტიურება საქართველოს მიმართ XI ს. 40-იან წლებში ახსნილია იმით, რომ ბიზანტიის მმართველ წრეებს აშფოთებდათ ბაგრატ IV-ის ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება და გაძლიერება.<sup>3</sup> თავისთავად ეს გარემოება, რასაკვირველია, ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ვფიქრობთ, ბიზანტიელთა მხრიდან ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები უფრო საქართველოს მეფის ანტიბიზანტიურმა აქციებმა გამოიწვია. საფუძველი არა გვაქვს არ ვენდოთ ბიზანტიელი ისტორიკოსის ზემოთ მოტანილ ცნობას იმპერიის მიერ მისაკუთრებულ ტერიტორიებზე ბაგრატ IV-ის შეჭრის შესახებ. ე.ი., 1030-1031 წლების ზავი პირველმა არა ბიზანტიის მხარემ დაარღვია, არამედ საქართველოს მეფემ და ეს იყო კონსტანტინოპოლის „მფარველობისაგან“ თავის დახსნისათვის ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისი.

ამ მოვლენების გაშუქებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ უზუსტობებს, რომლებიც, სამწუხაროდ გვხვდება „*История Византии*“-ის მე-2 ტომში. XI ს. 20-იანი წლების II ნახევრისა და 30-იანი წლებების დასაწყისის ბიზანტიის იმპერიის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისას ცნობილი ბიზანტოლოგი გ. ლიტავრინი აღნიშნავს: „Ослабление военной мощи империи отразилось и на отношениях с полу-

<sup>1</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 184.

<sup>2</sup> იოანე ზონარა. ისტორია. – გეორგიკა., ტ. VI, გვ. 235.

<sup>3</sup> მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა..., გვ. 184. {154}

независимыми княжествами Кавказа. В 1027 г. **Абхазская** знать предъявила претензии на земли, приобретенные Василием II в Асфарагане. Роману III удалось заключить мир с наследником Георгия **Абхазского** Багратом, женив его на своей племяннице. Но **{154}** тотчас после смерти Романа Баграт порвал договор и вернул себе уступленные крепости“.<sup>1</sup>

მოყვანილ ციტატაში, პირველ რიგში გაკვირვებას იწვევს ის, რომ ავტორი გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფეს გიორგი I-ს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, უწოდებს „Георгий Абхазский“-ს, ხოლო ფეოდალური საქართველოს დიდებულთა წრეს – „Абхазская знать“-ს. გაუთვითცნობიერებელი მკითხველი მათში, რასაკვირველია იგულისხმებს არა ქართულ, არამედ საკუთრივ აფხაზურ (თანამედროვე გაგებით) სამყაროს.<sup>2</sup> გ. ლიტავრინის ეს შეცდომა შემთხვევითი არ არის. ის ბიზანტიურ (ნაწილობრივ ასევე სომხურსა და აღმოსავლურ) წერილობით წყაროებში გატარებული შეხედულების უკრიტიკოდ გაზიარების შედეგია, რომლის მიხედვითაც XI-XII სს. საქართველო „აფხაზეთად“ („აბაზგია“), ხოლო საქართველოს მეფეები – „აფხაზეთის („აბაზგის“)

---

<sup>1</sup> **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 270, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>2</sup> თავისი ნაშრომის სხვა ადგილას გ. ლიტავრინი ასევე ყოველგვარი გაშიფვრის გარეშე წერს, რომ „Вышли из повиновения **абхазцы, сербы**“... (*История Византии*, т. II, გვ. 270, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ასეთსავე მიდგომას ვხედავთ აღნიშნული გამოცემის იმ მონაკვეთშიც, რომელშიც საუბარია გიორგი I-ის კავშირზე ბასილი კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან 1022 წელს (ამის შესახებ დანვრ. იხ. ზემოთ, გვ. **{113}**): „В сговоре с ними (ე.ი. ნიკიფორე ქსიფესთან და ნიკიფორე ფოკასთან), по-видимому, состоял и **князь, Абхазский Георгий**. Готовы были бежать к мятежникам некоторые малоазийские аристократы, участвовавшие в походе Василия в **Абхазию**“ (იხ.: **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии во второй половине X – первой четверти XI в., გვ. 222).

მთავრებადაა“ მიჩნეული.

ბიზანტიური ტრადიციის გავლენის შედეგია აგრეთვე ისიც, რომ გ. ლიტავრინი გაერთიანებულ საქართველოს სამეფოს მხოლოდ „княжество“-დ თვლის.<sup>1</sup> რაც შეეხება დასკვნას იმის შესახებ<sup>{155}</sup>ხებ, თითქოს ბაგრატ IV ბიზანტიის იმპერიას ედავებოდა ვასპურაკანს („Асфараган“), ეს, ვფიქრობთ, ერთგვარ გაუგებრობაზეა, აგებული. მართალია, იაჰია ანტიოქიელის ცნობაში, რომელსაც მკვლევარი ამ შემთხვევაში უდავოდ ეყრდნობა, დაფიქსირებულია მარიამ დედოფლის მამის სენექერიმის („სინაჰარიბი“) მიერ ბასილ მეფისათვის ვასპურაკანის („ისფარაჯანის“) დათმობის ფაქტი,<sup>2</sup> მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ის, რომ მარიამის ვაჟი ბაგრატ IV ამ დროს (1027 წ.) პაპისეული ვასპურაკანის შემომტკიცებას ლამობდა. გ. ლიტავრინი, ეტყობა, შეცდომაში შეიყვანა იაჰია ანტიოქიელის ცნობის ვ. როზენისეულმა თარგმანმა, რომელიშიც ერთი შეხედვით გარკვევით არ

---

<sup>1</sup> თავის დროზე ქართველმა მეცნიერებმა ყურადღება გაამახვილეს «История Византии»-ის II ტომში დაშვებულ ამ და სხვა შეცდომებზე და სავსებით სწორად მიუთითეს ამგვარი ხასიათის შრომების შექმნისას ქართული მასალების გამოყენების აუცილებლობაზე. იხ.: **Ш. А. Месхия, Н. Ш. Асатиани, В. У. Копалиани, Э. В. Хоштария.** Некоторые замечания ко второму тому «История Византии». – *Вопросы истории*, №9, {155} 1969, გვ. 178-180. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხასიათის უზუსტობანი გვხვდება აგრეთვე გამოჩენილი რუსი ბიზანტოლოგის აკად. თ. უსპენსკის ჩვენ მიერ უკვე ზემოხსენებულ შრომაში (*История Византийской империи*. Глава XXIV. Походы на Сирию и Армению...), რომელიც 1968 წელს გამოაქვეყნა ო. ცქიტიშვილმა. მასში არაერთხელ იხსენიება „Гиоргий I царь Абхазии“, დავით კურაპალატი კი „царь Грузии“-დ. ერთ ადგილას კი პირდაპირ წერია: „При наступлении зимы Василий II перевел свое войско в Трапезунт, имея намерение весной следующего года докончить завоевание **Абхазии и Грузии**“ (იხ. *Матне...*, 4, 1968, გვ. 130 და სხვა. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.3.**).

<sup>2</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის ცნობები ..., გვ. 118.

ჩანს, თუ ვისი (მარიმის თუ ბაგრატ IV-ის) მამის მიერ დათმობილ ციხეებზეა ლაპარაკი.<sup>1</sup>

სინამდვილეში დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმის დასადგენად, რომ აქ იაჰია ანტიოქიელს მხედველობაში აქვს არა სენექერიმის მიერ იმპერიისათვის გადაცემული ვასპურაკანის სამეფო, არამედ ის მიწები, რომლებიც ბასილი II-მ ნაართვა გიორგი I-ს, ანუ ე.წ. დავით კურაპალატის სამემკვიდრეო. სწორედ ასე ესმით ეს არაბი ისტორიკოსის ცნობის ქართველ მთარგმნელებს<sup>2</sup> და კომენტატორებს.<sup>3</sup> მაგალითისათვის, იაჰია ანტიოქიელის ცნობების ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ თარგმანში, რომელიც ბ. სილაგაძემ შეასრულა, ვკითხულობთ: „...სამეფო კარი ურჩევდა (**ბაგრატს**), რომ უკვე დადგა ხელსაყრელი დრო იმ ციხე-სიმაგრეების დასაბრუნებლად, რომლებიც **მამამისმა** (ე.ი. ბაგრატ IV-ის მამა – გიორგი I-მა – **ზ.პ.**) ბასილი მეფეს დაუთმო“.<sup>4</sup>

ახლა, რაც შეეხება იოანე ზონარას ცნობას ბაგრატ IV-ის ხელმეორე შეჭრის შესახებ ბიზანტიის ტერიტორიაზე. კონსტანტინოპოლი, რასაკვირველია, გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა საქართველოს მეფის ამ დემარშს და ყველანაირად შეეცდებოდა საპასუხო ზომები გაეტარებინა მის მიმართ. მაგრამ როგორც იოანე ზონარას იმავე ცნობიდან ირკვევა, იმპერიის მესვეურებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ განდევენეს ბაგრატ IV-ის ჯარი და დაიბრუნეს ქართველთა მეფის მიერ მიტაცებული ციხე-ქალაქები.<sup>5</sup> ბაგრატ მეფის უფრო მკაცრად დასჯა იმპერატორს იმ ხანებში, ეტყობა არ შეეძლო. უფრო მეტიც, ამ დროიდან, როგორც დავინახავთ, ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული შეიქნა თავი შეეკავებინა

---

<sup>1</sup> **В. Розен.** Василий Болгаробойца..., გვ. 70.

<sup>2</sup> **ო. ცქიტიშვილი.** მასალები საქართველოს საგარეო..., გვ. 127.

<sup>3</sup> **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 132; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 179. **{156}**

<sup>4</sup> **ბ. სილაგაძე.** იაჰია ანტიოქიელის..., გვ. 118, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>5</sup> **იოანე ზონარა.** ისტორია. – *გეორგიკა...*, ტ. VI, გვ. 235.

ნა საქართველო სამეფოს წინააღმდეგ აქტიური შეიარაღებული გამოსვლებისაგან და მთლიანად შეეცვალა ბრძოლის ხერხები და მეთოდები.

ამიერიდან იმპერია კმაყოფილდება ფეოდალური ოპოზიციის მიერ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მოწყობილი გამოსვლებისადმი მატერიალური მხარდაჭერით და ამ გზით ცდილობს ურჩი კურაპალატის გზიდან ჩამოცილებას. ამ ასპექტში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის ხელისუფლების მიერ საქართველოდან გაქცეული ბაგრატ IV-ის ნახევარძმის – დემეტრე უფლისწულისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემას. დემეტრე უფლისწული ბიზანტიელთათვის დიდი შენაძენი იყო, რადგან მისი სახით მათ გაუჩნდათ თავიანთი კანდიდატი საქართველოს სამეფო ტახტზე, რომელსაც საჭირო შემთხვევაში დაუპირისპირებდნენ ბაგრატს. ამიტომ იყო, რომ იმპერატორმა დემეტრეს სასწრაფოდ უბოძა მაგისტროსის ტიტული.<sup>1</sup> გარდა ამისა, იმპერიამ საქართველოს ანაკოფიის სახით სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პუნქტი წაგლიჯა („წარუტანა თანა ანაკოფია. და **{157}** მიერითგან წარუჭდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქჟამამდე“).<sup>2</sup> ამით ბიზანტიელებმა საქართველოს, როგორც მოსწრებულად შენიშნა ივ. ჯავახიშვილმა, „ჩრდილოეთიდანაც მოუარნეს და საზღვარზე ფეხი ჩადგეს“.<sup>3</sup> მაგრამ ბიზანტიის ხელისუფლებამ ერთბაშად ვერ შეძლო დემეტრე უფლისწულის გამოყენება თავისი მიზნებისათვის.

XI ს. 30-იანი წლები იმპერიისათვის როგორც საგარეო, ისე საშინაო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთობ დაძაბული გამოდგა. აჯამებს რა იმდროინდელი ბიზანტიის საგარეო-პოლიტიკურ პოტენციალს, გ. ლიტავრინი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ „Через пять лет после смерти Болгаробойцы империя не только прекратила наступление, но с труп-

<sup>1</sup> გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. – გეორგიკა., ტ. V, გვ. 58. **{157}**

<sup>2</sup> მატეიანე ქართლისა, გვ. 295.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 140.

дом удерживала позиции и на востоке, и в Италии и на Балканах“.<sup>1</sup> რაც შეეხება საქართველოს, აქ პოლიტიკური სიტუაცია რამდენადმე სტაბილური იყო, რამაც ბაგრატ IV-ს საშუალება მისცა აქტიურად ებრძოლა კახეთისა და თბილისის საამიროს შემომტკიცებისათვის. მიუხედავად ამ მიმართულებით მიღწეული ცალკეული წარმატებებისა, ბაგრატ IV-მ მაინც ვერ შეძლო ვერც თბილისის საამიროსა და ვერც კახეთის სამეფოს შემოერთება.

ამასობაში მას ჩამოსცილდა კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც იმის გამო, რომ მეფემ მის დაუკითხავად დადო ზავი თბილისის ამირასთან, „*შეიქმნა... ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგან*“.<sup>2</sup> ამ დროიდან (დაახლოებით (1039-1040წწ.)),<sup>3</sup> საქართველოში ვითარება ერთბაშად დაიძაბა. ბაგრატ IV-ს ქვეყნის შიგნით გაუჩნდა უაღრესად ძლიერი ოპოზიცია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მისი აქტიურობა საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე და სიძნელეები შეუქმნა ქვეყნის გაერთიანების საქმეში. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის დამუშავებული ბაგრატ-ლიპარიტის კონფლიქტის პერიპეტიები<sup>4</sup> და ამდენად მასზე აქ დანვრები<sup>{158}</sup>ლებით ყურადღების გამახვილება არ არის აუცილებელი, შევჩერდებით მხოლოდ ამ ხანგრძლივი ბრძოლის ცალკეულ ეტაპებზე და მის შუქზე შევეცდებით გა-

---

<sup>1</sup> Г. Г. Литаврин. Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг., გვ. 270.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 298.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 141; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური..., გვ. 163.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 142-150; ვ. კოპალიანი. ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ლიპარიტის ძის ურთიერთობი<sup>{158}</sup>დან. – *თსუ შრომები*, ტ. 45. თბ., 1957, გვ. 241-281. В. У. Копалиани. Клдекарское эривство. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1949; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში..., გვ. 179-270; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 163-167.



ვაანალიზოთ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი XI ს. 40-50-იან წლებში.

პირველი სამხედრო-პოლიტიკური აქცია, რომლის წარმატებით განხორციელებაში ბაგრატ IV-ს ხელი შეუშალა ლიპარიტ ბაღვაშმა, კახეთში ლაშქრობა იყო. როგორც „*მატიანე ქართლისაჲდან*“ ირკვევა, საქართველოს მეფეს საკმაოდ აქტიურად შეუტევია კახთა მეფისათვის, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია მხოლოდ იმის გამო, რომ „*ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა*“.<sup>1</sup> კლდეკარის ერისთავს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ მხარში ამოუდგა ბიზანტია, „*გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატიისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა*“<sup>2</sup> – წერს მემამაციანე. ლიპარიტის მხარე დაიკავეს კახელებმაც. ბაგრატმა, როგორც ჩანს, ვერ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა ამბოხებულ ფეოდალს და იძულებული შეიქნა მისთვის ქართლის ერისთავობა ებოძებინა.<sup>3</sup> ლიპარიტისათვის ბიზანტიელთა მხრიდან განეული დახმარების ფაქტს აღნიშნავს სომეხი ისტორიკოსი ვარდანიც, რომელიც წერს, რომ „*ლიპარიტი განუდგა ბაგრატს და აიძულა „აფხაზეთში“ გაქცეულიყო... თვით დაეუფლა მხარეს და იმპერატორ მიხეილის დახმარებით დაიწყო მისი ბრძნულად მართვა*“.<sup>4</sup> {159}

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 298.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 298.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 298. ივ. ჯავახიშვილი ლიპარიტის ამ გამოსვლას 1044-1045 წწ. ათარიღებდა (ივ. *ჯავახიშვილი*. საქართველი ერის ისტორია, ნ. II, გვ. 143). ვ. კოპალიანი ეყრდნობა რა სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობას, სავსებით დამჯერებლად ასკვნის, რომ ლიპარიტის პირველ განდგომას და ბერძენთა ლაშქრის მოსვლას მის დასახმარებლად ადგილი უნდა ჰქონოდა 1042 წელს (*ვ. კოპალიანი*. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 190).

<sup>4</sup> *Всеобщая история Вардана Великого*. Перевод *Н. Эмина*. М., 1861, გვ. 123; *ვ. კოპალიანი*. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 189-190. იხ. აგრეთვე: *ელ. ცაგარეიშვილი*.

როგორც ვხედავთ, ბაგრატ-ლიპარიტის შეჯახება იმ-თავითვე გასცდა რიგითი შინა-პოლიტიკური კონფლიქტის ფარგლებს და მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც. თავიდანვე ამ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო ბიზანტია. კონსტანტინოპოლი, როგორც ვიცით (ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან), ისედაც ეჭვის თვალთ უყურებდა ბაგრატ IV-ს იმ აშკარად გამოკვეთილი ანტიბიზანტიური კურსის გამო, რომელსაც იმ ხანებში დაადგა საქართველოს მეფე.

XI ს. 40-იანი წლებისათვის ბაგრატ IV კიდევ უფრო გაძლიერდა და იმდენად მნიშვნელოვან ძალად იქცა საერთაშორისო არენაზე, რომ საფრთხე შეუქმნა ბიზანტიის ავტორიტეტს აღმოსავლეთში. ეს განსაკუთრებით ნათლად გამომჟღავნდა 40-იანი წლების შუახანებში ე.წ. „სომხეთის საკითხის“ გადანყევტის დროს. ალბათ, სწორედ ამან აიძულა ბიზანტიის ხელისუფლება, ყოველი ღონე ეხმარა აღზევებული საქართველოს მეფის დასამხობად და აქ მისთვის სასურველი პოლიტიკური რეჟიმის დასამყარებლად. ამიტომ იყო, რომ იმპერია ასე ენერგიულად ამოუდგა მხარში ლიპარიტ ბაღვაშს.

სომხეთის დაპყრობა ბიზანტიის იმპერიის მესვეურთათვის დიდი ხნის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. პირველი რეალური ნაბიჯები იმპერიამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ X ს. 60-იან წლებში გადადგა, როდესაც (966 წ.) გააუქმა და უშუალოდ შეიერთა ტარონის სომხური სამთავრო.<sup>1</sup> ამის შემდეგ, ერთი პერიოდი, ბიზანტიის ხელისუფლება იძულებული იყო თავი შეეკავებინა აქტიური პოლიტიკისაგან აღმოსავლეთში. მიუხედავად ამისა, დროდადრო, ის მაინც ცდილობდა მოეხდინა თავისი ავტორიტეტის დემონსტრირება სომეხი მეფე-მთავრების წინაშე,<sup>2</sup> მაგრამ ეს უკანასკნელნი ამ პერიოდ-

---

{159} სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ..., გვ. 196-197.

<sup>1</sup> К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов..., გვ. 67.

<sup>2</sup> ამის ნათელი გამოვლინება იყო იმპერატორ იოანე ციმისხის მიერ

ში, **{160}** ასე თუ ისე, მაინც ახერხებდნენ იმპერიისაგან თავის შორს დაჭერას და თავიანთი სუვერენიტეტის დაცვას.<sup>1</sup>

მალე ვითარება შეიცვალა. XI ს. დამდეგიდან ბიზანტიის იმპერია აღმავლობის გზას დაადგა და მისი პოზიციები აღმოსავლეთში თანდათანობით განმტკიცდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XI ს. 20-იანი წლების დამდეგს, როდესაც ბიზანტიის კეისარმა გიორგი I-ზე გამარჯვების შემდეგ სრული დიქტატი დაამყარა სომხურ პოლიტიკურ ერთეულებზე. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს მეფეს მხარში ედგნენ მეზობელი სომეხი მეფე-მთავრები: ანისის მეფე იოვანე-სუმბატი, მისი ვასალი ვანანდის მეფე და, შესაძლოა, ვასპურაკანის მეფე სენექერიმიც. სომეხ პოლიტიკურ მოღვაწეებს გიორგის მოკავშირეობა ძვირად დაუჯდათ. 1021-1022 წ. ზამთარს, როდესაც „ხალდიის“ თემში მყოფი ბასილი კეისარი გიორგი I-სათვის საბოლოო დარტყმის მისაყენებლად ემზადებოდა, გააუქმეს და ბიზანტიას შეუერთეს ვასპურაკანის სამეფო.<sup>2</sup>

---

ანისის მეფე აშოტ III-ისადმი გაგზავნილი ვრცელი წერილი, რომელიც იოანე ციმისხის ჯარების ტრიუმფალური ლაშქრობების ამსახველი მატთანე უფრო იყო. ამ ეპისტოლეს მიზანი იყო გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა სომეხთა მეფეზე და ეგრძნობინებინა მისთვის, იმპერიის პრეტენზიები მუსლიმანების მიერ მიტაცებულ სომხურ მიწებზე. ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 245-246. **{160}**

<sup>1</sup> ამ მხრივ უთუოდ ნიშანდობლივია სტეფანოს ტარონაცის ცნობა იმის შესახებ, რომ ანისის მეფე გაგიკ I არ დამორჩილებია ბასილი II-ის ბრძანებას და არ გამოცხადებულა მასთან ტაოში, სადაც ეს უკანასკნელი იმყოფებოდა 1001 წელს დავით კურაპალატის სამემკვიდრეოს დაუფლებასთან დაკავშირებით (იხ.: *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 201, **ე. ცაგარიშვილი**. სომხური წყაროები საქართველო-ბიზანტიის..., გვ. 177; **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები..., გვ. 248.

<sup>2</sup> კონკრეტული ნაბიჯები ვასპურაკანის შემოსაერთებლად იმპერიის ხელისუფლებას გადაუდგამს ჯერ კიდევ 1015-1016 წლებში, როდესაც დაედო შეთანხმება სენექერიმ არწრუნთან მისი მიწა-წყლის ბიზანტიისთვის დათმობის შესახებ. ამის შესახებ დაწვრილ.

სწორედ იქვე გადაწყდა ანისის სამეფოს ბედიც, რადაგან „დაინერა სომხების დაღუპვის წერილი. იოანემ (ანისის მეფე – იოანე-სუმბატი – **ზ.პ.**) უბრძანა მამამთავარს (კათოლიკოს პეტროს გეტარდაძის – **ზ.პ.**) „დანერე წერილი და აღქმა მიეცი მეფეს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მიწას და ქალაქებს მას დაფუტოვებ სამემკვიდრეოდ“, თვით მას არ ჰყავდა ვაჟი სამეფოს მემკვიდრე, რადგან მისი ვაჟი ერკათი ად**{161}**რე გარდაიცვალა და ველარ მიაღწია პატივს“. <sup>1</sup> როგორც ვხედავთ, განმეორდა ზუსტად იგივე, რაც მოხდა 989 წელს, როდესაც ბასილი კეისარმა აიძულა დავით კურაპალატი ასევე შეედგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც მის ერთადერთ მემკვიდრედ ბიზანტიის იმპერატორი ცხადდებოდა. როგორც ჩანს, იოანე-სუმბატი გიორგი I-ის აქტიური მოკავშირე ყოფილა, რადაგან მას ისეთივე განაჩენი გამოუტანა

---

იხ.: **В. П. Степаненко.** О причинах и датировке передачи Васпуракана Византии. – *Византийский Временник*, 38, 1977, გვ. 72-79; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 79. **{161}**

<sup>1</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, გვ. 48. მათეოს ურჰაეცის სიტყვებით იოვანე-სუმბატს დაუთმია თავისი სამფლობელო „вследствие собственного малодушия“ (იხ.: **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 79). გიორგი კედრენეც დაახლოებით ისევე აღწერს სიტუაციას, როგორც არისტაკესი. „როდესაც აფხაზთა მთავარმა გიორგიმ იარალი ააჟღარუნა, რომელთა წინააღმდეგ, – წერს კედრენე, – მისი მოკავშირე იყო ივანესიკეც, რომელიც ფლობდა ანისის ქვეყანას. ხოლო როდესაც... ბასილი მეფე იბერიაში გაემგზავრა და ბრძოლა გაუმართა გიორგის, აოტა იგი და გააცამტვერა, იოვანესიკეს შეეშინდა, ვაი თუ მეფემ განრისხებულმა, რომ გიორგის მოკავშირე ვიყავი, საშინელი რამე დამმართოსო, ქალაქის გასაღებებით ეახლა მეფეს, დანებდა მას და გასაღებებიც გადასცა“. ბასილი II-მ შეაფასა სომეხთა მეფის ეს გონივრული საქციელი და შეუთვალა: „სანამ ცოცხალი ხარ, ანისისა და ეგრეთწოდებული დიდი არმენიის მმართველად იყავიო“. ამასთან, მოსთხოვა წერილობითი დოკუმენტები იმის შესახებ, რომ იოვანეს სიკვდილის შემდეგ მთელი მისი სამფლობელო რომაელთა სახელმწიფოს შეუერთდებოდა (იხ.: **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.*, ტ. V, გვ. 59-60).

ბასილი II-მ, როგორც ქართველთა კურაპალატს.<sup>1</sup>

მკვლევრები, ეყრდნობიან რა მათეოს ურჰაეცის შესაბამის ცნობას (რომელსაც იმეორებს აგრეთვე XIII ს. ისტორიკოსი სუმბატ სპარაპეტიც), ვარაუდობენ, რომ იოანე-სუმბატს ბრალად ედებოდა, აგრეთვე, 1021 წელს ბასილი კეისრის წინააღმდეგ ნიკიფორე ფოკასა {162} და ნიკიფორე ქსიფეს წინამძღოლობით წამოწყებულ აჯანყებაში მონაწილეობაც.<sup>2</sup> 1041 წელს გარდაიცვალა იოანე-სუმბატი და ბიზანტიის ხელისუფლება შეუდგა ანისის სამეფოს შემომტკიცებას. ამან უაღრესად დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია სომხეთში.

ანტიბიზანტიურად განწყობილმა სომეხ ნაჰარართა დაჯგუფებამ, რომელსაც მეთაურობდა ვაჰრამ პაჰლავეუნი, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ბიზანტიელებს, რომლებიც 1041 წელს ორჯერ შეიჭრნენ ანისის სამეფოს ფარგლებში.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> სომეხი ისტორიკოსი ვარდანი იძლევა ამ მოვლენის არასწორ ინტერპრეტაციას. მისი აზრით, ანისის მეფე იოვანემ იმიტომ გადასცა ბასილი II-ს თავისი ქვეყანა, რომ მას „იბერიის მეფე ავინროებდა“ (იხ.: *Всеобщая история Вардана Великого...*, გვ. 117-118; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 100. იხ. აგრეთვე **ე. ცაგარეიშვილი**. სომხური წყაროები..., გვ. 196.) ამ წყაროდან გამომდინარე, ამ მოვლენას არასწორად ამუქებენ ვ. აბაზა (**В. А. Абаза**. История Армении. СПб, 1888, გვ. 79) და ნ. მურავიოვი (**А. Н. Муравьев**. Грузия и Армения, ч. I. СПб, 1848, გვ. 266), რომელზედაც სავსებით სამართლიანად მიუთითა ვ. კოპალიანმა (**ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 100-101). ვარდანის ცნობის წინააღმდეგობრიობას აღნიშნავს ალ. აბდალაძეც (**ალ. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 260). {162}

<sup>2</sup> **К. Н. Юзбашян**. Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 79. **ელ. ცაგარეიშვილი**. სომხური წყაროები საქართველო ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ..., გვ. 202.

<sup>3</sup> **К. Н. Юзбашян**. Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 81. იმავე 1041 წელს ანისის სამეფოს თავს დაესხმია ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით უმიწაწყლოც. ცოტა მოგვიანებით კი გრიგოლ მაგისტროსს (პაჰლავეუნის) მოუხდა აზერბაიჯანიდან შემოჭრილ თურქთა რაზმის მოგერიება. იხ. **К. Н. Юзбашян**. Скилица о захвате

ქვეყანაში გამწვავდა შინაპოლიტიკური ვითარებაც. ამკარად გამოიკვეთა ორი – ანტიბიზანტიური და პრობიზანტიური – დაჯგუფება.<sup>1</sup> ერთი პერიოდი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო მდიდარმა და გავლენიანმა ფეოდალმა სარგის ჰაიკაზნმა, რომელიც ბიზანტიელთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა.<sup>2</sup> მან იოანე-სუმბა{163}ტის სიკვდილისთანავე ჯერ რეგენტის თანამდებობა ჩაიგდო ხელში, ხოლო შემდეგ თავისი თავი მეფედაც გამოაცხადა, სამეფო საგანძური კი საქართველოში (მათეოს ურჰაეცის სიტყვით, „აფხაზებთან“)<sup>3</sup> გახიზნა. მაგრამ მას დაუპირისპირდა მისივე ნათესავი, ასევე „ძლიერი, სახელოვანი და ფრიად კეთილმსახური კაცი“ ვაჰრამ პაჰლავუნი, რომლის აქტიური შემწეობით სამეფო ტახტზე აყვანილ იქნა გარდაცვლილი იოვანე-სუმბატის ძმისწული გაგიკი.<sup>4</sup> გარკვეულწილად ეს აქტი 1017-1018 წლების შე-

---

Анийского царства..., გვ. 81.

<sup>1</sup> ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ იმ პერიოდში სომხეთში ფეოდალური არისტოკრატია ძირითადად ორ – პრობიზანტიურ და ანტიბიზანტიურ – ბანაკებად იყო დაყოფილი (ამის შესახებ დანვრილ იხ.: **В. А. Арутюнова-Фидания.** Армянские средневековые историки об экспансии Византийской империи на Востоке в X-XI вв..., გვ. 195; **К. Н. Юзбашян.** Аристокес Ластивертци и закат «эпохи Багратидов». Автореферат докт. дисс. Л., 1975, გვ. 18-19; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате..., გვ. 84; **Р. М. Бартикян.** К вопросу о политической ориентации Григория магистра. – *Страницы истории из филологии армянского народа*, Ереван, 1971, გვ. 63-72 და სხვ). მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს ვ. სტეპანენკომ ეჭვი შეიტანა ამ, ჩვენი აზრით, უდავოდ სწორ დასკვნაში. მკვლევრის აზრით, არც სარგის ჰაიკაზნი შეიძლება ჩაითვალოს ამკარად გამოკვეთილ ბიზანტოფილ მოღვაწედ და არც მისი მოწინააღმდეგე ვაჰრამ პაჰლავუნი ანტიბიზანტიური დაჯგუფების ლიდერად. (**В. П. Степаненко.** К идентификации личности веста «Матиане Картлиса», გვ. 163-172).

<sup>2</sup> მას ჰქონდა მინიჭებული ანტიფატპატრიკის, ვესტისა და დუკას ტიტულები (**К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского..., გვ. 81. **В. П. Степаненко.** К идентификации личности..., გვ. 165-166). {163}

<sup>3</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 168, 172.

<sup>4</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, გვ. 67; **К. Н. Юзбашян.**

თანხმების რეალიზაცია იყო, რომლის მიხედვითაც იოანე-სუმბატის შემდეგ ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძმის აშოტის შტოს წარმომადგენელი.<sup>1</sup> ამასთან შენარჩუნებულ იქნა იოანე-სუმბატის მომხრეთა პრივილეგიური მდგომარეობა.<sup>2</sup>

გაგიკის კორონაცია, საგარეო-პოლიტიკური თვალსაზრისით, უდავოდ ბიზანტიის მარცხს ნიშნავდა,<sup>3</sup> ამდენად ის მიუღებელი იყო სარგის ჰაიკაზნისათვისაც, რომელიც ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურობდა იმპერიის სასარგებლოდ და ამ გზით ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებას. კონფლიქტი რეგენტსა და შაჰანშას შორის გარდაუვალი შეიქნა. გაგიკმა მოტყუებით შეძლო სარგისის შეპყრობა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეინდო იგი,<sup>4</sup> რადგან ჰაიკაზნი ამის შემდეგაც ასრულებს {164} მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ცხოვრებაში.<sup>5</sup> ბიზანტიის იმპერია, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდა ამ მარცხს, მაგრამ ეტყობა ამ დროს არ შეეძლო სომხეთის საქმეებში აქტიურად ჩარევა და 1021-1022 წლების შე-

---

Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 81.

<sup>1</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 158.

<sup>2</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 158.

<sup>3</sup> ვ. სტეპანენკოს აზრით, გაგიკის სამეფო ტახტზე ასვლა არა იმდენად საგარეო-პოლიტიკური ასპექტით იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც საშინაო-პოლიტიკური თვალსაზრისით. „Внутри страны, – აღნიშნავს მკვლევარი, – Саргису Хайказну, поддержанному частью феодалов, противопоставлен легитимный наследник Иовханеса Смбата, возведенный на престол родом Пахлавуни при поддержке церкви“ (იხ.: **В. П. Степаненко.** К идентификации личности..., გვ. 168).

<sup>4</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი და მათეოს ურჰაეცი განსხვავებულად გადმოგვცემენ ამ ფაქტს. არისტაკესი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუმცა „საჭირო იყო აჯანყებული (სარგისის) მოკვლა, მაგრამ (გაგიკმა) საულის მსგავსად... შეიბრალა მეორე აგაგი, თავისთან ეტლში ჩაისვა“ (**არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, გვ. 67). მათეოს ურჰაეცი კი გაგიკს უწამებია სარგისი და აუძულებია იგი გადაეცა მისთვის „крепости, гавары, города, наследие его предков“ (**В. П. Степаненко.** К идентификации личности..., გვ. 169). {164}

<sup>5</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 169.

თანხმების სისრულეში მოყვანა.<sup>1</sup> 1044 წელს კი იმპერია გადავიდა შეტევაზე.<sup>2</sup> უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე IX-მ საკმაოდ ფართო მასშტაბის კამპანია გააჩაღა გაგიკ მეფის წინააღმდეგ. მან „დვინისა და პერსარმენის არქონტი აპლისფარი“ (აბულ-ასვარი შადადიანი – **ზ.პ.**) მიუსია ანისის მეფეს.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> ეს გამონვეული იყო იმით, რომ ახალგამეფებული კონსტანტინე IX წააწყდა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს ქვეყნის შიგნით. სულ რაღაც 1-2 წლის განმავლობაში იმპერატორს მოუხდა პროვინციული სამხედრო არისტოკრატის რამდენიმე გამოსვლის ჩახშობა, რომელთაგან მისთვის განსაკუთრებით საშიში იყო 1043 წლის აჯანყება, რომელსაც სათავეში ედგა ნიჭიერი სარდალი გიორგი მანიაკი (იხ. **Г. Г. Литаврин.** Внутренняя и внешняя политика Византии в 1025-1057 гг., გვ. 271). გასათვალისწინებელია აგრეთვე ბიზანტიის რამდენადმე ერთფეხი საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც. როგორც ცნობილია, 1043 წელს გამწვავდა ბიზანტია-კიევის რუსეთის ურთიერთობა, რომელიც ომში გადაიზარდა (ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **В. Г. Васильевский.** Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI и XII веков. – *Труды В. Г. Васильевского*, т. I. СПб., 1908, გვ. 303-315; **М. В. Левченко.** Очерки по истории русско-византийских отношений. М., 1956, გვ. 386-399; **Г. Г. Литаврин.** Русско-византийские отношения в XI-XII вв. – *История Византии*, т. II. М., 1967, გვ. 350-351; **Г. Г. Литаврин.** Пселл о причинах похода русских на Константинополь в 1043 г. – *Византийский временник*, XXVII, 1967, გვ. 71-86; **В.Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 79-80; **З. В. Папаскири.** «Варанги» грузинской «Летописи Картли» и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке. – *История СССР*, №3, 1981, გვ. 170.)

<sup>2</sup> **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства., გვ. 82.

<sup>3</sup> **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.*, ტ. V, გვ. 61; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства., გვ. 83. აღსანიშნავია რომ აბულ-ასვარი სომეხ მეფე-მთავრებს ადრეც ანუხებდა. მათეოს ურჰაეცის ცნობით, ის ჯერ კიდევ 1040 წელს შეესია ტაშირძორაგეტის მეფე დავით „უმინაწყლოს“ სამფლობელოებს. მაშინ დავითს მხარში ამოუდგნენ იოვანე-სუმბატი, სიუნიკის მმართველი და „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ IV, რომელმაც 4000-იანი რაზმი გაგზავნა აბულ-ასვარის მარბიელი ჯარის წინააღმდეგ. მათი დახმარებით დავით „უმინაწყლომ“ შეძლო დვინის ემირის დამარცხება და მტრის მიერ მიტაცებული ოლქების უკან დაბრუნება.



ყოველ{165}მხრივ შეეინროებულმა გაგიკ II-მ „ყური არ ათხოვა ვაჰრამსა და სხვა აზნაურებს, რომლებმაც გაამეფეს იგი, არამედ ვერაგი სარგისის შთაგონებით<sup>1</sup> გამოვიდა ქალაქიდან და წავიდა ბერძნებთან, ქალაქის გასაღები და ქვეყნის მთელი საზრუნავი კი კათალიკოს პეტროსს ჩააბარა“.<sup>2</sup>

აჯამებს რა 1041-1044 წლებში სომხეთში მიმდინარე მოვლენებს, კ. იუზბაშიანი აღნიშნავს: „Непосредственная опасность дипломатической уловки Византии, давления, исходящие от Саргиса Хайказана и Петроса<sup>3</sup> сломали волю Гагика и Пахлавуни не смогли этому воспрепятствовать“.<sup>4</sup> მაგრამ ანისელებს, მიუხედავად მათი მეფის კონსტანტინოპოლს გამგზავრები-

---

იხ.: **Р. М. Бартикян.** «Хронография» Матфея Эдесского о Грузии и грузинах..., გვ. 143; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате..., გვ. 83-84. {165}

<sup>1</sup> მათეოს ურჰაეცი უფრო აზუსტებს არისტაკესის ცნობას. მისი მონაცემებით სარგის ჰაიკაზნმა შეუთვალა კონსტანტინე მონომახს გამოეძახებინა თავისთან კონსტანტინოპოლში გაგიკი «Якобы желая высказать ему свою любовь и «тогда, – აგონებს სომეხი დიდებული იმპერატორს, – ты сможешь отнять у него читростью город Ани» (**В. П. Степаненко.** К идентификации личности..., გვ. 170).

<sup>2</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, გვ. 71. კ. იუზბაშიანის აზრით გაგიკი კონსტანტინოპოლში წასულა 1044 წელს (**К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 84).

<sup>3</sup> **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 85. კათალიკოს პეტროსის, როგორც ბიზანტიის იმპერიის აგენტის როლი, ეჭვს არ იწვევს. სწორედ მისი შთაგონებით იყო, რომ 1021-1022 წლებში იოვანე-სუმბატმა ანდერძით დაუტოვა ბიზანტიის იმპერიის იმპერატორს თავისი ქვეყანა. იგივე პეტროსი იყო გაგიკ II-ის კონსტანტინოპოლში გამგზავრების ერთ-ერთი ინიციატორი. კ. იუზბაშიანის თქმით, სწორედ პეტროს კათალიკოსი «играл роль посредника между анийским царем и Саргисом с его клеветами – «осведомителями» Мономаха» ( **К.Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 84-85). კათალიკოს პეტროსის ბიზანტოფილობაზე იხ. აგრეთვე: **ალ. აბდლაძე.** ამირკავკასიის პოლიტიკურ ..., გვ. 81, 89, 93, 123, 267.

<sup>4</sup> **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 85.

სა, ერთბაშად არ შეუწყვეტიათ წინააღმდეგობა. მათეოს ურ-  
ჰაეცის ცნობით, მათ 1044 წ. შემოდგომაზე მოუხერხებიათ  
ნიკოლოზ პარაკიმომენის ჯარის დამარცხება და ოლთისისა-  
კენ მისი უკუგდება.<sup>1</sup> მიუხედავად სომეხ პატრიოტთა ცალკე-  
ული წარმატებებისა, მდგომარეობა მაინც კრიტიკული იყო.

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ქვეყნის ხსნა შეუძლებე-  
ლი იყო, ბრძოლა შეწყვიტეს **{166}** პაპლავუნებმა ვაჰრამმა<sup>2</sup>  
და გრიგოლმა<sup>3</sup> და გადავიდნენ ბიზანტიის მხარეზე. ეს უკვე  
ანტიბიზანტიური ფრონტის კრახი იყო სომხეთში, მაგრამ ან-  
ისის მოსახლეობის გარკვეული ფენები, როგორც ჩანს, იმედს  
მაინც არ კარგავდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა  
ეხსნათ ქვეყანა ბიზანტიის ოკუპაციისაგან. ასეთ ვითარება-  
ში მიმართეს მათ საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ს და შეს-  
თავაზეს მას თავიანთი ქვეყანა. აი, რას წერს ამის შესახებ  
*„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი: *„კუალად განძლიერდა და  
მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა, და დაავო  
სუემან ბაგრატიმან ჟამი; მოერთო ვესტი ციხითა ანისისა-  
თა თჳნიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრა-  
ტის დედასა; რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი – სენექე-  
რიმ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრა-  
ტის დედა“*.<sup>4</sup>

*„მატიანე ქართლისაჲს“* მიხედვით ირკვევა, რომ ბაგ-  
რატს მიუღია სომეხთა წინადადება და ანისში თავისი წარმო-

---

<sup>1</sup> **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского..., გვ. 85. **{166}**

<sup>2</sup> ვაჰრამ პაპლავუნი სულ მალე, 1045 წელს დაიღუპა დვინის ემი-  
რის შემოსევის მოგერიებისას (**არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტო-  
რია, გვ. 71, 173).

<sup>3</sup> არისტაკეს ლასტივერტეცი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს გრი-  
გოლის წასვლას კონსტანტინოპოლში: „გრიგოლმა, რომელიც ბრ-  
ძენი კაცი იყო, – წერს არისტაკესი, – ...დაინახა, რომ გაგიკს აღარ  
აბრუნებდნენ თავის ქვეყანაში. (ამიტომ იგი) წარუდგა მეფეს, გა-  
დასცა მას ბიჯნისის გასაღები და მთელი თავისი მემკვიდრეობა.  
მეფემ განადიდა (გრიგოლი), რომელმაც მიიღო მაგისტროსის წო-  
დება...“ (**არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია, გვ. 70).

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისაჲს*, გვ. 299.

მადგენლები გაუგზავნია მარიამ დედოფლის ხელმძღვანელობით.<sup>1</sup> ცნობა ანისელთა მიერ ბაგრატ IV-ის მოწვევის შესახებ გააჩნია არისტაკეს ლასტივერტცისაც. ის წერს: „ქალაქის მთავრებმა, რომლებიც ანისში იმყოფებოდნენ, დაინახეს რა, რომ გაგიკი საბერძნეთშია დამწყვედი, გადაწყვიტეს ქალაქი ჩაებარებინათ დავით დევნილისათვის (რადგანაც დავითის და გაგიკის ცოლი იყო), ან აფხაზთა მეფის ბაგრატიისათვის.<sup>2</sup> პეტრე {167} მამამთავარმა დაინახა რა ამგვარი ძიება, თუ ვისთვის გადაეცათ ქალაქი, აღმოსავლეთის მხარეების მფლობელს, რომელიც ქალაქ სამუსატში იჯდა... მისწერა: „აცნობე მეფეს (იმპერატორ კონსტანტინე მონომახს – **ზ.პ.**), რას მოგვცემს სანაცვლოდ, თუკი მე მივცემ მას ქალაქსა და ქვეყნის სხვა ციხესიმაგრეებს“. ხოლო მან სასწრაფოდ აცნობა ეს მეფეს. მეფემ მოისმინა ყოველივე და დააკმაყოფილა (პეტრე მამამთავრის) სურვილები, უბოძა განძეულობა და სამეფო პატივი, ასე გაბატონდნენ (ჰორომები) ანისსა და მთელ ქვეყანაზე“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, არისტაკესი, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორისგან განსხვავებით, ლაპარაკობს მხოლოდ ანისელთა სურვილზე, გადაეცათ თავიანთი ქვეყანა ბაგრატ IV-სათვის, მაშინ, როდესაც ქართველი მემატიანე არაორაზ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 300.

<sup>2</sup> არისტაკეს ლასტივერტცის თხზულების ელ. ცაგარეიშვილისეულ თარგმანში, საიდანაც მოგვყავს ეს ციტატა, ანისში გაბატონების პრეტენდენტებად დასახელებულია მხოლოდ დავით დევნილი და ბაგრატ IV. მაგრამ სპეციალისტები იძლევიან არისტაკესის ტექსტის სხვა ინტერპრეტაციასაც და ასახელებენ არა ორ პრეტენდენტს, არამედ სამს: დავით უმინანყლოს – ტაშირძორაგეტის მეფეს, აბულ ასვარს – დვინის ემირს და ბაგრატ IV-ს {167} (*Повествование Варданета Аристакеса Ластивертци...*, გვ. 159-160), რაც უფრო დამაჯერებელი ჩანს. ამაზე დანვრილებით იხ.: **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани 1045 г., გვ. 156-160; **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства., გვ. 86; **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста., გვ. 171.

<sup>3</sup> **არისტაკეს ლასტივერტცი.** ისტორია, გვ. 70-71.

როვნად მიუთითებს ბაგრატ მეფის მიერ ანისის შემოსამტკიცებლად გადადგმულ ნაბიჯზეც. ვფიქრობთ, „მატიანე ქართლისაჲ“ უფრო ზუსტად ასახავს საქმის რეალურ ვითარებას. არისტაკესის დუმილი ბაგრატის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. ისტორიოგრაფიაში სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ სომეხი ისტორიკოსის „პირდაპირი თუ არაპირდაპირი ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის, კერძოდ, სომხეთისათვის საქართველო-ბიზანტიის ბრძოლის შესახებ ხშირად ტენდენციური ხასიათისაა“ და რომ ამ კონფლიქტში ის ამჟამად „ბიზანტიის ინტერესების გამომხატველი უფროა, ვიდრე საქართველოსი“.<sup>1</sup>

ძნელია გადაჭრით იმის თქმა, თუ რა ფუნქციებს ასრულებდნენ ანისში საქართველოს მეფის წარგზავნილები. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია აზრი, რომლის მიხედვითაც ბაგრატ IV-ის მიერ ანისში გაგზავნილ დიდებულებს უშუალოდ ქვეყნის მართვა-გამგეობა ევალებოდათ.<sup>2</sup> კ. იუზუაშვიანი საეჭვოდ მიიჩნევს ამ შეხედულებას და მიუთითებს, რომ ქართულ წყაროში არაფერია ნათქვამი ქართველ ფეოდალთა ადმინისტრაციულ ფუნქციებზე. მისი აზრით „Эти были царские послы, так как в период, когда византийские войска осаждали Ани, вряд ли имелись условия для функционирования новой администрации. Кроме того, даже в случае действительного присоединения Ани к Грузии, невероятно, чтобы этот добровольный акт повлек за собою замену мес-

---

<sup>1</sup> ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ..., გვ. 35-36. {168}

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 143; ვ. კოპალაიანი. საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან (ანისის საკითხი XI საუკუნეში). – *თსუ შრომები*, ტ. 51, 1953, გვ. 81-82. ვ. კოპალაიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 200, 209; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება..., გვ. 195; იხ. აგრეთვე მ. დ. ლორდკიპანიძე. *История Грузии...*, გვ. 79-80.

тной администрации прошлой“.<sup>1</sup>

კ. იუზბაშიანის არგუმენტები უდავოდ ანგარიშგასაწე-  
ვია. მართლაც, ერთი შეხედვით იმ მძიმე სიტუაციაში, რომე-  
ლიც შეიქმნა იმ დროს სომხეთში, ძნელი წარმოსადგენია სა-  
ქართველოს ხელისუფლებას, ანისის თავკაცთა ნება-სურვი-  
ლის საწინააღმდეგოდ, ქალაქის მართვა-გამგეობა მთლია-  
ნად ქართველი დიდებულებისათვის გადაეცა. მაგრამ, მეო-  
რე მხრივ, მარიამ დედოფალი და მისი მხლებლები მარტო  
დიპლომატიური მისიით არ იფარგლებიან, აშკარა უნდა  
იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარია ლიპარიტ ბაღ-  
ვაშის ჩარევა, რომელმაც „გამოიტყუვნა ანისით დედოფლი-  
საგან აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-  
ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, და ივანე ერისთავი,  
ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატ-  
რონი, და შეიპყრნა ივინი ანისის კარსა“.<sup>2</sup>

„მატიანე ქართლისაჲს“ ამ ცნობაში ჩამოთვლილია ის  
ფეოდალები, რომლებიც ბაგრატი-ლიპარიტის კონფლიქტში  
მეფის მოკავშირეები იყვნენ. მათგან განსაკუთრებით ყუ-  
რადღებას იქცევს აბუსერის პიროვნება,<sup>3</sup> რომელიც მოგვი-  
ა**{169}**ნებით სასირეთის ჭალესთან გამართულ ბრძოლაში  
ბაგრატის ლაშქრის ერთ-ერთი სარდალი უნდა ყოფილიყო.<sup>4</sup>  
ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ფეოდალებ-  
ის ანისში ყოფნა უფრო სამხედრო საჭიროებებით იყო გა-

---

<sup>1</sup> К. Н. Юзбашян. Скилица о захвате Анийского царства., გვ. 86; К. Н. Юзбашян. Грузинские послы в Ани 1045 г. გვ. 159-160.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 300, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, სწორედ აბუსერისათვის იყო ჩაბარებუ-  
ლი **{169}** ანისის გამგებლობა (ივ. **ჯავახიშვილი**. ქართველი ერის  
ისტორია, ნ. II, გვ. 143).

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 301. საერთოდ, ეტყობა, დიდი იყო აბუსე-  
რის როლი მეფის მომხრეთა შორის, რადგან სწორედ მასში გაუც-  
ვალა ლიპარიტს ბაგრატი IV-მ ივანე „ძე ლიპარიტისი“, რომელიც  
„მძევლად დარჩა ბაგრატის ხელთა შინა“ (*მატიანე ქართლისა*, გვ.  
300). **{170}**

მონვეული, ვიდრე დიპლომატიურით. მართლაც, ძნელი დასაშვებია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი აქცია, როგორც იყო ანისის ქვეყნის საქართველოს სახელმწიფოსთან შემოერთება, მხოლოდ „მეფის ელჩთა“ სომხეთში უბრალო ჩასვლით მოგვარებულიყო და არ ყოფილიყო სამხედრო თვალსაზრისითაც სათანადოდ უზრუნველყოფილი. რომ არაფერი ვთქვათ სომხეთში არსებულ ანტიქართულ ძალებზე, რომლებიც, რასაკვირველია, თავისთავად ასე ადვილად არ დათმობდნენ პოზიციებს, საქართველოს ხელისუფლებას არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინა ისიც, თუ როგორ შეხვდებოდნენ ამ აქტს კონსტანტინოპოლში.

საქართველოს სამეფო კარზე მშვენივრად ესმოდათ, თუ რა შეიძლებოდა მოყოლოდა ბიზანტიელთა მხრიდან ანისის „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ხელში გადასვლას და ამიტომ ძნელი დასაჯერებელია ბაგრატ IV „სომხეთის საკითხის“ გადაჭრისას მხოლოდ „დიპლომატიური არხებით“ დაკმაყოფილებულიყო. ამასთან არც ისაა გამორიცხული, რომ ანისში ქართველი დიდებულები, თუნდაც მოკლე ხნით, მაგრამ მაინც, თავიანთ სომეხ თანამოაზრეებთან ერთად, მართლაც ასრულებდნენ ერთგვარ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც. შესაძლებელია სწორედ ამან დააჩქარა პეტროს კათალიკოსის გადაწყვეტილება, სასწრაფოდ მოეწვია ბიზანტიელები და ჩაებარებინა მათთვის ქვეყანა. მათ კი თავიანთი მხრიდან გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები, რასაკვირველია, ლიპარიტის მიერ ქართველ ფეოდალთა ანისიდან „გამოტყუება“ უნდა მივიჩნიოთ. ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ლიპარიტი ამ შემთხვევაში ბიზანტიელთა კარნახით მოქმედებდა და მათ დავალებას ასრულებდა. ლიპარიტის ამგვარი საქციელი აიხსნება მი<sup>{170}</sup>სი სწრაფვით, არ დაუშვას ბაგრატ IV-ის შემდგომი გაძლიერება, რომელიც უკვე საქართველოს არ სჯერდებოდა და სომხეთის დაპატრონებას ცდი-

ლობს.<sup>1</sup> ასე შეუშალა ხელი ლიპარიტ ბაღვაშთან ატეხილმა კონფლიქტმა ბაგრატ მეფეს, წარმატებით გადაეჭრა მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა. ეს კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ გავლენას ახდენდა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე ქვეყნის შიგნით მიმდინარე შინაკლასობრივი ბრძოლები, რაზედაც საგანგებოდ მიუთითა აკად. ნ. ბერძენიშვილმა.<sup>2</sup>

სომხეთისათვის საქართველო-ბიზანტიას შორის მიმდინარე ბრძოლის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება არ შევხვით იმ საკითხს, თუ რა ძალები იყვნენ დაინტერესებული საქართველოს სამეფოსთან კავშირით. „*მატიანე ქართლისაჲს*“ ზემოთ მოტანილ ცნობაში ნათქვამია, რომ ანისისა და მისი შემოგარენის ბაგრატ IV-ისათვის გადაცემის ინიციატივით გამოვიდა ვინმე „ვესტი“. ისტორიოგრაფიში გამოითქვა სავსებით დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეს „ვესტი“ სხვა არავინ შეიძლება იყოს, გარდა ჩვენ მიერ ზემოთ არაერთგზის ნახსენები სარგის ჰაიკაზნისა.<sup>3</sup> ამ დასკვნას თითქოს ხელს უშლის სარგის ჰაიკაზნის ბიზანტოფილობა. სწორედ ამან აიძულა ვ. სტეპანენკო რამდენადმე გადაეხინჯა ისტორიოგრაფიში გაბატონებული შეხედულება სომეხ ფეოდალთა ორ – ბიზანტიურ და ანტიბიზანტიურ – ბანაკებად დაყოფის შესახებ XI ს. I ნახევარში. მისი აზრით, როგორც უკვე ზემოთაც ითქვა, სარგის ვესტი არ იყო აშკარად გამოკვეთილი ბიზანტოფილი (ისევე როგორც პაპლაგუნები

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი..., გვ. 27.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. კლასობრივი და შინაკლასობრივი..., გვ. 25-27.

<sup>3</sup> К. Н. Юзбашян. Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 82; К. Н. Юзбашян. Грузинские послы в Ани 1045 г., გვ. 158; В. П. Степаненко. К идентификации личности веста..., გვ. 163, 171-172. ა. აბდლაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა..., გვ. 214-215. ვ. კოპალიანი ყურადღებას აქცევდა რა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის შესაბამის ადგილს ასკვნიდა, რომ „*მატიანე ქართლისაჲს*“ ვესტს სახელად ვასილი უნდა რქმეოდა. ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 200. {171}

ანტიბიზანტიცები) და რომ სარგისი ბრძოლა მხოლოდ ატარებდა „Характер борь<sup>{171}</sup>бы за власть... и ни в кой мере не была связана с интересами Византии: Саргис боролся за свои интересы, отстаивал свою власть в Анийском уделе“.<sup>1</sup>

ვ. სტეპანენკოს ეს დასკვნა, მიუხედავად მის მიერ მოტანილი საკმაოდ სერიოზული არგუმენტებისა, ძნელი გასაზიარებელია. ჩვენი აზრით, ერთი მხრივ, ანტიბიზანტიური დაჯგუფების ლიდერების პაპლაფუნების მიერ ცალკეული ბიზანტიური ტიტულების, ხოლო მეორე მხრივ, „მტკიცე ბიზანტოფილის“ სარგის ჰაიკაზნის 1045 წელს იმპერიის მონინაალმდეგის ბაგრატი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მხარეს გადასვლა, ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ იმ დროს სომხეთში, საერთოდ ადგილი არ ჰქონდა ადგილობრივ ფეოდალთა ანტიბიზანტიურ და პრობიზანტიურ დაჯგუფებებად დაყოფას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის ხელისუფლება სომხეთსა თუ საქართველოში, უმეტეს შემთხვევაში, დიდი წარმატებით ახერხებდა ცალკეულ ქართველ და სომეხ ფეოდალთა გადმობირებას და მათ გამოყენებას იმპერიის ინტერესების შესაბამისად. რაც შეეხება სარგის ჰაიკაზნის, ვფიქრობთ, ჩვენ განკარგულებაში არსებული მასალები გვაძლევს იმის საშუალებას, ავხსნათ, თუ რატომ განუდგა სარგის ვესტი ბიზანტიის იმპერატორს და რატომ გადანყვიტა ანისის ბაგრატი IV-ისათვის გადაცემა.

როგორც უკვე ვიცით, იოანე-სუმბატის გარდაცვალების შემდეგ სარგის ჰაიკაზნმა ყველაფერი გააკეთა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ჯერ იყო და მან რეგენტის თანამდებობა მიისაკუთრა, ხოლო შემდეგ თავისი თავი მეფედაც კი გამოაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ პაპლაფუნების შემნობით გამეფებულმა გაგიკმა შეძლო აღზევებული იშხანის დამარცხება, სარგისს თავისი გავლენა სამეფოში მაინც არ დაუკარგავს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ ასრუ-

---

<sup>1</sup> В. П. Степаненко. К идентификации личности веста., გვ. 169. <sup>{172}</sup>



ლებდა მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლოს მან ისიც კი მოახერხა, რომ მოტყუებით აიძულა მეფე გაგიკი ანისი დაეტოვებინა და ბიზანტიას წასულიყო. ეტყობა, სარგისს დიდი იმედი ჰქონდა იმისა, რომ იმპერატორი, გაგიკის სომხეთიდან წასვლის შემდეგ, ქვეყნის მართვა-გამგეობას სწორედ მას ჩააბარებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ გაგიკმა წასვლის წინ რეგენტად პეტროს კათალიკოსი დანიშნა და „ქვეყნის მთელი საზრუნავი მას ჩააბარა პირობითა და აღთქმით“.<sup>1</sup> გამორიცხული არაა, რომ ეს გაგიკმა ბიზანტიელთა კარნახით გააკეთა.

შეუძლებელია, კონსტანტინოპოლს (ისევე როგორც გაგიკსაც) ერთგვარად არ შინებოდა სარგისის პიროვნების, მან ხომ „შაჰანშაჰობაც“ კი მოინდომა. იქნებ ბიზანტიელთათვის ცნობილი იყო სარგისის კონტაქტები „აფხაზებთანაც“, რომელზედაც მიუთითებს მათეოს ურჰაეცი.<sup>2</sup> ერთი სიტყვით, გაგიკის ბიზანტიაში წასვლით სარგისმა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს და ვერ მოიპოვა პირველობა ქვეყანაში.<sup>3</sup> ასეთ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, სარგისს გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ბიზანტიის იმპერიასთან და დაეწყო ახალი მოკავშირის ძებნა, თანაც ისეთი მოკავშირისა, რომელიც არ მოერიდებოდა ბიზანტიელთა მეტოქეობას და საჭიროების ყამს წინ აღუდგებოდა მათ მოძალებას სომხეთში. ასეთ მოკავშირედ სარგის ჰაიკაზნს თამამად შეიძლებოდა მიეჩნია ბაგრატ IV, რადგან ეს უკანასკნელი, ამ დროს, ეტყობა სრულებითაც არ მაღავედა თავის ანტიბიზან-

---

<sup>1</sup> **არისტაკეს ლასტივერტეცი.** ისტორია..., გვ. 70.

<sup>2</sup> „После смерти Иовханеса, – წერს მათეოს ურჰაეცი, – один из ишханов по имени Саргис Хаиказн дал знак ремеам – и отдал им страну Армянскую, сокровищницу древних царей армянских захватил и увез к **абхазам**“ (იხ.: **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 168 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **К. Н. Юзбашян.** Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 82; **К. Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани..., გვ. 158.

<sup>3</sup> **В. П. Степаненко.** К идентификации личности веста..., გვ. 171.

ტიურ განწყობილებებს და ფაქტობრივად ერთადერთ ძალას წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო რეალურად დაპირისპირებოდა იმპერიას.<sup>1</sup>

ამას გარდა, ბაგრატ IV-ის კანდიდატურა „ანისის თავკაცებისათვის“ იმიტაც უნდა ყოფილიყო პოპულარული, რომ დედამისი – მარიამ დედოფალი სომეხი იყო და „*მამულად ეყვოდნენ სომეხნი*“.<sup>2</sup> მართალია, მა**{173}**რიაში უშუალოდ ბაგრატუნთან ნაშიერი არ იყო (მას მხოლოდ დედა ჰყავდა ბაგრატუნი),<sup>3</sup> მაგრამ ამას, ეტყობა, არ უნდა ჰქონოდა გადაწყვეტი მნიშვნელობა, ისევე როგორც იმას, რომ საქართველოს დედოფალს ჰქონდა დიდი ავტორიტეტი საქართველოსა და ამიერკავკასიაში.<sup>4</sup>

ამ მოვლენებზე მსჯელობისას აუცილებლად დგება საკითხი, თუ რა პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდათ საბოლოო ჯამში სარგის ჰაიკაზნსა და მის თანამოაზრეებს, როცა ბაგრატ IV-ს სომხეთში იწვევდნენ: ცხადია, რომ „ანისის თავკაცებს“ სურდათ ანისის უშუალოდ საქართველოს მეფისათვის დაქვემდებარება და ამ გზით თავისი ძალაუფლების შენარჩუნება, მაგრამ არ არის ნათელი, თუ როგორ ესახებოდათ ეს მათ და რა როლი უნდა შეესრულებინა ყოველივე ამასი მარიამ დედოფალს. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის ირგლივ ერთგვარ აზრთა სხადასხვაობას აქვს ადგილი.

ივ. ჯავახიშვილს, მოჰყავს რა „*მატიანისეული*“ ცნობა ანისელთა მიერ ქალაქის ბაგრატის დედისთვის გადაცემაზე, მიაჩნია, რომ დედოფალს (და არა ბაგრატ IV – **ზ.პ.**) ანისში

---

<sup>1</sup> მათეოს ურჰაეცის ცნობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სარგის ჰაიკაზნს ადრეც ჰქონდა გარკვეული კონტაქტები ბაგრატ მეფესთან, რაც მის ერთგვარ „ორმაგ თამაშზე“ მიუთითებს. შდრ. **В. П. Степаненко**. К идентификации личности веста..., გვ. 169. **ა. აბდალაძე**. ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა..., გვ. 215.

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 299. **{173}**

<sup>3</sup> **ა. აბდალაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ..., გვ. 122.

<sup>4</sup> **ა. აბდალაძე**. ქართლის ცხოვრება და..., გვ. 176.

ერისთავი აბუსერი დაუდგენია გამგედ.<sup>1</sup> ვ. კოპალიანი კი ფიქრობს, რომ ბაგრატ IV-ემ დანიშნა თავისი წარმომადგენლები ანისის მმართველებად.<sup>2</sup> ა. აბდალაძე ხაზს უსვამს მარიამ დედოფლის ავტორიტეტს საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, თვლის, რომ სწორედ ის განაგებდა ანისს ქართველ დიდებულებთან ერთად.<sup>3</sup> სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ქართველ ისტორიკოსთა მსჯელობებში ადგილი არა აქვს არავითარ დაპირისპირებას. მათთვის არცა აქვს პრინციპული მნიშვნელობა ბაგრატ IV-ს თუ მის დედას – მარიამ დედოფალს ჩააბარეს უშუალოდ ქალაქი ანელებმა. ამიტომ ჩვენ არც გავამახვილებდით მასზე ყურადღებას, რომ არა რამდენადმე უცნაური პოზიცია, რომელიც დაიკავა ამ პრობლემასთან დაკავშირებით კ. იუზბაშიანმა.

შეეხო რა „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოყვანილ ცნობას ანისის მარიამ დედოფლისათვის გადაცემის შესახებ, მკვლევარმა რატომღაც „მოულოდნელ მტკიცებად“ („неожиданное утверждение“) მიიჩნია აზრი იმის შესახებ, რომ „жители Ани передали город не царствующему Баграту IV, а его матери“. ამასთან, იგი მიუთითებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს (ანასეულ) ნუსხაში<sup>4</sup> დაფიქსირებულია ანისის არა მარიამის, არამედ ბაგრატ IV-ისათვის გადაცემის ფაქტი.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 143.

<sup>2</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 209.

<sup>3</sup> ა. აბდალაძე. „ქართლის ცხოვრება“ და..., გვ. 176. {174}

<sup>4</sup> „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხაში სათანადო ადგილას ვკითხულობთ: „კუთლად განძლიერდა და მოიჩქუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა, და დაავდო სუემან ბაგრატისმან ჟამი ვისტი ცხრითა ციხითა ანისისათა, თუინიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატს, რამეთუ მამულად ეყოდე სომეხნი, სენეჟერიმ სომეხთ მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა“ (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 186, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>5</sup> К. Н. Юзбашян. Скилица о захвате Анийского царства..., гв. 86. К.

ვფიქრობთ, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გაუმართლებელია. ჩვენი აზრით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის გადასცეს უშუალოდ ანისი მისმა თავკაცებმა – საქართველოს გვირგვინოსან მონარქს, თუ მის დედას. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ მათ სჭირდებოდათ ისეთი ძალა, რომელიც იხსნიდა სომხეთს ბიზანტიის დაპყრობისაგან. ასეთ ძალას კი რასაკვირველია, თავისთავად მარიამ არწრუნი, როგორც მხოლოდ სომეხთა სახლიშვილი, არ წარმოადგენდა.<sup>1</sup>

გამორიცხული არაა, რომ ანისის თავკაცები, პერსპექტივაში, როდესაც ბაგრატ IV-ის მეშვეობით შეძლებდნენ ბიზანტიელთაგან თავის დაცვას, მარიამ დედოფალზე გარკვეულ ლეგიტიმისტურ იმედებსაც ამყარებდნენ და ფიქრობდნენ არწრუნთა საგვარეულოს წარმომადგენლის ეგიდით (რასაკვირველია, საქართველოს სა{175}მეფოს უშუალო მხარდაჭერითა და მფარველობით) ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას. მაგრამ იმჟამად ამაზე ფიქრი ნაადრევი იყო და, ორივე მხარეს, ანისელებსა და ბაგრატ IV-ს ბიზანტიის ანექსიისაგან ქვეყნის დაცვისთვის უნდა ეზრუნათ. ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფო აქტიურად ჩაერია სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და მოინდომა წინაღობა ბიზანტიის ექსპანსიას. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ IV-ის ეს აქცია უშედეგოდ დამთავრდა, მას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. მან დაადასტურა საქართველოს მეფის პრეტენზიები, გამოსულიყო იმპერიის მეტოქედ ამიერკავკასიაში და არ და-

---

**Н. Юзбашян.** Грузинские послы в Ани..., გვ. 159.

<sup>1</sup> მარიამის სომხური წარმომავლობა რომ ყოფილიყო გადამწყვეტი, მაშინ უფრო უპრობანი იქნებოდა სომეხ ნახაბარებს მიემართათ ვანანდისა და ტაშირ-ძორაგერტის სამეფო სახლების წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც მარიამთან შედარებით თავიანთი გვარი-შვილობაც (ისინი ბაგრატიუნები იყვნენ, მარიამი კი – არწრუნი) უწყობდა ხელს. **ა. აბდალაძე.** „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის..., გვ. 126. {175}

ეშვა აქ მისი გაბატონება.<sup>1</sup>

ანისის ამბებში ბაგრატ IV-ის აქტიურმა ჩარევამ, ეტყობა, კიდევ უფრო გაამწვავა საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა. იმპერიის ხელისუფლება, რასაკვირველია, ვერაფრით ვერ შეეგუებოდა საქართველოს მეფის ამგვარ ანტიბიზანტიურ აქციებს და დაუყოვნებლივ შეეცდებოდა მის სამაგალითო დასჯას. კონსტანტინოპოლმა, ეტყობა, ამ დროს რეალურად დაისახა მიზნად ბაგრატ IV-ის დამხობა და მის ადგილზე თავისი ერთგული ყმის – დემეტრე მაგისტროსის გამეფება. მთავარ იარაღად იმპერატორმა ამჯერადაც ლიპარიტ ბაღვაში გამოიყენა. ბიზანტიელთა მხარდაჭერით დაიმედებულმა კლდეკარის ერისთავმა შეძლო ბაგრატის მოწინააღმდეგე ძალების (კახნი, სომხითარნი) კონსოლიდაცია) და მის წინააღმდეგ ფართო ფრონტის შექმნა. მოგვითხრობს რა ბაგრატ-ლიპარიტის კონფლიქტის ამ ეტაპზე, „მატიანე ქართლისაჲს“ **{176}** ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი (ლიპარიტის – **ზ.პ.**) შემწე იყო... და იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი ძალითა მათითა და დავით სომეხთა მეფე ძალითა მისითა“.<sup>2</sup>

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ტაშირ-ძორაგერტის მეფე დავითის

---

<sup>1</sup> ჩვენ არ ვიცით თუ რა ბედი ეწვიათ ბიზანტიელთა მიერ ანისის ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ სარგის ჰაიკაზნსა და პროქართული ორიენტაციის სხვა მესვეურებს. ვ. სტეპანენკო ფიქრობს, რომ სარგის ჰაიკაზნმა, შესაძლებელია, თავის კარიერა საქართველოს მეფის კარზე დაამთავრა (**В. П. Степаненко. К идентификации личности веста...**, გვ. 172.) ეს აზრი საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. როგორც ირკვევა, ამ პერიოდში სომეხთა ნაწილი საქართველოში გახიზნულა (**არისტაკეს ლასტივერტეცი. ისტორია. გვ. 68-69**). ამასთან ცნობილია, რომ ბაგრატ IV დიდი სიმპატიებით იყო განწყობილი სომეხების მიმართ და ხშირად მათ მაღალ თანამდებობებსაც კი ურიგებდა. ამის შესახებ იხ. **ა. აბდალაძე. „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის...**, გვ. 177-179; **ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა...**, გვ. 121-122. **{176}**

<sup>2</sup> *მატიანე ქართლისა, გვ. 300–301.*

ყოფნა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის დროზე – 1040 წელს ბაგრატ „აფხაზთა“ მეფემ გარკვეული სამსახური გაუწია დავით „უმინანყლოს“, როდესაც დაეხმარა მას დვინის ემირის აბულ-სუარის შემოსევის მოგერიებაში.<sup>1</sup> საქართველოსა და ტაშირ-ძორაგერტის სამეფოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობისა და საერთო მტრის წინააღმდეგე სამხედრო თანამშრომლობის კიდევ ერთ ფაქტზე მიუთითებს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, რომელიც აღნიშნავს ქართველთა და სომეხთა ერთობლივ გამოსვლას განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ XI ს. 20-30-იანი წლების მიჯნაზე.<sup>2</sup> „დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, – წერს მემატიანე, – და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამეფოსათა“<sup>3</sup>; და ვიდრე ყრმაღა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე; მოვიდა დიდი კვრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით სომეხთა მეფე, და ჯაფარ ამირა {177} ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კვრიკესითა შეკრებილ იყვნეს ეკლესს ფადლონს ზედა; გააქციეს

<sup>1</sup> **Р. М. Бартиянян.** «Хронография» Матфея Эдесского о Грузии и грузинах..., გვ. 143; **Р. И. Матевосян.** Восточный Гугарк в IX-XIII вв. Автореферат диссертации на соискан. уч. степени кандидата исторических наук. Ереван, 1969, გვ. 11.

<sup>2</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ ბრძოლას 1027-1030 წლებით ათარიღებდა (იხ. **ნ. ბერძენიშვილი.** მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, გვ. 239, შენ. 36). პ. თოფურია, არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის შესაბამის ცნობაზე დაყრდნობით, დააზუსტა, რომ ფადლონის წინააღმდეგე ლაშქრობას ადგილი ჰქონდა 1030 წელს (**პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური..., გვ. 192- 193).

<sup>3</sup> მკვლევართა ყურადღება მიიპყრო ფრაზამ „დიდი ფადლონ... სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის (ბაგრატის) სამეფოსათა“. პ. თოფურია გაითვალისწინა რა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით „მოთაული თავად მყოფია“ სავსებით ლოგიკურად დასვა კითხვა, თუ ვინ იყვნენ ეს „მოთაულები“, რაიმე ძალაუფლება ჰქონდათ მათ ფადლონის ქვეყანაზე და ამიტომ „სწუნობდა“ მათ განძის ამირა? ან „ხომ არ უკავშირდება ეს მომენტი ბაგრატ III-ისა და ფადლონის ზავის პირობებს?“ (**პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 193). {177}

ფადლონ და აუნყვდეს ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხვ ამიერთავან ვიდრე სიკუდილამდე შეჰავდა ფადლონ“.<sup>1</sup>

მართალია, ამ შემთხვევაში ფადლონის საწინააღმდეგო კოალიციის ინიციატორად კვირიკე კახთა მეფე გვევლინება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამას არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.<sup>2</sup> მთავარია, რომ აქ საქართველოს სახელმწიფო და ტაშირ-ძორაგერტის სამეფო ერთად გამოდიოდნენ განძის ამირას წინააღმდეგ. აღნიშნული ფაქტები იმის დამადასტურებელია, რომ ბაგრატ IV-ს ტაშირ-ძორაგერტის მეფესთან ერთი ხანობა კარგი დამოკიდებულება ჰქონია, მაგრამ მოგვიანებით, ეტყობა, მათ შორის ურთიერთობა რამდენადმე გაუარესდა. ამაში გარკვეული როლი შეასრულა, ალბათ, იმან, რომ ანისისათვის ბრძოლაში საქართველოს მეფე და დავით „უმინანყლო“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. როგორც ცნობილია, ტაშირ-ძორაგერტის მეფეებს გააჩნდათ საკმაოდ საფუძვლიანი ლეგიტიმისტური პრეტენზიები ანისის სამეფოზე. ამიტომაც იყო, რომ 1041-1042 წლებში. დავით „უმინანყლომ“ ორჯერ მოინდომა ანისის დაკავება, მაგრამ ვერ შეძლო ეს.<sup>3</sup> 1045 წელს კი, როგორც ვნახეთ, ანისში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც ბაგრატ IV და დავით „უმინანყლო“ ერთმანეთის მეტოქეებად მოგვევლინნენ.

საბოლოოდ, პროქართულმა ორიენტაციამ გადასძალა და იქ, დავით სომეხთა მეფის წარმომადგენლების ნაცვლად, მარიამ დედოფალი და ქართველი დიდებულები ჩავიდნენ. ამას, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა უარყოფითი რეაქცია

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 296 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> ალ. აბდლაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ „*მატიანე ქართლისა*ს ავტორს დავით „უმინანყლოს“ ბრძოლაში ჩაბმა – მონაწილეობა უფრო კახეთ-ჰერეთის მეფის ღვანლად მიაჩნია, ბაგრატ IV-ისა... მოკავშირეთა დამრახველი ძალა მაინც გაერთიანებული საქართველოს სამეფოს კარი უნდა ყოფილიყო“. **ა. აბდლაძე**. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 69.

<sup>3</sup> **К. Н. Юзбашян**. Скилица о захвате Анийского царства..., გვ. 81; **თ. პაპუაშვილი**. რანთა და კახთა სამეფო..., გვ. 238. **{178}**

არ მოჰყოლოდა ტაშირ-ძორაგერტის მმართველი წრეების მხრიდან და არ გამოენვია ურთიერთობის ერთგვარი დაძაბვა ბაგრატ IV-სა და დავით „უმი{178}ნანყლოს“ შორის. ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „გაერთიანებული საქართველოსა და ტაშირ-ძორაგერტის კვირიკიან მეფეებს შორის, საზოგადოდ, აშკარა დაპირისპირება შეიმჩნევა“, რისი მიზეზიც, ძირითადად, ქვემო ქართლიდან კვირიკიანთა განდევნისათვის ქართველი მეფეების ზრუნვა იყო.<sup>1</sup>

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ შემთხვევებში, რომლებზედაც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება, მათ არ შეეძლოთ ერთმანეთის მხარდამხარ გამოსვლა, მაგრამ ეს უფრო დროებით ხასიათს ატარებდა და განპირობებული იყო საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობით.<sup>2</sup> ყველა შემთხვევაში XI ს. შუა ხანებისათვის ტაშირ-ძორაგერტის მეფეს სავსებით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ის საფრთხე, რომელიც ემოქმედებდა მის ხელისუფლებას გაძლიერებული ბაგრატ IV-ის მხრიდან. ამიტომ იყო, რომ ის კახთა მეფესთან ერთად, რომელიც ასევე შიშით ძრწოდა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის წინაშე, მხარში ამოუდგა ლიპარიტ ბაღვაშს.

როგორც ვხედავთ, კლდეკარის ერისთავმა საკმაოდ მძლავრი ფრონტი შექმნა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ამას გარდა, მან ისიც კი მოახერხა, რომ გადმოიბირა მეფის ზოგიერთი მომხრეც: „გამოექცა მანყურელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს“;<sup>3</sup> – წერს მემატიანე. ასეთ ვითარებაში ბაგრატ მეფეს მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა, რათა გაეძლო უძლეველი ფეოდალის შემოტევისათვის. ქვეყნის შიგნით არსებული ძალების გარდა, მან ეტყობა, გარეშე ძალაც მოიშველია. ეს გარეშე ძალა უნდა იყოს „ვარანგთა“ სამათასიანი რაზმი, რომლის ყოფნაც დაფიქსირებულია ამ

<sup>1</sup> ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 69.

<sup>2</sup> ა. აბდლაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა..., გვ. 69.

<sup>3</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 300. {179}



დროს საქართველოში „მატიანე ქართლისაჲს“ მიერ.

საკითხი იმის შესახებ, თუ ვის მხარეზე გამოდიოდნენ „მატიანისეული“ „ვარანგები“ ბაგრატი-ლიპარიტის კონფლიქტში, დიდი ხანია ინვეს მკვლევართა ცხოველ ინტერესს. ისიც უნდა ითქვას, რომ ისტორიოგრაფიაში არსებობს აშკარად გამოკვეთილი აზრთა სხვადასხვაობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც გამონვეულია {179} იმით, რომ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობა საქართველოში „ვარანგთა“ მოსვლის შესახებ ტექსტოლოგიურად უაღრესად რთულია და, ერთი შეხედვით თითქოს არ იძლევა იმის გამორკვევის საშუალებას, თუ ვისი მხარე ეკავათ „ვარანგებს“ საქართველოს მეფისა და ლიპარიტ ბაღვაშის კონფლიქტში. იმდენად, რამდენადაც „ვარანგთა“ რაზმის ყოფნას საქართველოში უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობებთან, საჭიროდ მივიჩნევთ ამ საკითხზე სპეციალურად შეჩერებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის ნაკითხვა დაკავშირებულია გარკვეულ ტექსტოლოგიურ სიძნელეებთან, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ცნობის დასაწყისი და დასკვნითი ნაწილები ამჟღავნებენ ერთგვარ შინაარსობრივ წინააღმდეგობას ერთმანეთთან. ასე მაგალითად „მატიანის“ ანა დედოფლისეულ ნუსხაში ცნობა „ვარანგთა“ მოსვლის შესახებ შემდეგნაირად გამოიყურება: *„და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი (და დააყენა შუას გარე და მოიტანა თანა შვიდასი კაცი. მოვიდა ბაგრატი შიდათ ლაშქრითა და ამით ვარანგითა, მესხნი ველარა მოილოდინნეს. მივიდეს და შეიბნეს თავსა სასირეთის ჭალისასა, გაიქცა შიდას ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა; და ვერლარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა (ბრძოლად); მისცნა ლიპარიტ პაშტნი, და წინა მათსა პურსა უკაზმი-*

## **დეს, და ეგრეთ ლიხი გარდავლეს“<sup>1</sup>**

მოტანილ ცნობაში სპეციალურად გამოვყავით ის ადგილები, რომლებიც რამდენადმე გაუგებარს ხდის ტექსტის საერთო შინაარსს. კერძოდ, დასაწყის ნაწილში ნათლად ჩანს, რომ ვარანგები მოვიდნენ ბაგრატ მეფესთან და მის მხარეზე იბრძოდნენ სასირეთის ჭალასთან გამართულ ბრძოლაში; დასკვნით ნაწილში კი რატომღაც მათი მასპინძლის როლში ლიპარიტი გვევლინება, რომლის მსახურნიც („პაშტინი“) სუფრას უშლიან ლიხს იქით მიმავალ „ვარანგებს“. აღნიშნული წინააღმდეგობა ვერ შენიშნა „მატიანე ქართლისაჲს“ პირველმა კომენტატორმა ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელმაც პირდაპირ მიუთითა, რომ „ვარანგები“ მოვიდნენ ბაგრატის დასახმა {180} რებლად და მის მხარეზეც იბრძოლეს სასირეთის ჭალასთან: „ხოლო ბაგრატს მოერთნეს სამი ათასი ვარანგნი; მოიტანა მეფემან შვიდასი მათგანი და შიდა--ქართველნი, გარნა მესხნი ვერღარა მოიცადა და ლიპარიტიცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით; შეიბნეს სასირეთის ჭალასა შინა; არამედ იძლივნეს ბაგრატისანნი და შეიპყრეს კუალად აბუსერ და სხვანი დიდებულნიცა და „ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა. მისცა ლიპარიტ პაშტანი. მათ გარდავლეს ლიხნი“<sup>2</sup> როგორც ვხედავთ, ვახუშტი არ განმარტავს, თუ რატომ მასპინძლობს დამარცხებულ „ვარანგებს“ გამარჯვებული ლიპარიტი. ასევე შეუმჩნეველი დარჩა აღნიშნული წინააღმდეგობა მ. ბროსესაც.<sup>3</sup>

პირველი მეცნიერი, რომელიც დაეჭვდა „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის სისწორეში, იყო გამოჩენილი რუსი ბიზანტოლოგი აკად. ვ. ვასილევსკი. კონსტანტინოპოლში მყოფი

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლის ნუსხა, დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 187 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.). {180}

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 147 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

<sup>3</sup> მ. ბროსე. საქართველოს ისტორია. ნიკ. ლოლობერიძის გამოცემა. ტფ., 1895, გვ. 140.

რუსულ-ვარიაგული რაზმის საქმიანობის შესახებ მასალების მოძიებისას მეცნიერი წააწყდა „მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთ მოტანილ ცნობას (ის სარგებლობდა მ. ბროსეს ფრანგული თარგმანით) და შეეცადა მის გამოყენებას რუს-ვარიაგთა რაზმის ბედ-იღბლის გასარკვევად. ვ. ვასილევსკიმ მიიჩნია, რომ აღნიშნულ ცნობაში მოხსენიებული „ვარანგები“ სწორედ კონსტანტინოპოლში მყოფ რუს-ვარიაგთა რაზმიდან უნდა ყოფილიყვნენ და, რომ ისინი საქართველოში ბიზანტიიდან უნდა მოხვედრილიყვნენ.<sup>1</sup> ამასთან, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ბაგრატ-ლიპარიტის კონფლიქტში ბიზანტიის ხელისუფლება კლდეკარის ერისთავს უჭერდა მხარს, ვ. ვასილევსკიმ საეჭვოდ მიიჩნია „ვარანგების“ იმთავითვე ბაგრატის დასახმარებლად მოსვლა. მეცნიერის აზრით, თავდაპირველად „ვარანგთა“ {181} რაზმი ლიპარიტს უნდა მოსვლოდა, დემეტრე უფლისწულის გარდაცვალების შემდეგ, რომლის გასამეფებლადაც იღწვოდა ლიპარიტი და ბიზანტიის ხელისუფლება, „ვარანგებს“ შეეძლოთ ბაგრატის მხარეზე გადასვლა.<sup>2</sup>

მოგვიანებით, აკად. ვასილევსკის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც შეუდგნენ მზადებას განსვენებული მეცნიერის შრომების I ტომის გამოსაცემად, საჭიროდ ჩათვალეს ვ. ვასილევსკის ამ მოსაზრების დაზუსტება, რისთვისაც გამომცემლებმა მიმართეს აკად. ნ. მარს. მან სპეციალურად შეისწავლა „მატიანე ქართლისაჲს“ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი და მოგვცა მისი სრულიად ახალი გაგება: „Пришли Ва-

---

<sup>1</sup> ვ. ვასილევსკი ფიქრობდა, რომ 1043 წელს კიევის რუსეთთან ურთიერთობების გამწვავების გამო კონსტანტინოპოლის ხელისუფლებამ მოაშორა დედაქალაქს რუს-ვარიაგთა კორპუსი. მისი აზრით, ჯარის ერთი ნაწილი იბრძოდა სამხრეთ იტალიაში გიორგი მანიაკის წინააღმდეგ. ხოლო მეორე ნაწილი {181} გაიგზავნა „ივერიის სიღრმეში“. **В. Г. Васильевский.** Варяжско-русская и варяго-английская в Константинополе. – *Труды В. Г. Васильевского.* Т. I. СПб., 1908, გვ. 309-315.

<sup>2</sup> **В. Г. Васильевский.** Варяжско-русская..., გვ. 309– 315

ранги, три тысячи человек, и он (Липарит) поставил их в Баше; с собою взял (Липарит) семь сот человек. Баграт явился с войском внутренним (с востока, из внутренней Карталинии). Варанги (бывшие с Липаритом) не смогли дожидаться Месхов, пришли и завязали бой (с Багратам) на рубеже Сасиретской долины: внутреннее (приведенное Багратам из внутренней Карталинии) войско бежало. В этой битве (войска Липарита) опять захватили Абусера и с ним также других знатных, которые не оказались в силах бороться с Варангами. Им (захваченным в плен князьям) Липарит дал сита, и те просеивали муку в присутствии их (Липарита с Варангами): так потешились (победители)“.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, აკად. ნ. მარმა მოხსნა ყოველგვარი წინააღმდეგობა „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობის დასაწყის და დასკვნით ნაწილებს შორის, გამოაცხადა რა „ვარანგები“ იმთავითვე ლიპარიტის დასახმარებლად მოსულეებად. ამით მან რამდენადმე დაადასტურა ვ. ვასილევსკის მოსაზრების საფუძვლიანობა.

ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში „ვარანგებზე“ ცნობის მარისეული ახსნის დასაბუთებით გამოვიდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელმაც თავის რეცენზიაში ი. ცინცაძის სადოქტორო დისერტაცია<sup>182</sup> ციაზე, გააკრიტიკა დისერტანტის აზრი<sup>2</sup> იმის შესახებ, რომ „ვარანგები“ იმთავითვე მოვიდნენ ბაგრატ IV-სთან და მის მხარეზე იბრძოლეს სასირეთის ჭალასთან.<sup>3</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილმა აღიარა, რომ „ქართლის ცხოვრების“ სამივე უძველეს ნუსხაში აღნიშნულია „ვარან-

---

<sup>1</sup> **В. Г. Васильевский.** Варяжско-русская., გვ. 316. ფრჩხილებში მოცემულია ნ. მარის განმარტებები. **{182}**

<sup>2</sup> ი. ცინცაძემ თავის ნაშრომში სრული დამაჯერებლობით აჩვენა – „მატიანის“ ტექსტის აკად. ნ. მარისეული გაგების მცდარობა. იხ. **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956, გვ. 22-37.

<sup>3</sup> **ნ. ბერძენიშვილი.** იასე ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (რეცენზია). – საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V. თბ., 1971, გვ. 196-202.

გების“ ყოფნა ბაგრატის ლაშქარში. მიუხედავად ამისა, მეცნიერს მიაჩნია, რომ ტექსტზე დაკვირვებები და ისტორიული მონაცემები იძლევიან „მატიანის“ ტექსტში შესწორების შეტანის საფუძველს.<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ „მატიანის“ მასალები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დავაფიქსიროთ „კახთა“ და „სომხითართა“ მონაწილეობა (როგორც ამას აკეთებდა ვახუშტი ბატონიშვილი) სასირეთის ბრძოლაში. მართალია, ისინი მხარს უჭერდნენ ლიპარიტს, მაგრამ სასირეთის ბრძოლაში, უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ – ასკვნის ნ. ბერძენიშვილი.<sup>2</sup>

სასირეთის ბრძოლის ერთადერთ მონაწილეებად მეცნიერი თვლის „ვარანგებსა“ და „შიდა ლაშქარს“.<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი ამტკიცებს, რომ „მესხნი“, რომლებიც მოხსენიებული არიან „ვარანგების“ შესახებ ცნობაში, გამოდიოდნენ ლიპარიტის მხარეს. სწორედ მათ ვერ დაელოდნენ „ვარანგები“ და დაიწყეს ბრძოლა.<sup>4</sup> მისი აზრით გამოთქმა: „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“ – ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგებმა ვერ გაუძლეს ვარანგებს და არა ვარანგებმა ვერ გაუძლეს (მოწინააღმდეგეს). წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიშნავს მეცნიერი, გაუგებარია, რატომ უმასპინძლებდა საზეიმოდ გამარჯვებული ლიპარიტი დამარცხებულ ვარანგებს.<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით „მატიანის“ თავდაპირველ ტექსტში იქნებოდა არა „ამით ვარანგითა“, არამედ „ამათ {183} ვარანგთა“.

ყოველივე ამის შემდეგ ნ. ბერძენიშვილმა შემდეგნაირად აღადგინა „მატიანის“ ტექსტი „მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი, და დააყენა ბაშს; გარდამოიტანა თანა შვიდასი კაცი, და მოვიდა ბაგრატი შიდათ ლაშქრითა: და ამით ვარან-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 196-197.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 197.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 197.

<sup>4</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 197.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 198-199. {183}

*გთა მესხნი ვერლარა მოილოდინნეს, მივიდეს, და შეიბნეს თავსა სასირეთის ქალისასა; გაიქცა შიდა ლაშქარი და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიცა დიდებულნი მის თანა, ვერლარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა; მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს; და ეგრეთ ლიხნი გარდავლეს“<sup>1</sup>*

ამგვარი შესწორების შეტანის წინააღმდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კატეგორიულად გამოვიდა ი. ცინცაძე, რომელმაც მოიტანა არანაკლებ საყურადღებო არგუმენტები ვახუშტისეული წაკითხვის სასარგებლოდ.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, მთელმა რიგმა მეცნიერებმა, მათ შორის „მატიანე ქართლისაჲს“ გამომცემლებმა და მთარგმნელებმა (ს. ყაუხჩიშვილმა,<sup>3</sup> ვ. დონდუამ,<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძემ,<sup>5</sup> გ. წულაიამ,<sup>6</sup> კ. კ. გრიგოლიამ,<sup>7</sup> ქ. ჩხატარაიშვილმა,<sup>8</sup> ვ. კოპალიანმა,<sup>9</sup> გ. პაიჭაძემ,<sup>10</sup> ვ. გოილაძემ,<sup>11</sup>) გაიზიარეს აკად. ნ. ბერძენიშვილის კონიექტურა. **{184}** თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. იასე ცინცაძე. ძიებანი., გვ. 201.

<sup>2</sup> ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს., გვ. 22-37.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 300.

<sup>4</sup> Хрестоматия истории СССР. т. I. М., 1960, გვ. 352.

<sup>5</sup> Матиане Картлиса. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тб., 1976, გვ. 50-51.

<sup>6</sup> Летопись Картли., გვ. 69.

<sup>7</sup> კ. გრიგოლია. „დავითის ცხოვრებაში“ დამონმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის. – ქართული წყაროთმცოდნეობა. III. თბ., 1971, გვ. 118; კ. გრიგოლია. ნიკო ბერძენიშვილი – „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი. – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 25-26.

<sup>8</sup> ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. – საქართველო რუსთაველის ხანაში. თბ., 1966, გვ. 178.

<sup>9</sup> ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის., გვ. 224-239.

<sup>10</sup> გ. პაიჭაძე. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. – წგნ.: გ. პაიჭაძე. ისტორიოგრაფიული ეტიუდები. თბ., 1981, გვ. 35.

<sup>11</sup> ვ. გოილაძე. ვიკინგები საქართველოში. – მნათობი, 4, 1984, გვ. 165-171. **{184}**

„ვარანგების“ საკითხს და მივედით დასკვნამდე, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები არაა საკმარისი „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში კონიექტურული ჩარევის დასასაბუთებლად და მხარი დაუჭირეთ „ვარანგებზე“ ცნობის ვახუშტი-ცინცაძისეულ გაგებას.<sup>1</sup> ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებენ რ. მეტრეველი<sup>2</sup> და გ. ანჩაბაძე.<sup>3</sup> ძეც.<sup>3</sup>

ვიდრე შევუდგებოდეთ აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრების კრიტიკულ ანალიზს, წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთ იმ მკვლევარს, რომელმაც გაიზიარა მისი თვალსაზრისი „ვარანგების“ საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკულად არ მოუცია რაიმე ახალი არგუმენტი „მატიანის“ ტექსტში შესწორების შეტანის აუცილებლობის გასამართლებლად. ეს ითქმის ვ. კოპალიანზეც, რომელმაც თავის ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო აღნიშნულ საკითხზე მსჯელობას და შეეცადა დაემტკიცებინა ნ. ბერძენიშვილის კონიექტურის საფუძვლიანობა მხოლოდ იმით, რომ „ვარანგთა“ რაზმი ვ. ვასილევსკის მსგავსად, ბიზანტიიდან მოსულად მიიჩნია.<sup>4</sup>

დაახლოებით ამავე აზრს ავითარებს ვ. გოილაძეც ამ უკა-

---

<sup>1</sup> **З. В. Папаскири.** „варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XI веке – *История СССР*. №3, 1981, გვ. 164-169; **З. В. Папаскири.** У истоков русско-грузинских политических взаимоотношений. Тбилиси, 1982, გვ. 34-43. იხ. აგრეთვე: **З. В. Папаскири.** К толкованию одного сообщения „Летописи Картли“. – *Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников*. Всесоюзная научная сессия, посвященная 60-летию образования СССР (26-28 октября 1982 г. Сухуми). Тезисы докладов. Тб., 1982, გვ. 67-68.

<sup>2</sup> **რ. მეტრეველი.** და მოვიდეს ვარანგნი... – *ლიტერატურული საქართველო*. 41, 1981, 9 ოქტომბერი, გვ. 12; **რ. მეტრეველი.** „და მოვიდეს ვარანგნი...“ (ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები). თბ., 1988, გვ. 76.

<sup>3</sup> **გ. ანჩაბაძე.** „შიდა ლაშქრის“ („შიდა სპას“) მნიშვნელობის გარკვევისათვის, – *მაცნე*, ისტორიის... სერია. 1, 1987, გვ. 85-86.

<sup>4</sup> **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის... გვ. 224-239. {185}

ნასკნელ ხანს გამოქვეყნებულ, თავისთავად უაღრესად საინტერესო წერილში ვიკინგ-ვარიაგების ყოფნაზე საქართველოში, რომელშიც ისლანდიური საგების მონაცემების მო**{185}**შველიებით ცდილობს დაამტკიცოს „ვარანგების“ მოსვლა ბიზანტიიდან და ამით დაადასტუროს „მატიანის“ ტექსტის ნ. ბერძენიშვილისეული ნაკითხვის მართებულობა.<sup>1</sup> აქვე უნდა ითქვას, რომ ვ. გოილაძეს არც კი უცდია აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრების საწინააღმდეგოდ ი. ცინცაძისა და ჩვენ მიერ წამოყენებული კონტრარგუმენტების კრიტიკული განხილვა<sup>2</sup> და მხოლოდ ფაქტის კონსტანტაციით დაკმაყოფილდა.<sup>3</sup>

ჩვენ, რასაკვირველია, არ გამოვრიცხავთ საისტორიო წყაროების ტექსტებში გარკვეული შესწორებების შეტანის აუცილებლობას, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ეს უნდა ხდებოდეს უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც არსებული სახით ტექსტის შინაარსი სრულიად გაუგებარია და ამიტომ მისი გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. თუ ამ კუთხით შევხედავთ „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას „ვარანგების“ შესახებ, ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში, მიუხედავად მასში არსებული ერთგვარი წინააღმდეგობებისა, ის მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით გაუმართავ და შიინაარსობრივად გაუგებარ მასალად. განვიხილოთ ნ. ბერძენიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები და ვნახოთ, არის თუ არა მიზანშეწონილი მათზე დაყრდნობით „მატიანის“ ტექსტში შესწორების შეტანა.

პირველი, რაშიც ვერ დავეთანხმებით ნ. ბერძენიშვილს, არის აზრი, თითქოს სასირეთის ბრძოლაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ვარანგები (ლიპარიტისა) და „შიდა-ლაშქარი“ (ბაგრატი IV-ისა) და, რომ „კახნი“ და „სომხითარნი“, მართალია, მხარს უჭერდნენ კლდეკარის ერისთავს, მაგრამ ამ ბრძოლაში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. „მატიანე ქართლისაჲს“ მონა-

<sup>1</sup> ვ. გოილაძე. ვიკინგები საქართველოში..., გვ. 165-171.

<sup>2</sup> თავის დროზე ვ. კოპალიანიმაც მხოლოდ დააფიქსირა ი. ცინცაძის ცალკეული დებულებები და არ მოუცია მათი კრიტიკული ანალიზი.

<sup>3</sup> ვ. გოილაძე. ვიკინგები საქართველოში..., გვ. 166. **{186}**



ცემები არათუ არ ადასტურებენ ამ დასკვნას, არამედ, პრაქტიკულად გამორიცხავენ მას. მემატიანის მთელი სასირეთის ბრძოლამდელი მონათხრობი, ფაქტობრივად, არის გადმოცემა იმ მზადებისა, რომელსაც ეწეოდა ორივე მხარე გადამწყვეტ შეტაკებამდე. „ლიპარიტ გამოიყვანა ახლად საბერძნეთით დემეტრე ძმა ბაგრატ მეფისა, ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთენა ამის სამეფოსა {186} კაცნი: რომელნიმე წარუდგინნა დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულობასა შინა... და იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისა კახნი ძალითა მათითა ამას კერძოსა ქართლისასა. და იყო მი--და-მო საურავი ჯელოვნებისა“.<sup>1</sup> მას უშუალოდ მოსდევს ცნობა „ვარანგთა“ მოსვლისა და სასირეთში გამართული ბრძოლის შესახებ, რომელშიც, როგორც ვიცით, ბაგრატის ჯარი დამარცხდა, შემდეგ კი საუბარია დემეტრე უფლისწულის გარდაცვალებაზე და ბაგრატის მიერ ლიპარიტის შემოსარიგებლად გადადგმულ ცდებზე, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა.<sup>2</sup>

ამით მთავრდება მემატიანის ნაამბობი ლიპარიტ ბაღვაშის ამ გამოსვლის შესახებ და ის იწყებს თხრობას ბაგრატ-ლიპარიტის ახალი შეტაკების მომზადების შესახებ: „და შემდგომად მცირედისა ჟამისა სულა ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისამან შეაერთეს სიტყუა და შეინკვნეს მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უქმეს მეფეს... ცნა ესე ლიპარიტ და შეკრიბა თავისი ლაშქარი და მოირთნა კახნი და სომეხნი, ბერძენნიცა თანავე ჰყვეს. და მიუჭდა უგრძნეულად არყისციხეს, და შეიბნეს. და სძლია ლიპარიტვე, და გააქცია მეფე“.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, დროის მცირე მონაკვეთში ბაგრატსა და ლიპარიტს ორი შეტაკება ჰქონიათ. ორივე შეტაკების წინ დაფიქსირებულია „კახთა“ და „სომეხთა“, აგრეთვე „ბერძენთა“ ყოფნა ლიპარიტის ბანაკში. ვერ გავგივია, რის საფუძველზე უნ-

<sup>1</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 300-301.

<sup>2</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 301.

<sup>3</sup> მათიანე ქართლისა, გვ. 301. {187}

და უარყოფით მათი მონაწილეობა ერთ (ამ შემთხვევაში სასირეთის) ბრძოლაში და ვილაპარაკოთ მათ მონაწილეობაზე მხოლოდ მეორე (არყისციხესთან) შეტაკებაში. რაიმე დამატებითი მასალა, რომელიც ამგვარ დაშვებას განგვიმარტავდეს, არც „მატიანე ქართლისაჲს“ და არც სხვა რომელიმე წყაროში არ გვხვდება. თუ „კახნი“ და „სომეხნი“ სასირეთის ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, მაშინ რა საჭირო იყო მათი ხსენება საერთოდ. საკითხავია ასევე, თუ „ვარანგები“ ლიპარიტის მხარეს გამოდიოდნენ (ამ შემთხვევაში ისინი უსათუოდ უნდა ჩაითვალოს ბიზანტიიდან მოსულებად), მაშინ მემატიანემ {187} რატომ გამოყო ისინი ცალკედ და რატომ დაუკავშირა მათი მოსვლა „კახთა“ და „სომეხთა“ და რაც მთავარია „ბერძენთა ლაშქრის“ მოსვლას?

არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მემატიანის მონათხრობი „ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე...“ ვიდრე „შეიქცა მეფეცა და წარვიდა აფხაზეთს“,<sup>1</sup> არის გადმოცემა ერთი მოვლენისა – ლიპარიტ ბაღვაშისა და დემეტრე უფლისწულის გამოსვლისა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ბაგრატ-ლიპარიტის მრავალწლიანი ჭიდილის ამ ეპიზოდის კულმინაციური მომენტი სასირეთის ბრძოლა, რომელმაც გამარჯვება აჯანყებულ ფეოდალს მოუტანა. განა რეალურია, რომ ამისთანა მნიშვნელოვან, თითქმის გენერალურ შეტაკებაში (სხვანაირად მემატიანე ასე დაწვრილებით არ აღწერდა მას) ლიპარიტს ეჯობნა მეფისთვის მხოლოდ 700 „ვარანგის“ წყალობით.<sup>2</sup>

დასაზუსტებელია ნ. ბერძენიშვილის დასკვნა იმის შესახებაც, რომ „მესხნი“ გამოდიოდნენ ლიპარიტის მხარეზე და სწორედ მათ ვერ დაელოდნენ „ვარანგნი“. მეცნიერის აზრით ეს გარემოება ერთ-ერთი არგუმენტი იმის დასამტკიცებლად,

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 300-301.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ვ. კოპალიანი არ ეთანხმება ამ საკითხში ნ. ბერძენიშვილს და საეჭვოდ არ მიიჩნევს „კახთა“ და „სომეხთა“ მონაწილეობას სასირეთის ბრძოლაში. ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური..., გვ. 225.

რომ „ვარანგები“ იმთავითვე მოვიდნენ ლიპარიტთან. სავსებით ვიზიარებთ აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ მესხთა პოზიციის გარკვევას სასირეთის ბრძოლის დროს, მართლაც, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაჭრისას, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მას იმაში, რომ ამ დროს მესხები საერთოდ გამოდიოდნენ ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ.

ამაში ვერ დაგვაჯერებს თუნდაც ის, რომ მანყუერელი, რომელიც ადრე მესხებთან ერთად ბაგრატ მეფეს მოუვიდა მაშველად, მოგვიანებით *„გამოექცა მეფესა და შეეზრახა ლიპარიტს“*.<sup>1</sup> დაუშვათ, მანყვერელს, ყველა ის მესხი, რომელიც ადრე ბაგრატ IV-ს აახლა, ამჯერად ლიპარიტის სამსახურშიც ჩაეყენებინა (თუმცა წყარო მხოლოდ მანყუერელი გაქცევაზე ლაპარაკობს), ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სასირეთის ბრძოლის წინ უკლებ{188}ლივ ყველა მესხი ლიპარიტს ედგა მხარში. პირიქით, მესხ აზნაურთა უმეტესობა ამ დროს უეჭველად ბაგრატ IV-ის მომხრე იყო და მის ლაშქარში იბრძოდა სასირეთის ომში. *„აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი“* და მისი ხელქვეითნი, როგორც ეს აჩვენა ი. ცინცაძემ, უდავოდ მესხები იყვნენ.<sup>2</sup>

ასევე საყურადღებოა, რომ უშუალოდ სასირეთის ბრძოლის შემდეგ მეფეს ენერგიულად ამოუდგნენ მხარში სულა კალმახის ერისთავი, გრიგოლ არტანუჯის ერისთავი და *„მათ თანა სხუანი აზნაურნი მესხნი“*.<sup>3</sup> ლიპარიტმა მხოლოდ არყის-ციხესთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შეძლო თავისი პოზიციების განმტკიცება მესხეთში: *„მოირჭუნა ლიპარიტ ზემოსა ქუეყანასა“*.<sup>4</sup> ეს მონაცემები, ჩვენი აზრით, აშკარად მეტ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 300. {188}

<sup>2</sup> ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 32-33.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 301.

<sup>4</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302. მ. ლორთქიფანიძის განმარტებით „ზემო ქუეყანა“ – ისტორიული მესხეთის მიწა-წყალია, იხ. *მატიანე ქართლისა*..., გვ. 86. შენ. 231.

ყველებენ იმაზე, რომ სასირეთის ომის წინ მესხი აზნაურები ძირითადად მეფის ბანაკში იყვნენ.<sup>1</sup> ასე რომ მესხთა ლიპარიტის მოკავშირეებად გამოცხადებას, რომელსაც მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ვარანგთა“ საკითხის გასარკვევად, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი წინააღმდეგობა ხვდება და ის უფრო ადვილად უარსაყოფია, ვიდრე მისაღები.

ძნელი გასაზიარებელია აგრეთვე „მატიანის“ „ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“-ს ნ. ბერძენიშვილისეული გაგება – „ვერ გაუძლო მოპირდაპირე მხარემ „ვარანგთა“ შემოტევას. დაეყრდნო რა ძველი ქართული ენის აღიარებულ სპეციალისტთა – ა. შანიძისა და ი. აბულაძის აზრს – ი. ცინცაძემ სავსებით მართებულად მიუთითა, რომ „ვერღარა უძლეს ბრძოლად (ბრძოლაჲ – მარიამისეულ ნუსხაში) ვარანგთა“ უნდა გავიგოთ „ვარანგებმა“ ვერ გაუძლეს ბრძოლას.<sup>2</sup> ი. ცინცაძის ამ დასკვნის სისწორეზე ისიც მეტყველებს, რომ მემატიანე ყოველივე ამაზე ლაპა{189}რაკობს იმის შემდეგ, რაც უკვე აღნიშნა შიდალაშქრის გაქცევის ფაქტი. „გაიქცა შიდა ლაშქარი. და ომსა ამასვე შეიპყრეს აბუსერი და სხუანიც დიდებულნი მის თანა, ვერღარა უძლეს ბრძოლად ვარანგთა“.<sup>3</sup>

მართლაც, უფრო ლოგიკური არ არის ის, რომ „ვარანგებმა“ ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის შემოტევას მას მერე, რაც გაიქცა „შიდა ლაშქარი“ და ტყვედ შეიპყრეს აბუსერი და სხვა დიდებულები. რატომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შიდა ლაშქრის გაქცევისა და დიდებულთა შეპყრობის შემდეგ „მტრის“ წინაშე მარტოდ-მარტო დარჩენილმა „ვარანგებმა“ (სულ 700 მეომარი) ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ლიპარიტის ჯარს და დანებება არჩიეს. ასეთი ფინალით კმაყოფილმა ქართველმა ფეოდალმა კი ისინი პურ-მარილით გაისტუმრა.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> გ. ანჩაბაძის აზრითაც, „ქართლსა და მესხეთში მეფეს მრავალი მომხრე ჰყავდა.“ გ. ანჩაბაძე. „შიდა ლაშქრის...“, გვ. 86.

<sup>2</sup> ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 41-42. {189}

<sup>3</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 301. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

<sup>4</sup> ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 42.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასირეთის ბრძოლის შემდეგ „ვარანგები“ გაქრნენ და შემდგომ არ მიუღიათ მონაწილეობა საქართველოში მიმდინარე ფეოდალურ შინაომში. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ ეს ლიპარიტ-„ვარანგთა“ „შეთანხმების“ შედეგი იყო, რომელიც მიღწეულ იქნა სასირეთის ბრძოლის შემდეგ გამართულ სერობაზე. დაუშვათ, „ვარანგები“ იმთავითვე მოვიდნენ კლდეკარის ერისთავთან და მის მხარეზე იბრძოდნენ სასირეთის ქალასთან (ამ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ბიზანტიიდან მოსულელებად უნდა მივიჩნიოთ), მაშინ, გაუგებარია, რატომ გაუშვა ლიპარიტმა ისინი? მას ხომ ჯერ კიდევ სჭირდებოდა იმპერიის სამხედრო ძალები, როგორც ზემოთ დავინახეთ, „ბერძენთა მეფისა... ლაშქარი“, რომელიც ლიპარიტს სასირეთის ბრძოლამდე მოუვიდა, არყის ციხესთან ბრძოლაშიც თან ახლდა მას („*ბერძენიცა თანავე ჰყვეს*“).<sup>1</sup>

საკითხავია, რატომ დარჩნენ „ბერძენნი“ და რატომ ნავიდნენ „ვარანგები“? რატომაა, რომ მემატიანე აბსოლუტურად არ უკავშირებს ერთმანეთს „ვარანგებსა“ და „ბერძენებს“? განა „ბერძენებსა“ და „ვარანგებს“ ერთი საერთო დამხმარე ძალა არ უნდა შეედგინათ, რომელიც იმპერატორმა გამოუგზავნა ლიპარიტ ბაღ{190}ვაშს?<sup>2</sup> ანალოგიურ სიტუაციაში, როდესაც იმპერიიდან საქართველოში იგზავნებოდა სამხედრო ნაწილები, მემატიანეები ცდილობდნენ დაეზუსტებინათ, თუ რა ძალები იყო ეს. ასე მაგალითად, XI ს. ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე (1021-1022 წწ.), საქართველო-ბიზანტიის ომის პერიპეტეებზე თხრობისას, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „*გამოვიდეს... ტალმანი მეფისანი* (ბასილი II-ისა – **ზ.პ.**) *რუსნი*“.<sup>3</sup>

<sup>1</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 301. {190}

<sup>2</sup> აკად. ვ. ვასილევსკი საერთოდ დარწმუნებული იყო, რომ „ბერძენთა მეფისა... ლაშქარი“ და „ვარანგები“ ერთი და იგივე იყო. **В. Г. Васильевский.** Варяжско-русская и варяго-английская., გვ. 214.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I, გვ. 384. (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). ამ საკითხთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических..., გვ. 29-30.

სომეხი ისტორიკოსები სტეფანოს ტარონეცი და არისტაკეს ლასტივერტეცი ასევე აფიქსირებენ რუს მეომართა ყოფნას 1001 წელს ტაოს მოსული ბასილი II-ის ლაშქარში. ამას გარდა მათ შესანიშნავად იცოდნენ (განსაკუთრებით ასოლიკმა), თუ რატომ იყვნენ ბიზანტიის იმპერატორის ჯარში რუსი მეომრები და რა გააკეთეს მათ ტაოში.<sup>1</sup> ერთი სიტყვით, ბიზანტიის იმპერატორთა „არაბერძნული“ სამხედრო ძალების რაიმე აქტიურობა კავკასიის ამბებთან დაკავშირებით, ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს შეუძინეველი არ რჩებოდათ. თუ „ვარანგები“ ასევე „არაბერძნული“ ძალაა, რომელიც გამოგზავნილი იყო კონსტანტინოპოლიდან ბიზანტიელთა დამქაშის – ლიპარიტ ბაღვაშის დასახმარებლად, მაშინ მემატიანემ რალაციით მაინც რატომ არ მიგვანიშნა, რომ „ბერძენთა მეფისა... ლაშქარი“ და „ვარანგნი“ ერთი და იგივე იყო? ეს მხოლოდ იმიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ სინამდვილეში „ვარანგებს“ არავითარი კავშირი არ ჰქონდათ „ბერძენთა მეფის ლაშქართან“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი არც შეიძლებოდა მოსულიყვნენ ბიზანტიიდან.<sup>2</sup> {191}

უდავოდ მართებულია ი. ცინცაძის მოსაზრება<sup>3</sup> (რომელსაც მხარს უჭერს ვ. კოპალიანიც)<sup>4</sup> იმის შესახებ, რომ „ვარანგები“ საქართველოში შავი ზღვით მოვიდნენ. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათი განლაგების ადგილად იქცა ბაში, რომელიც როგორც ი. ცინცაძემ დაადგინა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს რიონის სამდინარო მაგისტრალზე.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> *Всеобщая история Степаноса Таронского...*, გვ. 201; **არისტაკეს ლასტივერტელი**. ისტორია, გვ. 41. იხ აგრეთვე: **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических..., გვ. 28-29.

<sup>2</sup> ვ. კოპალიანი სავსებით სამართლიანად გამორიცხავს „ვარანგთა“ ბიზანტიიდან მოსვლას იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბაგრატ IV-სთან მოდიოდნენ. იხ.: **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 226-227. {191}

<sup>3</sup> **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 34.

<sup>4</sup> **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 230.

<sup>5</sup> **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს..., გვ. 34-35.

მცდარად გვეჩვენება აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ლიპარიტი ბალვასს გარკვეული წონა გააჩნდა დასავლეთ საქართველოში და ამიტომ მას შეეძლო „ვარანგთა“ მიღება ბაშში.<sup>1</sup> ამ დასკვნის დასასაბუთებლად ძნელად თუ გამოდგება ის ფაქტი, რომ თავის დროზე აზნაურთა გარკვეულ წრეებს სურდა („იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი“) ბაგრატ IV-ის დამხობა და მისი ნახევარძმის – დემეტრე უფლისწულის გამეფება.<sup>2</sup> აღნიშნული ფაქტი ნ. ბერძენიშვილს დასავლეთ საქართველოში ბაგრატის ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის არსებობის დადასტურებად მიაჩნია.<sup>3</sup>

ვფიქრობთ, აკად. ნ. ბერძენიშვილის ეს არგუმენტი და არც რომელიმე სხვა მასალა არაფერს გვეუბნება ლიპარიტის ავტორიტეტზე დასავლეთ საქართველოში XI ს. 40-იანი წლების შუა ხანებში. ჯერ ერთი, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობაში, აზნაურთა სურვილზე, გაემეფებინათ დემეტრე უფლისწული, არაა ნათქვამი, რომ ამისათვის ზრუნავდნენ **მაინცდამაინც ლიხს იქითა აზნაურები**, და მეორეც, როდესაც ეს ამბები ხდებოდა (XI ს. 30-იანი წლების დასაწყისი) ლიპარიტი ჯერ კიდევ რჩებოდა ბაგრატ IV-ის უერთგულეს ქვეშევრდომად. ასევე ცნობილია, რომ დემეტრე უფლისწულის კონსტანტინოპოლში გაქცევის შემდეგ ბაგრატ მეფემ შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. „და შემდგომად ამისა მოირჭუნა და ეუფლა **ზემოსა და ქუემოსა თავის მამულსა ზედა ბაგრატ**“;<sup>4</sup> – წერს მემატიანე.

ასე რომ, **{192}** არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია ვამტკიცოთ ლიპარიტის პრიორიტეტი დასავლეთ საქართველოში XI ს. 40-იანი წლების შუა ხანებში, სასირეთის ბრძოლის წინა პერიოდში.<sup>5</sup> ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, შეიძლე-

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. ი. ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 200-201.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 295.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი. ი. ცინცაძე. ძიებანი..., გვ. 200-201.

<sup>4</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 296 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**). **{192}**

<sup>5</sup> გ. ანჩაბაძე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, „ვარანგებს“ ასე-

ბა დაბეჯითებით ითქვას, რომ ნ. ბერძენიშვილის მიერ მოტანილი არგუმენტები არ არის საკმარისი „მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტში შესწორების შეტანის აუცილებლობის გასამართლებლად. წინააღმდეგობრიობა „ვარანგებზე“ მათიანიეული ცნობის დასაწყის და დასკვნით ნაწილებს შორის მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ ბაგრატ IV-სთან მოსული „ვარანგები“ იბრძოდნენ მის მხარეზე სასირეთის ჭალასთან, მაგრამ მას მერე, რაც გაიქცა „შიდალაშქარი“, მათ ვერ გაუძლეს ლიპარიტის ჯარების შემოტევას და ნებაყოფილობით დანებება არჩიეს. ამ უკანასკნელმა კი არ გაამწვავა „ვარანგებთან“ ურთიერთობა (ბაშში ხომ კიდევ 2300 კაცი იმყოფებოდა) და საზეიმო პურობის შემდეგ გაუშვა ისინი.

ამრიგად, „ვარანგები“ არ მოსულან ლიპარიტთან. ისინი იმთავითვე ბაგრატ IV-ს ეახლნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ვარანგთა“ რაზმი ბიზანტიიდან არ მოსულა, ამდენად, გაჭირდება მათი გაიგივება კონსტანტინოპოლში მყოფ რუს-ვარიანთა რაზმთან, როგორც ამას ფიქრობდა აკად. ვ. ვასილევსკი.<sup>1</sup> სავსებით დასაშვებია, რომ იმპერიის ხელისუფლება 1043 წ. ბიზანტია-კიევის რუსეთის კონფლიქტის დროს, ყოველგვარი ხიფათის თავიდან ასაცილებლად, უთუოდ ეცდებოდა კონსტანტინოპოლიდან რუსი ვაჭრებისა და მეომრების გაყვანას<sup>2</sup> და გიორგი კედრენეს ცნობაც, დედაქალაქში მოკავშირეების როლში მყოფი სკვითების პროვინციებში გაფანტვის შესახებ, თითქოს ადასტურებს კიდევ ამას.<sup>3</sup> {193} მაგრამ, ჩვენი აზ-

---

ასევე ბაგრატ IV-სთან მოსულებად თვლის, სავსებით სწორად შენიშნავს, რომ „1047 წლისათვის შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია და მოვლენების მთელი შემდგომი განვითარება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დასავლეთ საქართველო ძირითადად ბაგრატის მხარეზე და მისი ხელისუფლების ქვეშ იყო. იხ.: გ. ანჩაბაძე. „შიდალაშქრის“ („შიდა-სპას“) მნიშვნელობის.., გვ. 85.

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 314.

<sup>2</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 308.

<sup>3</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и ..., გვ. 308. {193}



რით, სრულებითაც არ არის აუცილებელი სწორედ ეს „სკვითები“ ვეძიოთ 4 წლის შემდეგ აღმოსავლეთში.

ამ შემთხვევაში XI ს. ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის მიქელ ფსელოსის ცნობის უტყუარ არგუმენტად გამოყენება არ შეიძლება თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში არაფერია ნათქვამი რუს-ვარიაგთა კორპუსის შესახებ. ჩვენი მტკიცება რომ უფრო სარწმუნო გახდეს, მოვიტანთ მიქელ ფსელოსის აღნიშნულ ცნობას თვით ვ. ვასილევსკის რუსული თარგმანის მიხედვით. 1047 წელს ლეონ-თორნიკეს აჯანყების შედეგად კონსტანტინოპოლში შექმნილ სიტუაციაზე თხრობისას ფსელოსი წერს: «Не было собрано ни собственного войска, ни союзного, исключая небольшой части наемников, которая обыкновенно следует (позади) при императорских (церемониальных) выходах. А что касается войска, находившегося на востоке, то отдельные части его даже не были собраны в каком-нибудь одном лагере, так чтобы могли по данному сигналу скоро собраться и подать помощь императору, находящемуся в опасности, но они отправились в поход в самую **глубину Иверии**, отражая нашествие одного варвара».<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მიქელ ფსელოსის თხზულებიდან მოტანილ ციტატაში არსად არაა ლაპარაკი რუსებზე ან ვარიაგებზე. მიუხედავად ამისა, აკად. ვ. ვასილევსკი თვლის, რომ აღმოსავლეთში მყოფი ჯარი, რომელიც „იბერიის სიღრმეში“ იგერიებდა ვილაც ბარბაროსის შემოტევას, იგივე კონსტანტინოპოლში დისლოცირებული რუს-ვარიაგთა რაზმია, იმიტომ, რომ თავის დროზე (1043 წელს) დედაქალაქში მყოფი რუსი მეომრები გაფანტეს პროვინციებში, ხოლო მოგვიანებით (დაახლოებით 1047 წ.), ქართული ქრონიკის მიხედვით, ვილაც „ვარანგები“ ომობდნენ საქართველოში.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 309 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 309;

სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა გავაიგივოთ გიორგი კედრენეს „სკვითთა მოკავშირეთა ჯარი“ 4 წლის შემდეგ აღმოსავლეთში მიქელ ფსელოსის მიერ დაფიქსირებულ მოქმედ შეიარაღებულ ნა{194}წილებთან, უმჯობესი არ იქნება, აღმოსავლეთში მყოფ ჯარში გვეგულისხმა არა „მოკავშირეთა ჯარი“ („союзное войско“), არამედ ის „ბერძენნი“, ლიპარიტს რომ ახლდნენ სასირეთთან და არყის ციხესთან ბრძოლებში და აგრეთვე ისინიც, რომლებიც «Под командой Константина... начальника великой этерии осаждали одну армянскую крепость, и осажденные уже находились в большой крайности, когда пришли с Запада известия о Льве Торнике».<sup>1</sup> ერთი სიტყვით, აკად. ვ. ვასილევსკის აზრი იმის შესახებ, რომ „მატიანე ქართლისაჲში“ მოხსენებული „ვარანგები“ კონსტანტინოპლში მომსახურე რუს-ვარიანთა კორპუსიდან იყვნენ, მისაღები არ არის.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ ვინ იყვნენ „მატიანისეული“ „ვარანგები“ და რა საგარეო-პოლიტიკურმა მოვლენებმა განაპირობა მათი ჩამოსვლა საქართველოში. ი. ცინცაძემ, გაითვალისწინა რა „ვარანგების“ ბაშში დაბინავების ფაქტი, სავსებით სამართლიანად დაუშვა, რომ ისინი საქართველოში შავი ზღვით უნდა მოსულიყვნენ.<sup>2</sup> ამასთან, მკვლევარმა ისინი შავ

---

ვ. კოპალიანი ასევე თვლის, რომ მიქელ ფსელოსის „ცნობას საქართველოში ვარიანგების მოსვლის საკითხთან კავშირი უნდა ჰქონდეს“. **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და..., გვ. 237. {194}

<sup>1</sup> **В. Г. Васильевский.** Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 312.

<sup>2</sup> **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 43-44. ამ ბოლო დროს, ყურადღება მიექცა რა ვარიანგული მასალის კვალს ადილეელთა ლინგვო-ეთნოგრაფიულ ტრადიციებში (**Л. И. Лавров.** Возможный след варягов на Северо-Западном Кавказе. – *Краткое содержание докладов среднеазиатско-закавказских чтении*, Май, 1978 г. Л., 1978, გვ. 17-78) გამოითქვა მოსაზრება „ვარანგთა“ გადაადგილების ტრანზიტულ ტერიტორიად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მიწნვის შესაძლებლობის შესახებ (**В. Б. Виноградов.** О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе

ზღვაზე მოხეტიალე მეკობრეებად მიიჩნია, რომლებიც დაიქირავა ბაგრატ IV-მ.<sup>1</sup> შესაძლებელია, ეს აზრი გამოსარიცხი არ იყოს, მაგრამ უფრო მართებულად მიგვაჩნია, „ვარანგთა“ საქართველოში გამოჩენის მიზეზები ვეძიოთ საერთაშორისო არენაზე, კერძოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმ დროს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში. და „ვარანგების“ მონაწილეობა ბაგრატ-ლიპარიტის კონფლიქტში **{195}** განვიხილოთ საქართველო-ბიზანტია-კიევის რუსეთის ურთიერთობების ფართო ასპექტში. როგორც უკვე აღინიშნა, 1043 წელს გამწვავდა ბიზანტია-კიევის რუსეთის ურთიერთობა, რომელიც სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.<sup>2</sup> რუსთა ფლოტის დამარცხების შემდეგ კიევი და კონსტანტინოპოლი კიდევ სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში და მხოლოდ 1046-1047 წლებში გახდა შესაძლებელი რუსეთ-ბიზანტიის ურთიერთობის ნორმალიზაცია.<sup>3</sup>

დაახლოებით ამავე ხანებშია სავარაუდებელი სასირეთის

---

в X-XIII вв. – *მაცნე*, ისტორიის... სერია. №2, 1988, გვ. 164-165).

<sup>1</sup> **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 43-44. გ. ანჩაბაძე „ვარანგებს“ ასევე ბაგრატის მოქირავნეებად თვლის (გ. ანჩაბაძე. „შიდა ლაშქ{195}რის“..., გვ. 85).

<sup>2</sup> **В. Г. Васильевский**. Варяжско-русская и..., გვ. 303-315; **М. В. Левченко**. Очерки по истории русско-византийских взаимоотношений. М., 1956, გვ. 386-399; **Г. Г. Литаврин**. Русско-византийские отношения в XI-XII вв. გვ. 350-351; **Г. Г. Литаврин**. Пселл о причинах похода русских на Константинополь в 1043 г., გვ. 71-86; **В. Т. Пашуто**. Внешняя политика Древней Руси, გვ. 79-80.

<sup>3</sup> სწორედ ამ დროს დაიღო შეთანხმება კიევის რუსეთსა და ბიზანტიას შორის, რომელიც განმტკიცებულ იქნა დინასტიური ქორწინებით (ვსევოლოდ იაროსლავის ძე დაქორწინებულ იქნა კონსტანტინე IX მონომახის ასულზე), რის შემდეგაც კონსტანტინოპოლში კვლავ გამოჩნდა რუსთა კორპუსი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ლეონთორნიკეს აჯანყების ჩახშობაში. ამის შესახებ დანვრილებით. იხ. **В. Г. Васильевский**. Варяжско-русская..., გვ. 309-318; **М. В. Левченко**. Очерки по истории..., გვ. 398; **Г. Г. Литаврин**. Русско-византийские..., გვ. 351; **В. Т. Пашуто**. Внешняя политика..., გვ. 89. **{196}**

ბრძოლაც, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „ვარანგთა“ რაზმმა. ხომ არ უნდა მივიჩნიოთ „ვარანგები“ კიევიდან გამოგზავნილად; ხომ არ არის დასაშვები, რომ ბიზანტიის იმპერიასთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ კიევის დიდ მთავარს იაროსლავ ბრძენს დამხმარე რაზმი გამოეგზავნა ასევე იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი ბაგრატ IV-ისთვის. თუ ასეა, მაშინ, საფიქრებელია, რომ „ვარანგები“ საქართველოში ცოტა უფრო ადრე – ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კიევი და კონსტანტინოპოლი მტრულ ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან, ჩამოვიდნენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყვნენ თუ არა „ვარანგები“ ნამდვილად ვარიაგ-ნორმანები, თუ რუსები. (ცნობილია, რომ იაროსლავ ბრძენი ძალზე ხშირად და მარჯვედ იყენებდა ვარიაგთა დაქირავებულ რაზმებს თავის {196} სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში),<sup>1</sup> ამ შემთხვევაში მთავარია, რომ „ვარანგები“ მოვიდნენ კიევიდან და მოვიდნენ ბაგრატ IV-სთან, ბიზანტიის იმპერიის პოტენციურ მონინააღმდეგესთან. ეს იაროსლავ ბრძენის ანტიბიზანტიური კურსის ერთგვარი გამოვლინება უნდა ყოფილიყო. მაგრამ სასირეთის ჭაღასთან გამართულ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ „ვარანგებს“ შეეძლოთ მიეღოთ ლიპარიტის წინადადება ნებაყოფილობით დანებების შესახებ და საერთოდ გასცლოდნენ საქართველოს. გამორიცხული არ არის, რომ ამ დროისათვის ლიპარიტს უკვე ჰქონდა (კიევთან შერიგებული) კონსტანტინოპოლიდან, ხელი არ ეხლო „ვარანგებისთვის“, პატივით მიეღო ისინი და გაებრუნებინა უკან. ეს ჰიპოთეზა უფრო მყარად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ ბიზანტია-კიევის რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობებს IX-XI საუკუნეებში.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ IX ს. შუა ხანებიდან, როდესაც ადრეფეოდალურმა სახელმწიფომ კიევის ირგვლივ იწყო ჩამოყალიბება, რუსეთი მოექცა აღმოსავლეთ ევროპასა

---

<sup>1</sup> В. Г. Васильевский. Варяжско-русская и варяго-английская..., გვ. 307; М. В. Левченко. Очерки по истории..., გვ. 389.

და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ორბიტაში. ბიზანტიის იმპერია, რომელიც შეფოთებით ადევნებდა თვალს პოლიტიკური ვითარების შეცვლას ჩრდილოეთში, აქტიურად იბრძოდა იმისათვის, რომ არ დაეშვა ახალი სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ არაბთა შემოსევების შედეგად შევიწროებული იმპერია სულ უფრო იჩენდა ცხოველ ინტერესს შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიების მიმართ.<sup>1</sup> თავის მხრივ, ახლად აღმოცენებული კიევის რუსეთის სახელმწიფო ცდილობდა აღმოსავლეთით მიმავალი ძირითადი სანაოსნო გზების ხელში ჩაგდებას, რომელთაც ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.<sup>2</sup> ყოველივე {197} ამას არ შეიძლებოდა იმთავითვე არ დაეძაბა ბიზანტია-რუსეთის ურთიერთობა.

მართლაც, უკვე 860 წელს წყაროები აფიქსირებენ ასკოლდისა და დირის მიერ განხორციელებულ რუსთა პირველ ლაშქრობას კონსტანტინოპოლში.<sup>3</sup> ამავე ხანებშივე (864-884 წწ.)<sup>4</sup> უნდა ჰქონოდა ადგილი რუსთა მიერ აბესგუნის (კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე) დალაშქვრას, რომელიც ქრონო-

---

<sup>1</sup> **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 57.

<sup>2</sup> ძველ რუსთა სავაჭრო-ეკონომიკურ აქტიურობაზე აღმოსავლეთში მოგვითხრობენ მთელი რიგი არაბი ავტორები: იბნ-ხორდადბეხი, იბნ ალ-ფაკიხი, იბნ-ფადლანი, ალ-ასტაჰრი, იბნ-ჰაუკალი და სხვ. ამის შესახებ დანვრილ. იხ.: **В. В. Бартольд.** Арабские известия о русских. – *Советское востоковедение*, т. I. М., 1940, გვ. 15-51; **В. В. Бартольд.** Сочинения, т. II, ч. I. М., 1963, გვ. 810-858; **А. П. Новосельцев.** Восточные источники о восточных славянах и Руси VI-IX вв. – წგნ.: **А. П. Новосельцев и др.** Древнерусское государство и его международное значение. М., 1965, გვ. 355-419; **Б. Н. Заходер.** Каспийский свод сведений о Восточной Европе. т. II. М., 1967, გვ. 77-106.

<sup>3</sup> **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 58-59; ამ ლაშქრობის შესახებ დანვრილ. იხ.: **А. Н. Сахаров.** «Дипломатическое признание» Древней Руси (860 г.). – *Вопросы истории.* №6, 1976, გვ. 33-64.

<sup>4</sup> **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение древнерусской дипломатии (IX – первая половина X в.). – *История СССР*, № 1, 1980, გვ. 25, 31.

ლოგიურად დაემთხვა არაბების გამოსვლას იმპერიის წინააღმდეგ.<sup>1</sup> 909-910 და 912-913 წლებში რუსებმა კვლავ დალაშქრეს კასპიისპირეთი და დაარბიეს გილიანის, დეილემისა და ტაბარისტანის ქალაქები.<sup>2</sup> უფრო მძლავრი იყო 945 წლის კამპანია, რომლის დროსაც რუსებმა დაიკავეს ამიერკავკასიის ერთ-ერთი უდიდესი **{198}** ქალაქი – ბარდა.<sup>3</sup> ჯერ კიდევ XIX ს. მიწურულს მ. ტებენკოვი შეეცადა რუსთა ლაშქრობები (912-913 და 943-944 წლებში) კავკასიაში განეხილა რუსეთ-ბიზანტიის ურთიერთობათა შუქზე. ის ფიქრობდა, რომ ლაშქრობები მოეწყო რუსეთ-ბიზანტიის შეთანხმების ზოგიერთი საიდუმლო პუნქტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებდა რუსთა გამოსვლას მუსლიმანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ კასპიისპირეთის მხრიდან.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 59. განსხვავებულ აზრს ავითარებს ა. სახაროვი, რომელიც უარყოფს აბესგუნზე ლაშქრობების ანტიბიზანტიურ ხასიათს და მიიჩნევს, რომ ეს ლაშქრობა იყო: «определенным политическим действием Руси обязавшейся по договору 860-х годов нанести удар по владениям вассалов халифата – противника Византии в Прикаспии». – **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение..., გვ. 35.

<sup>2</sup> ა. სახაროვი, ჩვენი აზრით, სავსებით დასაბუთებულად ფიქრობს, რომ ადგილი ჰქონდა ორ ლაშქრობას – 909-910 და 912-913 წლებში. **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение..., გვ. 35; ამის შესახებ დანვრილებით იხ. აგრეთვე: **В. В. Бартолд.** Арабские известия о русских. – *Советское востоковедение*, გვ. 25; **В. В. Минорский.** История Ширвана и Дербента в XI в. М., 1963, გვ. 119; **А. Ю. Якубовский.** О русско-хазарских и русско-кавказских отношениях в IX-X вв. – *Известия АН СССР*, т. 3, №5. М., 1946, გვ. 456. **{198}**

<sup>3</sup> ამის შესახებ დანვრილ. იხ. **А. Ю. Якубовский.** Ибн-Мискавеих о походе руссов в Бардаа в 932 г., 943-944 гг. – *Византийский временник*, XXIV, 1926, გვ. 63-92; **Т. М. Калинина.** Древняя Русь и страны Востока в X в. (Средневековые арабо-персидские источники о Руси). Автореферат канд. Дисс. М., 1976, გვ. 22-26; **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение..., გვ. 40-44.

<sup>4</sup> **М. М. Тебенков.** Древнейшие отношения Руси с прикаспийскими странами и поэма «Искандер-Наме» Низами как источник для характеристики этих отношений. Тифлис, 1896, გვ. 23-38.

ბარდაში (943-944 წწ.) რუსთა და ბიზანტიაში იგორის ლაშქრობას შორის გარკვეულ კავშირს ხედავდა ა. კუნიკიცი. ის თვლიდა, რომ კავკასიაში მოქმედებდა იგორის ვარიანტული „დრუჟინა“, რომელიც „უსაქმოდ“ დარჩა 944 წელს ბიზანტიაში დაგეგმილი ლაშქრობის ჩაშლის შედეგად.<sup>1</sup> აკად. ვ. ბარტოლდი ასევე ხედავდა «Некоторую связь между русско-греческим договором 911 г. и набегом руссов на прикаспийские страны» და აღნიშნავდა საკვირველ დამთხვევას ბიზანტიასა და აღმოსავლეთში რუსთა ლაშქრობებს შორის.<sup>2</sup> ა. იაკუბოვსკის აზრითაც: «...поход на Бардаа был определенно связан со вторым походом Игоря на Константинополь»<sup>3</sup> ამ საკითხს შეეხო ა. ნოვოსელცივიცი, რომელმაც რუსთა ლაშქრობები კავკასიაში განიხილა «...в широком аспекте русско-византийско-арабских взаимоотношений» და მივიდა იმ დასკვნამდე, {199} რომ 909-910 წლების ლაშქრობა აღმოსავლეთში მიმართული იყო ხალიფას ვასალთა წინააღმდეგ და შეესაბამებოდა ოლეგის პოლიტიკურ კურსს, დაახლოებოდა ბიზანტიას, ხოლო 944 წლის ლაშქრობა, პირიქით, ატარებდა ანტიბიზანტიურ ხასიათს და მიმართული იყო იმპერიის აღმოსავლური სამფლობელოების წინააღმდეგ.<sup>4</sup> ამ ბოლო დროს საკითხი აღმოსავლეთში რუსთა ლაშქრობების შესახებ IX-X ს. I ნახევარში სპეციალურად დაამუშავა ა. სახაროვმა, რომელმაც იგი შეაფასა, როგორც კიევის ხელისუფლების მიერ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური აქციები, მიმართული ბიზანტიასთან დადებული სამოკავშირეო ვალდებულებათა შე-

---

<sup>1</sup> Б. Дорн. Каспии. О походах древних русских в Табаристан с дополнительными сведениями о других набегах их на побережья Каспийского моря. СПб, 1875, გვ. 421.

<sup>2</sup> В. В. Бартольд. Арабские известия о русских. – *Советское востоковедение*, გვ. 24; В. В. Бартольд. Место прикаспийских областей в мусульманском мире. – *Сочинения*, т. II, ч. I. М., 1963, გვ. 684.

<sup>3</sup> А. Ю. Якубовский. О русско-хазарских и ..., გვ. 469. {199}

<sup>4</sup> В. Т. Пашуто. Внешняя политика Древней Руси, გვ. 99-104.

სასრულეზღად.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ისტორიოგრაფიაში არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი მოსაზრება რუსთა მიერ ბიზანტიასა და აღმოსავლეთში მონყობილ ლაშქრობებს შორის გარკვეული ურთიერთკავშირის შესახებ, ბიზანტია-რუსეთის ურთიერთობის დაძაბვას, როგორც ჩანს, არცთუ იშვიათად მოჰყვებოდა კიევის ხელისუფალთა აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გამორიცხული, რომ 1043-1046 წლებში ბიზანტია-რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას ასევე მოჰყვა კიევის მხრიდან ცალკეული ანტიბიზანტიური აქციების გატარება აღმოსავლეთში და რომ ამის კონკრეტული გამოვლინება იყო იმპერიის დაუძინებელი მტრის ბაგრატ IV-ისათვის 3-ათასიანი „ვარანგთა“ დამხმარე რაზმის გამოგზავნა.

გავიხსენოთ, აგრეთვე ქართველ მეფეთა მიერ გადადგმული ფართო მასშტაბის ანტიბიზანტიური დიპლომატიური ნაბიჯები, როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ გიორგი I-მა მონინდომა შორეული ეგვიპტის ფატიმიდ ხალიფა აღ-ჰაქიმთან ერთად ძლიერი ანტიბიზანტიური ფრონტის შექმნა, რომელშიც ჩააბა მეზობელი სომხეთის პოლიტიკური მოღვაწეებიც. მოგვიანებით, გიორგი I-მა და ბაგრატ IV-მ მონინდომეს ბიზანტიის წინააღმდეგ ოვსთა გამოყენება. ასე, რომ არაფერი არ უნდა იყოს დაუჯერებელი იმაში, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ მეზობლ ბაგრატ IV-ს XI ს. 40-იანი წლების შუა ხანებში დაემყარებინა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის კონტაქტები კიევის რუსეთთან და გამოეყენებინა იქიდან მოსული „ვარანგთა“ რაზმი კლდეკარის ერისთავის წინააღმდეგ ომში.

სასირეთის ჭალასთან და არყის ციხესთან მოპოვებულმა გამარჯვებებმა კიდევ უფრო განამტკიცა ლიპარიტ ბაღვაშის

---

<sup>1</sup> **А. Н. Сахаров.** «Восточный фактор» и зарождение..., გვ. 44. კასპიისპირეთში რუსთა ლაშქრობების საკითხი სპეციალურად შესწავლილია აგრეთვე ტ. კალინინას საკანდიდატო დისერტაციაში (იხ. **Т. М. Калинина.** Древняя Русь и страны Востока..., გვ. 21-31. {200}



პოზიციები და საგრძნობლად აამაღლა მისი ავტორიტეტი კონსტანტინოპოლის თვალში. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ დროიდან იმპერიის ხელისუფლება უფრო ფართოდ იყენებდა კლდეკარის ერისთავს თავის სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. ასე მაგალითად, 1047 წლის ახლო ხანებში მან წარმატებით „ულაშ-ქრა ბერძენთა მეფესა დვინელთა ზედა“,<sup>1</sup> ხოლო მოგვიანებით, 1048 წელს<sup>2</sup> „წარვიდა ლიპარიტ შუელად ბერძენთა ყოვლითა ლაშქრითა“<sup>3</sup> და მონაწილეობა მიიღო იბრაჰიმ იინალის სარდლობით ბასიანის მხარეში მოსულ სელჩუკთა უზარმაზარი მარბიელი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში.<sup>4</sup> ეს შეტაკება ლიპარიტისთვის საბედისწერო გამოდგა. თურქებმა ის შეიპყრეს და დაახლოებით სამი წლის განმავლობაში სულთნის ტყვეობაში იმყოფებოდა.

ამან ბაგრატ IV-ს ერთგვარი ამოსუნთქვის საშუალება მისცა და მანაც არ დააყოვნა. ჯერ „„დიდებულთა ამის სამეფოსათა და შვილთა ლიპარიტისითა, ივანე და ნიანია, იძებნეს უშიშოება და გამოიყვანეს მეფე მეფედ და კულად მოირჭუნა და შეპყრნა შვილნი ლიპარიტისნი; აიღო უფლისციხე და გამოუშვა ივანე“<sup>5</sup>; შემდეგ კი „უჭმეს ტფილელთა და მოსცეს ტფილისი ბაგრატს, და შეიყვანეს შინა. და იყო სიხარული და მშჳდობა დიდი“<sup>6</sup>. რამდენადმე გაუმჯობესდა ურთიერთობა ბიზანტიასთან. იმპერიის მესვეურებმა გაითვალისწინეს {201} რა სელჩუკთა მონოლის შედეგად აღმოსავლეთში შექმნილი მძიმე ვითარება

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302. იხ. აგრეთვე: **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 240-241.

<sup>2</sup> ამ ბრძოლის დათარიღებისთვის დაწვრილ. იხ. **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო XII საუკუნეში. თბ., 1968, 190-191; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 255-256.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302.

<sup>4</sup> ამ ბრძოლის შესახებ დაწვრილებით იხ. **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 181-191; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 243-256.

<sup>5</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302.

<sup>6</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302. {201}

და ისიც, რომ მათი ერთგული მოკავშირის, ლიპარიტ ბაღვაშის განთავისუფლების საკითხი გაჭინაურდა, მონიდომეს ბაგრატიის შემორიგება. ხანგრძლივი შინაომით მოქანცული საქართველოს მეფეც არ გაჯიუტიებულა და გადადგა შესაბამისი ნაბიჯები იმპერიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად, გაჰყვა რა თურქთა წინააღმდეგ სალაშქროდ განძას მოსულ კონსტანტინე IX-ის სარდალ ლიხტურს.<sup>1</sup>

ბერძენ-ქართველთა ეს ლაშქრობა უდავოდ „შექმნილი პოლიტიკური ვითარების საღი შეაფასების ნაყოფს წარმოადგენდა“.<sup>2</sup> მაგრამ აღნიშნული აქტი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ბიზანტია-საქართველოს ლაშქრის წარმატებით დასრულდა: „*მირიდეს თურქთა და დაარჩიეს განძის ქუეყანა*“,<sup>3</sup> მაინც ვერ გადაიქცა მოსაბრუნად ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში. 1051 წელს ბიზანტიის იმპერატორმა როგორც იქნა, მოახერხა თავისი ერთგული მოკავშირის ლიპარიტ ბაღვაშის თურქთა სულთან თორღულ-ბეგის ტყვეობიდან დახსნა,<sup>4</sup> რის შემდეგ კლდეკარის ერისთავმა კვლავ განაახლა ბრძოლა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ბაგრატ IV ვერ აღუდგა წინ მას და იძულებული შეიქმნა თბილისი დაეტოვებინა. ლიპარიტ ბაღვაში ამასაც არ დასჯერდა: „*წარვიდა საბერძნეთს..., ნახა ბერძენთა მეფე, და მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი, და ვერღარა დაუდგა ბაგრატ*“.<sup>5</sup>

ძლიერ შევიწროებულმა საქართველოს მეფემ გადაწყვიტა ხლებოდა ბიზანტიის იმპერატორს და მისი დახმარებით მო-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302.

<sup>2</sup> **პ. თოფურია**. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის..., გვ. 195.

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 302.

<sup>4</sup> ლიპარიტ ბაღვაშის თურქთა ტყვეობიდან დახსნის დროისა და პირობების შესახებ წყაროებში ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას ვხვდებით. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. **ნ. შენგელია**. სელჩუკები და საქართველო..., გვ. 192-194; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 154-256.

<sup>5</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 303.

ეხდინა გავლენა ამბოხებულ ფეოდალზე: „ამისა პირველ სუ-  
მოდა ძე მისი გიორგი ბაგრატი, დაუტევა ქუთათისს მეფედ სა-  
მეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარვიდა საბერძნეთს“.<sup>1</sup> ბაგ-  
რატი {202}IV-ის ეს ვიზიტი კონსტანტინოპოლში კრახი იყო ან-  
ტიბიზანტიური პოლიტიკური კურსისა, რომელსაც მართალია,  
დროგამოშვებით, მაგრამ საკმაოდ თანმიმდევრულად ახორცი-  
ელებდა საქართველოს სამეფო ხელისუფლება XI ს. 20-იანი წლე-  
ბის დამდეგიდან. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიზანტი-  
ის „მფარველობიდან“ გამოსვლისა და საერთაშორისო არენაზე  
ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისთვის ბრძოლაში გაერ-  
თიანებული საქართველოს სახელმწიფომ მორიგი კრახი განი-  
ცადა. ეს მარცხი კი უშუალო შედეგი იყო იმ მწვავე შინაკლა-  
სობრივი ბრძოლებისა, რომელიც მიმდინარეობდა საქართვე-  
ლოში სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალურ ოპოზიციას შო-  
რის, და რომელმაც ბაგრატი IV-ს უმნიშვნელოვანესი საგარეო--  
პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის საშუალება არ მისცა.

მაგრამ, როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ  
დაგვანახა, კონსტანტინოპოლში ბაგრატი IV-ის ჩასვლა მაინც არ  
აღმოჩნდა ბიზანტიის ხელისუფალთა იმპერიული პოლიტიკის  
სრული გამარჯვების მომასწავებელი. ბაგრატი IV-მ და მისმა  
ამალამ მარჯვე დიპლომატიური სვლებით შეძლო მდგომარეო-  
ბის გამოსწორება. საქართველოს მეფეს ამაში ხელი შეუწყო,  
ერთის მხრივ, ბიზანტიის იმპერიის შინაპოლიტიკურ ცხოვრება-  
ში შექმნილმა გამწვავებულმა ვითარებამ, მეორეს მხრივ კი –  
აღმოსავლეთში სელჩუკთა აგრესიის შემდგომი გაძლიერებით  
გამონვეულმა საგარეო-პოლიტიკურმა გართულებებმაც.<sup>2</sup>

ეტყობა, სწორედ ამ მოვლენებმა მისცა საშუალება ბაგ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 303. {202}

<sup>2</sup> ამის შესახებ დანვრ. იხ. **Н. Скабалинович**. Византийское государс-  
тво и церковь..., გვ. 65-86; **М. В. Левченко**. История Византии. М.-Л.,  
1940, გვ. 195; **Г. Г. Литаврин**. Внутренняя и внешняя политика  
Византии в 1025-1057 гг. – *История Византии*, т. II, გვ. 272-277; **З-  
კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 261-266. {203}

რატ IV-ს ერთგვარი ულტიმატუმის ფორმით გამოეხატა თავისი წყენა ბიზანტიის იმპერატორისთვის და ფაქტობრივად მოეთხოვა მისგან მხარდაჭერა ლიპარიტ ბაღვაშთან კონფლიქტში: „როდესაც ბაგრატი კეისარმა მიიღო, – წერს გიორგი კედრენე, – მან კეისარს უსაყვედურა, მე მეფე ვარ და არა მცირედის ქვეყნის – აფხაზეთის მფლობელი და მაინც ლიპარიტს, ჩემს ყმასა და ქვეშევრდომს, უპირატესობას აძლევ{203}თო“.<sup>1</sup> კეისარმა ისინი შეარიგა „იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნებოდა ბატონი და მთავარი მთელი იბერიისა და აბაზგიისა, ხოლო ლიპარიტი – ერთი ნაწილის, მესხეთის მთავარი იქნებოდა სიკვდილამდე, ხოლო ბაგრატს ცნობს ბატონად და მეფედ“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, ბიზანტიის ხელისუფლებამ ბაგრატი IV ცნო საქართველოს მეფედ და ლიპარიტ ბაღვაში აღიარა მის ვასალად. ბიზანტიის იმპერატორის ეს გადაწყვეტილება რამდენადმე გაკვირვებას იწვევს. აზრი იმის შესახებ, რომ ბაგრატი IV-ის შემორიგება განაპირობა ბიზანტიის ხელისუფალთა სურვილმა, საქართველოს მეფის სახით ჰყოლოდა ძლიერი (ვიდრე ლიპარიტი იყო) მოკავშირე სელჩუკთა წინააღმდეგ, დამაჯერებელი არ არის. გასათვალისწინებელია, რომ ლიპარიტი, ბაგრატი IV-ის ბიზანტიაში წასვლის შემდეგ, ფაქტობრივად მთელი საქართველოს ბატონ-პატრონი შეიქმნა, როგორც „მატიანე ქართლისაჲს“ ქრონიკიდან ჩანს, მან „ითხოვა... ძე ბაგრატისი გიორგი, მეფედ, რათა მისცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისა და აკურთხეს მეფედ და მოიყვანეს მზრდელად მისა ლიპარიტ და პატრონად დაჲ ბაგრატისი გუარანდუხტ დედოფალი, კაცი სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხვთა, ღმრთის-მსახურებითა და ყოვლითა სიკეთითა“.<sup>3</sup>

ე. ი. ბაგრატის მიერ „ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა“ დატოვებული გიორგი უფლისწული ლიპარიტი-

<sup>1</sup> გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. – გეორგიკა. ტ. V, გვ. 68.

<sup>2</sup> გიორგი კედრენე. ქრონოგრაფია. – გეორგიკა. ტ. V, გვ. 68.

<sup>3</sup> მატიანე ქართლისა, გვ. 304 (ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.).

მა ამჯერად აღმოსავლეთ საქართველოში გადმოიყვანა და რუისს მეფედ აკურთხა, თვითონ კი გურანდუხტ დედოფალთან ერთად მას რეგენტად დაუდგა. ამით ლიპარიტმა მიაღწია დასახულ მიზანს – ქვეყნიდან გააძევა მისთვის არასასურველი მეფე – ბაგრატ IV<sup>1</sup> და სახელმწიფოს სათავეში მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი მცირე {204}ნლოვანი გიორგი II დააყენა. ამით აღსრულდა ბიზანტიის საიმპერატორო კარის დიდი ხნის ოცნებაც – კონსტანტინოპოლში საპატიო ტყვეობაში მყოფი ურჩი ბაგრატ IV-ის ნაცვლად, საქართველოში იმპერიისათვის სრულიად მისაღები პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა, რომლის სათავეში, ფაქტობრივად, ბიზანტიის უერთგულესი ვასალი ლიპარიტ ბაღვაში დადგა.

ყოველივე ამის შემდეგ გაუგებარი ხდება ბიზანტიის მმართველი წრეების ზრუნვა ბაგრატ IV-ის ხელისუფლების აღდგენისთვის საქართველოში. ეს გამოწვეული იყო ან იმით, რომ ბიზანტიის საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ საერთოდ არ ჰქონდა შორს მიმავალი მიზნები და მისგან მხოლოდ თავისი უზენაესობის აღიარებას სჯერდებოდა, ან კიდევ, ამ დროისათვის ბიზანტია-ლიპარიტის ურთიერთობაში მოხდა ისეთი რამ, რამაც აიძულა იმპერიის ხელისუფლება, გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება კლდეკარის ერისთავისადმი. ამ თვალსაზრისით უთუოდ საყურადღებოა ზოგიერთი წყაროს მიერ საგანგებოდ შენიშნული ის კეთილგანწყობა, რომელსაც იჩენდა ბიზანტიელთა მთავარი მტერი, სელჩუკთა სულტანი, ლიპარიტ ბაღვაშის მიმართ: „და იყო მოყუარედ მისა (ე. ი.

---

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, ლიპარიტმა „შეიპყრო ბაგრატ მეფე, გაგზავნა იმპერატორთან და თვითონ დაეუფლა მხარეს“. *Всеобщая история Вардана Великого*..., გვ. 125; ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა..., გვ. 258. ვარდანის ეს ცნობა, რასაკვირველია, სიმართლეს არ შეეფერება, მაგრამ, ფაქტია, რომ ბაგრატ IV ლიპარიტის მოძალატის შედეგად გახდა იძულებული დაეტოვებინა საქართველო და კონსტანტინოპოლს სწვეოდა. {204}

ლიპარიტის – **ზ.პ.) ხუარასანს დოღლუბევ სულტანი**“.<sup>1</sup> ასევე ინტერესს იწვევს წყაროთა მონაცემები ივანე ლიპარიტის ძის სელჩუკთა მხარეზე გამოსვლის შესახებ 1057-1058 წლებში არზრუმისა და ტრაპიზონის მხარეში თურქთა ლაშქრობის დროს.<sup>2</sup>

აღნიშნულმა ფაქტებმა, შესაძლებელია, რამდენადმე ეჭვის ქვეშ დააყენა ბაღვაშთა სახლის საიმედოობა და ბიზანტიის მმართველ წრეებს აფიქრებინა ბაგრატ IV-ისადმი თავისი დამოკიდებულების შეცვლა. კონსტანტინოპოლში მიღწეული შეთანხმება ბაგრატ IV-ის გარკვეულ დიპლომატიურ გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ და ის, ჩვენი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს „მზაკვრულ ღონისძიებად“, რომლიდანაც თითქოს „კარგად ჩანდა, რომ კეისარი საქართველოსაც იმას უმზადებდა, რასაც სომ{205}ხეთის სამეფოს შეამთხვია“.<sup>3</sup> თუ საიმპერატორო კარს საქართველოს მიმართ („მზაკვრულად“) იგივე ჰქონდა განზრახული, რაც სომხურ სამეფო-სამთავროებს უყო, მაშინ როგორ გავიგოთ ბაგრატის სამშობლოში გამობრუნება და მისი უფლებების სამეფო ტახტზე აღდგენა? განა უფრო ადვილი არ იყო საქართველოს მეფის დატოვება ბიზანტიაში (გაგიკ II-სავით) და ლიპარიტ ბაღვაშის მეშვეობით მთელი ქვეყნის დაპატრონება? ასევე ძნელი დასაჯერებელია, რომ ბიზანტიის კეისარს ბაგრატი გამოსტუმრებინოს ლიპარიტის თანხმობით, როგორც ამას ფიქრობ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 304 (ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**).

<sup>2</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხ.: **Ф. Жордания**. К материалам по истории Грузии XI-XII вв. М., 1895, გვ. 7-10; **Б. Шенгелиა**. სელჩუკები და საქართველო.., გვ. 206-211; **ვ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური.., გვ. 271-273. **{205}**

<sup>3</sup> *საქართველოს ისტორია..*, 1958, გვ. 147. ნ. ბერძენიშვილის ამ აზრს ავითარებს მ. ლორთქიფანიძე, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ასევე ასკვნის, რომ „ბიზანტიას საქართველოს მიმართ უფრო შორს მიმავალი გეგმებიც ჰქონდა“. **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინაპოლიტიკური და.., გვ. 190.

და ნ. ბერძენიშვილი.<sup>1</sup>

საქართველოში ბაგრატის გამობრუნება ლიპარიტის ნე-  
ბა-სურვილზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ის ალბათ ყო-  
ველმხრივ შეეცდებოდა წინ აღდგომოდა ამას. ძნელი წარმო-  
სადგენია, რომ ყოვლისშემძლე ფეოდალს არ განეჭვრიტა ის  
შესაძლო გართულებები, რომელიც მოჰყვებოდა სამშობლოში  
ბაგრატ მეფის დაბრუნებას. შემთხვევით არ უნდა იყოს ისიც,  
რომ „მატიანე ქართლისაჲ“ ბაგრატის უკან გამოწვევის ინიცი-  
ატორად ასახელებს მის დას – გუარანდუხტს: „მოითხოვა გუა-  
რანდუხტ ბაგრატ ბერძენთა მეფისაგან, და გამოვზავნა ბერ-  
ძენთა მეფემან დიდითა დიდებითა, ნიჭითა და განძითა მიუწ-  
დომელითა“.<sup>2</sup> გუარანდუხტი, როგორც ვიცით, ლიპარიტთან ერ-  
თად მეურვეობდა მცირეწლოვან გიორგი უფლისწულს: „და მო-  
იყვანეს მზრდელად მისა (გიორგის – **ზ.პ.**) ლიპარიტ და პატრო-  
ნად დაჲ გუარანდუხტ დედოფალი კაცი სრული და უნაცვალო  
სახითა, სიბრძნითა, სიუბჴთა, ღმრთისმსახურებითა და ყოვლი-  
თა სიკეთითა“.<sup>3</sup>

ლიპარიტს {206} რამე კავშირი რომ ჰქონოდა ბაგრატის  
სამშობლოში დაბრუნების საკითხთან, ვფიქრობთ, წყაროები

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. XI-XIII საუკუნეების ისტორიიდან. – საქართვე-  
ლოს ისტორიის საკითხები. ტ. VII. თბ., 1974, გვ. 21.

<sup>2</sup> მატიანე ქართლისა, ტ. I, გვ. 304.

<sup>3</sup> მატიანე ქართლისა, ტ. I, გვ. 304. გუარანდუხტ დედოფლის შესახებ  
სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.  
მკვლევრების ერთი ნაწილი თვლის, რომ ის იყო ვანანდის (ყარსის)  
სომხური სამეფოს დედოფალი (იხ.: **С. Т. Еремян.** Присоединение  
северо-западных областей Армении к Византии., {206} გვ. 12; **Г. Г.  
Мкртумян.** Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и  
его взаимоотношения с Арменией. Ереван, 1983, გვ. 123; **ა. აბდალა-  
ძე.** მიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა., გვ.  
272-273). შ. დარჩიაშვილს მიაჩნია, რომ გუარანდუხტი ტაშირ-ძო-  
რაგეტის მეფის სმბატის (XI ს. 50-60-იანი წლები) მეუღლე იყო. იხ.  
**შ. დარჩიაშვილი.** სომხური ლაპიდარული წარწერები და „მატიანე  
ქართლისას“ ერთი ცნობა. – *თსუ შრომები*, ტ. 227 (ისტორია, ხე-  
ლოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), თბ., 1982, გვ. 62-70.

ამას დააფიქსირებდნენ კიდეცა. გუარანდუხტი ამ შემთხვევაში ლიპარიტისაგან დამოუკიდებლად და შესაძლოა, მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. გუარანდუხტის პიროვნებასთან და საქართველოში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს ერთმა საინტერესო და ამასთან რამდენადმე უცნაურმა ფაქტმა – მცირეწლოვანი გიორგის რეგენტად („პატრონად“) არა მისი დედის – ბორენა დედოფლის, არამედ მამიდის დანიშვნამ რომელიც, როგორც ფიქრობენ, სპეციალურად იყო ამისთვის ჩამოყვანილი საქართველოში ვანანდიდან.<sup>1</sup> ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუარანდუხტი, თავდაპირველად, ბორენას დასაპირისპირებლად იყო გამოყენებული და მისი საქართველოში ჩამოსვლა ბიზანტია-ლიპარიტის ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ შემდგომ, ეტყობა, ვითარება შეიცვალა. ბაგრატ IV-ის მომხრეებმა შეძლეს გუარანდუხტის გადმობირება, გამოიყენეს მისი ავტორიტეტი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე და ფაქტობრივად დაიხსნეს თავიანთი მეფე „ტყვეობიდან“.<sup>2</sup>

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ხდებოდა ლიპარიტისაგან ფარულად და მის საწინააღმდეგოდ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ლიპარიტ ბაღვაშმა არაფრად ჩააგდო კეისრის გადაწყვეტილება და არ დაემორჩილა ბაგრატ მეფეს. „*მოირჭუნა ზემოსა კერძსა და {207} უკლებლად, და ... ზრდიდა ბაგრატის ძესა გიორგის მცირესა სახელითა მეფობისათა. ხოლო ბაგრატს აქუნდა ქუემოთ კერძი დანყობით*“.<sup>3</sup> მაგრამ ასეთი ვითარება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. მალე „*მცირედისა ჟამისა შემდგომად ამის სამეფოსა დიდებულთა მოენყინა პატრონობა ლიპარიტისი. სულა კალმახელი და ყოველნი მესხნი გამოექცეს ლიპარიტს, და*

<sup>1</sup> ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ., გვ. 273.

<sup>2</sup> ა. აბდალაძე თვლის, რომ გუარანდუხტის რეგენტად დანიშვნა ბიზანტიის კეისრის თანხმობით მოხდა, თუმცა მკვლევარს ეს აქტი, ამავე დროს, „საქართველოს სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალების წარმატებადაც“ მიაჩნია. ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა., გვ. 273-274. {207}

<sup>3</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 304.



შეიპყრეს დღივს ლიპარიტ და ძე მისი ივანე“.<sup>1</sup> სულა კალმახელ-  
მა დატყვევებულნი მეფეს მიჰგვარა და მან „აღიხუნა ლიპარი-  
ტეთაგან ციხენი არტანუჯი და ყუელი, უფლისციხე და ბირ-  
თვისი“.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ შეთქმულების მონაწილედ მოჩანს გუარანდუხტ დედოფალი, რომელიც გიორგი უფლისწულთან ერთად „დგეს ღრტილას, და რა ცნეს შეპყრობა ლიპარიტისი, შეიყვანეს ახალქალაქსა და მუნ მოილოდინეს ბაგრატ სულთა ზედა“.<sup>3</sup> გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეფეს კლდეკარში გამაგრებულებმა, რომელთაც მეთაურობდა „ანამორი მწიგნობართუხუცესი ლიპარიტისი“, მაგრამ, როცა ლიპარიტსა და მის ძეს – ივანეს სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ „მოიმტკიცეს მეფე და დიდებულნი ამის სამეფოსანი ციხოვანთა ლიპარიტისთა მშკდობით გაშუქებისათვის ლიპარიტისა და ივანესა. მოსცნეს კლდე-კარნი“;<sup>4</sup> ამით ბაგრატმა ფაქტობრივად შემოიერთა კლდეკარის საერისთავო. ლიპარიტი გაძევებულ იქნა საქართველოდან, ხოლო ივანეს არგვეთის მამულილა აკმარა.<sup>5</sup> მართალია, მოგვიანებით ივანე ბაღვაშმა, რომელსაც „უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა“, დაიბრუნა თავისი სამფლობელოები არგუეთსა და ქართლში და სპასალარადაც იქნა დანიშნული,<sup>6</sup> მაგრამ ამას ბაგრატ IV-ის ხელისუფლების შემდგომ განმტკიცებაზე გავლენა არ მოუხდენია. პირიქით, „მოირჭუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა. და ამან წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისანი, თჳნიერ კუეტარისა და ნახჭევანისა. და შემდგომად ამისსა იქმნნეს დიდნი და აღ{208}ძვრანი დიდთა მეფეთანი“.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, ლიპარიტ ბაღვაშის ხანგრძლივი ბრ-

<sup>1</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 304.

<sup>2</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 305.

<sup>3</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 304-305.

<sup>4</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 305.

<sup>5</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 305.

<sup>6</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 305. {208}

<sup>7</sup> მატიაზე ქართლისა, გვ. 306.

ძოლა ბაგრატი IV-ის წინააღმდეგ, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. ეს იყო სამეფო ხელისუფლების გამარჯვება ფეოდალურ ოპოზიციაზე. კლასობრივმა და შინაკლასობრივმა მომენტებმა უთუოდ იქონია გავლენა გაჭიანურებული კონფლიქტის საბოლოო შედეგზე, მაგრამ ვფიქრობთ ლიპარიტ ბაღვაშის მარცხი უმთავრესად საგარეო-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა განაპირობა. კერძოდ, XI ს. შუა ხანებში მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა საერთაშორისო სიტუაციამ, რომელმაც გამოიწვია კონსტანტინოპოლის კურსის შეცვლა საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. ბიზანტიის იმპერიის მმართველმა წრეებმა, თურქ-სელჩუკთა მხრიდან სულ უფრო მზარდი საშიშროების ვითარებაში, აშკარად დაინახეს საქართველოს სამეფოსთან, აღმოსავლეთში ერთადერთ ქრისტიანულ სამეფოსთან, შემდგომი კონფრონტაციის სრული უპერსპექტივობა და მასთან კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება ამჯობინეს, რომელიც მოგვიანებით დინასტიური ქორწინებითაც (ბაგრატი IV-ის ასულის მართა-მარიამის მითხოვება მიხეილ დუკასთვის) იქნა განმტკიცებული.

ამრიგად, XI ს. 30 – 50-იან წლებში საქართველოში მიმდინარე შინაფეოდალურმა ომმა ხელი შეუშალა ბაგრატი IV-ს გადაეჭრა უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანა – თავი დაეღწია ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობისაგან და მოეპოვებინა ეროვნული სუვერენიტეტი საერთაშორისო არენაზე. მიუხედავად ამისა, XI ს. 50-იანი წლების მიწურულისათვის ამ მიმართულებით მაინც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ფეოდალურ ოპოზიციაზე გამარჯვების შემდეგ ბაგრატი IV-მ მნიშვნელოვნად განამტკიცა თავისი მდგომარეობა და თანდათანობით ბიზანტიის იმპერატორის თანასწორუფლებიან პარტნიორად იქცა, რისი დადასტურებაც იყო საქართველოს მეფისთვის ჯერ ნოველისიმოსისა და შემდეგ კი სევასტოსის ნოდებების მინიჭება.<sup>1</sup> მაგრამ XI ს. 60-იან წლებში {209} კვლავ გარ-

---

<sup>1</sup> *მატიანე ქართლისა*, გვ. 315. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის

თულდა საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ეს გამოწვეული იყო თურქ-სელჩუკთა აგრესიის გაძლიერებით, რომლებიც სულ უფრო უახლოვდებოდნენ საქართველოს სამეფოს საზღვრებს. ამიერიდან ბიზანტიასთან ურთიერთობის მოგვარების პრობლემამ უკანა პლანზე გადაინია და სამეფო კარის მთელი ყურადღება სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებამ მიიპყრო. {210}

---

ისტორია. ტ. II, გვ. 151. იხ. აგრეთვე: **И. А. Джавахишвили**. К вопросу о времени построения грузинского храма в Атени, – *Христианский Восток*, т. I. вып. III, 1908, гв. 251. {209}

## შინაარსი

შესავალი ..... 3

**თავი I.** ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება და მისი საგარეო-პოლიტიკური გარემო.

1. საერთო-პოლიტიკური სიტუაცია ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში X ს. II ნახევარსა და XI ს. დასაწყისში.
2. დავით კურაპალატი და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი X ს. ბოლო მესამედში.
3. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღმოცენება XI ს. დასაწყისში და მისი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში.

**თავი II.** ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საერთაშორისო ურთიერთობებში XI ს. 20-50-იან წლებში.

1. ერთიანი ქართული სახელმწიფოს ბრძოლა ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროდან გამოსვლისა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის გიორგი I-ის ხანაში.
2. საშინაო-პოლიტიკური ვითარების გამწვავება საქართველოში XI ს. 30-50-იან წლებში და მისი გამოვლინება საგარეო ურთიერთობებში.

რეზიუმე

სახელთა საძიებელი

# ПАПАСКИРИ ЗУРАБ ВАЛЕРЬЯНОВИЧ

## ВОЗНИКНОВЕНИЕ ЕДИНОГО ГРУЗИНСКОГО ФЕОДАЛЬНОГО ГОСУДАРСТВА И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКОГО ПОЛОЖЕНИЯ ГРУЗИИ

(на грузинском языке).

Издательство Тбилисского Университета  
Тбилиси, 1990

გამომცემლობის რედაქტორი: **ბელა გვილია**  
ტექნიკური რედაქტორი: **ფ ბუდალაშვილი**  
კორექტორი: **მ. ვარამაშვილი**

სბ 1662

გადაეცა ნარმოებას 7.09.89. ხელმოწერილია  
დასაბეჭდად 16.08.90.

საბეჭდი ქალაქი 60X84<sup>1</sup>/16. პირობითი ნაბეჭდი 14,25.  
საალრ.-საგამომც. თაბახი 12,76. ტირაჟი 1100. შკვეთა 768.

**ფასი 1 მან. 40 კაპ.**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. 29,  
საქ. რესპუბლიკის გამსახკომის 4 სტამბა.

380060 გ. Тбилиси, пр. Важа-Пшавела 29,  
типография №4 Госкомиздата Грузинской Республики.

**ПАПАСКИРИ ЗУРАБ ВАЛЕРЬЯНОВИЧ**

**ВОЗНИКНОВЕНИЕ ЕДИНОГО ГРУЗИНСКОГО  
ФЕОДАЛЬНОГО ГОСУДАРСТВА И НЕКОТОРЫЕ  
ВОПРОСЫ ВНЕШНЕПОЛИТИЧЕСКОГО  
ПОЛОЖЕНИЯ ГРУЗИИ**

(на грузинском языке).

Издательство Тбилисского Университета  
Тбилиси, 1990

წიგნის რუსული რეზიუმე (ზოგიერთი ჩამატებით) იხ.: **З. В. Папаскири**. От Давида до Давида. *Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* Тб., 2001, გვ. 3-84. <https://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian>.